

ლია ცელაძე  
ფლორა ვსეგუა  
ირინა ოსაფაშვილი

ვიზუალიზაციური გეგმვა  
დისკურსები საქართველოს  
ეკონომიკური გესახე



შოთა რустაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION

**CSS**   
*Center for Social Sciences*

ლია ცელაძე  
ფლორა ესეგუა  
ირინა ოსაზაშვილი

ვიზელიგერალიზის გეადგომი  
დისკურსები საქართველოს  
ევროპეიზის გესახებ



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: #FR17\_91].

ავტორები მადლობას ვუხდით სამუშაო ჯგუფს – დიანა ლეჟავას, ლელა ჯავახიშვილს, თორნიკე კორკოტაშვილს და ქეთევან გიკა-შვილს. ასევე, განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროექტის საერთაშორისო კონსულტანტს, ატილა მელეგს, კორვინუსის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს სოციოლოგის და დემოგრაფიის მიმართულებით.



პუბლიკაცია დამტკიცებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოს მიერ.

სამეცნიერო კონსულტანტი: ატილა მელეგი, კორვინუსის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სოციოლოგის და დემოგრაფიის მიმართულებით.

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2021

გამომცემლობა „ნეკერი“, 2021

ISBN 978-9941-479-80-9

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესს ეხება და მას სოციოლოგიური პერსპექტივიდან სწავლობს, კერძოდ, ევროინტეგრაციის ყოველდღიურ „გამოყენებაზე“ ამახვილებს ყურადღებას. ევროინტეგრაციის „გამოყენების“ მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დისკურსული გამოყენება, ანუ რიტორიკული მანიპულირება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით პოზიტიური თუ ნეგატიური ასოციაციების გამოწვევის მიზნით. შედეგად, დისკურსის გზით ევროპეიზაციის ამა თუ იმ პრაქტიკისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება თუ ჩამორთმევა ხდება.

ნარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც 2018-2019 წლებში განხორციელებულ ემპირიულ კვლევას ეფუძნება, სწორედ, საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა და მოსახლეობის ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ დისკურსებს განიხილავს, ქვეყნის მიერ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ. ეს ნაშრომი ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი წინა კვლევითი პროექტისა (2014-2016, კავკასიის შეერთებული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით), რომლის ფოკუსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები იყო, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. თუმცა, ბოლო კვლევას ახალი კვლევითი კომპონენტი დაემატა, კერძოდ, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტასთან სიღრმისეულ ინტერვიუებსა და მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში Q მეთოდოლოგიაც ინტეგრირდა, რომლის რაოდენობრივი ანალიზი თვისებრივ მონაცემებს ამდიდრებს.

კვლევამ გამოავლინა ელიტებისა და მოსახლეობის საკმაოდ ამბივალენტური დისკურსები ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ. ეს ამბივალენტობა თავს იჩენს როგორც საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პრაგმატიული და იდენტობის ფაქტორების განხილვისას, ისე ევროპეიზაციის მექანიზმების – პირობითობის და სოციალიზაციის – წამყვან როლზე მსჯელობისას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მსგავსი ამბივალენტობა კვლევის მონაწილეთა დისკურსულ პერფორმანსს უბიძგებს.

## სარჩევი

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილში .....	5
კვლევის მეთოდი .....	20
Q ანალიზის შედეგები .....	31
ელიტები და მოსახლეობა ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ .....	43
ელიტები და მოსახლეობა ევროკავშირთან დაკავშირებული პრაგმატული ფაქტორების შესახებ .....	107
ელიტები და მოსახლეობა ქართველების ევროპული იდენტობის შესახებ .....	136
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქვეყნის ევროპეიზაციაში .....	184
დასკვნა: საქართველოს ევროპეიზაციის დისკურსული პერფორმანსი .....	207
გამოყენებული ლიტერატურა .....	211

## საქართველოს ევროპული ინტეგრაცია განვითარების იდეალისტური მოდელის შრიღვი

წინამდებარენაშრომი საქართველოს მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესს ეხება და მის შესწავლას სოციოლოგიური პერსპექტივიდან ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ევროინტეგრაციის და მისი თანმდევი ევროპეიზაციის პროცესის კვლევა განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში, აღმოსავლეთ გაფართოების პირველი ტალღისთვის მზადებისას, ამ საკითხს სოციალური მეცნიერებებიდან, უმეტესად, საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკის მეცნიერება სწავლობენ, ხოლო სოციოლოგების როლი საკმაოდ მოკრძალებულია. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს, სწორედ ევროპეიზაციის სოციოლოგიის განვითარებაში შეიტანოს წვლილი.

განსხვავებით საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერებისგან, რომელთა ინტერესის სფეროა ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების გავრცელება და ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაცია ევროპულ მოდელთან მორგების პროცესში (Radaelli, 2003), ანუ ევროინტეგრაციის, როგორც „ადაპტაციის“ პროცესის კვლევა, სოციოლოგია ევროინტეგრაციის ყოველდღიურ „გამოყენებაზე“ ამახვილებს ყურადღებას (Jacquot & Woll, 2003), რომლის გარეშეც შეუძლებლად მიაჩნია რეალურად მიმდინარე ტრანსფორმაციის წვდომა. სოციოლოგიური ხედვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ევროპა და ევროკავშირი სხვადასხვა ადამიანისთვის განსხვავებულ კონტექსტში არაერთგვაროვანი მიზნების მატარებელია და ამიტომ სოციალურ კონსტრუქტებს წარმოადგენენ, რომელთა გამოყენება სტრატეგიული მიზნებით ხდება (Delanty, 1995, 3). ეს სტრატეგიული გამოყენება გულისხმობს როგორც ადგილობრივი აქტორების სტრატეგიულ ინტერაქციას ევროპულ ინსტიტუტებთან (მაგალითად, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის მცდელობას, სასურველი შთაბეჭიდლება მოახდინოს ევროკავშირის წარმომადგენლებზე), ისე ამ „გამოყენების“, როგორც ყოველდღიური

პრაქტიკის, გავლენას ადგილობრივ აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე (მაგალითად, რა გავლენას ახდენს ევროინტეგრაციის პროცესი ადგილობრივი ელიტების და მოსახლეობის მიერ საუთარი ევროპულობის ხედვაზე და როგორ ხდება მისით ყოველდღიური მანიპულირება).

ევროინტეგრაციის „გამოყენების“ მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დისკურსული გამოყენება (Jacquot & Woll, 2003, 7), ანუ რიტორიული მანიპულირება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით პოზიტიური (მაგალითად, „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“) თუ წევატიური (მაგალითად, „ქართველობას გვართმევენ“) ასოციაციების გამოწვევის მიზნით. დისკურსს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ევროპეიზაციის პროცესის მსვლელობაზე, რადგან მას შესწევს ძალა, განსხვავებული მიმართულებით წარმართოს ინტერესები, აგრეთვე ხელი შეუწყოს ახალი ინსტიტუციური მიდგომების გაჩენას და კულტურული ნორმების გადაფასებას (Schmidt & Radaelli, 2004, 206). დისკურსი არა მხოლოდ გავლენას ახდენს ახალი ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირებაზე, როგორც გარკვეული წესების, ღირებულებებისა და პრაქტიკის შესახებ იდეათა ერთობლიობაზე, არამედ წარმოადგენს რესურსს, რომელსაც აქტორები ამ იდეების გავრცელებისა და ლეგიტიმაციისთვის იყენებენ (იქვე, 192). ამგვარად, დისკურსის გზით ევროპეიზაციის ამა თუ იმ პრაქტიკისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება თუ ჩამორთმევა ხდება (Radaelli, 2003, 36).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ავტორები ხაზს უსვამენ დისკურსის კვლევის მნიშვნელობას ორ დონეზე: 1. ელიტის დისკურსი ანუ საკოორდინაციო დისკურსი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რას ამბობენ ერთმანეთში ელიტის წარმომადგენლები და 2. მოსახლეობაზე მიმართული დისკურსი ანუ საკომუნიკაციო დისკურსი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ ელიტები რა გზავნილებს აწვდიან მოქალაქეებს (იქვე, 40). როგორც საკოორდინაციო, ისე საკომუნიკაციო დისკურსის კვლევისას მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ ცდილობენ ელიტები მოსახლეობის თვალში ევროპეიზაციის ლეგიტიმაციას და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების აღებას თუ არიდებასაც კი, არაპოპულარული რეფორმების ევროკავშირისთვის გადაბრალებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის კვლევაც, თუ როგორ რეაგირებს მოსახლეობა ელიტების გზავნილებზე და ევროინტეგრაციის შესახებ

რა საპასუხო დისკურსებით გამოირჩევა. მოცემული ნაშრომი სწორედ საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ ელიტების და მოსახლეობის დისკურსებს იკვლევს, რათა გამოავლინოს, თუ როგორ ხდება მათ მიერ ევროინტეგრაციის სტრატეგიული „გამოყენება,“ ევროპეიზაციის ამა თუ იმ პრაქტიკისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება თუ ჩამორთმევა, აგრეთვე საქართველოს, როგორც ევროპული ქვეყნის წარმოჩენა და საკუთარი ევროპულობის ხაზგასმა.

ქართველი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებისა და მოსახლეობის მიერ ევროინტეგრაციის დისკურსული გამოყენება „ინტეგრაციის გარე უნარის“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რაც „ინტეგრაციის შიდა უნარისგან“ ანუ თავად ევროკავშირის გაფართოებისთვის მზადყოფნისგან განსხვავებით, არანევრი ქვეყნის მზადყოფნას გულისხმობს. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს დონეზე მზაობასთან ერთად (დემოკრატია, კარგი მმართველობა, ეკონომიკური შესაძლებლობები და საკანონმდებლო თანხვედრა), არანევრი ქვეყნის მოსახლეობის ინტეგრაციისადმი მხარდაჭერასაც მოიაზრებს (Schimmelfennig, 2014). ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ აისახება საქართველოს ევროინტეგრაციისთვის მზაობა თუ მზაობის ნაკლებობა ელიტების და მოსახლეობის დისკურსებში: როგორ აფასებენ ელიტის წარმომადგენლები ევროინტეგრაციისთვის საქართველოს მზაობას მისი დემოკრატიული მმართველობის, ეკონომიკური შესაძლებლობების და საკანონმდებლო თანხვედრის თვალსაზრისით და, მათი აზრით, რა გავლენას ახდენს თავად ევროკავშირი საქართველოს ინტეგრაციის უნარის ხელშეწყობაზე; აგრეთვე, რას ამბობს მოსახლეობა საქართველოს ინტეგრაციის უნარზე, რამდენად მზად მიაჩინა ქვეყნის ხელისუფლება და მოქალაქეები შემდგომი ინტეგრაციისთვის და რა ბარიერებს ხედავს ამ პროცესში.

მკვლევრები ევროინტეგრაციისადმი სახელმწიფოს და მოსახლეობის მზაობას ორი ძირითადი მიღდომის საფუძველზე განიხილავენ: რაციონალისტურ-ინსტიტუციური და კონსტრუქტივისტულ-ინსტიტუციური ანუ სოციოლოგიური (Schimmelfennig & Sedelmeier, 2002). რაციონალისტურ-ინსტიტუციური მიღდომის ფოკუსია ადგილობრივი აქტორების მიერ ევროინტეგრაციის შედეგად მოსალოდნელი სარგებელ-დანაკარგის სედვა (იქვე, 510), რაზეც პირობითობის მექანიზმის ეფექტურობაა დამოკიდებული (Sedelmeier, 2011, 12; Schimmelfennig, 2012, 8). სწორედ ევროკავშირის პირობითობა, ანუ მისგან ჯილდოს

მიღების მოლოდინი თუ სასჯელის არიდების მცდელობა, შესაბამისი რეფორმების განხორციელების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად არის აღიარებული აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებში (Borzel, 2015, 5). კონსტრუქტივისტულ-ინსტიტუციური ანუ სოციოლოგიური მიდგომა კი გაზიარებულ იდენტობასა და კულტურულ ფაქტორებზე ამხვილებს ყურადღებას, ანუ აქ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად „ევროპულია“ ევროკავშირთან ინტეგრაციის მსურველი ქვეყანა, რამდენად მისდევს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს და რამდენად იზიარებს ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს (Schimmelfennig & Sedelmeier, 2002, 513-14). კვლავ აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნების მაგალითი რომ ავილოთ, ევროინტეგრაციის პროცესში მათვის წამყვანი იყო „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ დისკურსი (Melegh, 2006; Kuus, 2007), რაც სწორედ საჟუთარი ევროპულობის ხაზგასმას ემსახურებოდა. კონსტრუქტივისტულ-ინსტიტუციური ხედვა სოციალიზაციის მექანიზმის საფუძველი ხდება, რომელიც ადგილობრივი აქტორების მიერ ევროკავშირის ნორმების და სტანდარტების უპირატესობის აღიარებას და ნებაყოფლობით დანერგვას გულისხმობს, ადგილობრივ დონეზე სასურველი ცვლილებების განხორციელების მიზნით (Sedelmeier, 2011, 15; Schimmelfennig, 2012, 8). არსებობს ერთგვარი გარდამავალი მექანიზმიც პირობითობასა და სოციალიზაციას შორის, რასაც თვითპირობითობა თუ „ნორმატული მიბაძვა“ შეგვიძლია ვუწოდოთ და რაც გულისხმობს, რომ ქვეყანა ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას იმით ცდილობს, რომ წაკისრზე მეტ ვალდებულებას ასრულებს და თავს ისე წარმოაჩნის, თითქოს წევრობის გარანტირებული პერსპექტივა ჰქონდეს (Borzel & Lebanidze, 2015, 19). მკვლევრები აღნიშნავენ, რომ, თუ ევროკავშირის წინა გაფართოების პირობებში (დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციისას) რაციონალისტური ხედვა იყო წამყვანი, აღმოსავლეთ გაფართოებისას ორივე ფაქტორი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა – რაციონალისტურიც (ეკონომიკური და სავაჭრო ინტეგრაციის სარგებელი, დემოკრატიის გაძლიერება, პოლიტიკური ჩართულობა ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში) და კონსტრუქტივისტულიც („ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ დისკურსი და „კლუბის წევრებად“ აღიარების მცდელობა). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ელიტები, უმეტესად, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელ-დანაკარგის ჭრილში განიხილავდნენ ევროკავშირთან ინტეგრაციას და იდენტობასთან

დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეების ხედვა მათთვის ბარიერს არ წარმოადგენდა, რეფერენდუმში მონანილე მოსახლეობისთვის ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მატერიალური სარგებელ-დანაკარგის გამოთვლა (Schimmelfennig & Sedelmeier, 2002, 519). ზემოთქმულის გათვალისწინებით, საინტერესოა, რა როლს ასრულებს რაციონალისტური და კონსტრუქტივისტული ფაქტორები ქართველი ელიტებისა და მოსახლეობის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ხედვის ფორმირებაში, რა სარგებელ-დანაკარგს მოელიან ისინი ევროინტეგრაციის პროცესიდან და როგორ აფასებენ ევროპეიზაციის გავლენას ქართულ იდენტობასა და ტრადიციებზე.

სამეცნიერო ლიტერატურა ევროინტეგრაციისადმი განწყობების ახსნისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც რაციონალურ-პრაგ-მატულ, ისე იდენტობის ფაქტორებს. კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრის განმაპირობებელი ფაქტორები არსებითად არ განსხვავდება ევროკავშირის ძველ და ახალ წევრ ქვეყნებში, აგრეთვე განევრიანების მსურველ საზოგადოებებში; თუმცა, მნიშვნელოვანი სხვაობა ვლინდება ევროკავშირის გაფართოების მიმართ ელიტისა და მოსახლეობის განწყობებს შორის (Toschkov, Kortenska, Dimitrova & Fagan, 2014, 3). ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პოლიტიკური და კონომიკური ელიტების ეროვნული იდენტობების ევროპეიზაცია არ ემთხვევა მსგავს პროცესს მოსახლეობაში (იქვე, 22). აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებში პოლიტიკური ელიტები ევროინტეგრაციის მხარდამჭერ განწყობებს ავლენენ, მოსახლეობის პოზიტიური განწყობები კი საგრძნობლად იკლებს (იქვე, 31). ძირითადი განსვლა კი კონტროლის მოპოვებასა თუ დაკარგვასთან ასოცირდება, რომელსაც ადგილობრივი აქტორები ეროვნული პასუხისმგებლობებისა და ავტორიტეტის ევროკავშირისთვის გადაცემას უკავშირებენ (Best, 2012, 240). როგორც ჩანს, მოსახლეობაში მზარდია ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის შიში, რასაც ნაციონალისტური განწყობების ზრდაც ახლავს. სწორედ ამ პროცესის შედეგი უნდა იყოს ევროინტეგრაციის მიმართ საზოგადოებრივი აზრის „პერმისიული კონსენსუსიდან“ „შემზღვდავი დისენსუსის“ მიმართულებით ცვლილება (Hooghe & Marks, 2008). მართალია, ეს ტენდენცია ჯერ კიდევ აღმოსავლეთ გაფართოების პირველი ტალღისას გამოიკვეთა ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებში, რომლებმაც პოსტკომუნისტური სივრციდან

ამდენი ახალი წევრის მიღება ერთგვარ საფრთხედ აღიქვეს, მაგრამ წლების მანძილზე, გაფართოების მომხრეების საერთო მაჩვენებელი მაინც მონინააღმდეგებზე უფრო მაღალი იყო, სწორედ ახალი წევრი ქვეყნების მოსახლეობის ევროოპტიმისტური განწყობების ხარჯზე. ევროპარომეტრის კვლევები აჩვენებს, რომ 2010 წლიდან EU 27-ის საშუალო მაჩვენებელი 43% მომხრეს და 45% ნინააღმდეგს წარმოადგენდა. მართალია, მხარდაჭერის მაჩვენებელი ყველა წევრ ქვეყანაში იყლებდა, მაგრამ სწორედ ახალ წევრ ქვეყნებში მისმა შემცირებამ გამოიწვია არსებული სურათის თვალსაჩინო ცვლილება, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე (Toshkov et al., 2014, 12).

რამ გამოიწვია მოსახლეობის პროევროპული განწყობების ამ-გვარი ცვლილება? რაციონალურ-პრაგმატული მიდგომის თანახმად, მოსახლეობის განწყობებს ინსტრუმენტული ფაქტორები განსაზღვრავს. მაგალითად, მოქალაქეები რაციონალურად აფასებენ ეკონომიკურ მოგება-წაგებას, რომელსაც ევროკავშირი სთავაზობს პიროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე. ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, ინსტრუმენტული ფაქტორებიდან არანაკლებ მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და ადამიანის უფლებების დაცვა (della Porta & Caiani 2009, 23), აგრეთვე ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების გარანტის განხილვა (Delanty 1995, 9). აღმოჩნდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც მოქალაქეების მიერ ევროინტეგრაციის ინსტრუმენტული ასპექტების ხედვაზე ახდენს გავლენას, მათი განათლება, დასაქმების სტატუსი და ეკონომიკური კეთილდღეობა. ნაკლებგანათლებული, დაბალშემოსავლიანი და უმუშევარი მოქალაქეები, აგრეთვე სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა, მეტად წევრატიურ დამოკიდებულებებს ავლენენ ევროკავშირის მიმართ. ეს ფაქტორები საერთოა ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებს შორის, თუმცა სპეციფიკური ასპექტებიც იკვეთება, კერძოდ, „ახალი“ ევროპელების მხარდაჭერას არა მომენტალური სარგებლის მოლოდინი, არამედ ვაჭრობის ლიბერალიზაციის სამომავლო პერსპექტივები განაპირობებს. ისინი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი შესაძლებლობების მოპოვებას და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას, ვიდრე ეკონომიკურ სარგებელს, რაც ძირითად სხვაობად მიიჩნევა ახალი და ძველი წევრების შეხედულებებს შორის (Doyle & Fidrmuc, 2006, 541). კიდევ ერთ მნიშვნელოვან სხვაობად ძველ და ახალ წევრებს

შორის უსაფრთხოების საკითხების ხედვა გვევლინება. აღმოჩნდა, რომ პოსტსოციალუსტური ქვეყნების ელიტების გაცილებით დიდი წილი (60%) მიიჩნევს რუსეთს ევროპისთვის სერიოზულ საფრთხედ, ვიდრე დასავლეთ ევროპელი ელიტებისა (30%). მსგავსი განსვლა პოსტსოციალისტური ქვეყნების ისტორიული გამოცდილებით და რუსეთთან ტერიტორიული სიახლოვით აისწნება, რის გამოც ამ ქვეყნების ელიტები და მოსახლეობა „რუსეთს ეგზისტენციალურ საფრთხედ მიიჩნევენ, რასაც რუსეთის მიერ ადამიანის უფლებების და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპების უგულებელყოფაც ემატება“ (Matonyte & Morkevicius, 2012, 103). ამდენად, ევროკავშირის ახალი წევრებისთვის (და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ პარტიინორბის ქვეყნებისთვისაც, რომლებიც აგრეთვე პოსტსოციალისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ), ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, სწორედ უსაფრთხოების და დემოკრატიის ინტერესებია წამყვანი, რაც, გარკვეულწილად, ეკონომიკური სარგებლის მოლოდინს ჩრდილავს. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა პრაგმატულ სარგებელს მოელიან ქართველი ელიტები და მოსახლეობა ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად.

იდენტობასა და ლირებულებებზე დამყარებული მიდგომის თანახმად, ევროინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულებების განმსაზღვრელად ეროვნული იდენტობა და მასთან დაკავშირებული წარმოსახვითი საფრთხეები მიიჩნევა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ გაფართოებამ გაააქტიურა ცივი ომის პერიოდის სტერეოტიპები და გააღრმავა კულტურული ერთიანობის მიმართ საფრთხის შეგრძნება. კვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეები, რომლებიც ექსკლუზიურ ეროვნულ იდენტობას (Hooghe & Marks, 2005, 2008) და კულტურული საფრთხის შეგრძნებას (Azrout et al., 2013; McLaren, 2002, 2007) თუ ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს გამოხატავენ (Karp & Bowler, 2006), აგრეთვე ნაკლებ ტოლერანტულნი არიან რელიგიური უმცირესობების (Azrout et al., 2012; de Vreese & Boomgaarden, 2005; Hobolt et al., 2011) და მიგრანტების მიმართ (Boomgaarden et al., 2011; de Vreese & Boomgaarden, 2005), ევროკავშირის გაფართოების წინააღმდეგნი არიან. და პირიქით, მულტიკულტურული ლირებულებების მქონე ინდივიდები, რომლებიც ევროპულ იდენტობას აღიარებენ და დემოკრატიული ლირებულებების გაძლიერებაზე არიან ორიენტირებულნი, ევროკავშირის გაფართოების მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ (Azrout et al., 2013; Boomgaarden

et al., 2011). ქართველების ძლიერი ეთნორელიგიური იდენტობის და ეროვნული სიამაყის გათვალისწინებით (ISSP Georgia, 2014), ჩვენთვის საინტერესოა, თუ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ რა საფრთხეებს მიიჩნევენ ევროინტეგრაციის პროცესის თანმდევად ქართველი ელიტები და მოსახლეობა.

უდავოა, რომ ადგილობრივი პოლიტიკური კონტექსტი ევროკავშირის გაფართოებისა და, ზოგადად, ევროინტეგრაციისადმი განწყობების მნიშვნელოვანი წყაროა, რადგან სწორედ მის ფარგლებში ხდება ეროვნულ დონეზე ევროკავშირის შესახებ ცოდნის წარმოება, ევროინტეგრაციის საკითხების განხილვა და პოლიტიზირება. პოლიტიკური აქტორების შეხედულებები ევროკავშირის გაფართოებაზე, მათ მიერ შესაძლო რისკებისა და სარგებლის შეფასება, აგრეთვე იდეოლოგიური აფილიაცია გავლენას ახდენს მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე გაფართოების მიმართ. ელიტის და მოსახლეობის კავშირი ორ დონეზე მუშაობს: ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ (Guerra, 2013; Steunenberg et al., 2011). პირველი მიდგომა გულისხმობს პოლიტიკური ელიტების მიერ მოსახლეობისთვის მინიშნებების მიცემას, რაც „ინფორმირებისა და დარწმუნების პროცესის“ შედეგია (Steenbergen et al., 2007). მეორე მიდგომა კი გულისხმობს „რეპრეზენტაციის პროცესს“, რაც მოსახლეობასა და ელიტას შორის კომუნიკაციას უწყობს ხელს და პოლიტიკური ლიდერების მიერ მოსახლეობის აზრის შეთვისებას გულისხმობს (Hooghe & Marks, 2005, 2008; Steenbergen et al., 2007). დღემდე მიდის სამეცნიერო დავა იმის თაობაზე, პოლიტიკური ელიტები აძლევენ მინიშნებებს მოსახლეობას თუ, პირიქით, მოსახლეობა – პოლიტიკურ ელიტებს, რაც, როგორც კვლევები ადასტურებს, ინტერაქციული პროცესია (იქვე). საგულისხმოა არგუმენტი, რომ ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებზე სწორედ შიდაპოლიტიკური პროცესები ახდენს გავლენას და არა უშუალოდ ევროკავშირი. მაგალითად, ავტორები, რომლებიც 2006-2013 წლების ევროპარომეტრის კვლევებს აანალიზებენ, აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის მიმართ განწყობები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეროვნული მთავრობისა და ეროვნული პარლამენტის მიმართ განწყობებთან (Dimitrov, Haralampiev & Stoychev, 2015, 14). თურმე, ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს ევროკავშირისადმი მოსახლეობის განწყობებზე, ადგილობრივი პოლიტიკური აქტორების ქმედებაა ქვეყნის შიდა და ევროპულ დონეზე (იქვე, 18). ამასთან,

გასათვალისწინებელია მოსაზრებაც, რომ ევროკავშირის ძველ წევრებში გამოვლენილი კავშირი ელიტასა და მოსახლეობას შორის არ გამოდგება ამხსნელ ფაქტორად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეების ნდობა ეროვნული ინსტიტუტების და პოლიტიკური პარტიების მიმართ საკმაოდ დაბალია, და მინიშნებების მიმართულება ქვემოდან ზემოთ ლოგიკას მიჰყება (Toshkov et al., 2014, 30). ავტორების მტკიცებით, რაიმე მიმართულებით პროცესის შეფერხება (იქნება ეს ზემოდან ქვემოთ თუ ქვემოდან ზემოთ), პოლიტიკური ელიტებისა და მოსახლეობის განწყობებს შორის განსვლას იწვევს (იქვე, 25), რაც საკომიტეტის და საკომუნიკაციო დისკურსებს შორის წყვეტით ვლინდება. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია ის გარემოება, რომ დროთა განმავლობაში, მოქალაქეები უფრო რეალისტურნი ხდებიან ევროინტეგრაციის მიმართ, რაც ევროკავშირთან სიმბოლურ კავშირზე დამყარებულ სენტიმენტებს ასუსტებს (იქვე, 30). აქედან გამომდინარე, ავტორები საუბრობენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ევროინტეგრაციის მიმართ არსებული უფრო ზედაპირული, ევროენტუზიაზმით სავსე დისკურსიდან, ევროინტეგრაციის მიმართ მეტად პრაგმატულ დისკურსზე გადასვლაზე (დადებითი და უარყოფითი მოლოდინების ჭრილში). ამდენად, საწყისი ნორმატული პროევროპული ხედვა პრაგმატულმა „კი, მაგრამ“ პოზიციამ ჩაანაცვლა. შესაბამისად, საწყისი „ევროენტუზიაზმის“ მზარდი ჩაანაცვლება ხდება „ევრორეალიზმით“ და „ევროსკეპტიციზმითაც“ კი – როგორც მოსახლეობის, ისე ელიტების დონეზე (Heinisch & Landsberger, 2011). მეტიც, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ, როგორც კი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის მხრიდან ევროინტეგრაციის მხარდაჭერა შემცირდა, ამან მომენტალურად უბიძგა ცვლილებას ეროვნულ პარტიულ სისტემებში, გამოიწვია რა ევროსკეპტიკური პარტიების თვალსაჩინო მომრავლება (იქვე). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობაში სტაბილური პროევროპული განწყობების არსებობა ხელს უშლის ევროსკეპტიკური პარტიების ფორმირებას.

საინტერესოა, რა მექანიზმები აქვს თავად ევროკავშირს, რომ გავლენა მოახდინოს ინტეგრაციის ამბიციის მქონე ეროვნული მთავრობის პოლიტიკაზე? ზედელმაიერი ორ ასეთ სტრატეგიას განიხილავს, რომელიც ზემოთ აღინიშნა და ორი განსხვავებული პერსპექტივიდან გამომდინარეობს: რაციონალისტური ინსტიტუ-

ციონალიზმის პერსპექტივიდან, ევროკავშირის მთავარი სტრატეგიაა პოზიტიური პირობითობა, ადგილობრივი პოლიტიკისა კი – ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტაცია; კონსტრუქტივისტული ინსტიტუციონალიზმის პერსპექტივიდან, ევროკავშირის მთავარი სტრატეგიაა სოციალიზაცია და დარწმუნება, ადგილობრივი პოლიტიკისა კი – ნორმატული რეზონანსი (2011). როგორც არსებული კვლევები ადასტურებს, აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნების შემთხვევაში, სწორედ პირობითობა იყო პოლიტიკური ცვლილებების ბიძგის მიმცემი მთავარი მექანიზმი (Sedelmeier, 2011, 22; Borzel, 2015, 23), ანუ ადგილობრივი პოლიტიკური აქტორები ორიენტირებული იყვნენ იმაზე, რომ ევროკავშირისგან ჯილდო მიეღოთ და სანქციები აერიდებინათ. თითქმის კველა ავტორი აღნიშნავს, რომ მთავარი ანუ „ოქროს“ ჯილდო (“golden carrot”) ევროკავშირის წევრობაა (Sedelmeier, 2011, 31) და სადაც ამ ჯილდოს გამოკვეთილი პერსპექტივაა, ევროკავშირს ცვლილებების ინიცირების რეალური ბერკეტი აქვს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის არაეფექტურობა ადგილობრივ დონეზე ცვლილებების გამოწვევის თვალსაზრისით კი, სწორედ ამ „ოქროს“ ჯილდოს პერსპექტივის უქონლობით აიხსნება (Borzel, 2015, 5). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ჯილდოს მიღების პერსპექტივას მოკლებული არიან, აღმოსავლეთ სამეზობლოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგი ქვეყნები მაინც ახორციელებენ ევროკავშირის ინიცირებულ შიდა რეფორმებს. შესაბამისად, როგორც ზედელმაიერი აღნიშნავს, ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან ე.წ. „შუალედური ჯილდოების“ შეთავაზება (2011, 14). ამიტომ, ავტორთა ნაწილი სწორედ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, თუ წევრობის შეთავაზების გარდა, პოლიტიკური ინტეგრაციის სხვა რა ფორმები უწყობს ხელს დემოკრატიზაციის პროცესს ახალ წევრ, კანდიდატ და მეზობელ ქვეყნებში (Borzel, 2015, 5). ნიმუშად აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნები რომ ავილოთ (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), მათ ევროკავშირისგან მომდინარე დემოკრატიული და ეფექტური მმართველობის მოთხოვნების საპასუხოდ, ხარჯიანი შიდა რეფორმების გატარება დაიწყეს, მიუხედავად წევრობის გარანტირებული პერსპექტივის არქონისა. ავტორების შეფასებით, აღმოსავლეთ სამეზობლოს იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ელიტები „ევროპული ოჯახის“ წევრებად აღიქვამენ თავს, ევროკავშირის სტანდარტების „ნორმატულ მიბაძვას“ აქვს ადგილი.

თუმცა, აქვე ავტორები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში ევროკავშირის ნორმების და ლირებულებების რეზონანსი ბევრად დაბალია, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რადგან აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების „მეგობრებად“ და „მეზობლებად“ სახელდებით (თუნდაც ეგიდით „პრივილეგირებული პარტნიორობა მეზობლებთან“), ევროკავშირმა ნათლად გამოხატა, რომ მათ „კლუბის წევრებად“ არ განიხილავს, რაც ევროკავშირის მიერ პოლიტიკური ცვლილების მოთხოვნებს ლეგიტიმურობას ართმევს (Borzel, 2015, 23). გარდა ამისა, მართალია, აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების მიმართ მულტილატერალურ მიდგომას მათ შორის მიბაძვისთვის უნდა ებიძგა, მაგრამ ევროკავშირის მხრიდან დიფერენცირების ნაკლებობამ (რაც გამოხატება მიდგომაში „ერთი ზომა ერგება ყველას“), სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის საუკეთესო პრაქტიკის მიბაძვა აზრს მოკლებული გახადა (იქვე, 24). ამგვარ სიტუაციაში, რეფორმების განხორციელებამ ადგილობრივი აქტორების თვალში ხიბლი რომ არ დაკარგოს, ავტორებს გამოსავლად მიაჩნიათ კონკრეტული ქვეყნისთვის ღირებული სპეციფიკური ჯილდოების შეთავაზება, როგორიცაა, მაგალითად, ვიზალიბერალიზაცია (Sedelmeier, 2011, 31).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ევროკავშირის მიერ ახალ წევრებთან, კანდიდატებთან თუ მეზობლებთან ურთიერთობის ძირითადი მექანიზმია დიფერენციაცია, რომელიც ორი ფორმით გამოიხატება: 1. შეღავათები, რაც დროებით ათავისუფლებს მათ წევრობის ვალდებულებებისა და ხარჯებისგან და 2. დისკრიმინაცია, რის გამოც ისინი მოკლებული არიან წევრობის უფლებებსა და სარგებელს (Zhelyazkova, Borzel, Schimmelfennig & Sedelmeier, 2015). როგორც წესი, ახალი წევრები და წევრობის კანდიდატები შეღავათების მიღებას და დისკრიმინაციის არიდებას ცდილობენ. თუმცა, რამდენად ახერხებენ ამის მიღწევას, მათ ჰეტეროგენულობასა (ძველი წევრებისგან განსხვავება) და „ვაჭრობის“ უნარზეა (საკუთარი ინტერესების დაცვის უნარი) დამოკიდებული. რაც უფრო მეტია ჰეტეროგენულობა ძველ და ახალ წევრებს შორის და რაც უფრო სუსტია ახალი წევრების „ვაჭრობის“ უნარი, მით ნაკლებ შეღავათებს და მეტ დისკრიმინაციას აქვს ადგილი ძველი წევრების მხრიდან. ამასთან საგულისხმოა, რომ შეღავათების მიღების მოთხოვნა ევროსკეპტიციზმთან ერთად იზრდება, განსაკუთრებით, თუ ევროინტეგრაცია აღიქმება, როგორც ეროვნული იდენტობისა და

სუვერენიტეტისთვის საფრთხის მატარებელი (იქვე, 21). კვლევებმა აჩვენა, რომ უფრო მდიდარი, კარგად მართული, ევროსკეპტიკული და პატარა კანდიდატები/ახალი წევრი ქვეყნები ნაკლებ განიცდიან დისკრიმინაციას და მეტად იღებენ შეღავათებს ევროკავშირის მხრიდან (იქვე, 29).

აღნიშნულის გათვალისწინებით, რა პერსპექტივა აქვს პატარა, თუმცა განუვითარებელი ეკონომიკის და სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყანას, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია წარმატებით განახორციელოს, მით უმეტეს, თუ ძლიერი პროევროპული განწყობებიც კი შესაძლოა მისთვის არამომგებიანი აღმოჩნდეს? რა უბიძებს ასეთ ქვეყანას, ევროკავშირის ძვირად-ლირებული რეფორმები განახორციელოს, წევრობის პერსპექტივის ნაკლებობის ფონზე? ვფიქრობთ, ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად „განვითარების იდეალისტურ მოდელს“ (Thornton, Dorius and Swindle, 2015) უნდა მივმართოთ, რომელიც სწორედ ამგვარი პატარა, ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით სუსტი, ამასთან, ძლიერი მოთამაშების სადაც ტერიტორიაზე მდებარე და მათ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული ქვეყნების ევროპეიზაციისკენ (რაც მოდერნიზაციის სინონიმადაც განიხილება) სწრაფვის გაგებაში გვეხმარება.

„განვითარების იდეალისტურ მოდელი“ საყოველთაოდ გავრცელებული კულტურული მოდელია, რომელიც დასავლელი მოაზროვნების ხედვას ეფუძნება განვითარებასა და მის შედეგებთან დაკავშირებული რჩმენებისა და ლირებულებების შესახებ. ეს მოდელი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მთელ მსოფლიოში ვრცელდება (იქვე, 277-78). ამ მოდელით გათვალისწინებული ლირებულებების განვითარება მოდერნიზაციის აუცილებელ პირობად მიჩნევა, შესაბამისად, ცივილიზებულობის ერთგვარ ინდიკატორადაც კი მოაზრება. რა ლირებულებებს ითვალისწინებს „განვითარების იდეალისტური მოდელი,“ რაც მოდერნულობის აუცილებელ მახასიათებლებად არის მიჩნეული? ამ მოდელის შემადგენელი ელემენტებიდან მხოლოდ მათ შევარჩევთ, რომლებიც ევროპეიზაციის კონტექსტთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სოციალური ინსტიტუტების ქვეკატეგორიიდან, ასეთი ელემენტებია ღია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, განათლებული მოქალაქეები, და დემოკრატიული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები; ხოლო სოციალური ნორმების და

ლირებულებების ქვეყატეგორიიდან – თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანის უფლებები და სეულარიზმი (იქვე, 282).

მოცემული მოდელის თანახმად, არადასავლური საზოგადოებები დროთა განმავლობაში დასავლური საზოგადოებებისთვის დამახა-სიათებელ ლირებულებებს, ნორმებსა და ქცევის წესებს განა-ვითარებენ. რამდენადაც ეს მოდელი მოდერნულობის დასავლურ სტანდარტს ეფუძნება, საზოგადოებებს, რომლებიც ზემოხსენებულ მახასიათებლებს ნაკლებ ავლენენ, განვითარების არასწორი ტრა-ექტორით მოძრაობა მიეწერება (Chakrabarty, 2000). შესაბამისად, არადასავლური საზოგადოებები ყოველმხრივ ცდილობენ, აღნიშნული მახასიათებლების შეძენით, მოდერნულობის დასავლურ სტანდარტს მიუახლოვდნენ და ცივილიზაციის იერარქიულ სისტემაში უფრო მაღალი პოზიცია მოიპოვონ. ამ მიზნით განვითარების იდეალისტური მოდელის ადგილობრივი ვერსიის გამოგონება ხდება, რომელიც ადგილობრივ კონტექსტზეა მორგებული, რათა განვითარების მიმართულებით მოძრაობა ნაკლებ „მტკიცეული“ აღმოჩნდეს და ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლები წინააღმდეგობა გამოიწვიოს. მიუხედავად ადგილობრივი ვერსიისა, აღნიშნული მოდელი მაინც იმ უნივერსალური ელემენტებისგან შედგება, რაც მოდერნიზებულ (ჩვენს შემთხვევაში, ევროპეიზებულ) საზოგადოებებს აუცილებლად უნდა ახასიათებდეთ. ამდენად, არსებობს მოლოდინი, რომ ევროინტეგრაციის მსურველმა საზოგადოებებმა მოდერნიზაციის გარკვეულ დონეს უნდა მიაღწიონ, რათა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა მათთვის რეალისტური გახდეს და ამაში სწორედ ევროკავშირი უნდა დაეხმაროს. მიუხედავად ევროკავშირთან ინ-ტეგრაციის ძლიერი სურვილისა, მისი სტანდარტების დანერგვა, შესაძლოა, არც დიდი მონდომებით ხორციელდებოდეს და არც დემოკრატიული საზოგადოებების მიბაძვის სურვილი ამოძრავებდეს. ამდენად, შესაბამისი რეფორმების განხორციელება, შესაძლოა, სოციალიზაციის მექანიზმით კი არ იყოს ნაკარნახევი, არამედ ევროკავშირის მხრიდან პირობითობით და თვითპირობითაც კი, რამაც შესაძლოა ქვეყანას უბიძგოს, საკუთარ თავზე იმაზე მეტი ვალდებულება აიღოს, ვიდრე ამას ევროკავშირი ითხოვს, რათა საერთაშორისო საზოგადოების თვალში ლეგიტიმურობა მოიპოვოს (Thornton et al. 2015, 294). შესაბამისად, ხშირია შემთხვევა, როცა განვითარების ევროპული მოდელი პერფორმატიული მიზნით გამოიყენება, რათა ქვეყანამ საკუთარი თავი მეტად პროგრესულად

და მოდერნიზაციაზე ორიენტირებულად წარმოაჩინოს. ამდენად, რიტორიკულ დონეზე, ადგილობრივმა პოლიტიკურმა აქტორებმა შესაძლოა გამოთქვან სურვილი და მზაობა, რომ ევროკავშირისგან „ისნავლონ,“ თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის სტანდარტების მხარდაჭერას „მათი განხორციელების განზრახვაც კი არ ახლდეს“ (იქვე, 294). შედეგად, მიუხედავად საზოგადოების მოდერნიზების დეკლარირებული მისისა, განვითარების აღნიშნული მოდელი შესაძლოა მხოლოდ ფურცელზე დარჩეს.

ზემოხსენებული საფრთხე რომ იქნას არიდებული, როგორ მიმდინარეობს განვითარების იდეალისტური მოდელის შესაბამისი ლირებულებების მოდერნიზებად საზოგადოებებში გავრცელება? ავტორები სამ ძირითად მექანიზმს გამოყოფენ: ტრანსნაციონალურ აქტორებს; ტრანსნაციონალურ პროგრამებს და ინსტიტუტებს; და ტრანსნაციონალურ ინტერაქციებს (Thornton et al., 2015, 290). საქართველოს ევროინტეგრაციის შემთხვევაში, პირველ მექანიზმს თავად ევროკავშირი განასახიერებს, მეორეს – ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ასოცირებულ ქვეყნებს სამოქმედო გეგმას უსახავს, მესამეს კი – აღმოსავლეთ პარტნიორობის სქემა, რომელიც ინტერაქციის ერთგვარ ჩარჩოს ქმნის ევროკავშირისა და მისი აღმოსავლეთ სამეზობლოსთვის. განვითარების მოდელი, რომელსაც ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით ავრცელებს, ადგილობრივ აქტორებს შორის ლეგიტიმურობას იძენს, ერთი მხრივ, მისი გამავრცელებლის ნორმატული ძალაუფლების (Manners, 2002), მეორე მხრივ კი – ამ ქვეყნების ევროკავშირზე ასიმეტრიული დამოკიდებულების გამო (Zhelyazkova et al, 2015). ამგვარად, ევროკავშირის „ვაჭრობის ძლიერი უნარი“ განვითარების მისეულ მოდელს მიმზიდველობას სძენს მასთან ინტეგრაციის მსურველთა თვალში. შესაბამისად, ამ მოდელით გათვალისწინებულ ლირებულებებს ადგილობრივი აქტორები (როგორც ელიტები, ისე მოსახლეობა) „უპირობო ჭეშმარიტებებად“ აღიქვამენ. თუმცა, იმავდროულად, იმავე აქტორებმა შესაძლოა გარკვეული წინააღმდეგობაც გაუწიონ აღნიშნულ „ჭეშმარიტებებს“ და გააკრიტიკონ კიდეც მოცემული მოდელი (ვთქვათ, იმ პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც ანტიევროპული სენტიმენტებით გამოირჩევინ), ან ამ უკანასკნელის ადგილობრივ კულტურულ კონტექსტზე მორგება სცადონ (ვთქვათ, მათ, ვინც მეტად „ევრორეალისტურ“ პოზიციას ემხრობიან და

ევროკავშირის სტანდარტების „ბრმად“ დანერგვა ადგილობრივი კონტექსტისთვის საზიანოდ მიაჩინათ). როგორც წესი, მსგავსი დუალიზმი ადგილობრივი აქტორების (როგორც მოსახლეობის, ისე ელიტების) ამბივალენტურ დამოკიდებულებებს იწვევს როგორც განვითარების ევროპული მოდელის, ისე თანმდევი ევროპეიზაციის პროცესის მიმართ: იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ევროკავშირთან ინტეგრაციას თან ესწრაფვიან და თან უფრთხიან, რაც ჩვენს წინა კვლევაშიც თვალსაჩინოდ გამოვლინდა (Tsuladze et al., 2016). არსებობს მოლოდინი, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას იდენტობასთან დაკავშირებული წარმოსახვითი საფრთხეები იწვევს, რადგან მიჩნეულია, რომ ევროპეიზაციის გავლენით, ეროვნული იდენტობის ტრადიციული გაგება ცვლილებას განიცდის; პრაგმატულ სარგებელთან დაკავშირებული მოლოდინები კი, პირიქით, პოზიტიური დამოკიდებულებების წყაროდ მიიჩნევა. თუმცა, როგორც ჩვენს წინა კვლევაშიც გამოვლინდა და მოცემული კვლევაც ადასტურებს, ევროინტეგრაციის კონტექსტში როგორც იდენტობასთან, ისე პრაგმატულ სარგებელთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს მოსახლეობის და ელიტების საკმაოდ ამბივალენტურ დისკურსებს იწვევს.

## კვლევის მათოდი

წარმოდგენილი კვლევა ტრიანგულაციის მეთოდოლოგიურ ხედვას ეფუძნება და სოციალური კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს აერთიანებს. რადგან კვლევის მიზანია პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებისა და მოსახლეობის საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ დისკურსების ანალიზი, კვლევის სამიზნე ჯგუფს, ერთი მხრივ, პოლიტიკური (საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა, სამთავრობო სექტორი) და ინტელექტუალური (უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები) ელიტები და, მეორე მხრივ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ძირითად ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 31 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებთან და 18 ფოკუსჯგუფი მოსახლეობასთან. მოსახლეობასთან კვლევა აღმოსავლეთ საქართველოს სამ ქალაქსა (თბილისი, გორი, თელავი) და დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი) ჩატარდა. რადგან CRRC-ის კვლევები საქართველოში ევროკავშირთან დაკავშირებული ცოდნისა და განწყობების შესახებ (2009-2019) აჩვენებს, რომ ახალგაზრდა ასაკი და უმაღლესი განათლება პოზიტიურ კორელაციაშია პროერობულ განწყობებთან, მოსახლეობა სამ ასაკობრივ კატეგორიად დაიყო, რაც, ასევე, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში მათი სოციალიზაციის პერიოდებს ემთხვევა: 18-25 წლის ასაკობრივი კატეგორია, რომლის სოციალიზაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში მიმდინარეობს; 26-40 წლის ასაკობრივი კატეგორია, რომლის სოციალიზაციას ადგილი ჰქონდა როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში; და ბოლოს, 41-65 წლის ასაკობრივი კატეგორია, რომელმაც სოციალიზაცია საბჭოთა პერიოდში გაიარა. აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიების გათვალისწინებით, 3 ჯგუფური დისკუსია ჩატარდა თითო სამიზნე ქალაქში, რამაც შედეგად 18 ფოკუსჯგუფი მოგვცა.

როგორც სიღრმისეული ინტერვიუს, ისე ჯგუფური დისკუსიის პროცესში, Q მეთოდოლოგია ინტეგრირდა, რომელიც თავად მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის პრინციპს ეფუძნება. მიუხედავად

იმისა, რომ Q მეთოდოლოგია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა, ის, მეტნილად, ფსიქოლოგიაში გამოიყენებოდა და მხოლოდ ბოლო პერიოდში მოიპოვა პოპულარობა სოციალური მეცნიერების სხვა სფეროებში. Q მეთოდოლოგიას რამდენიმე თვალსაჩინო უპირატესობა ახასიათებს: პირველ რიგში, ის რესპონდენტების მცირე რაოდენობასთან გამოიყენება და მიუხედავად რაოდენობრივი ფოკუსისა, ცალკეული შემთხვევის უფრო სიღრმისეული შესწავლის საშუალებას იძლევა (McKeown & Thomas, 2013). ამასთან, მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი მარტივად ხელმისაწვდომია, რადგან საგანგებოდ შექმნილი ვებპლატფორმის Ken-Q Analysis (<https://shawnbanasick.github.io/ken-q-analysis/>) წყალობით, ვირტუალურ სივრცეშივე ხდება მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ცხრილების შექმნა.

Q მეთოდოლოგიის მიზანია, სამიზნე ჯგუფის სუბიექტური შეხედულებების წვდომა. ამ მიზნით, სამიზნე ჯგუფის წევრებს წინასწარ ფორმულირებული დებულებები გადაეცემათ, რომელებიც მათ Q გრაფაზე (Q grid) უნდა განათავსონ იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ მიაჩნიათ ეს დებულებები და, იმავდოულად, რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან მათ. თითოეულ მხარეს უჯრედების შეზღუდული რაოდენობა რესპონდენტებს უბიძგებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, მათთვის ყველაზე პრიორიტეტული დებულებების რანჟირება მოახდინონ. რაც ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტული აღმოჩნდება, ავტომატურად ნეიტრალურ კატეგორიაში მოხვდება. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდოლოგიის თანახმად, ცვლადს თავად რესპონდენტი და არა დებულება წარმოადგენს, ამიტომ ანალიზის შედეგები სწორედ რესპონდენტების მიხედვით ჯგუფდება. Q მეთოდოლოგია მონაცემების ანალიზის 4 საფეხურს ითვალისწინებს: კორელაციას, ფაქტორულ ანალიზს, ფაქტორების როტაციას და, საბოლოოდ, ფაქტორების ქულების (Z-scores) გამოთვლას.

კორელაციური ანალიზის საფუძველზე, ცვლადების ორ კატეგორიას შორის თანხმობა-განსვლა ვლინდება, რაც  $+1$ -დან  $-1$ -მდე სკალაზე ფასდება. ძლიერი პოზიტიური კორელაცია, ვთქვათ,  $+0.70$  ნიშნავს, რომ იმ რესპონდენტებს, რომელთაც ერთი ცვლადის მიხედვით მაღალი მაჩვენებელი აქვთ, მეორე ცვლადის მიხედვითაც ასეთივე მაღალი მაჩვენებელი აქვთ; ხოლო ძლიერი ნეგატიური კორელაცია, ვთქვათ,  $-0.70$  ნიშნავს, რომ ისინი, ვისაც ერთი

ცვლადის მიხედვით მაღალი მაჩვენებელი აქვთ, მეორე ცვლადის მიხედვით დაბალ მაჩვენებელს ავლენენ. შედეგად, ყველა Q სვეტის (Q sorts) კორელაციის მატრიცა იქმნება, რომელიც რესპონდენტების შეხედულებებს შორის მსგავსების და განსხვავების დონეს გვიჩვენებს. მომდევნო ეტაპზე, ფაქტორული ანალიზი აღნიშნული მატრიციდან ძირითად ფაქტორებს გამოავლენს და ყველა ფაქტორი, რომლის მნიშვნელობაც 1-ზე მაღალია, ფაქტორების როტაციისთვის შეირჩევა. შერჩეული ფაქტორების როტაციის შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ჯენუფება, რათა მკვლევარს ინტერპრეტაციის უკეთესი შესაძლებლობა მიეცეს. ბოლო ეტაპზე ფაქტორების ქულების გამოთვლა ხდება, რათა შეფასდეს, თუ თითოეულ დებულებას რა წონა აქვს თითოეულ ფაქტორში, აგრეთვე როგორია ფაქტორებს შორის თანხმობა-განსვლის ხარისხი (Watts & Stenner, 2012).

ჩვენი კვლევის შემთხვევაში, პირველ რიგში, საკვლევი დებულებების ფორმულირება მოვახდინეთ, რისთვისაც 2014-16 წლებში ჩატარებული კვლევა გამოვიყენეთ: „ევროპეიზაციის პერფორმანსი – პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.“ ამ ნაშრომიდან ყველა საკვანძო დისკურსი შეირჩა, რომელსაც საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ პოლიტიკოსები და მოსახლეობა გვთავაზობდნენ; შემდეგ ამ დისკურსების გაერთიანება მოხდა მათი ომატური მსგავსების მიხედვით. დარჩენილი 100-ზე მეტი დებულება სფეროს ექსპერტებს გადაეცათ, რომელთაც პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებისთვის შესაფასებლად დღეისთვის ყველაზე აქტუალური 30 დებულება შეარჩიეს. ქვემოთ წარმოგიდგენთ Q გრაფას და ელიტებთან კვლევისას გამოყენებულ დებულებებს, რომელთა რანჟირების შედეგად, კომენტარს გვთავაზობდნენ მათი შეხედულებით ყველაზე მნიშვნელოვან დებულებებზე (როგორც უკიდურეს პოზიტიურ, ისე უკიდურეს ნეგატიურ პოლუსზე განთავსებულზე) და განმარტავდნენ, თუ რით იყო გამოწვეული დებულებების ამგვარი განაწილება. დასასრულს, მკვლევრები რამდენიმე ლია შეკითხვას უსვამდნენ რესპონდენტებს, რასაც მოპოვებული მონაცემები დამატებითი ინფორმაციით უნდა გაემდიდრებინა.

Q გრაფი

გთხოვთ, ნარმოდენილი დებულებები განათავსოთ ქვემოთ მოცემულ სკალაზე შემდეგი პრინციპით: “-” კატეგორიაში ჩასვით ის დებულებები, რომელთაც არ ეთანხმებით, ხოლო “+” კატეგორიაში – ის დებულებები, რომელთაც ეთანხმებით. ამასთან, დებულებების რანჟირება უნდა მოხდეს მათი აქტუალობის მიხედვით, სადაც “-” აღნიშნავს თქვენთვის ყველაზე აქტუალურ დებულებას, რომლის მიმართაც ყველაზე მძაფრი ნეგატიური დამოკიდებულება გაქვთ; ხოლო “+3” – თქვენთვის ყველაზე აქტუალურ დებულებას, რომლის მიმართაც ყველაზე მძაფრი პოზიტიური დამოკიდებულება გაქვთ. დებულებები, რომლებიც არ მოხვდება “+” კატეგორიებში, ავტომატურად განთავსდება კატეგორიაში “0”, რაც თქვენთვის შედარებით ნაკლებ აქტუალურ საკითხებს აღნიშნავს.

## Q დეპულებების ელიტების შეხედულებების კვლევისთვის

ა.	ევროკავშირთან დაახლოების შედეგად, საქართველოში ადამიანის უფლებები გაცილებით უკეთ იქნება დაცული.
ბ.	ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმები სხორცედ იმიტომ ხორციელდება, რომ ამას ევროკავშირი ითხოვს.
გ.	უციზო მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ადამიანებს შორის კანტაქტები გაღრმავდეს და ქართველები არ ასოცირდებოდნენ კრიმინალებთან და არალეგალ მიგრანტებთან.
დ.	მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს, ევროკავშირის შესახებ ცნობადობა გაზარდოს მოსახლეობაში.
ე.	საქართველო რუსეთის საფრთხეს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის „ევროპულ ოჯახთან“ დაახლოება.
ვ.	ევროკავშირი საქართველოს საკუთარი „თამაშის წესებს“ კარნახობს და თუ ქვეყნას მასთან დაახლოება სურს, ამ „თამაშის წესებით“ უნდა იხელმძღვანელოს.
ზ.	ქართული პროდუქცია მარტივად ვერ გავა ევროპულ ბაზარზე, რადგან კონკურენციას ვერ გაუწევს ევროპულ პროდუქტს.
თ.	ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, ქვეყანას მხოლოდ ქართველი ახალგაზრდების იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში გაზრდილი თაობისთვის ევროინტეგრაცია ნაკლებ პრიორიტეტულია.
ი.	ევროკავშირი უგულებელყოფს საქართველოს განსაკუთრებულ მონადომებას და მასთან ინტეგრაციის ყველა მსურველს ერთი საზომით ზომაეს.
კ.	მოსახლეობაში რეიტინგის შესანარჩუნებლად/მოსაპოვებლად, ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ცდილობს, თავი მეტად პროევროპულად წარმოაჩინოს.
ლ.	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაბრკოლებას წარმოადგენს ევროინტეგრაციის პროცესში.
მ.	თუ საქართველო ევროკავშირის რეგულაციებს ზედმინევნით განახორციელებს, ერთ დღეს ის აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

6.	ევროკავშირი ჩვენთვის „მასწავლებელია,“ რომლის დახმარებითაც უკეთესი ქვეყანა უნდა ავაშენოთ.
7.	მიუხედავად საქართველოს პროევროპული კურსისა, მნიშვნელოვანია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, რადგან მასთან საერთო ისტორია და რელიგია გვაერთიანებს.
8.	ევროპული ღირებულებების გავრცელების კვალდაკვალ ქართველები მეტად ტოლერანტულები ხდებიან.
9.	ევროინტეგრაციის კვალდაკვალ საქართველოს მთავრობა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვეღარ მიიღებს და ქვეყნის სუვერენიტეტი შესუსტდება.
10.	მიმდინარე რეფორმებს საქართველო ევროკავშირის მოთხოვნების გარეშეც განახორციელებდა, რადგან ეს ქვეყნის მოდერნიზაციისთვისაა საჭირო.
11.	საქართველოს ვერ ექნება ევროკავშირის იმედი, რადგან დღეს ევროკავშირს არაერთი შიდა პრობლემა აქვს მოსაგვარებელი და საქართველო ნაკლებ ადარდება.
12.	ევროპული ღირებულებების გავრცელება ქართული ტრადიციებისთვის საფრთხეს ნარმობადენს.
13.	საქართველოს ძლიერი პროევროპული განწყობები სათანადოდ უნდა დაფასდეს ევროკავშირის მხრიდან, რომელმაც საქართველოს წევრობის პერსპექტივა უნდა შესთავაზოს.
14.	ევროატლანტიკური არჩევანი არა პოლიტიკური ელიტის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია.
15.	დასავლეთ ევროპელები ზემოდან უყურებენ აღმოსავლურ ქრისტიანობას, როგორც ნაკლებ ცივილიზაციულს და ამიტომ მართლმადიდებელ ერებს თანასწორად არ განიხილავთ.
16.	არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის გარეშე ევროინტეგრაციის პროცესი ნაკლებ ნარმატებული იქნებოდა საქართველოში.
17.	ვიზალიბერალიზაციით მინიჭებული თავისუფალი მიმოსვლით ფართო მოსახლეობა ვერ ისარგებლებს, განსაკუთრებით რეგიონებში; ამიტომ არსებობს საფრთხე, რომ ვიზალიბერალიზაციის „სიკეთეები“ სიმბოლურ დონეზე დარჩეს რიგითი მოქალაქისთვის.

შ.	ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ხელისუფლებამ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია.
ჩ.	ევროკავშირთან დაახლოების კვალდაკვალ, საქართველოში ევროპ-ტიმისტური განწყობები მეტად რეალისტური და, არცთუ იშვიათად, ევროსკეპტიკური განწყობებითაც კი იცვლება.
ც.	რაც არ უნდა ცუდად შეასრულოს საქართველომ „საშინაო დავალებები“, ევროკავშირი მაინც არ იტყვის უარს მის დაახლოებაზე, რადგან საქართველოს მიმართ პრაგმატული ინტერესი აქვს.
დ.	ევროინტეგრაციის პროცესი ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს იწვევს, რაც ულტრანაციონალისტური იდეაბის გაღივებას უწყობს ხელს.
წ.	ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს საქმიად მტკიცნეული რეფორმების გატარება უწევს, თუმცა ქვეყნის კეთილდღეობისთვის ეს აუცილებელია.
ჭ.	საქართველოს სულ არ სჭირდება ევროკავშირის წევრობა იმისთვის, რომ მისგან სხვადასხვა სიკეთე მიიღოს.

### დამატებითი შეკითხვები სიღრმისეული ინტერვიუსთვის

- რამდენად მზადაა საქართველო ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციისთვის და ყველაზე თვალსაჩინოდ რაში გამოიხატება მისი მზაობა/მზაობის არქონა: ა) მთავრობის მხრიდან და ბ) მოსახლეობის მხრიდან? რამე თუ შეიცვალა ამ მხრივ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ და თუ შეიცვალა, რა მიმართულებით?
- რამდენად უწყობს თავად ევროკავშირი ხელს მასთან საქართველოს შემდგომ დაახლოებას და ყველაზე თვალსაჩინოდ რამი გამოიხატება ეს ხელშეწყობა? რამე თუ შეიცვალა ამ მხრივ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ და თუ შეიცვალა, რა მიმართულებით?
  - რამდენად რეალისტურია საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა? რატომ კი/არა? რამდენად მოდის ევროკავშირისგან ამ ტიპის დაპირება? ზრდის თუ არა მსგავს შანსს ვიზალიბერალიზაციის მიღება და თუ ზრდის, რა გზით?
- ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ რა პოლიტიკური გზავნილის/გზავნილების მატარებელია ვიზალიბერალიზაცია?

4. ვინ არიან ქართულ პოლიტიკურ ველში ის აქტორები, ვინც ქვეყანაში „ევროინტეგრაციის ამინდს“ ქმნიან? ქართულ რეალობაში, უმეტესად, საიდან მოდის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი „მინიშნებები“ – პოლიტიკოსებიდან მოსახლეობის მიმართულებით თუ პირიქით (რატომ)? როგორია სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ამ პროცესებში?
5. რამდენად ახდენს ევროკავშირი საქართველოს დიფერენცირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისგან მისი პროგრესის საფუძველზე? თუ ახდენს, რაში გამოიხატება ეს დიფერენცირება? თუ არა, რა გზით შეიძლება საქართველოს ხიბლის გაზრდა ევროკავშირის თვალში, რათა ქვეყნის მცდელობები მეტად დაფასდეს?

მოსახლეობის შეხედულებების კვლევისთვის, ელიტებისთვის განკუთვნილი 30 დებულებიდან რამდენიმე ამოვილეთ, დანარჩენების ფორმულირება კი საგანგებოდ ადაპტირდა. ამასთან, დამატებითი შეკითხვების შინაარსიც მოსახლეობის პერსპექტივასთან იქნა მორგებული. ქვემოთ წარმოგიდევთ Q დებულებებს და დამატებით შეკითხვებს, რომლებიც მოსახლეობასთან ფოკუსჯგუფებისას გამოვიყენეთ.

#### **Q დებულებები მოსახლეობის შეხედულებების კვლევისთვის**

ა.	ევროკავშირთან დაახლოების შედეგად, საქართველოში ადამიანის უფლებები გაცილებით უკეთ იქნება დაცული.
ბ.	საქართველოს მთავრობა რეფორმებს მხოლოდ იმიტომ ახორციელებს, რომ ამას ევროკავშირი ითხოვს.
გ.	უკიზო მიმოსვლა მნიშვნელოვანია, რათა ევროპელებმა ქართველები უკეთ გაიცნონ და კრიმინალებად ან არალეგალ მიგრანტებად არ მიაჩნდეთ.
დ.	საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს, მოსახლეობას ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაცია მიაწოდოს.
ე.	საქართველო რესეტის საფრთხეს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის „ევროპულ ოჯახთან“ დაახლოება.

ვ.	რადგან საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებით ევროკავშირს ჩამორჩება, ამიტომ ევროკავშირი მას ზემოდან უყურებს.
ზ.	ქართული პროდუქცია მარტივად ვერ გავა ევროპულ ბაზარზე, რადგან კონკურენციას ვერ გაუწევს ევროპულ პროდუქტს.
თ.	ევროკავშირთან დაახლოება ქართველ ახალგაზრდებს მეტად სურთ, ვიდრე საბჭოთა პერიოდში გაზრდილ თაობას.
ი.	არა მარტო საქართველოს სტირდება ევროკავშირი, არამედ ევროკავშირსაც სტირდება საქართველო.
კ.	მოსახლეობის უმრავლესობისთვის თავის მოსაწონებლად, პოლიტიკოსების დიდი ნახილი ცდილობს, თავი მეტად პროევროპულად წარმოაჩინოს.
ლ.	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ნაკლებ მისაღებია ქვეყნის ევროინტეგრაცია.
მ.	თუ საქართველო ევროკავშირის რეგულაციებს ზედმინევნით განახორციელებს, ერთ დღეს ის აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.
ნ.	ევროკავშირი ჩვენთვის „მასწავლებელია,“ რომლის დახმარებითაც უკეთესი ქვეყანა უნდა ავაშენოთ.
ო.	მიუხედავად საქართველოს პროევროპული კურსისა, მნიშვნელოვანია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, რადგან მასთან საერთო ისტორია და რელიგია გვაერთიანებს.
ჟ.	რაც მეტად დავუახლოვდებით ევროკავშირს, მით ნაკლებ შეძლებს საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას.
რ.	მიმდინარე რეფორმებს საქართველო ევროკავშირის მოთხოვნების გარეშეც განახორციელებდა, რადგან ეს ქვეყნის განვითარებისთვის არის საჭირო.

ს.	ევროკავშირს თავადაც ბევრი პრობლემა აქვს და საქართველო ნაკლებ ადარდებს, ამიტომ ქვეყანას მისი იმედი ვერ ექნება.
ტ.	ევროპული ლირებულებების გავრცელება ქართული ტრადიციების-თვის საფრთხეს წარმოადგენს.
უ.	ევროატლანტიკური არჩევანი არა პოლიტიკოსების, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია.
ფ.	უვიზო მიმოსვლა რიგითი მოქალაქეებისთვის აზრს მოკლებულია, რადგან მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებიდან, ევროპა-ში მოგზაურობას მაინც ვერ ახერხებს.
ქ.	რიგ საქართხებზე, მაგალითად, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, მთავრობაში მოსახლეობის უმეტესობის აზრი უნდა გაითვალისწინოს და არა ევროკავშირის.
ღ.	ევროპიტეგრაციის პროცესში, შესაძლოა, ზოგი რეფორმა მოსახლეობისთვის მტკიცნებული იყოს, თუმცა ქვეყნის კეთილდღეობისთვის ეს აუცილებელია.
ყ.	საქართველოს სულ არ სჭირდება ევროკავშირის წევრობა იმისთვის, რომ მისგან სხვადასხვა სიკეთე მიიღოს.

### დამატებითი შეკითხვები ჯგუფური დისკუსიისთვის

1. რამდენად მზადაა საქართველო ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისთვის და რაში გამოიხატება მისი მზაობა? რამდენად რეალისტურია, რომ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი (რატომ კი/არა)? რამდენად ახდენს ამაზე გავლენას ვიზალიბერალიზაციის (უვიზო მიმოსვლის) მიღება (რატომ კი/არა)?
2. გისარგებლიათ თუ არა თქვენ/თქვენს ახლობლებს/მეგობრებს ევროპაში უვიზო მიმოსვლით? თუ გისარგებლიათ, რამე შეიცვალა თუ არა ამით თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის (კერძოდ რა)?
3. ყველაზე მეტად ვის ინტერესებში შედის საქართველოს ევროინტეგრაცია და რატომ (მოსახლეობა, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, თავად ევროკავშირი)? რა როლს თამაშობენ ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები („ენჯენები“)?

4. რა გზით შეიძლება ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის გაზრდა? ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, კიდევ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ევროკავშირისგან საქართველომ?

მიღებული მონაცემების ანალიზისთვის Ken-Q Analysis ვებ-პლატფორმა გამოვიყენეთ და ზემოხსენებული საფეხურები თან-მიმდევრულად გავიარეთ: ჯერ ფაქტორებს შორის კორელაცია დადგინდა, შემდეგ კორელაციის მატრიციდან მნიშვნელოვან ფაქტორთა ჯგუფი გამოიყო როტაციისთვის, როტაციის შედეგად კი – ფაქტორების ქულების დათვლა და მათ შორის თანხმობა-განსვლის ხარისხის დადგენა მოხდა. ქვემოთ Q ანალიზის შედეგებს წარმოგიდგენთ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებისა და მოსახლეობისთვის.

## Q ანალიზის შედეგები

### პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები

Q ანალიზის შედეგად, ელიტების ხედვიდან 5 ძირითადი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც მიღებული შედეგების 65%-ს ხსნის. მათგან წამყვანია ფაქტორი 1, რომელშიც განმსაზღვრელია ევროკავშირისგან პრაგმატული საარგებლის მოლოდინი და რომელიც მონაცემების 43%-ს ხსნის, ხოლო დანარჩენი ოთხი ფაქტორი ერთად – მონაცემების 22%-ს. მართალია, ფაქტორი 1 ელიტების ყველა კატეგორიას მოიცავს, მაგრამ მის ბირთვს პარლამენტარები – საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა – წარმოადგენენ. ფაქტორების 4 და 5 ბირთვს, რომლებშიც აგრეთვე წამყვანია ევროკავშირის პრაგმატული ხედვა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ქმნიან, დანარჩენი ორი ფაქტორი კი საკმაოდ ჰეტეროგენულია. ფაქტორებს შორის კორელაციამ გამოავლინა, რომ ფაქტორი 1 ყველაზე მაღალ პოზიტიურ კორელაციაშია ფაქტორ 5-თან, რაც საკმაოდ უცნაურად ჟღერს იმის გათვალისწინებით, რომ ერთის ბირთვს პარლამენტარები ქმნიან, მეორისას კი – არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. თუმცა, თუ ამ ორ ფაქტორში გაერთიანებულ ძირითად დებულებებს გადავხედავთ, იდენტურ ფოკუსს აღმივაჩენთ, კერძოდ, უკიდურეს პოზიტიურ პოლუსზე ევროკავშირისგან პრაგმატული სარგებლის მოლოდინი გვხვდება, ხოლო უკიდურეს ნეგატიურ პოლუსზე – ეროვნული იდენტობის წინაშე არსებული საფრთხეები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარლამენტარების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა ევროკავშირთან დაკავშირებული სიკეთეების შეფასებაშიც და იმაშიც, რომ ევროინტეგრაცია ქართული ტრადიციებისა და იდენტობისთვის საფრთხედ არ მიაჩნიათ. პრაგმატული ფაქტორის წონიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ევროკავშირისგან ინსტრუმენტული სარგებლის მოლოდინა განმსაზღვრელი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების მიერ ევროინტეგრაციის პროცესის შეფასებაში.

დებულებები ა და ე ყველაზე მაღალნონიანია ზემოაღნიშნულ ფაქტორებში და, ამასთან, ერთმანეთთანაც ყველაზე მაღალ პოზიტიურ კორელაციაშია: ა. ევროკავშირთან დაახლოების შედეგად, საქართველოში ადამიანის უფლებები გაცილებით უკეთ იქნება დაცული და ე. საქართველო რუსეთის საფრთხეს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის „ევროპულ ოჯახთან“ დაახლოება. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები ევროკავშირის ინსტრუმენტულ ფუნქციას, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობაში ხედავენ, მეორე მხრივ კი – საქართველოს რუსეთის საფრთხისგან დაცვაში და, რაც მთავარია, დემოკრატიზაციისა და უსაფრთხოების საკითხები მტკიდროდ ურთიერთდაკავშირებულად მიაჩნიათ. აღსანიშნავია, რომ ეს ორი დებულება სხვა ფაქტორებშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ამდენად, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებთან საკვანძო დებულებებად გვევლინება.

პირველ ფაქტორში საგულისხმოა კიდევ ორი დებულების წამყვანი როლი: მ. თუ საქართველო ევროკავშირის რეგულაციებს ზედმინევნით განახორციელებს, ერთ დღეს ის აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა და ფ. ევროატლანტიკური არჩევანი არა პოლიტიკური ელიტის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია. პირველი დებულება სოციალურად სასურველი დისკურსის სახით გვევლინება პარლამენტარების მხრიდან, რომელთაც, თითქოს, იმის ხაზგასმა სურთ, რომ მათი მცდელობა აუცილებლად დაფასდება ევროკავშირის მხრიდან და საქართველო შესაბამის ჯილდოს მიღებს. ამასთან, ცხადია, რომ როგორც საპარლმენტო უმრავლესობას (რომლის პირობებშიც ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი და საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მოიპოვა), ისე საპარლამენტო უმცირესობას (რომლის პირობებშიც ევროკავშირთან ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა) აწყობს იმის თქმა, რომ ევროატლანტიკური არჩევანი სწორედ ქართველი ხალხის და არა პოლიტიკოსების არჩევანია, რათა ქვეყნის ევროინტეგრაციაში საკუთარი პოლიტიკური ოპონენტის წვლილის აღიარებას აარიდოს თავი.

პარლამენტარებისგან განსხვავებით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ფ დებულებას, რომ ევროატლანტიკური არჩევანი არა პოლიტიკური ელიტის, არამედ

ქართველი ხალხის არჩევანია. როგორც სფეროს ექსპერტებმა, მათ იციან, რომ ევროინტეგრაცია ელიტების ინიცირებული პროცესია. თუმცა, ისინი არსებული ხელისუფლების პასურ როლზე მიანიშნებენ, ათავსებენ რა ნეგატიურ პოლუსზე და დებულებას, რომ მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს, ევროკავშირის შესახებ ცნობადობა გაზარდოს მოსახლეობაში. ცხადია, რომ სფეროს ექსპერტები მოსახლეობის რეპრეზენტატული კვლევის მონაცემებსაც იცნობენ, რომელთა თანახმად, მოსახლეობის ინფორმირებულობა ევროკავშირის შესახებ საკმაოდ დაბალია და მიუხედავად ბოლო პერიოდში არსებული აღმავალი ტენდეციისა, მაინც არასახარბიელო რჩება: მოსახლეობის 23,5% ამბობს, რომ არ იცის, რა არის ევროკავშირი, 1/3-ს კი ვერ გადაუწყვეტია, ენდობა თუ არა ევროკავშირს. უფრო მეტიც, მოსახლეობის 79,2% აღნიშნავს, რომ ხელისუფლებისგან საერთოდ არ იღებს ინფორმაციას ევროკავშირის შესახებ (CRRC, 2019). ცხადია, მსგავსი მონაცემების ფონზე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები არადამატაყოფილებლად მიიჩნევენ ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლების მცდელობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომელიც ორივე ფაქტორში, სადაც არასამთავრობო სექტორია წამყვანი, ნეგატიურ პოლუსზე მოხვდა, არის რ დებულება: მიმდინარე რეფორმებს საქართველო ევროკავშირის მოთხოვნების გარეშეც განახორციელებდა, რადგან ეს ქვეყნის მოდერნიზაციისთვისაა საჭირო. ამგარად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხელისუფლების მიმართ საკმაოდ კრიტიკული არიან: მათი ხედით, რომ არა ევროკავშირის მხრიდან პირობითობა, მთავრობა მიმდინარე რეფორმებს საკუთარი ნებით არ განახორციელებდა. ამასთან, მათი აზრით, ხელისუფლება არც ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაზე ზრუნავს. კიდევ ერთი ადგილობრივი აქტორი, რომლის როლიც ქვეყნის ევროინტეგრაციაში არასამთავრობო სექტორის კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს და პროცესის დამაბრკოლებლადაც კი მიიჩნევა (დებულება ლ), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, პარლამენტარები და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საქმაოდ ფრთხილ პოზიციას გვთავაზობენ და უმეტესად არ ეთანხმებიან დებულებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაბრკოლებას წარმოადგენს ევროინტეგრაციის გზაზე). ადგილობრივი აქტორებიდან

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების პოზიციურ შეფასებას მხოლოდ ახალგაზრდა თაობა და თავად არასამთავრობო სექტორი იღებენ, რასაც შემდეგი ორი დებულების მაღალი პოზიციური წონა ადასტურებს: თ. ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, ქვეყანას მხოლოდ ქართველი ახალგაზრდების იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში გაზრდილი თაობისთვის ევროინტეგრაცია ნაკლებ პრიორიტეტულია; და ლ. არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის გარეშე ევროინტეგრაციის პროცესი ნაკლებ წარმატებული იქნებოდა საქართველოში.

ძალიან საინტერესო ტენდენცია ვლინდება ფაქტორი 3-ის საფუძველზე, რომელიც რესპონდენტების ჰეტეროგენულ ჯგუფს მოიცავს (პარლამენტარები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები). შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტორი საკმაოდ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს ავლენს საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართ, რადგან ევროპიული და ევროპესიმისტური ხედვები ერთდღოულად არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, მაღალი პოზიტიური წონა აქვთ დებულებებს, რომ ევროკავშირი ადამიანის უფლებების დაცვას აუმჯობესებს საქართველოში და რომ ის ქვეყნის უსაფრთხოების დამცველადაც გვევლინება, მეორე მრივ კი, ნეგატიურ პოლუსზე ხვდება შემდეგი სამი დებულება: გ. უვიზო მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ადამიანებს შორის კონტაქტები გაღრმავდეს და ქართველები არ ასოცირდებოდნენ კრიმინალურთან და არალეგალ მიგრანტთან; მ. თუ საქართველო ევროკავშირის რეგულაციებს ზედმინევნით განახორციელებს, ერთ დღეს ის აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა; და პ. ევროპული ლირებულებების გავრცელების კვალდაკვალ ქართველები მეტად ტოლერანტულები ხდებიან. ამგვარად, მიუხედავად რწმენისა, რომ ევროკავშირის დახმარებით საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა გაუმჯობესდება, რესპონდენტებს არ სჯერათ, რომ ევროპიზაციის შედეგად ქართველები მეტად ტოლერანტულები გახდებიან; არც ქართველების მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების დაძლევის გზად მიაჩნიათ ვიზალიტერალიზაციის ამოქმედება და მის საფუძველზე ევროპელებთან კონტაქტების გაღრმავება, და არც ევროკავშირის წევრობის იმედი აქვთ.

პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების შეფასებებში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციები რომ შევაჯამოთ, მათ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში განმსაზღვრელად დემოკ-

რატიზაციასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრაგმატული ფაქტორები მიაჩნიათ, რაც პირდაპირ ეხმიანება ზემოთ განხილული ავტორების მოსაზრებებს (Delanty, 1995; della Porta & Caiani 2009; Doyle & Fidrmuc, 2006). ამასთან, საქართველოს ევროპეიზაციის მთავარ მექანიზმად პირობითობა მიაჩნიათ და არა სოციალიზაცია, რაც აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნების გამოცდილებას ემთხვევა. აღნიშვნის ღირსია ევროინტეგრაციის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებების გამოვლენაც, რაც ნათლად გამოიკვეთა ჩვენს წინა კვლევებშიც (Tsuladze et al., 2016; Tsuladze, 2017).

წარმოდგენილი მონაცემებიდან ისიც ვლინდება, რომ პოლიტიკური ელიტის წევრები მეტად გვთავაზობენ სოციალურად სასურველ დისკურსებს, ვიდრე ინტელექტუალური ელიტის წევრები, რაზეც თუნდაც მ დებულებაზე მაღალი თანხმობა მიუთითებს, რომ ევროკავშირის რეგულაციების ზედმინევნით შესრულებით საქართველო აუცილებლად მოიპოვებს ევროკავშირის წევრობას. სილრმისეული ინტერვიუს პროცესში, მოცემულ დებულებაზე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების კომენტარებიდან ვლინდება, რომ შესაძლოა ისინი ეჭვითაც კი უყურებდნენ საქართველოს წევრობის პერსპექტივას, თუმცა, იციან, რომ ამის თქმა არამომგებიანია, რადგან მოსახლეობაში მათ რეიტინგზე უარყოფითად აისახება. კიდევ ერთი სოციალურად სასურველი დისკურსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს უკავშირდება, რომელსაც პოლიტიკური ელიტის წევრები დიდი სიფრთხილით უდგებიან და ევროინტეგრაციის პროცესში დაბრკოლებად არ განიხილავთ, თუმცა, ინტერვიუს პროცესში მათი კომენტარებიდან ვლინდება, რომ, არცთუ იშვიათად, ეკლესიის დამოკიდებულება საკმაოდ პრობლემურად და ხელისშემშლელადაც კი მიაჩნიათ, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემთხვევაში. პოლიტიკური ელიტის პერფორმატიულობა იმაშიც ვლინდება, რომ, მართალია, ისინი ცდილობენ, ხაზი გაუსვან, რომ ნათლად აქვთ გაცნობიერებული ქვეყნის მოდერნიზაციისთვის მიმდინარე რეფორმების მნიშვნელობა (დებულება რ), მაგრამ, იმავდროულად, ბ დებულებასაც ეთანხმებიან, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმები სწორედ იმიტომ ხორციელდება, რომ ამას ევროკავშირი ითხოვს. მსგავსი დუალიზმი სიღრმისეულ ინტერვიუებშიც ნათლად ვლინდება და წინა კვლევაშიც გამოვლინდა, სადაც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ევროკავშირის რეგულაციები

თუ სტანდარტები ის „იძულებითი მექანიზმია,“ რომელიც ქვეყანამ „ნებაყოფლობით“ უნდა განახორციელოს, თუ ევროკავშირთან დაახლოება სურს (Tsuladze et al., 2016). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ელიტები თავადვე აცნობიერებენ მათი რიტორიკის პერფორმატიკულობას და დებულებების შეფასებისას ეთანხმებიან კ დებულებას, რომ მოსახლეობის გულის მოსაგებად, პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ცდილობს, თავი მეტად პროევროპულად წარმოაჩინოს.

### **მოსახლეობა**

Q ანალიზის შედეგად, მოსახლეობის ხედვიდან 6 ძირითადი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც მიღებული შედეგების 55%-ს ხსნის. მათგან წამყვანია ფაქტორი 1, რომელიც პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტასთან გამოვლენილ პირველ ფაქტორს შეინარსობრივად ემთხვევა და ევროკავშირის მხრიდან პრაგმატული სარგებლის მოლოდინის ხაზგასმას ახდენს. ეს ფაქტორი მონაცემების 29%-ს ხსნის, ხოლო დანარჩენი 5 ფაქტორი ერთად – მონაცემების 26%-ს. როგორც პოლიტიკოსების და ექსპერტების შემთხვევაში, აქაც წამყვანია ა დებულება, რომ ევროინტეგრაციის შედეგად ადამიანის უფლებები გაცილებით უკეთ იქნება დაცული საქართველოში, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება სხვადასხვა ფაქტორში და ყოველთვის მაღალი პოზიტიური მაჩვენებლით გამოიჩინა. ფაქტორებს შორის კორელაციები გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალ კორელაციაშია ფაქტორები 1 და 4 (პროევროპული ხედვა პრაგმატიზმის ჭრილში). სხვა ფაქტორებთან თითქმის ნულოვან კორელაციაშია ფაქტორი 6 (ევროსკეპტიკური ხედვა), რომელიც ნეგატიურ კორელაციას ავლენს ფაქტორ 2-თან (ევროოპტიმისტური ხედვა ამბივალენტობის პარალელურად).

ფაქტორი 1-ის ბირთვს ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეები (18-25) ქმნიან, უმეტესად თბილისიდან, აგრეთვე 26-40 წლის მონაწილეები – თბილისიდან და დასავლეთ საქართველოდან. როგორც აღინიშნა, ამ ფაქტორის ფოკუსს მოსახლეობასთან ზედმინევნით ემთხვევა ფაქტორი 1-ის ფოკუსს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებთან, კერძოდ, აქაც ევროკავშირის მხრიდან ინსტრუმენტული სარგებლის მოლოდინია წამყვანი, უკიდურეს ნეგატიურ პოლუსზე კი – იდენტობის საფრთხესთან დაკავშირებული მოლოდინი განთავსდა. ამ

მხრივ, არსებული კვლევის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა კვლევის მონაცემებისგან, სადაც ევროინტეგრაციასთან ასოცირებული ეროვნული იდენტობის საფრთხეები წამყვან პოზიციას იკავებდა მოსახლეობის დისკურსში. გარდა ამისა, როგორც CRRC-ის კვლევები აჩვენებდა (2009-2015), საქართველოს მოსახლეობის საკოდეტირებული ეროვნული იდენტობის საფრთხეები წამყვან პოზიციას იკავებდა მოსახლეობის დისკურსში. გარდა ამისა, როგორც CRRC-ის კვლევები აჩვენებდა (2009-2015), საქართველოს მოსახლეობის საკოდეტირებული ეროვნული იდენტობის საფრთხეები წამყვან პოზიციას იკავებდა მოსახლეობის დისკურსში. გარდა ამისა, როგორც CRRC-ის 2017 წლის კვლევა მოწმობს, რომ მათი წილი, ვინც ამ საფრთხეს ხედავდა, 45%-დან (2015) 25%-მდე (2017) შემცირდა; 2019 წლის კვლევის თანახმად კი, მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ევროინტეგრაციის შედეგად ქართული ტრადიციების პატივისცემა შემცირდება, 17%-ის ფარგლებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყოს, რომ 2017 წლის მარტში საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მოიპოვა და მოქალაქებმა უშუალოდ გამოსცადეს თავისუფალი მიმოსვლის სარგებელი, რამაც წყალი შეუყენა მითს, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია ქართულ ტრადიციებსა და იდენტობას ემუქრება. მსგავსი ტენდენცია ჩვენს კვლევაშიც აისახა, რომელიც აჩვენებს, რომ როგორც ელიტების, ისე მოსახლეობის მიერ დებულებების რანჟირებისას, არგუმენტი, რომ ევროპული ღირებულებების გავრცელება ქართული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, უკიდურეს ნეგატიურ პოლუსზე ხვდება. აქ მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ წარმოდგენილი ფაქტორის პირთვას სწორედ 18-25 წლის ასალგაზრდები (და ზოგადად, 40 წლამდე ასაკის ადამიანები) ქმნიან, რომლებიც ნაკლებ მოელიან იდენტობის დაკარგვის საფრთხეს, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც CRRC-ის კვლევებიც ადასტურებს (2009-2019), დედაქალაქის მოსახლეობა მეტად ინფორმირებულია ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე და ნაკლებ აღელვებს იდენტობის წარმოსახვითი საფრთხეები, რაზეც მოცემულ ფაქტორში რესპონდენტების რეგიონული განაწილებაც მიუთითებს. უახლესი კვლევის მონაცემები იმასაც ადასტურებს, რომ დედაქალაქის მოსახლეობა სხვებზე ხშირად ასახელებს ევროკავშირში გაწევრიანებას ქვეყნის წინაშე არსებულ ყველაზე აქტუალურ საკითხად, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვას – ევროკავშირისგან მიღებულ ერთ-ერთ მთავარ სარგებლად (CRRC, 2019), რასაც აღნიშნული მონაცემების რეგრესული ანალიზის შედეგებიც ადასტურებს.

ჩვენი კვლევის მონაცემების Q ანალიზიც ცხადყოფს, რომ

პრაგმატული სარგებლის მოლოდინის თვალსაზრისით, მოსახლეობაში დომინანტურია ევროკავშირის, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის და, აგრეთვე, როგორც საქართველოს უსაფრთხოების გარანტის ხედვა. ეს ორი დებულება ერთმანეთთანაც მაღალ პოზიციურ კორელაციას ავლენს, რაც კვლავაც ადასტურებს, რომ ელიტების მსგავსად, მოსახლეობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის) აღქმაშიც ქვეყნის დემოკრატიზაციის და უსაფრთხოების საკითხები ურთიერთგადაჯაჭვულია. მონაცემები გვიჩვენებს, რომ როგორც იდენტობის, ისე პრაგმატული ფაქტორების თვალსაზრისით, ახალგაზრდა ასაკის დედაქალაქში მცხოვრები მოსახლეობის შეხედულებები ყველაზე ახლოს დგას პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების შეხედულებებთან. როგორც ჩანს, ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების გარანტის ხედვა, მის მიმართ დადებითი განწყობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია, რაც თვალსაჩინო მოსახლეობის რეპრეზენტატული კვლევიდან. CRRC-ის 2019 წლის კვლევის თანახმად, მათი უმეტესობა (30,8%), ვინც თვლის, რომ ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში, ამ გაერთიანების მიმართ ძალიან დადებითადაა განწყობილი.

ფაქტორ 1-ში მოხვედრილი მოსახლეობის ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ ყოფილა თ დებულებაზე თანხმობა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, ქვეყნას მხოლოდ ახალგაზრდების იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში გაზრდილი თაობისთვის ევროინტეგრაცია ნაკლებ პრიორიტეტულია. არ არის გასაკვირი ამ თაობის ევროოპტიმისტური განწყობაც, კერძოდ, რწმენა, რომ ევროკავშირის რეალუაციების ზედმინევნით შესრულებისას საქართველო აუცილებლად გახდება მისი წევრი ქვეყანა. როგორც ჩანს, ახალგაზრდები მაღალი თვითკრიტიკულობითაც გამოიჩინებან და უკიდურეს წევატიურ პოლუსზე ათავსებენ პ დებულებას, რომ საქართველო იმთავითვე ტოლერანტულია და არ სჭირდება ევროკავშირისგან ტოლერანტობის სწავლება და არც იმის სჯერათ, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს საკუთარი ინიციატივით, ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე განახორციელებდა. ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები ეჭვის თვალით უყურებენ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის შესაძლებლობას და უარყოფითად აფასებენ ო დებულებას, რომ მიუხედავად საქართველოს პროევროპული კურსისა, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობაც მნიშვნელოვანია.

(მსგავსი ტენდენცია CRRC-ის 2019 წლის კვლევამაც გამოავლინა, კერძოდ, მათი წილი, ვინც რუსეთთან ურთიერთობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, 2017 წლის კვლევასთან შედარებით, 2019 წელს 10%-ით შემცირებულია (21,6%)). ამდენად, ამ ფაქტორის საფუძველზე გამოვლენილ ხედვას შეგვიძლია პრაგმატიზმთან შეჯიდული ევროპტიმიზმი ვუწოდოთ.

როგორც აღინიშნა, ფაქტორი 1 ყველაზე მჭიდრო პოზიტიურ კორელაციას ფაქტორ 4-თან ავლენს, რომელშიც ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მოხვდნენ, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. აქაც დომინანტურია ზემოხსენებული პრაგმატული ფაქტორები (ევროკავშირის როლი ადამიანის უფლებების დაცვასა და ქვეყნის უსაფრთხოებაში) და მოსახლეობის საკმაოდ ევროპტიმისტური ხედვაც გამოიკვეთა, რაც იმით ვლინდება, რომ ევროკავშირი ქართველების სოციალიზაციის მნიშვნელოვან აგენტად მოიაზრება (რესპონდენტები მოელიან ევროკავშირის მხრიდან ტოლერანტობის სწავლებას) და უვიზო მიმოსვლაც მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ევროკავშირის ქვეყნებში ქართველების პოზიტიური კუთხით წარმოსაჩენად. ამასთან, თითქოს, მოსახლეობა საკუთარი წვლილის ხაზგასმასაც ცდილობს, რადგან მხარს უჭერს უდებულებას, რომ ევროკატლანტიკური არჩევანი არა პოლიტიკოსების, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია.

ერთი შესეფვით, მოსახლეობის ევროპოპტიმისტურ განწყობებს ფაქტორი 2-ც ასახავს, რომელშიც, უმეტესად, ასაკოვანი ადამიანები (41-65) მოხვდნენ დედაქალაქიდან და აღმოსავლეთ საქართველოდან. თუმცა, თუ ამ ფაქტორს სიღრმისეულად გავაანალიზებთ, საკმაოდ ამბივალენტურ ხედვას გამოვავლენთ: ერთი მხრივ, ევროკავშირი საქართველოს „მასწავლებლად“ მიიჩნევა (დებულება 6) და ძლიერია რწმენა, რომ რომ ამ „მასწავლებლის“ მოთხოვნების ზედმინევნით შესრულების შედეგად, ქვეყანა მის მთავარ ჯილდოს ანუ ევროკავშირის წევრობას მიიღებს (დებულება 8); ამასთან, ევროკატლანტიკური არჩევანი სწორედ ხალხის და არა პოლიტიკოსების არჩევნად არის მიჩნეული, რაც იმთავითვე გვაფიქრებინებს, რომ ევროპული ღირებულებების გავრცელება ქართული ტრადიციებისთვის საფრთხედ არ აღიქმება. თუმცა, მეორე მხრივ, მიჩნეულია, რომ რიგ საკითხებზე, მაგალითად, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, მთავრობამ ევროკავშირის აზრი არ უნდა გაითვალისწინოს (დებულება 9) და ყველაზე მაღალი პოზიტიური

მასჩვენებელი აქცს დებულებას, რომ, მიუხედავად საქართველოს პროექტობული კურსისა, მნიშვნელოვანია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა (დებულება ۳). მსგავსი შედეგი CRRC-ის 2019 წლის კვლევის საფუძველზეც გამოვლინდა, რომლის თანახმად, სწორედ, 40 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების ახალგაზრდებთან შედარებით ბევრად მნიშვნელოვანი წილი ასახელებს რუსეთთან ურთიერთობას, როგორც ამჟამად საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს (ეს მონაცემი ძლიერ კორელაციას ავლენს ეთნიკურობის და განათლების ფაქტორებთან, კერძოდ, მათი უმრავლესობა, ვინც რუსეთთან ურთიერთობას პრიორიტეტულად მიიჩნევს, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობაა, რომელსაც სრული საშუალო განათლება აქცს მიღებული). როგორც ჩანს, უფროსი თაობა, ახალგაზრდებთან შედარებით, მეტი სიფრთხილით უდგება ევროკავშირის სტანდარტებს და რუსეთთან მეგობრობაც მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რასაც უაღრესად ნეგატიურად აფასებენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები არ ეთანხმებიან დებულებას, რომ ევროკავშირთან დაახლოება ქართველ ახალგაზრდებს მეტად სურ, ვიდრე ასაკოვან თაობას.

მსგავსი ამბივალენტობა მე-5 ფაქტორის საფუძველზეც ვლინდება, რომელშიც ფაქტორი 2-ის იდენტური ხედვა გამოვლინდა და რაოდენობრივადაც კვლავ უფროსი ასაკის მოსახლეობა (41-65) ჭარბობს. ამასთან, ის საკმაოდ პერფორმატიული ხასიათისაა, რადგან საკმაოდ მაღალი ნეგატიური კორელაცია გამოვლინდა დებულებებზე, რომ ნაკლებკონკურენტუნარიანობის გამო ქართული პროდუქცია მარტივად ვერ გავა ევროპულ ბაზარზე (დებულება ზ) და რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ნაკლებ მისაღებია ევროინტეგრაცია (დებულება ლ). ამდენად, ქართული პროდუქციაც ევროპული ბაზრისთვის კონკურენტუნარიანადაა შეფასებული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც – ევროინტეგრაციის მხარდამჭერად. საინტერესოა, რომ ეკლესიის შესახებ დებულება მხოლოდ ამ ფაქტორში გვევლინება ნეგატიური მაჩვენებლით და ყველა სხვა ფაქტორში 0 ნიშნულთან მიახლოებულია, რაც იმაზე მიუთითობს, რომ მოსახლეობა ამ თემაზე საუბარს ერიდება.

როგორც აღინიშნა, სხვა ფაქტორებთან თითქმის ნულოვან კორელაციაშია ფაქტორი 6, რომელიც ერთადერთი გამოკვეთილად ევროსკეპტიკური ფაქტორია. ამ ფაქტორის რეგიონულ-ასაკობრივ

კომპოზიციასთან დაკავშირებით რაიმე ტენდენციის დადგენა საკმაოდ რთულია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ევროსკეპტიკოსები ყველა რეგიონსა და ასაკობრივ ჯგუფში გვხვდებიან. ამ ფაქტორში მოხვედრილი რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს არ სჭირდება ევროკავშირისგან ტოლერანტობის სწავლება და რომ სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით მთავრობამ ევროკავშირის აზრი არ უნდა გაითვალისწინოს; ამასთან, ისინი ეჭვით უყურებენ ქართული პროდუქციის ევროკავშირის პაზარზე გატანის პერსპექტივას. ძალიან საინტერესოა ნეგატიურ პოლუსზე მოხვედრილი დებულებებიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ფაქტორის ევროსკეპტიკურ ხასიათს: ნეგატიურადაა შეფასებული ევროკავშირის, როგორც „მასწავლებლის“ როლი (დებულება 6) და ევროკავშირთან დაახლოების შედეგად საქართველოში ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის პერსპექტივა (დებულება ა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროსკეპტიკური ხედვა არ უკავშირდება იდენტობის წარმოსახვით საფრთხეებს, რადგან რესპონდენტები ევრონოტეგრაციას ქართული ტრადიციებისთვის საფრთხედ არ მიიჩნევენ (დებულება ტ) და არც საქართველოს სუვერენიტეტის შესუსტების ემინიათ (დებულება ჟ). ამ ფაქტორის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევროსკეპტიკური ხედვა რუსეთის პოზიტიურ ხედვასთან არის დაკავშირებული, რადგან რესპონდენტები საკმაოდ დადებოთად აფასებენ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის პერსპექტივას (დებულება რ).

მოსახლეობის შეფასებებში გამოვლენილი ზოგადი ტენდენციები რომ შევაჯამოთ, უდავოა, რომ პროევროპული განწყობები დო-მინანტურია (მხოლოდ ერთი ფაქტორია გამოკვეთილად ევრო-სკეპტიკური). ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულება ინსტრუმენტული სარგებლის მოლოდინს ეფუძნება და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში განმსაზღვრელად სწორედ ის ორი პრაგ-მატული ფაქტორი მიიჩნევა, რაც პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის შემთხვევაშიც დომინანტური იყო, კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება და რუსეთის საფრთხისგან დაცვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი რიტორიკულ დონეზე მაინც აღარ აღიქმება ქართული ტრადიციებისა და იდენტობისთვის საფრთხის მატარებლად, რასაც, აღბათ, მოსახლეობაში ევრო-კავშირის შესახებ ცნობადობის მეტ-ნაკლებად გაზრდამ შეუწყო ხელი. რაც შეეხება ევროპეიზაციის მექანიზმებს, მოსახლეობას არ

მიაჩნია, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე, საკუთარი სურვილით განახორციელებდა (ანუ ელიტების მსგავსად, მოსახლეობაც აღიარებს ქვეყნის ევროპეიზაციაში პირობითობის მექანიზმის განმსაზღვრელ როლს); ამასთან, გარკვეულწილად, აღიარებს ევროკავშირის, როგორც „მასნავლებლის“ ფუნქციას, მათ შორის ქართველებისთვის ტოლერანტობის სწავლების კუთხით (გარდა ევროსკეპტიკურ ფაქტორში მოხვედრილი მოსახლეობისა). რუსეთთან მეგობრობის მნიშვნელობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა, მიუღებლად მიაჩნია პირველ და ყველაზე წონიან ფაქტორში მოხვედრილ მოსახლეობას (ახალგაზრდებს) და მისაღებად – მეორე ფაქტორში მოხვედრილ მოსახლეობას (უფროსი ასაკის პირებს), აგრეთვე ყველა ასაკობრივი ჯგუფის ევროსკეპტიკოსებს, რაც ადასტურებს, რომ ევროსკეპტიკურ და პროექსულ განწყობებს შორის მჭიდრო კორელაციაა. ქართველი პოლიტიკოსების პროევროპულ პერფორმანსთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა, ამგვარ პერფორმატიულობას აღიარებს პირველ და ყველაზე წონიან ფაქტორში მოხვედრილი მოსახლეობა (ახალგაზრდები). აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები და უფროსი ასაკის რესპონდენტები ქვეყნის ევროკავშირში განევრიანების პერსპექტივის შესახებ იდენტური ხედვით გამოირჩევიან, კერძოდ, ორივე ჯგუფი გამოხატავს რწმენას, რომ, თუ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეფორმებს ზედმიწევნით განახორციელებს, საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

## ელიტები და მოსახლეობა ევროპეიზაციის მექანიზმების შესახებ

### 1. ევროკავშირის პირობითობის როლი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში

#### 1.1 პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის დისკურსები

გავრცელებული განმარტების თანახმად, ევროპეიზაცია ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების და სტანდარტების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესია, რომელიც შიდა პოლიტიკაზე, დისკურსსა და იდენტობებზე ახდენს გავლენას (Radaelli, 2003, 30), რადგან ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციას იწვევს ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში (Jacquot & Woll, 2003). წესების და სტანდარტების დანერგვა, ერთი მხრივ, ევროკავშირიდან ან ქვეყნის შიგნიდან იმართება, მეორე მხრივ კი, „მიზეზედეგობრიობის ლოგიკას“ ან „შესაბამისობის ლოგიკას“ ეფუძნება (Schimmelfenning, 2012, 6). როგორც აღნიშნა, მიზეზედეგობრიობის ლოგიკის თანახმად, ევროპეიზაციის პროცესს ევროკავშირის მხრიდან პირობითობის მექანიზმი წარმართავს, რაც ჯილდოს და სანქციის პრინციპზეა აგებული; შესაბამისობის ლოგიკის თანახმად კი, ევროპეიზაციის პროცესის წარმმართველია სოციალური დასწავლა თუ სოციალიზაცია: სამიზნე ქვეყნები ევროკავშირის ნორმების სარგებლიანობაში რნმუნდებან, თუ ეს ნორმები ლეგიტიმურად მიაჩინათ და თუ საკუთარი თავის ევროკავშირთან იდენტიფიცირებას ახდენენ (Sedelmeier, 2011; Schimmelfenning, 2012). აღნიშნული მექანიზმები ნაშრომის შესავალ ნაწილში იყო განხილული, ერთგვარ გარდამავალ მექანიზმთან – თვითპირობითობასთან ერთად, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როცა ქვეყანა, ნაკისრზე მეტი ვალდებულების შესრულებით, ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას ცდილობს და თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს წევრობის გარანტირებული პერსპექტივა ჰქონდეს (Borzel & Lebanidze, 2015, 19). საინტერესოა, როგორ ვლინდება ევროპეიზაციის აღნიშნული

მექანიზმების როლი ქართულ რეალობაში, კვლევის სამიზნე ჯგუფების – პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებისა და მოსახლეობის – დისკურსების საფუძველზე.

Q ანალიზიდან თვალსაჩინოა, რომ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები (საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები) საქართველოს ევროპეიზაციის მთავარ მექანიზმად ევროკავშირის პირობითობას აღიარებენ. არა მხოლოდ კვლევაში მონაზილე ექსპერტები, არამედ პოლიტიკოსებიც კი ეჭვით უყურებენ დებულებას, რომ მიმდინარე რეფორმებს საქართველო ევროკავშირის მოთხოვნების გარეშეც განახორციელებდა, რადგან ეს ქვეყნის მოდერნიზაციისთვის არის საჭირო. თუ დებულებების რანჟირებას და სამიზნე ჯგუფების ნარატივებს შევადარებთ, საკმაოდ მოულოდნელ რეალობასთან გვაქვს საქმე, რადგან, როგორც წესი, დებულებების დაღაგებისას მეტად ვლინდება ხოლმე „სოციალური სასურველობის“ ეფექტი, ნარატივებში კი მეტად „იპარება“ ფასადს მიღმა დაფარული ხედვები. თუმცა, ამ შემთხვევაში, დებულებების რანჟირებამ აჩვენა, რომ როგორც საპარლამენტო უმცირესობის და ინტელექტუალური ელიტის, ისე საპარლამენტო უმრავლესობის და არსებული ხელისუფლების ნარმომადგენლები ღიად აღიარებენ პირობითობის წამყვან როლს მიმდინარე რეფორმების განხორციელებისას. ამის საპირისპიროდ, რიგ ნარატივებში, განსაკუთრებით სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლებთან, სოციალიზაციის მექანიზმის ნამყვანი როლია ხაზგასმული. უფრო მეტიც, გვხვდება დისკურსი „მენტალურ მოდერნიზაციაზე“, კერძოდ, იმაზე, რომ მიმდინარე რეფორმების განხორციელება ქართველების შეგნებული არჩევანია, ნათლად აცნობიერებენ რა, რომ ეს ქვეყნის პროგრესის აუცილებელი პირობაა.

პირობითობის მექანიზმთან დაკავშირებით პოლიტიკოსების ამბივალენტური ხედვა გამოვლინდა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საპარლამენტო უმრავლესობის დისკურსიდან; კერძოდ, გაულერდა მოსაზრება, რომ საქართველო იმიტომ კი არ ახორციელებს რეფორმებს, რომ ეს ევროკავშირს უნდა, არამედ იმიტომ, რომ „თავისთავად ეს არის ღირებული რაღაცეები.“ ამდენად, საქართველო წარმოდგენილია, როგორც აქტორი, რომელიც საკუთარი ნებით ახორციელებს „ღირებულ“ რეფორმებს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები

აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი „რომ არ იყოს, ჩვენ გავაცნობიერებდით ყველაფერს, ჩვენ თვითონაც განვახორციელებდით.“ თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ „ის მოთხოვნა რაღაცებს აჩქარებს, რაღაცებს უფრო დროზე [...], შეიძლება რაღაცები ვერ გაბედო, რისკი არ გაწიო და ის, ასე ვთქვათ, გიბიძგებს.“ აქ თვალში გვხვდება, პირველ რიგში, სიტყვა „მოთხოვნის“ გამოყენება, რაც პირად ინიციატივას გამორიცხავს; თუმცა, თითქოს, ამ კონტექსტში მოთხოვნა და საკუთარი ნებით განხორციელება პარმონიულად თანაარსებობენ. აქევე, ყურადღებას იქცევს რეფორმებთან დაკავშირებით სიტყვა „რისკის“ გამოყენება: ნარატივიდან ვლინდება, რომ მიმდინარე რეფორმები გარკვეულ რისკად აღიქმება და რომ არა ევროკავშირის მხრიდან „ბიძგი“, „შესაძლოა ქვეყანას ვერც „გაებედა“ ამ რეფორმების განხორციელება.

ის, რომ ზემოხსენებული რისკები საკუთარი პოლიტიკური კარიერისთვის საზიანოდ განიხილება, თვალსაჩინოდ ვლინდება არაპოპულარული რეფორმების ევროკავშირისთვის მიწერის ტენდენციაში. ამის ნათელი ნიმუშია ერთ-ერთი პარლამენტარის სიტყვები, რომ, ვინაიდან ევროკავშირთან დაახლოება „ყველა სფეროში რეგულირების შემოღებას“ და თანმდევი „ახალი ვალდებულებების“ გაჩენას გულისხმობს, პასუხისმგებლობა ირიბად გადადის ევროკავშირზე, რადგან უკვე ყველა სფეროს ის არეგულირებს და ახალი ვალდებულებები შემოაქვს, რაც „სასიამოვნო არავისთვის არის, განსაკუთრებით თავიდან.“ ამდენად, განაცხადით, რომ მიმდინარე რეფორმები სასიამოვნო ვერავისთვის იქნება, მაგრამ ეს არა ადგილობრივი ხელისუფლების, არამედ ევროკავშირის გადაწყვეტილებაა, სახეზე „არასასიამოვნო“ რეფორმებზე პასუხისმგებლობის არიდების მცდელობა. ამავე ნარატივში იკვეთება პირობითობის მექანიზმის განმსაზღვრელი როლი ქართულ რეალობაში, რადგან უნებურად აღიარებულია ევროკავშირის, როგორც წამყვანი აქტორის, როლი ადგილობრივი რეფორმების განხორციელებაში. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა პირდაპირ აღიარეს, რომ ევროკავშირის „დირექტივების“ გარეშე მიმდინარე რეფორმების განხორციელება წაკლებ მოსალოდნელია: „ეს ესე უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში... უფრო ექვემდებარება ამ დირექტივებს და მოთხოვნებს გარკვეული სახელისუფლებო შტოები.“

ხელისუფლების წარმომადგენლების ხედვა პირობითობასთან

დაკავშირებით კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არის ასახული მმართველი პარტიის წევრი პარლამენტარის დისკურსში, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის სანაცვლოდ, საქართველოს „კაი ფასი“ აქვს გადასახდელი. უფრო მეტიც, მისი სიტყვებით, საქართველო სანიმუშოდ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს და ევროკავშირი, მიუხედავად დიდი სურვილის არქონისა, იძულებულია, საპასუხო ჯილდო გაიღოს საქართველოსთვის, რათა „პირის გატეხვა“ არ გამოუვიდეს. ამგვარი „იძულებითი“ ჯილდოს მაგალითად ის საქართველოს მოქალაქებისთვის უვიზო მიმოსვლის უფლებას ასახელებს და აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა „იბუქსავა ნახევარი წელი“, საბოლოოდ, მას ვიზალიბერალიზაციაზე თანხმობის მიცემა მოუწია, რადგან „სიტყვა სიტყვაა“ და კარგად შესრულებულ „დავალებას“ შესაბამისი უკუკავშირიც უნდა მოყვეს. მსგავსი დისკურსი გაულერდა მმართველი პარტიის წარმომადგენელ სხვა პარლამენტართანაც, რომლის თანახმად, ევროკავშირი არ მოელოდა, რომ საქართველო წაყენებულ პირობებს ასე ზედმინევნით შეასრულებდა და ახლა თავადვე ჩანს დაბრული: რადგან ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოს – ევროკავშირის წევრობას – ვერ სთავაზობს, არ იცის, რა ჯილდო შესთავაზოს ვიზალიბერალიზაციის შემდეგ.

ამდენად, ზემოხსენებული ნარატივიდან შთაბეჭდილება იქმნება, რომ თავად სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები იმპლიციტურად მიანიშნებენ პირობითობის მექანიზმის ამპივალენტურ ბუნებაზე და მის „ორმაგ სტანდარტად“ გამოყენების შესაძლებლობაზე: ევროკავშირი ხალისით უყენებს მოთხოვნებს საქართველოს, თუმცა მსგავსი ხალისით არ ეკიდება შესრულებული მოთხოვნების შედეგად გათვალისწინებული ჯილდოს გაცემას, რაც, მათი სიტყვებით, ვიზალიბერალიზაციის პროცესის გაჭიანურებამაც ცხადყო. სწორედ ამიტომ, ეს უკანასკნელი იმ „იძულებით“ ჯილდოდ განიხილება, რომელზე უარის თქმაც ევროკავშირის მხრიდან „პირის გატეხვის“ ტოლფასი იქნებოდა და მის ავტორიტეტს შელახავდა საქართველოს და აღმოსავლეთ პარტიიორობის სხვა ქვეყნების თვალში. ამ კონტექსტში, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი პარლამენტარი, თითქოს, ნაწყენი ტონითაც კი აცხადებს, რომ ხელი-სუფლება ყველაფერს აკეთებს ევროპასთან დაახლოებისთვის და უკეთესი შედეგებიც კი აქვს, ვიდრე ბევრ ქვეყანას, რომელიც უკვე წევრი გახდა; ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა და მეტი არც უნდა გააკეთოს, „ახლა ბურთი ევროპის მოედანზეა.“ თითქოს, სახეზეა

შემდგომი პირობითობის მიმართ ერთგვარი რეზისტენტულობა იმის ხაზგასმით, რომ საქართველო ბევრად უკეთ ასრულებს „დაგალებებს,“ ვიდრე რიგი ქვეყნები, რომლებიც უკვე წევრები არიან; მიუხედავად ამისა, ევროკავშირის გულის მოგებას მაინც ვერ ახერხებს, რისი ინდიკატორიცაა ამ უკანასკნელის „ნახევარწლიანი ბუქსაობა,“ რომ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლაზე თანხმობა მიეცა. აქვე, მათივე თქმით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიზალიბერალიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ევროკავშირის მხრიდან უანგარო დამოკიდებულებას კი არა აქვს ადგილი, არამედ საქართველოს „კაი ფასი“ აქვს გადასახდელი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ევროკავშირი „იმიტომ გაძლევს რაღაცას,“ რომ საპასუხოდ მოელის, რომ „რუსეთს და ირანს არ დაადგებინებ აქ იარალს“ და თავად ევროკავშირის უსაფრთხოებას პრობლემა არ შეექმნება. ამგვარად, სახეზეა პირობითობის პრაგმატული ხასიათის ხაზგასმა ორივე აქტორის – როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის – შემთხვევაში. პოლიტიკოსების დისკურსებიდან ცალსახად ვლინდება, რომ საქართველოს მხრიდან მთავარი მოსალოდნელი სარგებელი ევროკავშირის წევრობაა, ევროკავშირის პრაგმატული ხედვის ქვაკუთხედად კი მისი სამეზობლის მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი განიხილება.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებით საინტერესოა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ხედვა, ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ნარმომადგენლები განსაკუთრებით ცდილობენ იმის ხაზგასმას, რომ ევროკავშირი საქართველოს თანასწორ პარტნიორად განიხილავს (იდენტური დისკურსი გვხვდება 2014-16 წლებში განხორციელებულ კვლევაშიც) და რომ „ვიზალიბერალიზაცია, ფაქტობრივად, აღიარებაა იმისი, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ევროპას თავისუფლად შეუძლია შეუშვას, კარი გაუღის,“ თავისთავად ეს დისკურსი, სწორედ, ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების გამომხატველია, რადგან ცხადად ჩანს, რომ ევროკავშირს აქვს ძალაუფლება, კარი გაუღის ან დაუკეტოს საქართველოს; ეს უკანასკნელი კი ელის, შეუშვებენ თუ არა. თუმცა, ამგვარი ლატენტური შინაარსის გარდა, საპარლამენტო უმრავლესობათან ლიად გვხვდება დისკურსიც, რომ ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების პროცესში, გადამწყვეტია არა საქართველოს მიერ ევროკავშირის პირობების „სწორად შესრულება,“ არამედ

თავად ევროკავშირის „პოლიტიკური ნება“ და გაფართოების სურვილი, რომელზე ზემოქმედების ბერკეტსაც საქართველო მოკლებულია. ამდენად, კვლავ მითითებაა ევროკავშირსა და საქართველოს მორის ასიმეტრიულ ურთიერთობებზე: საქართველოს ევროპული პერსპექტივა მის მიერ „საშინაო დავალებების“ სათანადოდ შესრულებაზე კი არ არის დამოკიდებული (ხუ, რეალურად, ევროკავშირის პირობითობის დაკმაყოფილება კი არ არის განმსაზღვრელი), არამედ ევროკავშირის პოლიტიკურ ნებასა და კეთილგანწყობაზე.

აქ გადამწყვეტი არ არის, საქართველო სწორად შეასრულებს თუ არა იმ წინაპირობებს, რასაც ევროკავშირიაყენებს. ესარის პოლიტიკური გადაწყვეტილება და დამოკიდებულია, თვითონ შიგნით როგორი იქნება ევროკავშირის მდგომარეობა და რამდენად იქნება წინაპირობა იმისთვის, რომ ევროკავშირის გაფართოება დღის წესრიგში დადგეს (საპარლამენტო უმრავლესობა).

როგორ აფასებენ საპარლამენტო უმცირესობის წევრები ევროკავშირის პირობითობას და მის გავლენას მიმდინარე რეფორმების განხორციელებაზე? საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ისინი პირდაპირ აღიარებენ, რომ ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე რეფორმების დადი ნაწილი უბრალოდ არ განხორციელდებოდა. უფრო მეტიც, ისინი ლიად აცხადებენ, რომ საქართველოს წევრობის პერსპექტივა რომ იყოს გარკვეული, მაშინ რეფორმები გაცილებით სწრაფად განხორციელდებოდა. ამდენად, საპარლამენტო უმცირესობის მოსაზრებებიც ადასტურებს, რომ ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული მთავარი მოლოდინი სწორედ „ოქროს ჯილდოს“ მიღებაა. ამ კონტექსტში, ისინი მკვეთრ ზღვარს ავლებენ არსებულ მთავრობასა და ყოფილ ხელისუფლებას შორის, რომლის წარმომადგენლებიც თავად არიან: წინა ხელისუფლებას, თავისი დისეურსითა და ქმედებებით, მეტად პროევროპულად მიიჩნევენ, ვიდრე არსებულ ხელისუფლებას, რომლის მხრიდან რეფორმების განხორციელების მთავარ მოტივაციად მხოლოდ ევროკავშირის წევრობისკენ მისწრაფებას ასახელებენ და არა თავად ქვეყნის მოდერნიზაციის სურვილს. მართალია, ნათქვამია, რომ არსებული ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია

ევროკავშირთან „პოზიტიური იმიჯის“ შექმნა და „ტაშის დამსახურება“ (რითიც ხაზგასმულია „სცენური“ თვითპრეზენტაციის მნიშვნელობა), მაგრამ ისიც აღიარებულია, რომ მიმდინარე რეფორმების „მთავარი დრაგი“ მხოლოდ წევრობის პერსპექტივა შეიძლებოდა ყოფილიყო და რადგან ეს ნაკლებ სავარაუდოა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ „ეს რეფორმები მალე გჩიურდება, თუ არ იქნება ნათელი, მერე ევროკავშირი რას გვთავაზობს.“ ამდენად, საპარლამენტო უმცირესობის ხედით, არსებული ხელისუფლების ერთადერთი მოტივაცია ევროკავშირისაგან ხელშესახები სარგებლის მიღებაა, რაც ადგილს არ ტოვებს სოციალიზაციის მექანიზმის ამოქმედებისთვის და ევროკავშირის სტანდარტების „უანგაროდ“ განხორციელებისთვის, ანუ არა ევროკავშირის წევრობის მოლოდინის, არამედ იმის გამო, რომ ეს სტანდარტები ქვეყნის წინსვლისთვის მნიშვნელოვანია. საპარლამენტო უმცირესობის ნარმომადგენლების რიტორიკაში ხშირად ულერდება გაფრთხილება, რომ მიმდინარე რეფორმები მალე შეფერხდება, რადგან „ინტერესი დღეს ხელისუფლებას არ აქვს.“ მათი ნარატივების დიდი ნაწილი სწორედ იმგვარადაა ფორმულირებული, რომ თვალსაჩინოდ დაგვანახოს კონტრასტი წინა ხელისუფლებას (რომელსაც ინტერესი ჰქონდა) და არსებულ ხელისუფლებას (რომელსაც ინტერესი არ აქვს) შორის.

საპარლამენტო უმცირესობის არგუმენტი, რომ არსებული მთავრობა ევროკავშირის სტანდარტების განხორციელების ინცი-ატივას თავად არ ავლენს და ამიტომ ევროკავშირის მხრიდან მკაცრი კონტროლი სჭირდება, ხატოვნად არის ასახული შემდეგ ციტატაში: „სანამ გაგაგდებენ, იქამდე გეუბნებიან, რომ გეხვენები, დაალაგე შენი კუთხე, არ დაალაგე და მობეზრდებათ. მაგრამ დავალაგებთ, მივხვდებით, რომ უნდა გავაკეთოთ, ერთ დღეს.“ ამ ციტატით ავტორს, თითქოს, იმის თქმას სურს, რომ ამ ეტაპზე არ ჩანს სათანადო მზადყოფნა, რომ ქვეყანამ „თავისი კუთხე დაალაგოს“ და მკაცრი ზომების მიღებამდე (სანამ „მობეზრდებათ“ და „გაგაგდებენ“), ევროკავშირი ცდილობს, კეთილგონივრულად მიახვედროს ქვეყანა „კუთხის დალაგების“ საჭიროებაში. ციტატის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ოდესლაც „მივხვდებით“ და „დავალაგებთ.“ როგორც ჩანს, ეს მხოლოდ სამომავლო პერსპექტივად ესახება. სწორედ ამიტომ, საპარლამენტო უმცირესობის ნარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გარკვეული „პრაქტიკის დამკავიდრება ხისტადაც უნდა მოხდეს,“ რადგან „ზენოლის გარეშე“ არსებული ხელისუფლება რეფორმებს

არ განახორციელებს, რის ნიმუშადაც მოყვანილია ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში შესაბამისი კანონმდებლობის (ანტი-დისკრიმინაციული კანონი) მიღება ან, თუნდაც, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით წესების გამკაცრება, რათა ქვეყნიდან „კრიმინალის ექსპორტი“ შემცირდეს. ამ კონტექსტში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან ქვეყანაში როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ისე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის „ტრადიცია არ არსებობს,“ ამიტომ „მექანიკურად“ მოგვინევს ევროკავშირის რიგი რეგულაციების შესრულება, რაც შესაძლოა მომავალში ტრადიციადაც კი იქცეს. ამდენად, სახეზეა ადამიანის უფლებების დაცვის თუ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის „ტრადიციის გამოგონების“ (Hobsbawm & Ranger, 1983) პროცესი, რომელიც თავსმოხვეულია ევროკავშირის მხრიდან, თუმცა, დროთა განმავლობაში, ჩვევად უნდა იქცეს. შეიძლება ითქვას, ერთგვარ „იძულებით სოციალიზაციასთანაც“ კი გვაქვს საქმე.

მიუხედავად ამგვარი ზენოლის თუ იძულების მნიშვნელობის ხაზგასმისა, საპარლამენტო უმცირესობის გარკვეული წევრების ნარატივებში გაუღერდა სელექციური ევროპეიზაციის იდეაც, კერძოდ, მოსაზრება, რომ „ჩვენ უნდა ვიყოთ არა უბრალოდ ყველაფრის მიმდევრები, რასაც ევროკავშირი გვეტყვის, არამედ გააზრებული უნდა გვქონდეს, რა ნანილია ჩვენთვის მისაღები და რა – არა. შენ თვითონ უნდა გესმოდეს, რომელი თამაშის წესია, რომელიც შენ განყობს.“ ამგვარი რიტორიკა საკმაოდ საინტერესოდ და, ამავდროულად, უცნაურად უდერს დეკლარირებულად პროევროპული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლისგან, რადგან ის ევროკავშირის შემოთავაზებულ „თამაშის წესებს“ პრაგმატული კუთხით უყურებს და მიიჩნევს, რომ, რომელიც გვანყობს, ის უნდა ავირჩიოთ. თითქოს, პირობითობა გარკვეულ არჩევანს იძლეოდეს, ხოლო საქართველო შესაბამისი „ვაჭრობის უნარით“ გამოირჩეოდეს, რომ ევროკავშირის რეგულაციები შეხედულებისამებრ აირჩიოს.

ამ კონტექსტში, საინტერესოა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლების დისკურსები ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მსგავსი ამბივალენტური ხედვა შეინიშნება, რაც საპარლამენტო უმრავლესობის შემთხვევაში. ერთი მხრივ, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც გვთავაზობენ სოციალურად სასურველ დისკურსს, რომ ევროკავშირი საქართველოს თანასწორად აღიქვამს და

რომ ვიზალიბერალიზაციის შედეგად, „ბარიერი ჩამოინგრა ევროპასა და საქართველოს შორის.“ ამ ციტატის ავტორი, მართალია, აღიარებს წარსულში არსებულ „ბარიერს“ ევროკავშირსა და საქართველოს შორის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ის უკვე „ჩამონგრეულია“ და აღარ არსებობს. გვხვდება კიდევ უფრო ევროპულისტური ხედვაც, რომ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ „ცალსახა“ საქართველოს ევროკავშირის წევრობა, „მაგრამ როდის და როგორ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული.“ ანუ, გამოდის, რომ სწორედ საქართველო აკონტროლებს ევროკავშირთან ინტეგრაციის ტემპს და სპეციფიკას. თუმცა, მეორე მხრივ, საპარლამენტო უმცირესობის დისკურსებიც იმეორებს საპარლამენტო უმრავლესობის ზემოხსენებულ რიტორიკას, რომ საქართველოს განევრიანება ევროკავშირის პოლიტიკურ ხებაზეა დამოკიდებული და მხოლოდ „საშინაო დავალებების“ სათანადოდ შესრულება არაფერს ნიშნავს (რაც, სწორედ, საქართველოს ევროკავშირზე ასიმეტრიულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს): „მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შევასრულეთ რეგულაციები, არავინ მიგვიღებს ევროკავშირში იმიტომ, რომ ამას სჭირდება პოლიტიკური გადაწყვეტილება.“ ევროკავშირის პირობითობის დაკმაყოფილება საკმარისად არ მიიჩნევა მისი წევრობისთვის იმ მიზეზით, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს ამბივალენტური პოზიცია უკავია ევროპის რუკაზე და ერთგვარი გარდამავალი სტატუსი აქვს ევროპასა და აზიას შორის; მეორე მხრივ კი, ევროკავშირი რუსეთან ურთიერთობის დაძაბვას ერიდება, რადგან სწორედ რუსეთი აცხადებს პრეტენზიას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების კონტროლზე. ამიტომ, როგორც საპარლამენტო უმცირესობის ერთერთი წარმომადგენელი აცხადებს, ასეთ პირობებში, „მხოლოდ ის რეფორმები, რასაც ითხოვენ, არ იქნება საკმარისა“ საქართველოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციისთვის და ქვეყანა კვლავაც ევროკავშირის კეთილმოწყვალების იმედად რჩება.

როგორია სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ხედვა ევროკავშირის პირობითობის როლზე ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში? აქაც შემოთავაზებულია სოციალურად სასურველი ნარატივი რეფორმების საკუთარი ნებით, გაცნობიერებულად განხორციელების შესახებ. ხაზგასმულია, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს ევროკავშირის მოთხოვნების გარეშეც განახორციელებდა (ფორმულირება ჰიპოთეტურ დროშია), რადგან ეს ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის არის

საჭირო. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის სიტყვებით, „როცა ამბობ, რომ ვიღაც თავზე გვაშვევს ამას, თვითონ ამ პროცესსაც საფრთხეს უქმნი.“ აქვე, ის აკრიტიკებს პოლიტიკოსებს, რომლებსაც არაპოპულარული რეფორმების ევროკავშირისთვის „გადაბრალება“ სჩვევიათ და ამბობს, რომ რეფორმების განხორციელება ჩვენთვის „სამთო აღჭურვილობაა,“ რადგან ვიცით, რომ „მთაზე უნდა ავ-ცოცდეთ“ („მთაზე აცოცება,“ როგორც პროგრესის გამომხატველი და განვითარების იდეალისტური მოდელის შესაბამისი ხედვის ამსახველი). ამ ნარატივიდან შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქარ-თველებს გაცნობიერებული აქვთ, რომ „მთაზე აცოცება“ (ამ შემ-თხვევაში, ევროკავშირთან ინტეგრაცია) შეუძლებელია შესაბამისი აღჭურვილობის (რეფორმების განხორციელების) გარეშე. თუმცა, იქვე აგრძელებს: „ჩვენ გონებაში როგორ გვაქვს... იმიტომ ვაკეთებთ, რომ ამას ვიღაც გვეკარნახობს.“ ამგვარად, ერთი მხრივ, ნათევამია, რომ რეფორმების მნიშვნელობა გაცნობიერებულია და ისინი გარედან კარნახის გარეშეც განხორციელდებოდა (რადგან კარნახი „თავს მოხვევის“ განცდას ქმნის, რაც თავად „პროცესს საფრთხეს უქმნის“); მეორე მხრივ კი, ხაზგასმულია, რომ გარედან კარნახს საკვანძო მნიშვნელობა აქვს, რომ შესაბამის ქმედებას უბიძგოს. როგორც ჩანს, მსგავსი რიტორიკა სამთავრობო სექტორის ნარმომადგენლებისთვის ჩვეულია, რადგან კიდევ ერთი მაღალჩინოსნის თქმით, საქართველოს სულ არ სჭირდება „პრიუსელიდან კარნახი,“ რომ საჭირო რეფორმები განახორციელოს და „ჩვენი ყველა რეფორმა [...] არის შეგნებული არჩევანის შედეგი.“ თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ სწორედ ბრი-უსელის „საშინაო დავალებებია“ გადამწყვეტი რეფორმების გატა-რებისას, რომლის „დაკმაყოფილება მოგვიწევს“: „ყველაფრის დაკმაყოფილება მოგვიწევს ჩვენ. ერთი მხრივ, საშინაო დავალება უნდა შევასრულოთ; მერე ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღებთ იმას, რომ გავხდებით ევროკავშირის წევრი.“

ამგვარად, სამთავრობო სექტორის ნარმომადგენელთა რიტო-რიკაში დაუფარავად ვლინდება ხედვა, რომ მიმდინარე რეფორმების განხორციელების ბიძგის მიმცემი სწორედ ევროკავშირის პირობითობაა და რომ საქართველოს მთავარი მოტივაცია „ოქროს ჯილდოს“ ანუ ევროკავშირის წევრობის მიღების მისწრაფებაა. უფრო „რბილი“ პოზიციის მიხედვით, ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე სხვა პრიორიტეტები და სხვა ტემპი გვექნებოდა და მეტად „ქაოსურ“ სიტუაციაშიც ვიქნებოდით; ანუ, ამ ვერსიით, ევროკავშირი

წარმოჩენილია, როგორც საქართველოს განვითარების მიმართულების მიმცემი და რეფორმების ტემპის განმსაზღვრელი, რომელიც ქვეყანას „ქაოსის“ დაძლევაში ეხმარება. მეორე, უფრო „ხისტი“ პოზიციის თანახმად კი, ევროკავშირი არათუ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების და ტემპის განმსაზღვრელია, არამედ მისი „ჩარევის“ გარეშე მიმდინარე რეფორმები (განსაკუთრებით კი, მტკიცნული რეფორმები) საერთოდ არ განხორციელდებოდა. როგორც ერთ-ერთი უწყების საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი რესპონდენტი ლიად აღნიშნავს, „ბევრი მიმართულებით დავინახეთ, რომ ბევრი მტკიცნული რეფორმა სწორედ ევროკავშირის ჩარევის შემდგომ განხორციელდა, ან შიდა მოთხოვნების შედეგად განხორციელდა, ისევ და ისევ ევროპის, ასე ვთქვათ, პირობითობების გამო.“ მსგავსი პათოსი გვხვდება მუნიციპალიტეტის თანამშროლის დისკურსშიც, რომლის თანახმად, ევროკავშირი ის „მაიძულებელი“ მექანიზმია, რომელიც ქართველებს რეფორმების განხორციელებას ავალდებულებს, რადგან ვიცით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, „თუ საგალდებულო არ არის, არ განხორციელდებოდა.“ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მაშინაც კი, როცა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელთა რიტორიკაში ხაზგასმულია, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს საკუთარი ნებით ახორციელებს, ხშირად, ლატენტურად ან ირიბად მაინც, აღიარებულია ევროკავშირის პირობითობის როლი, რისი ნიმუშიცაა შემდეგი ციტატა ერთ-ერთი უწყების მაღალჩინოსნის დისკურსიდან: „უპირველესად იმიტომ, რომ ეს [რეფორმების განხორციელება] არის ჩვენი კეთილდღეობისთვის აუცილებელი და არა იმიტომ, რომ ვიღაც რაღაცას გვკარნახობს; შესაძლოა ეს მხოლოდ წამახალისებელი ეფექტი იყოს.“ ანუ გამოდის, რომ კარნახს, თუნდაც მას „წამახალისებელი ეფექტის“ ფუნქცია მივაწეროთ, მაინც ჰქონია ადგილი. გამოვლენილი დუალიზმი – გარედან კარნახი, როგორც, ერთდროულად, საფრთხეც და წამახალისებელიც – საქმაოდ ამბივალენტურ დისკურსს ქმნის.

ამბივალენტობის კიდევ ერთი გამოხატულებაა ზემოხსენებული „იძულებითი სოციალიზაციის“ საკითხი, რომლის ერთ-ერთი ნიმუშია სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლის სიტყვები, რომ „კანონი ჩაგვსვამს იმ ჩარჩოში, საიდანაც თანდათანობით ვისწავლით ერთმანეთის პატივისცემას.“ მართალია, პატივისცემის „იძულებით“ სწავლა უფრო პირობითობას ჰგავს, ვიდრე სოციალიზაციას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ამ „იძულების“ პედაგოგიური ფუნქცია.

როგორც ჩანს, ჩვენი რესპონდენტების მიერ პირობითობა და სოციალიზაცია, ხშირად, თანმდევ პროცესებად აღიქმება და სწორებ პირობითობამ უნდა უბიძგოს რიგი საკითხების დასწავლას, რაც შემდეგ ნორმატულიდან ქმედების დონეზე გადავა და ადგილობრივ „ტრადიციად“ იქცევა. ამ კონტექსტში აღნიშნულია, რომ ერთმანეთის პატივისცემის და ტოლერანტობის „იძულებით სწავლება“ ერთადერთი სტრატეგიაა მათ მიმართ, ვისაც „სხვანაირად არ შეუძლიათ ტოლერანტობის სწავლა.“ მსგავსი პათოსი, თუმცა უფრო რბილი სახით, წარმოდგენილია სამთავრობო სტრუქტურის კიდევ ერთი წარმომადგენლის დისკურსში, რომელიც, მიუხედავად სოციალიზაციის მექანიზმის მნიშვნელობის ხაზგასმისა, აღიარებს, რომ პირობითობის შემოტანა ბევრად ეფექტურს ხდის თუნდაც სოციალიზაციის პროცესს, რადგან „მასწავლებლის“ (ევროკავშირის) მიერ მიცემული საშინაო დავალება უფრო „მობილიზებულს“ ხდის „მოსწავლეს“ (საქართველოს). მოცემული ხედვით, საქართველოს მიერ „საშინაო დავალების“ შესრულების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის ევროკავშირის მხრიდან დაწესებული პირობები და ვადები: „ვიცი, რომ მაქვს დედლაინი, ვიცი, რომ მაქვს გამოცდა და ვიცი, რომ მაქვს რაღაც ჩასაბარებელი, მაგრამ როცა ეს არ ვიცი, სამუდამოდ იწელება, იწელება და დებ, დებ, დებ...“ ამ შემთხვევაში, საუბარია არა ევროკავშირის მხრიდან წახალისებაზე, თუ გამოცდას ჩააბარებ ან დასჯაზე, თუ მას ვერ ჩააბარებ (რასაც პირობითობა ითვალისწინებს), არამედ გარკვეული პირობების წაყენებით, ბიძგის მიცემაზე თუ მოტივირებაზე, რომ გამოცდა ჩააბარო (ამ თვალსაზრისით, სოციალიზაციის მსგავსია), რაც პირობითობის და სოციალიზაციის ერთგვარ ჰიბრიდად გვევლინება.

როგორც აღნიშნა, საქართველოს მხრიდან რეფორმების განხორციელების მთავარი მოტივი ევროკავშირის წევრობის მოლოდინია. მართალია, სამთავრობო სექტორში ყველა ერთნაირი ოპტიმიზმით არ უყურებს წევრობის პერსპექტივას, მაგრამ ისიც კი, ვისაც წევრობის პერსპექტივა ნაკლებ რეალისტურად ესახება, განსაკუთრებით ხელშესახებ მომავალში, მაინც ხაზს უსვამს წევრობის საკვანძო მნიშვნელობას და მის სავარაუდო სიკეთებებს საქართველოსთვის. ამდენად, ევროკავშირის რეგულაციების თანმიმდევრულად განხორციელებას არსებითი როლი მიეწერება, რათა საქართველო მუდმივად ორიენტირებული იყოს აღნიშნული მიზნის მიღწევაზე. ოპტიმისტური ხედვის თანახმად, თუ საქარ-

თვეელო სათანადოდ განხორციელებს რეფორმებს, ერთ დღეს ის აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა („ფანჯარა აუცილებლად გაიხსნება“). უფრო მეტიც, რაც უფრო „მეტად მზად იქნება საქართველო, მით მეტად პოზიტიური განწყობა“ ექნებათ მის მიმართ ევროკავშირის ქვეყნებს და ამ „შესაძლებლობის ფანჯარის“ გასსიც გაიზიდება. არსებობს უფრო სკეპტიკური ხედვაც, რომ, მართალია, ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება წევრობისთვის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ეს არ არის წევრობის გარანტი, რაც, რეალურად, „პოლიტიკური გადაწყვეტილებაა“ და მხოლოდ საქართველოს „სიბეჭითეზე“ არ არის დამოკიდებული. ამდენად, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლების დისკურსებშიც ვლინდება ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების ხედვა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამთავრობო სტრუქტურის ერთ-ერთი მაღალიჩინოსნის განაცხადში, რომ „ევროკავშირი უყურებს საქართველოს, როგორც რუსეთის, უკანა ეზოს.“ ძლიერ სახელმწიფოებს დანაწილებული აქვთ გავლენის სფეროები და სინამდვილეში, კარგი ტიპი არავინ არის.“ მიუხედავად ამისა, მისი თქმით, საქართველომ არ უნდა შეანელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის მცდელობა, რადგან, „თუ ზედმინევრით კარგად მოვიქცევით, შესაძლებელია, რომ უფრო მაღე გავხდეთ [ევროკავშირის წევრები]... თუ ეს საერთოდ არის შესაძლებელი.“ სამთავრობო სტრუქტურის მეორე წარმომადგენელი კი სინანულითაც აღნიშნავს, რომ „იმდენი რაღაც გაკეთდა ამ მიმართულებით, რომ ცოდვაა ამ ყველაფრის წყალში გადაყრა.“ ამდენად, რიგ შემთხვევაში, ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივის გარეშე რეფორმების განხორციელება „ყველაფრის წყალში გადაყრადაც“ კი არის დანახული. ამგვარი გაურკვევლობის ფონზე, როცა წევრობის პერსპექტივა, უკეთს შემთხვევაში, შორეული მომავლის საკითხია, განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოს მხრიდან იმაზე მეტი ვალდებულების აღების და განხორციელების აუცილებლობა, ვიდრე ეს ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ანუ თვითპირობითობის მექანიზმის გააქტიურება ხდება:

რადგანაც კონკრეტულად წევრობაზე სალაპარაკოდ დღეს ევროკავშირი მზად არ არის, ასე ვთქვათ, ჩვენ ცალმხრივად ვიღებთ ვალდებულებებს, იმაზე მეტი გავაკეთოთ, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, რომ, ვთქვათ,

როდესაც დადგება ევროკავშირში პოლიტიკურად იმის სიტუაცია, რომ შესაძლებელი გახდება საქართველოს ევროპული პერსპექტივის გახსნა, ამ შემთხვევაში, ჩვენ მზად ვიყოთ უკვე და არ გვქონდეს ტექნიკური დაბრკოლებები და ბარიერები (სამთავრობო სექტორი).

საქართველოს მიერ საკუთარ თავზე ზედმეტი ვალდებულებების აღების აუცილებლობა, ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული „შესაძლებლობის ფანჯრის“ გახსნის მოლოდინში, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლების დისკურსებშიც ვლინდება. ისინი სწორედ თვითპირობითობას მიაწერენ განმსაზღვრელ როლს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის დაჩქარებისთვის. არა-სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოების საკითხებზე უშუალოდ მუშაობენ, განსაკუთრებული სიმაყით უსვამენ ხაზს საქართველოს მიერ ევროკავშირის „საგზაო რუკაზზე“ მუშაობას, რაც, მართალია, საქართველოს არ მოეთხოვება, რადგან კანდიდატი ქვეყანა არ არის, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია „საქმის წინ წასაგდებად.“ როგორც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, ჩვენ ისე უნდა მოვიკეთ, „თითქოს წევრობის კანდიდატები“ ვიყოთ; შევასრულოთ არა მხოლოდ აღებული ვალდებულებები, არამედ ვიაქტიუროთ ბევრი სხვადასხვა მიმართულებით, თუნდაც „გავაჩინოთ ნარატივი,“ რომელიც ერთგვარად ნიადაგს მოამზადებს, რომ, როდესაც „გეოპოლიტიკური ვითარება მომზიფდება და ევროკავშირი მზად იქნება ამისთვის, ჩვენ თამამად შევძლოთ წევრობაზე განაცხადის გაკეთება.“ არასამთავრობო სექტორის კიდევ ერთი წარმომადგენლის სიტყვებით, საქართველომ თავის თავზე იმაზე მეტი ვალდებულებები უნდა აიღოს, ვიდრე ეს ევალება. მისი სიტყვებით, რადგან ევროკავშირს მეტი ხიბლი აქვს საქართველოს თვალში, ვიდრე ამ უკანასკნელს – ევროკავშირის თვალში, ამიტომ საქართველოს „ვაჭრობის უნარიც“ საკმაოდ სუსტია და ამის კომპენსირება იმით უნდა მოხდეს, რომ ქვეყანამ ევროკავშირს დაუმტკიცოს, რომ იმაზე „ბეჯითია,“ ვიდრე ეს უკანასკნელი მოელის და უფრო ძლიერი „დასაყრდენიც“ კი არის ევროკავშირისთვის, ვიდრე არაერთი წევრი ქვეყანა. როგორც ამ დისკურსიდან ჩანს, თვითპირობითობა ერთგვარ კომპენსაციად გვევლინება, რათა საქართველოს სუსტი „ვაჭრობის უნარი“ დააბალანსოს და ევროკავშირი დაარწმუნოს, რომ საქართველოს დაახლოება მისთვის სასიკეთოა, რადგან მსგავსი

„დასაყრდენის“ პოვნა, შესაძლოა, წევრ ქვეყნებშიც კი გაუჭირდეს.

ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლების მიერ თვით-პირობითობის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმა იმის ფონზე ხდება, რომ პირობითობა საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში წამყვან მექანიზმად განიხილება. ევროინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები, სხვადასხვა ფორმულირებით, თუმცა მსგავს აზრს იზიარებენ: „რომ არა ევროკავშირი და ასოცირების ხელშეკრულება, არა მგონია, რომ საქართველოს ეს ნაბიჯები გადაედგა“ (ხშირად ნიმუშად მოყვანილია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და შრომის ინსპექციის შემოლება). უფრო მეტიც, აღნიშნულია, რომ ხელისუფლება რეფორმებს იმიტომ კი არ ახორციელებს, რომ მათი საჭიროება „კარგად გაცნობიერებული, კარგად გააზრებული“ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ასოცირების ხელშეკრულებით ევალება. მართალია, ხელისუფლებას ესმის, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებები საქართველოს მოქალაქეების უკეთეს ცხოვრებას უზრუნველყოფს, მაგრამ ის ამ რეფორმებს დიდი ენთუზიაზმით არ ახორციელებს, მეტიც, შეძლებისდაგვარად „დროში წელავს.“ ამის ძირითად მიზეზად ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის წყრომის თავიდან არიდების მცდელობაა დასახელებული. სწორედ ამიტომაა, რომ, ექსპერტების თანახმად, ბევრი რეფორმის გატარების საჭიროებას, განსაკუთრებით მოსახლეობისთვის „მტკიცნეულის“, როგორიცაა თუნდაც ანტიდისკრიმინაციული კანონი ან ავტომობილების ტექ-დათვალიერება, საქართველოს ხელისუფლება ბრიუსელის მოთხოვნებსა თუ ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს მიაწერს. ამგვარ პირობებში, მათი თქმით, გარდა იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს ასოცირების ხელშეკრულებით არის განერილი, პოლიტიკური ელიტა და მისი ნარატივიც მთლიანად პირობითობაზეა ანყობილი.

ეს გვაქვს, რომ ვიღაცამ უნდა რაღაცა მოგვაწოდოს;  
არც ვმაღავთ ამას. მე მგონი, სირცხვილიც არის თქმა  
ხომ ხმამაღლა, აი, იმათ უნდა გვითხრან და რაღაცა,  
სირცხვილია ხომ? თავმოყვარე ადამიანი ამას არ უნდა  
ამბობდეს! შენ თვითონ უნდა იცოდე, რა გინდა. მაგრამ  
არა, ჩვეულებრივად ვამბობთ ამას, ვლაპარაკობთ  
პირად საუბრებშიც, ზოგჯერ სავაროდაც, რომ აი,  
ევროკავშირი გვავალებს... (არასამთავრობო სექტორი).

გვხვდება მოსაზრებაც, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს ევროკავშირის გარეშე უბრალოდ ვერ განახორციელებდა, რადგან სწორედ ევროკავშირი აძლევს მიმართულებას ქვეყანას და ამ მიმართულების ფარგლებში „გარკვეულ ჩარჩოებს უნესებს“:

ვერ განახორციელებდა იმიტომ, რომ ევროკავშირის მოთხოვნები, ასე ვთქვათ, გარკვეულ ჩარჩოებს უნესებს ჩვენს ქვეყანას. კი, ჩვენ ვითომ მიგვაჩნია, რომ მოდერნიზაციისკენ მივდივართ და მოდერნიზაცია საჭიროა, მაგრამ მოთხოვნები ჩვენ გარკვეულ მიმართულებას გვაძლევს, აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას მისცეს მიმართულება, ვიცოდეთ, კონკრეტულად რას ვაკეთებთ (აკადემიური სფერო).

ამ ციტატიდან გამომდინარეობს, თითქოს, ქვეყანა რეფორმების გაცნობიერებულად განხორციელებას მიაწერს საკუთარ თავს („მოდერნიზაცია საჭიროა“), მაგრამ, რეალურად, ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე არ ეცოდინებოდა, რა უნდა ეკეთებინა და რა მიმართულებით ემოძრავა. ამის მთავარ მიზეზად ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები საქართველოს „კოლონიურ წარსულს“ თუ „პოსტსაბჭოთა მენტალიტეტს“ ასახელებენ: „ჩვენთან ეს პოსტსაბჭოთა მენტალიტეტი იმდენად გასისხლხორცებულია, რომ საქართველოს მთავრობას სტირდება გარკვეული ორიენტირი, ვილაცამ უნდა უთხრას, მაგალითად, იქ, დასავლეთში.“

აქვე, არანაკლებ საგულისხმოა ზემოთ არაერთხელ განხილულ „იძულებით სოციალიზაციაზე“ მითითებაც, რაც ინტელექტუალური ელიტის არაერთი წარმომადგენლის რიტორიკაში უღერდება. საკმაოდ გავრცელებულია ნარატივი, რომ ევროინტეგრაციის კვალდაკვალ, „იძულებულები ვართ“ კანონებიც შევცვალოთ (პირობითობა) და ცნობიერებაც ავიმაღლოთ („იძულებითი სოციალიზაცია“). ამის ერთ-ერთ ნიმუშად ხშირად მოყვანილია ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რომელთან დაკავშირებული ვნებათალელვა საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუმცა ყველაზე ხისტ პარლამენტარებსაც კი „აიძულეს“ მასზე თანხმობის გამოთქმა და კანონი მიღებულ იქნა 118 ხმით 0 ხმის საპირისპიროდ. ერთ-ერთი ექსპერტის სიტყვებით,

ეს მოხდა იმ პარლამენტში, სადაც ჯაჭვლიანი იჯდა.

მან, არ ვიცი, თავი შეიკავა თუ მხარი დაუჭირა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვერგაბედა, ამ კანონის წინააღმდეგ

ნასულიყო იმიტომ, რომ ეს იყო ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში და მას უთხრეს, რომ წინააღმდეგ ხმა არ უნდა მიეცა... თავისი შეგნებით ეს ადამიანი უბრალოდ აიძულეს, რომ ამ კანონის წინააღმდეგ ხმა არ მიეცა (არასამთავრობო სექტორი).

თითქოს, პარადოქსულად ულერს სიტყვათა შეთანხმება „თავისი შეგნებით... აიძულეს.“ მაგრამ, თუ 2014-16 წლებში განხორციელებული კვლევის ფარგლებში პოლიტიკოსების და ექსპერტების დისკურსებს გავიხსენებთ, ერთ-ერთი დომინანტური დისკურსი სწორედ ის იყო, რომ პირობითობა ის „იძულებით“ მექანიზმია, რასაც საქართველო „ნებაყოფლობით“ ასრულებს, რათა ევროკავშირს დაუახლოვდეს და მისგან სხვადასხვა სიკეთე მიიღოს (Tsuladze et al., 2016). როგორც ვხედავთ, ამ კონტექსტში, იძულება და ნებაყოფლობა ურთიერთგამომრიცხავად სულაც არ განიხილება და „შეგნებით“ იძულებაც, თითქოს, ამავე ლოგიკის ნაწილია. მართალია, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ასეთი იძულება გამოსავალი არ არის,“ არამედ საჭიროა „მეტი დისკუსია, მეტი ახსნა, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მეტი კომუნიკაცია ამ საკითხზე ყველა იმ ჯგუფთან, მათ შორის, ეკლესია იქნება თუ რეგიონები,“ მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ შესაძლოა ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკოსებიც კი დაარწმუნო (თუნდაც „იძულებით“), რომ ქვეყნისთვის სავალდებულოა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, უკვე მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა ევროპეიზაციის გზაზე. ამავე რიტორიკის გაგრძელებაა ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრება, რომ „ჩვენ შეგვწევს ძალა, რაღაც მნიშვნელოვანი ძალისხმევის გავლენით... ცნობიერება ავიმაღლოთ და კონკრეტულ სიკეთებს მივაღწიოთ.“ უდავოა, რომ „მნიშვნელოვანი ძალისხმევის გავლენით“ ცნობიერების ამაღლება ძალიან ახლოსაა ხედვასთან „თავისი შეგნებით... აიძულეს“ და სწორედ იმ ფენომენს ასახავს, რასაც „იძულებითი სოციალიზაცია“ ვუწოდეთ.

საინტერესოა, ასეთ პირობებში, როგორ აფასებენ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების საკითხს. პირველ რიგში, აღსანიშნავია დისკურსი, რომელიც განსაკუთრებით თვალშისაცემია არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მათი თქმით, არა მხოლოდ საქართველოს სტირდება ევროკავშირი, არამედ ევროკავშირსაც სტირდება საქართველო. ამგვარი საჭიროების უმ-

თავრეს მიზეზებად მიჩნეულია როგორც ევროპის მიერ საქართველოს ალტერნატიულ ენერგოდერეფნად განხილვა და ამით რუსეთზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის მცდელობა, ისე საქართველოს მიერ რეგიონულ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა და, ზოგადად, ევროკავშირთან დაახლოების წარმატებულ ნიშანად მოაზრება. მიუხედავად ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ ამგვარი პრაგმატული ინტერესის აღიარებისა, კვლევაში მონაწილე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და უშუალოდ რეფორმების განხორციელებიდან არ გამომდინარეობს. მათი თქმით, ევროკავშირის წევრობისთვის უფრო მნიშვნელოვანია ევროკავშირის შიგნით და გლობალურად მიმდინარე პროცესები და არა საქართველოს შიგნით მიმდინარე მოვლენები. უფრო მეტიც, გამოითქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ რიტორიკულ დონეზე რომ განაცხადოს, რომ, როცა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები მზად იქნებიან ევროკავშირის წევრობისთვის, ისინი მიიღებენ ამ წევრობას, „ევროკავშირის არაფერი უღირს, რეალურად მხოლოდ სიტყვა უნდა თქვას, ანუ ამის უკან არაფერი დგას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის არ არის მზად ამისთვის.“ რესპონდენტები ამას ორი ძირითადი მიზეზით ხსნიან: ევროკავშირის მხრიდან რუსეთთან კონფრონტაციის არიდების მცდელობით და სკეპტიციზმით საქართველოს ევროპულობის შესახებ. როგორი საფუძვლიანიც არ უნდა იყოს ევროკავშირის სკეპტიციზმი, ამ დისკურსიდან ერთი რამ ცხადია – მონაწილეთა გულდანწყვეტა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის „არაფერი უღირს,“ რიტორიკულ დონეზე მაინც აღიაროს, რომ მისი მოთხოვნების ადეკვატურად შესრულების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წევრობის პერსპექტივა, ის ამ რიტორიკასაც კი (რომლის „უკან არაფერი დგას“) ერიდება. ამდენად, ხაზგასმულია, რომ საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან ერთად, კვლავაც ევროკავშირის კეთილგანწყობაზე ასიმეტრიულად დამოკიდებული რჩება.

## 1.2 მოსახლეობის დისკურსები

სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობასთან ფოკუსჯგუფები აჩვენებს, რომ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის მსგავსად, მათაც

საქართველოს ევროპეიზაციის მთავარ მექანიზმად პირობითობა მიაჩნიათ. ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის დომინანტურია მოსაზრება, რომ მიმდინარე რეფორმები სწორედ ევროკავშირის მოთხოვნების გამო ხორციელდება და არა იმის გამო, რომ ეს ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ფოკუსჯგუფების მსვლელობისას არაერთხელ გაულერდა მოსაზრება, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გარეშე, ხელისუფლება რეფორმების გატარებას არც იფიქრებდა: „დიდი პასუხისმგებლობები გვაქვს ევროკავშირის მიმართ და რომ არა ეგ, საქართველოს მთავრობა მაგასაც არ გააკეთებდა. დღეს ისიც არაა, რაც უნდა იყოს, მაგრამ ესეც იმიტომ ხდება, რომ ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს“ (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

აღნიშნულ მოსაზრებას კვლევაში მონაწილე ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი იზიარებს. როგორც უფროსი ასაკის მონაწილე აღნიშნავს, „მთავრობა თუ რაღაცას აკეთებს, ამას აკეთებს ევროკავშირის დირექტივებით“ (ზუგდიდი, მამრ., 41-65). უფრო მეტიც, ფოკუსჯგუფის მონაწილეების თქმით, „ყოველთვის ვიღაცის კარნახით კეთდებოდა კარგი თუ ცუდი. ვიღაცა გარეშე ძალის კარნახით. ახლაც სასიკეთოა თუ არა... ანუ სასიკეთო რეფორმასაც სჭირდება ძალით გაკეთება – გააკეთეთ!“ (ბათუმი, მდედრ., 26-40). ამდენად, მოცემული ციტატის თანახმად, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ გარკვეული რეფორმების განხორციელება ქვეყნისთვის სასიკეთოა, ხელისუფლებას მაინც სჭირდება გარედან კარნახი თუ მითითება: „გააკეთეთ!“ დისკურსი, რომ საქართველოში სასიკეთო რეფორმებიც კი გარედან „კარნახს“ საჭიროებს, თვალსაჩინოდ ვლინდება სხვა რესპონდენტის განაცხადშიც, რომ ქვეყნის მესვეურები „იძულებული არიან, კეთილი მიზნებისთვის გაატარონ რეფორმები“ (გორი, მდედრ., 18-25). „კეთილი მიზნებისთვის იძულება“ კვლავაც „იძულებით ხოციალიზაციასთან“ ასოცირდება. ასეთ ვითარებაში, კვლევის მონაწილეების თქმით, მთავრობის მონძომების წაკლებობა გამოიხატება რეფორმების შეძლებისდაგვარად დროში გაჭიმვით, არაპოპულარული რეფორმების ევროკავშირისთვის გადაბრალებით და რაც მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წაკლები მცდელობით, რომ მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ მიმდინარე რეფორმების და, ზოგადად, ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ.

რეფორმების დროში გაჭიმვის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ავტომობილების ტექდათვალიერება სახელდება, რომე-

ლიც მოსახლეობისთვის საკმაოდ მტკიცნეული თემაა. მოსახლეობის გულისწყრომა რომ აერიდებინა, ფოკუსჯგუფის მონაწილეების თქმით, ხელისუფლებამ შესაბამისი რეგულაციების განხორციელება მაქსიმალურ ვადამდე მიიყვანა და შემდეგ დაჩქარებული ტემპით და ზერელედ დაიწყო განხორციელება. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „რომ არ მოეთხოვათ, არ გავაკეთებდით, არც მთავრობა გააკეთებდა. ახლა დაჩქარებულად აკეთებს, გინდაც ამ ტექდათვალიერებას და ანტიდისკრიმინაციულ კანონს,“ მსგავს დაჩქარებას კი საკმაოდ ნეგატიური შედეგები მოაქვს (თბილისი, მამრ., 18-25). მონაწილეების თქმით, ამ ნეგატიურ შედეგებს კიდევ უფრო ამძაფრებს მთავრობის რიტორიკა, რომელიც, არცთუ იშვიათად, მტკიცნეული რეფორმების განხორციელების აუცილებლობას ევროკავშირის მოთხოვნებს მიაწერს და ამით, მისდა უნძბურად, ევროკავშირის მიმართ მოსახლეობის გარკვეულ გალიზიანებას იწვევს. ერთ-ერთ მონაწილეს შრომითი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მაგალითი მოყავს, რომელსაც, მისი სიტყვებით, მთავრობა ევროკავშირის მოთხოვნებს მიაწერს, რაც არათუ უცნაურია, არამედ „სრული აბსურდია [...] ეს ნიშნავს, რომ, თუ ევროკავშირი არ მოგვთხოვდა, მინიმალური სტანდარტები არსებობდეს იმისთვის, რომ ადამიანების სიცოცხლე დაცული იყოს, ჩვენ მას არ დავიცავდით, ან არ გვჭირდება დემოკრატიული პროცესები, თუ ამას ევროკავშირი არ მოგვთხოვს?!“ (თბილისი, მამრ., 18-25). უფრო მეტიც, ფოკუსჯგუფის მონაწილეებს სამარცხვინოდაც კი მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ, შესაძლოა, ხელი-სუფლება ღიადაც კი აღიარებდეს, რომ რიგ რეფორმებს სწორედ ევროკავშირის მოთხოვნით ახორციელებს. მაგალითად, ანტი-დისკრიმინაციულ კანონზე საუბრისას აღიშნულია, რომ „დალიან სირცხვილია [...], როცა გარედან გეუბნებიან, რომ შენს მოქალაქეს აქვს უფლებები“ (გორი, მამრ., 26-40).

აღიშნული მონდომების ნაკლებობის ფონზე, რა არის, ფოკუსჯგუფების მონაწილეების აზრით, ძირითადი მიზეზები, რის გამოც საქართველოში რეფორმები ხორციელდება? ერთ-ერთ ასეთ მიზეზად დასახელებულია ხელისუფლების ნარმომადგენლების შიში, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ევროკავშირთან ურთიერთობა გაუფუჭდებათ და გარკვეულ სანქციებს დაიმსახურებენ („მთავრობას ეშინია რაღაც სანქციების“ (ბათუმი, მამრ., 26-40), ამით კი მოსახლეობის წყრომას გამოიწვევენ:

ასოცირების ხელშეულება რასაც ავალდებულებთ,  
აკეთებენ იმიტომ, რომ ურთიერთობა არ გაიფუჭონ  
[ევროკავშირთან] და უარესი არ მოუხდეს თავის  
ხალხთან, თორემ ეგ რომ არ იყოს, ესეც არ იქნებოდა,  
რასაც ახლა აკეთებენ (თელავი, მამრ., 26-40).

მეორე ძირითად მიზეზად დასახელებულია ფულადი ინტერესი,  
რასაც შესაბამისი რეფორმების განსახორციელებლად ევროკავშირი  
საქართველოს აძლევს: „რაც კეთდება, ყველაფერი არის ევროკავშირის  
დაფინანსებით, პროექტებია თუ რა არის, და იძულებულები არიან, ის  
რეფორმები გაატარონ, რომლის შედეგადაც დაფინანსებას მიიღებენ“  
(ქუთაისი, მამრ., 26-40). ფულადი ინტერესი, როგორც ევროკავშირის  
პოზიტიური პირობითობის გამოხატულება, გადაწყვეტილების მიმ-  
ლებთათვის ძირითად სტიმულად რომ მიიჩნევა, თვალსაჩინოდაა  
ასახული მომდევნო ციტატაშიც:

თუ გააკეთებ, ამას მიიღებ, თუ არ გააკეთებ –  
ამას ვერ მიიღებ. ანუ, ავტომატურად, შენ იდეების  
გამზიარებელიკიარხარ, იმფულზეხარდამოკიდებული.  
ვალს არ ჩამოგაწერენ [...] ულტიმატუმის დონეზეა და  
თუ ამას არ დაეთანხმები, მაშინ ამას არ მოგცემენ, ამას  
არ გაგიკეთებენ (თელავი, მამრ., 41-65).

მესამე და უმთავრეს მიზეზად კი, ევროკავშირის წევრობის  
პერსპექტივაზა დასახელებული, რომლის მოლოდინის გარეშეც, ფო-  
კუსჯუფების მონაწილეების აზრით, საქართველოს მთავრობა  
მიმდინარე რეფორმების განხორციელებაზე თავს არ შეინუხებდა:

მიმდინარე რეფორმებს რომ განვახორციელებდით,  
სისულელეა. არასდროს განვახორციელებდით, სამ-  
წუხაროდ. რაც კორუფციის და ვილაცის ჯიბისთვის  
იქნება სასარგებლო, იმას გააკეთებენ ყოველთვის, თუ  
ევროპიდან არ იქნება ზეწოლა, თავში ჩარტყმა, რომ ეს  
უნდა გააკეთო, თუ გინდა, რომ წევრი გახდე “(ზუგდიდი,  
მდედრ., 26-40).

ამდენად, ევროკავშირის წევრობა იმ მთავარ ჯილდოდ მოიაზრება,  
რომლისკენაც საქართველო მიიღოცის და შესაძლოა, ერთადერთ  
ქმედით ბერკეტადაც კი იყოს მიჩნეული პოლიტიკის სფეროში ისეთი  
ნეგატიური ფენომენის ასარიდებლად, როგორიცაა კორუფცია.

სწორედ ამგვარი ნეგატიური ფენომენების გამოაშკარავება და ალევეთა მიზნევა იმ ძირითად მიზეზად, რის გამოც, მოსახლეობის აზრით, ხელისუფლება ევროკავშირის სტანდარტების დანერგვისას მონდომებით არ გამოირჩევა:

ის ცვლილებები, რასაც ევროკავშირი ითხოვს, შეიძლება იყოს კარგი ქვეყნისთვის, მაგრამ ცუდი ხელისუფლებისთვის; მასთან, მის ძალაუფლებასთან ნინააღმდეგობაში იყოს. ადვილი გასაგებია ის, რომ არ მოხდებოდა კონკრეტული ცვლილებები, რომ არა ევროკავშირი, რადგან ეს ცვლილებები ხელისუფლებისათვის არარის მისაღები. ბევრი რაღაცაა, რაც ეხებაღია მმართველობის სისტემას; კონკრეტულად, შესყიდვების სფეროში, ძალიან ბევრი რეგულაციაა, რომელიც ითხოვს, რომ ეს შესყიდვები ღია უნდა იყოს, მაგრამ არაა ეს ხელისუფლებისთვის მისაღები იმიტომ, რომ რაც უფრო დახურულია სისტემები, მით უფრო ადვილია იქ კორუფცია“ (თბილისი, მამრ., 26-40).

როგორც მონაწილეთა რიტორიკიდან იყვეთება, ევროკავშირის მოთხოვნებითუ კარნახისასიკეთოდაც კი მიზნევა, რათა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება დაჩქარდეს და მმართველობის დონეზე კორუფციული სქემები აღმოიფხვრას. იმავდროულად, მსგავსი კარნახი თუ მოთხოვნები ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულების გამოვლინებაა. როგორ აფასებს მოსახლეობა ამგვარ ასიმეტრიულ ურთიერთობას? დომინანტურ დისკურსებს რომ გადავავლოთ თვალი, ერთი მხრივ, მსგავსი ასიმეტრია პოზიტიურ ფენომენად განიხილება, რათა საქართველო „მუდმივად ფორმაში იყოს“ და რეფორმებიდან გადახვევის საშუალებას არ მიეცეს; თუმცა, მეორე მხრივ, ნეგატიურ ფენომენად მიზნევა, რადგან აღნიშნულია, რომ საქართველო „სავაჭრო მონეტასავითაა“ ევროკავშირისთვის და სხვა ძლიერი მოთამაშებისთვის და რომ სწორედ ეს ძლიერი ორგანიზაციები თუ სახელმწიფოები განაგებენ ქვეყნის ბედს, თან მისი მონაწილეობის გარეშე:

საქართველო, ან ევროპისთვის, ან რუსეთის და ამერიკისთვის გახდა სავაჭრო მონეტასავით. ფაქტობრივად, ჩვენ ვართ ერი, რომელიც საკუთარ ბედს ვერ წყვეტს. რაც არ უნდა მნარე იყოს, ასეა. იქ

ვიღაცები ხვდებიან, დასხდებიან... და ჩვენზე რაღაც  
მოილაპარაკეს უჩვენოდ (თელავი, მამრ., 41-65).

ამგვარი ხედვის ფონზე, არ არის გასაკვირი, რომ დაუფარავად ვლინდება გარკვეული გაღიზიანება, რომ „მარტო ჩვენ კი არ უნდა ვითვალისწინებდეთ [ევროკავშირის მოთხოვნებს]... რაღაც ჩვენიც ხომ უნდა გაითვალისწინონ?!“ (თელავი, მამრ., 41-65). ამგვარად, პირდაპირი მოწოდებაა, რომ ევროკავშირმა თანასწორ პარტნიორად განიხილოს საქართველო და თუ ეს უკანასკნელი ითვალისწინებს მის მოთხოვნებს (რასაც ციტატის ავტორი „ულტიმატუმებით საუბარს“ უწოდებს), ევროკავშირმაც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მოთხოვნები. უფრო მეტიც, როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, „მე ასე მიმაჩნია, რომ ჩვენნაირი ქვეყანა, რომელიღაც კავშირის გამო არ უნდა ასრულებდეს რაღაც ვალდებულებებს“ (თელავი, მდედრ. 41-65). აქ, ერთი მხრივ, ევროკავშირის „რომელიღაც“ კავშირად სახელდებით, მისი მნიშვნელობის დაკინება ხდება; მეორე მხრივ კი, საჯუთარი ეროვნული სიამაყის დეკლარირება იმით, რომ საქართველოსნაირ ქვეყანას არ ეკადრება „რომელიღაც“ კავშირის ჭკუაზე სიარული. ამგვარი სენტიმენტების ფონზე, ფოკუსჯგუფების მონაწილეები ერთგვარი გულისწყრომითაც კი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი საქართველოს უსამართლოდ ექცევა და მისი მხრიდან ქართველებზე „ჯოხის გადატეხის“ მცდელობასაც აქეს ადგილი. ამგვარი დისკურსის თვალსაჩინო ნიმუშია ერთ-ერთი მონაწილის განაცხადი, რომ ევროკავშირის ქვეყნებში „სხვა ქვეყნის წარმომადგენლები უფრო მეტად ქურდობენ და კრიმინალს სჩადიან, მაგრამ ქართველებს აშუქებენ რატომდაც“ (თელავი, მდედრ., 18-25). ქართველების ნეგატიურ გაშუქებასთან ერთად, არანაკლებ გულისწყრომას იწვევს ევროკავშირის მხრიდან არასათანადო ყურადღება, რაც, მონაწილეების სიტყვებით, იმით ვლინდება, რომ რუსეთი საქართველოს თავს ესხმის და ყოველდღიურად წინ სწერს საოკუპაციო ხაზს, ამ ძროს კი „ევროკავშირი მხოლოდ შეშფოთებას და აღშფოთებას გამოთქვამს,“ რაც, რეალურად, ქართველებს ვერაფერში ეხმარება (ზუგდიდი, მამრ., 26-40). მონაწილეები ცინიკურადაც კი აღნიშნავენ, რომ „ევროკავშირმა მარტო შეშფოთება იცის, მეტი არაფერი“ (ბათუმი, მამრ., 41-65) და რომ „ევროკავშირის წარმომადგენლები ჩამოდიან და ბრტყელი სიტყვებით აცხადებენ, რომ ‚ჩვენ ვგმობთ,‘ შეშფოთებულები ვართ.‘ რუსეთი კი მაინც აგრძელებს თავის ტერორს“ (ბათუმი, მდედრ., 26-40). ამგვარად, რადგან საქართველო ევროკავშირზე ასიმეტრიულად დამოკიდებულად

განიხილება, ეს მოსახლეობაში ერთგვარ მოლოდინსაც იწვევს, რომ ამ უკანასკნელმა საქართველოს უნდა „უპატრონოს“ და თუ ეს მოლოდინი სათანადოდ არ გამართლდა, თანმდევი გულისწყრომაც არ აყოვნებს.

შესაძლოა, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ მოსახლეობის მოლოდინის არგამართლება თუ იმედგაცრუება არა მხოლოდ ევროკავშირის არასათანადო ყურადღებას ან მოსალოდნელი ჯილდოს ვერმილებას უკავშირდება, არამედ შეპირებული ჯილდოს მიღებასაც. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ქართველები განსაკუთრებით ელოდნენ ევროკავშირთან უვიზზო მიმოსვლას და აკრიტიკებდნენ კიდეც ევროკავშირს, რომ, მიუხედევად საქართველოს მიერ ყველა პირობის შესრულებისა, ის მაინც დროში ჭიმავდა ქვეყნისთვის უვიზზო რეუიმის დაშვებას. მიუხედავად ამისა, დისკუსიისას არაერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ვიზალიბერალიზაციას და-დებით ჭრილში ვერ განიხილავს, რადგან მან კიდევ უფრო მეტად უბიძგა ქართველების კრიმინალურ საქმიანობას და, შესაბამისად, ევროკავშირში ქართველების ნეგატიური იმიჯი კი არ გამოასწორა, არამედ გააუარესა კიდეც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დისკურსი ფოკუსზე ფიქრდების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებთან ჟღერდება. მაგალითად, ახალგაზრდა მონაწილე ბათუმიდან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვიზალიბერალიზაციის სარგებელს, როცა აღნიშნავს:

ვიზალიბერალიზაციამ რა მოგვიტანა?! აი,  
გერმანიაში არის გამოკრული, რომ „ქართველები,  
არ მოიპაროთ.“ ისიც ქართული ენით. რაღაც მხრივ,  
ადვილი გახდა ახალგაზრდებისათვის, რომ ნავიდნენ,  
ევროპა ნახონ... მაგრამ არის ისიც, რომ უარყოფითისკენ  
ნაგვიყვანს. განათლება კი არ მიიღონ, არამედ უფრო  
ქურდობენ (მდედრ, 18-25).

ამგვარი ლოგიკა საკმაოდ უცნაურად ჟღერს: თითქოს, ევროკავშირის ბრალი იყოს, რომ უვიზზო მიმოსვლით, ქართველებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, კრიმინალით დაკავდნენ. ამ ციტატაში შელახული ეროვნული სიამაყეც თვალსაჩინოდ ვლინდება, როცა ხაზგასმულია, რომ ეგრმანიაში პირდაპირ მშობლიურ ენაზე მიმართავენ ქართველებს, რომ არ იქურდონ. მსგავსი არგუმენტი გამონაკლისა არ წარმოადგენს და ნათლად ვლინდება სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდების დისკურსებში. მაგალითად, თბილისიდან მონაწილეს სჯერა, რომ „ადამიანებს უფრო აქცევს ეს უვიზზო

მიმოსვლა არალეგალ მიგრანტად და კრიმინალად, ვიდრე აქამდე იყვნენ, ამიტომ შეიძლება ცუდიც იყოს“ (მამრ., 18-25); თელაველი მონაწილის სიტყვებით კი, „უვიზო მიმოსვლა რაც შემოვიდა, იმის მერე გაიზარდა კრიმინალი. მიდიან, იპარავენ და მოდიან. ეს უფრო უარესია“ (მამრ., 18-25). ამგვარად, ახალგაზრდების სიტყვებით, სწორედ უვიზო მიმოსვლა „აქცევს [ქართველებს] არალეგალ მიგრანტებად და კრიმინალებად,“ რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის იმიჯზე და ქართველების მიმართ არსებულ სტიგმას კიდევ უფრო აძლიერებს.

ძალიან ცუდად აისახა, მგონი, ჩვენი ქვეყნის იერზე,  
რადგან უფრო მეტი კრიმინალი, მეტი ემიგრანტები,  
დაიცალა საქართველო და უარყოფითად აისახა ჩვენს  
იმიჯზე (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

მოცემული ციტატებიდან თვალსაჩინოა, რომ ევროკავშირისგან მიღებულ „ჯილდოს“ მოსახლეობა მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში კი არ განიხილავს, არამედ, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ნეგატიურ ჭრილშიც. უაღრესად საინტერესოა ამგვარი ხედვის სილრმისეული მიზეზების ძიება: მისი ბიძგის მიმცემი ევროკავშირზე საქართველოს ასიმეტრიული დამოკიდებულებაა, რაც იმთავითვე მოსახლეობის კრიტიკის საგანი ხდება, თუ ამგვარი ხედვის საფუძვლები ეროვნული იდენტობისა და მასთან დაკავშირებული სიამაყის უფრო ღრმა შრეებში უნდა ვეძიოთ?

## 2. ევროკავშირთან სოციალიზაციის როლი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში

### 2.1 პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის დისკურსები

როგორც წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, საქართველოს ევროპეიზაციის მთავარი მექანიზმი ევროკავშირის პირობითობაა, განსაკუთრებით, პოზიტიური პირობითობა, რომელიც ადგილობრივი რეფორმების განხორციელების სტიმული ხდება, ევროკავშირისგან შესაბამისი ჯილდოს მოლოდინში. თუმცა, აღმოჩნდა, რომ წანატრი ჯილდოს მიღებაც კი (როგორიცაა ვიზალიბერალიზაცია), შესაძლოა, მოსახლეობის საკმაოდ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს იწვევდეს და ცალსახად პოზიტიურ ჭრილში არ განიხილებოდეს. ერთადერთი

„ჯილდო,“ რომელიც ორაზროვნებას არ იწვევს და რეფორმების განხორციელების ბიძგის მიმცემად განიხილება როგორც პოლიტიკოსების, ისე მოსახლეობის მხრიდან, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივაა. თუ რაოდენობრივი კვლევის მონაცემებს მივმართავთ (CRRC, 2019) და მათ რეგრესიულ ანალიზს მოვახდენთ, ძირითადი ფაქტორები, რაც ქვეყნის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის ხედვაზე გავლენას ახდენს, არის ვიზალიბერალიზაციის მიმართ დამოკიდებულება, საქართველოს დემოკრატიის დონის შეფასება, საქართველოს განვითარების მიმართულების ხედვა და ქართველების მიმართ ევროკავშირის მოსახლეობის განწყობის შეფასება. ცხადია, რომ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის ოპტიმისტური ხედვა პოზიტიურ კორელაციაშია უვიზო მიმოსვლის დადგებით ხედვასთან, აგრეთვე როგორც საქართველოს შიდა მდგომარეობის, ისე გარედან (ევროკავშირის მოქალაქეების მიერ) მისი აღქმის ოპტიმისტურ შეფასებასთან. მიუხედავად იმისა, რომ წევრობის ჯილდოს მიღება, უკეთეს შემთხვევაში, შორეული მომავლის პერსპექტივად მიიჩნევა, ის მაინც ქვეყნის ევროპეიზაციის ძირითად სტიმულად გვევლინება. საინტერესოა, ასეთ პირობებში, რჩება თუ არა სივრცე სოციალიზაციის მექანიზმის ამოქმედებისთვის და საქართველოს მიერ რიგი რეფორმების საკუთარი ინიციატივით განხორციელებისთვის.

როგორც მმართველი პარტიის დისკურსიდან ჩანს, მისი წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობენ, სწორედ სოციალიზაცია წარმოაჩინონ საქართველოს ევროპეიზაციის წარმმართველ მექანიზმად. ცხადია, სოციალური სასურველობის თვალსაზრისით, შიდა აუდიტორიასთან მნიშვნელოვანია იმის დეკლარირება, რომ მიმდინარე რეფორმებზე ინიციატივა თავად გეკუთვნის და არა გარეშე ძალის მოთხოვნაა და მხოლოდ იმიტომ სრულდება, რომ დეტალურად არის განვითარების ასოცირების ხელშეკრულებით; ხოლო გარე აუდიტორიასთან მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ თავად გაქვს გაცნობიერებული ამ რეფორმების საჭიროება ქვეყნის პროგრესისა თუ მოდერნიზაციისთვის, ამიტომ სულ არ გჭირდება გარედან კარნაზი, არამედ მიზანმიმართულად გადმოგაქვს ევროკავშირისგან ის, რაც ამ პროგრესის სანინდარია. მსგავს კონტექსტში, ევროკავშირი „მენტორად“ თუ „მასწავლებლად“ გვევლინება, საქართველო კი – ბეჯით „მოსწავლედ“, რომელმაც მასწავლებლის გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს და საუკეთესო პრაქტიკა დანერგოს.

აღნიშნული ხედვა თვალსაჩინოდ ვლინდება საპარლამენტო უმრავლესობის დისკურსებში. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, მართალია, „კონკრეტული სტანდარტები“ ასოცირების ხელშეკრულებით არის განერილი, მაგრამ მათ თავს არავინ გვაძვევს, „ჩვენ თავად მივიწევთ [მათკენ]... ზოგს შეიძლება გავსანროთ კიდეც. [უბრალოდ, ევროკავშირი]... გვეხმარება, სწორად განვსაზღვროთ, სწორად დავინახოთ.“ რესპონდენტის სიტყვებით, ეს დახმარება თუ დაკვალიანება საქართველოს იმიტომ სჭირდება, რომ ის ავტორიტარული წარსულის მქონე ქვეყანაა და ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პრიორიტეტების განსაზღვრაში, რომლისკენაც ის „თავად მიიწევს.“ საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენლის სიტყვებით, „სწორია, რომ მტკივნეული რეფორმები შედის ამ ჩვენს ევროინტეგრაციის პროცესში და ვიცით, რომ ეს არის უალტერნატივო გზა, რომ ეს რეფორმები გავიაროთ, რომელიც საქართველოს მოდერნიზაციასაც ემსახურება და საკუთარი თავის განვითარებასაც.“ აქ კვლავაც თვალსაჩინოა განვითარების იდეალისტური მოდელის გავლენა, რომლის მიხედვით, ევროკავშირის სტანდარტების განხორციელება (განსაკუთრებით კი, „მტკივნეული“ რეფორმებისა) როგორც ქვეყნის, ისე ინდივიდუალური განვითარების „უალტერნატივო გზაა.“ ამდენად, შეგვიძლია ვისაუბროთ ერთგვარ „მენტალურ მოდერნიზაციაზე“, რაც ევროპეიზაციის პროცესის გარდაუვალ შედეგად განიხილება. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი:

ჩვენთვის, ქვეყნისთვის აუცილებელია ის რეფორმები, რომელიც ევროპული „ქუდის“ ქვეშ ქვეყანას ატარებს, ანუასოცირებისხელშეკრულებაარისგარანტი და საგზაო რუკა იმისთვის, რომ ქვეყნის მოდერნიზაცია მოხდეს და ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების სტანდარტი, ინსტიტუციების გამართულობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური სამართლიანობის აღქმა და ეს ყველაფერი იყოს იმ სტანდარტის და იმ ზომის, რაც ასე ძალიან მოგვწონს ევროკავშირის ქვეყნებში. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მიმდინარე რეფორმები ისე-დაც განხორციელდებოდა იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობა... [ევროკავშირი] ამ რეფორმების დაჩქარებაში, ამ რეფორმების მიმართ საზოგადოებრივ მხარდაჭერაში

და, ასევე, პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაციაში სერიოზულ როლს თამაშობს იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური მიზანი გაცხადებულია და, შესაბამისად, ყველა მოწოდებულია იმისთვის, რომ ეს რეფორმები განხორციელდეს.

ციტატის ავტორი უშაულოდ ჩამოთვლის განვითარების იდეა-ლისტური მოდელის ასპექტებს, რაც იმთავითვე ასოცირების ხელშეკრულების ნაწილად მიაჩნია: ინსტიტუციების გამართულობა (განვითარების იდეალისტურ მოდელში „სოციალური ინსტიტუტების“ შემადგენელი ელემენტი), ადამიანის უფლებების დაცვა და სოციალური სამართლიანობა (განვითარების იდეალისტურ მოდელში „სოციალური ნორმების და ღირებულებების“ შემადგენელი ელე-მენტები). ამ პარლამენტარის ხედვით, მიმდინარე რეფორმები ევროკავშირის ჩარევის გარეშეც განხორციელდებოდა, რადგან ევროკავშირთან ინტეგრაციის „პოლიტიკური მიზანი გაცხადებულია“ და ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს, რომ ეს ქვეყნის განვითარების წინაპირობაა; ანუ, გადაწყვეტილების მიმღები და რეფორმების მამოძრავებელი საქართველოა. ევროკავშირის წვლილი კი, მისი თქმით, როგორც საზოგადოებასთან, ისე პოლიტიკურ ელიტასთან მუშაობაა, რომ რეფორმების მიმართ მხარდაჭერა იყოს უზრუნველყოფილი და მათი განხორციელების ტემპი არ შენებდეს. გამოდის, რომ ევროკავშირის მონაწილეობა აუცილებელია, რათა რეფორმები დროში არ გაიჭიმოს, ხელისუფლებას მოსახლეობის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა ჰქონდეს და მეტიც, თავად პოლიტიკური ელიტაც ერთიან პოზიციას იზიარებდეს რეფორმებთან დაკავშირებით. ასეთი რიტორიკის ფონზე, საქართველო მხოლოდ ინიციატორად რჩება, რომელიც, მართალია, აცნობიერებს განვითარების აუცილებლობას, მაგრამ ევროკავშირის გარეშე სათანადო ძალისხმევას არ დებს ამ მიზნის მიღწევაში.

მსგავსი მოსაზრება მმართველი გუნდის კიდევ ერთი წარმომადგენლის დისკურსში ვლინდება, რომელიც, ერთი მხრივ, ამ-ტკიცებს, რომ საქართველო მიმდინარე რეფორმებს იმიტომ ახორციელებს, რომ ეს თავისთავად ღირებულია; მეორე მხრივ კი, აცხადებს, რომ ევროკავშირის „მოთხოვნა რაღაცეებს აჩქარებს“ და ამ მოთხოვნის გარეშე, შესაძლოა, საქართველოს ვერც კი გაებედა „რისკის განევა“:

მარტო იმიტომ არ ვაკეთებთ ჩვენ, რომ ევროკავშირს უნდა, თავისთავად ეს არის ღირებული რაღაცები. იგივე, მაგალითად, თუ მე პროდუქტის ხარისხზე ვაკეთებ კონტროლს, რომ არც იყოს ევროკავშირის წევრობა, ჩვენი მოსახლეობა არ უნდა იყოს დაცული? იგივე, თამბაქოს რეგულარიზაცია რომ მივიღეთ, კი, ევრობა მომებმარა რაღაცები, მაგრამ არ უნდა იყოს ჩემი სახელმწიფო დაცული? უბრალოდ, ის მოთხოვნა რაღაცებს აჩქარებს, რაღაცებს უფრო დროზე, შეიძლება რაღაცები ვერ გაძედო, რისკი არ განიო და ის, ასე ვთქვათ, გიბიძებს.

ამდენად, მიმდინარე რეფორმები შეფასებულია, როგორც, ერთი მხრივ, ღირებული, მეორე მხრივ კი, სარისკო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აღიარებს სხვადასხვა სფეროში შესაბამისი რეგულაციების აუცილებლობას, რათა მოსახლეობა უკეთ დაცული იყოს, ევროკავშირის „ბიძგი“ მაინც საჭიროა, რათა ამ რეგულაციების დანერგვა გარისკოს. მსგავს რისკს, შესაძლოა, ის გარემოება ინვეზდეს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ხედვით, „ჯერ ფართო საზოგადოება არ არის მომზადებული“ რიგი რეფორმების მისაღებად, რაც, მოსალოდნელია, რომ მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს და ხელისუფლების რეიტინგზე იმოქმედებს. ამ რისკის გადების სანაცვლოდ, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ევროკავშირისგანაც განსაკუთრებულ დაფასებას ელიან და სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება ევროკავშირის მხრიდან დიფერენცირებული მიღების მოთხოვნაც. ამგვარი ხედვის საუკეთესო მაგალითია საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის სიტყვები:

საქართველო, საკმაოდ რთულ სიტუაციაში, ბევრ რამეს აკეთებს იმიტომ, რომ ზოგჯერ აკეთებს ისეთ რაღაცას, რომლისთვისაც ჯერ ფართო საზოგადოება არ არის მომზადებული, მაგრამ გაცნობიერებულია, რომ ამის გაკეთება საჭიროა ევროპის, ევროპასთან ურთიერთობისთვის... ამიტომ ბევრ ქვეყანასთან შედარებით, რომელიც გახდა ევროკავშირის წევრი, საქართველოს მსგავსი კი არა, უკეთესი შედეგებიც აქვს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ევროპამ უნდა დაინახოს ეს და შეიძლება დიფერენცირებულადაც მიუდგეს.

როგორც მოცემული ციტატიდან ვიგებთ, მართალია, ფართო საზოგადოება ჯერ მზად არ არის ევროკავშირის რეფორმებისთვის, მაგრამ ხელისუფლებას ნათლად აქვს გაცნობიერებული მათი საჭიროება და იმდენად მონდომებულია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე უკეთეს შედეგებსაც კი აღწევს. ბუნებრივია, იქმნება მოლოდინი, რომ ამგვარი წარმატება ევროკავშირმაც უნდა და-აფასოს იმით, რომ საქართველოს სხვებისგან გამოარჩევს, რო-გორც „ძალიან კარგ მაგალითს“ და მის „დიდ დასაყრდენს.“ თუმცა, მსგავს დიფერენცირებულ მიდგომას უფრო მეტად ექნებოდა ადგილი, „საქართველოს რომ გამოეჩინა თავი“ და, ამავე პარლამენტარის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტადაც „დაემადლებინა თავი“ ევროკავშირისთვის, თუნდაც თავისი შესაძლებლობების და ძლიერი პროექტობული განწყობების გამო.

საქართველოში დახარჯული რაღაც გაცილებით უკეთეს შედეგს მისცემდა, საქართველოს რომ გა-მოეჩინა თავი, ვიდრე, ვთქვათ, უკრაინაში და სხვაგან დახარჯო იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ქვეყანა უფრო დიდია და უფრო მეტი სჭირდება და ძნელია; და თან საქართველო არის ძალიან კარგი მაგალითი ევროკავშირისთვის, როგორი შეიძლება იყოს და თან დასაყრდენიც; ფაქტობრივად, აქეთა სივრცეში ყველაზე დიდი დასაყრდენი საქართველო, თავისი განწყობებით, თავისი ორიენტაციებით თუ შესაძლებლობებითაც.

ადსანიშნავია, რომ ალმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან საქართველოს შედარებადამისიპირველობის ხაზგასმაგავრცელებული პრაქტიკაა მმართველი გუნდის დისკურსებში. შესაბამისად, მათ ლეგიტიმურად მიაჩნიათ მოლოდინი, რომ ევროკავშირმა სა-ქართველოს მცდელობები დააფასოს და მისი დანარჩენებისგან დიფერენცირება მოახდინოს: „ყველა თვალსაზრისით წინა ვართ, ვიდრე მოლდოვა და უკრაინა; აბსოლუტურად ყველა თვალსაზრისით თან. [...] აქედან გამომდინარე, მეტი დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა.“

მართალია, დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს, მაგრამ საკმაოდ ამბივალენტურია დისკურსები იმასთან დაკავშირებით, ახდენს თუ არა, რეალურად, ევროკავშირი საქართველოს დიფერენცირებას. ზემოთ წარმოდ-

გენილი ციტატებიდან შთაბეჭდილება იქმნება, რომ არ ახდენს. სწორედ ამიტომაა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებით, ევროკავშირმა უნდა დაინახოს, რომ საქართველო ბევრ წევრ ქვეყანაზე უკეთეს შედეგებს ავლენს და ამის გამო დიფერენცირებულად უნდა მიუდგეს (მომავალში მაინც); მეორე აღნიშნავს, რომ, რადგან „აპსოლუტურად ყველა თვალსაზრისით“ წინ ვუსწრებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს, მეტი დიფერენცირება უკეთესი იქნებოდა (ჰიპოთეტურ დროში); მესამე კი – საყვედურს გამოიტქამს, რომ საქართველო სათანადოდ არ არის დაფასებული ევროკავშირის მხრიდან მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ თავმდაბალია; არადა, ევროკავშირისთვის „თავი რომ დაემადლებინა,“ მეტადაც დაფასდებოდა. თუმცა, წარმოდგენილი მოსაზრებების პარალელურად, იმავე საპარლამენტო უმრავლესობის დისკურსებში საპირისპირო ხედვაც გვხვდება: საქართველო რომ „საკმაოდ წინ წასულია,“ ეს „ყველგან ჩანს“ და „ყოველთვის აღი-ნიშნება“ ევროკავშირის მიერ.

ყველგან ჩანს, ეს აღინიშნება ყოველთვის, არა მარტო საქართველოში, თუნდაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტები როცაა, იქაც კი გამოიკვეთება თავის პრობ-ლემატიკით. ანუ საქართველო უფრო სხვა დონის პრობლემებზე საუბრობს, როცა საუბარია, მაგალითად, სიტყვის თავისუფლებაზე და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე, რაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ზოგიერთ ქვეყანაში... ამ მხრივ, საქართველო შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ წინ წასულად.

ამგვარად, მოცემული ციტატის თანახმად, საქართველოს სხვებზე უპირატესობა იმით ვლინდება, რომ ქვეყანა გასცდა სიტყვის თავისუფლებაზე და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე საუბარს და „უკვე სხვა დონის პრობლემებზე საუბრობს.“ სწორედ დემოკრატიზაციის თუ პროგრესისა მა „სხვა დონის“ მიღწევა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის სიტყვებით, მიუხედავად აღმოსავლეთ პარტნიორობის „ერთანი კალათისადმი“ კუთვნილებისა, საქართველოს „უხერხულობამდეც კი გამოარჩევენ დანარჩენებისგან.“

ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, კომისიის იქნება ეს, ევროპარლამენტში იქნება თუ სხვა ევროპული

სტრუქტურების გამოსვლებში, ჩვენ ყოველთვის გამო-  
ვირჩევით და იმ პლატფორმაშიც კი, როცა უხერხულიც  
კია, იმიტომ რომ ეს არის ერთიანი „კალათა, “რომელშიც  
ჩვენ ვართ სხვა ქვეყნებთან ერთად, უხერხულობამდეც  
კი გამოგვარჩევენ დანარჩენებისგან. მაგრამ ჩვენ უფრო  
მეტის ამბიცია და სურვილი გვაქვს...“

მიუხედავად იმისა, რომ „უხერხულობამდეც კი გამოარჩევენ“ მისი  
პროგრესის გამო, საქართველოს კიდევ უფრო მეტი ამბიცია ჰქონია  
და ამავე რესპონდენტის თქმით, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსაც  
კი ეჯიბრება ევროპეიზაციის მასშტაბებსა და დემოკრატიზაციის  
ხარისხში. ადვილი მისახვედრია, რა არის ამ შეჯიბრის მთავარი  
მოტივაცია. რადგან დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები ევროკავშირში<sup>1</sup>  
გაწევრიანების კანდიდატებად განიხილებიან, მათთან შეჯიბრით და  
რიგ საკითხებში მათზე უპირატესობის ხაზგასმით, ირიბი მინიჭნებაა  
გაკეთებული, რომ, თუ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები წევრობის  
კანდიდატებად განხილვას იმსახურებენ, მაშასადამე, საქართველოც  
იმსახურებს. ამდენად, ევროკავშირის წევრობა იმ „ოქროს  
ჯილდოდ“ რჩება, რომელიც რეფორმების განხორციელების მთავარი  
მოტივატორია, მაშინაც კი, როცა ამ რეფორმების განხორციელება  
საქართველოს მხრიდან ინიციატივას და მოდერნიზაციის სურვილს  
მიეწერება და არა ევროკავშირის მოთხოვნებს.

როგორია, საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, სხვადასხვა  
სოციალური აქტორის როლი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში?  
ამ სამიზნე ჯგუფის წევრები ევროინტეგრაციის „ამინდის შექმნაში“  
გადამწყვეტ როლს არსებულ ხელისუფლებას მიაწერენ. ეს სადაც დაც  
არ მიაჩნიათ იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ არსებული  
ხელისუფლების პირობებში მოხდა ევროკავშირთან ასოცირების  
ხელშეკრულების ინიცირება და ხელმოწერა, აგრეთვე ევროკავშირთან  
უვიზო მიმოსვლის ამოქმედება. რამდინიმე რესპონდენტი ხაზგასმით  
აღნიშნავს, რომ, მართალია, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები  
მუდმივად იმეორებენ, რომ სწორედ მათ მოამზადეს საფუძველი  
საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებისა და ასოცირების  
ხელშეკრულების ხელმოწერისთვის, მათი მცდელობები მაინც  
რიტორიკულ დონეზე დარჩა და მხოლოდ არსებული ხელისუფლების  
პირობებში შეესხა ხორცი. უფრო მეტიც, მათი თქმით, როგორც არ  
უნდა ეცადონ ოპოზიციური პარტიები, ისინი მიმდინარე პროცესებზე  
გავლენის მოხდენას ვერ შეძლებენ, თუკი ხელისუფლების ნება არ

იქნება. ერთ-ერთი პარლამენტარის სიტყვებით, „მაინც მმართველ პარტიაზე გადადის მთელი დატვირთვა და, ფაქტობრივად, ის არის ძირითადი ლოკომოტივი იმიტომ, რომ მმართველ პარტიას თუ არ უნდა ეს, რაც არ უნდა იკივლოს, ინიოკოს ოპოზიციამ, არ გაკეთდება.“ აქვე, რესპონდენტი აღიარებს, რომ, შესაძლოა, მმართველ პარტიაში ყველა პროევროპული ხედვის მატარებელი არ იყოს, მაგრამ მთავარი ცალკეული ინდივიდის ხედვა კი არ არის, არამედ პარტიის საერთო „გეზი“: „მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიაში შეიძლება იყოს ვილაც-ვილაცები [განსხვავებული ხედვით], მაგრამ მთავარი არის გეზი და რას აკეთებს.“

თუ საპარლამენტო უმრავლესობა ნაკლებ როლს მიაწერს საპარლამენტო უმცირესობას ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში, ის კიდევ უფრო ეჭვით უყურებს არასამთავრობო სექტორის ფუნქციას. ამ კონტექსტში, ორი ძირითადი ხედვა გამოიკვეთა: ერთი ფორმალურად აღიარებს არასამთავრობო სექტორის როლს ქვეყნის ევროპეიზაციაში, თუმცა კრიტიკულად უდგება მის საქმიანობას; მეორე კი – ნეგატიურად აფასებს არასამთავრობო სექტორის როლს და „სისულელედაც“ კი მიაჩნია ევროპეიზაციის პროცესში მის წვლილზე საუბარი.

პირველი ხედვის თანახმად, მართალია, აღიარებულია ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართვის საჭიროება და ნათექვამია, რომ ეს უკანასკნელი „რაღაცას გორჩუჩხუნებს, რაღაცას გეხმარება“, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები „უფრო გაგებით უნდა მოეკიდონ რაღაცებს“ და მთავრობას „დარტყმა არ უნდა მიაყნონ“, რადგან ამით მის „ავტორიტეტისა“ და „ნდობას“ აზიანებენ. ხაზგასმულია, რომ მათ „მთლიანად მთავრობას“ კი არ უნდა შეუტიონ, არამედ მხოლოდ არასასურველი პირების „მოცილებაში“ დაეხმარონ. მოცემული ნარატივიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპონდენტი მეტად „სამთავრობო არასამთავრობო სექტორის“ ხილვას ისურვებდა. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციები გაკრიტიკებულია რიგი საკითხების „გამწვავებისთვის“, „რადგან მიჩნეულია, რომ სჭირდებათ, „ექშენში“ იყვნენ და თან ფინანსური სარგებელი ნახონ, ამიტომ, რესპონდენტის სიტყვებით, იმაზე უარეს რეალობას ხატავენ, ვიდრე სინამდვილეშია.

ხშირად არის ხოლმე, რომ არასამთავრობოს გამოყავს ისეთი პრობლემა წინ, რომელიც აჩვენებს,

რომ აქ რაღაც ძალიან ცუდად არის იმიტომ, რომ დაფინანსდეს. ასეთ შემთხვევაში, ეხლა მისთვის კი კარგია, მაგრამ საერთო სურათი შეიძლება მთლად ხელსაყრელი არ არის სამთავრობოსთვის.

გარდა იმისა, რომ მთავრობისთვის „მთლად ხელსაყრელ“ სურათს არ ხატავნ, არასამთავრობო ორგანიზაციებს იმასაც საყვედურობენ, რომ „უპირობოდ“ ახდენენ ევროკავშირის „გაკერპებას“ და თუ ვინმე გაბედავს ევროკავშირის კრიტიკას, რუსეთის მომხრედ წარმოაჩენენ. ამის საპირისპიროდ, საპარლამენტო უმრავლესობის ხედვით, არასამთავრობო სექტორის ფუნქციაა ევროკავშირის „თავისი პლიუსებით და მინუსებით“ წარმოჩენა და პირდაპირ არის აღნიშნული, რომ, რადგან ხელისუფლება, „პოლიტიკური კონიუნქტურის“ გამო, ევროკავშირს ვერ გააკრიტიკებს, ამიტომ სწორედ სამოქალაქო სექტორმა, რომელიც „უფრო თავისუფალია,“ საზოგადოებაში „უფრო ჯანსაღი სამოქალაქო დისკურსის“ შექმნას უნდა შეუწყოს ხელი.

სამოქალაქო სექტორის უმეტესობა არ აკრიტიკებენ [ევროკავშირს]... ხშირ შემთხვევაში, არის ხოლმე უპირობოდ... ცოტათი გაკერპებულია ეს თემა. ცალ-სახადთუ იწყებ საუბარს ევროპის კრიტიკაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ყველას არ ეხება – აპ, თქვენ სხვა გინდათ?! უპირობოო... და ეს არ არის კარგი იმიტომ, რომ მთავრობა იმდენს ვერ იზამს იმის ასახსნელად, რა არის ევროკავშირი და სამოქალაქო სექტორმა უნდა წარმოაჩინოს ევროპა თავისი პლიუსებით და მინუსებით. უფრო ჯანსაღი სამოქალაქო დისკურსი უნდა შექმნას არასამთავრებო სექტორმა იმიტომ, რომ ხელისუფლება, პარლამენტი და მთავრობა მთლად ამას ვერ იზამს, პოლიტიკური კონიუნქტურის ნანილია და სამოქალაქო სექტორი უფრო თავისუფალია და უფრო თავისუფლად შეუძლიათ ეს გაშალონ.

აქე უაღრესად საინტერესოა არასამთავრობო სექტორის იდენტური რიტორიკაც, კერძოდ, არასამთავრობო სექტორიდან რესპონდენტებიც ადანაშაულებენ ხელისუფლებას ევროკავშირის მიმართ არაკრიტიკული პოზიციის ქონაში. ისინი მიიჩნევენ, რომ „საბჭოთა მენტალიტეტისა“ და „თვითკოლონიური ცნობიერების

მქონე“ მთავრობა ევროკავშირს „თვალებში შესციცინებს,“ მისგან დირექტივებს მოელის და ზედმეტ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა მოხდება დასავლეთში და როგორი გავლენა ექნება ამას საქართველოზე: „მაგალითად, დასავლეთში თუ დააცემინებენ, აქ ყველა იმაზე მარჩიელობს, იქ რატომ დააცემინეს და ხომ არ ნიშნავს ეს ცუდს საქართველოსთვის“ (ამ კუთხით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთკრიტიკა დეტალურადაა განხილული იდენტობის შესახებ დისკურსების თავის 2.3 ქვეთავში „დამოუკიდებლობა და კრიტიკული აზროვნება“).

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა კიდევ ერთი და ყველაზე კრიტიკული პოზიციის მიხედვით, არასამთავრობო სექტორი ევროპეიზაციის პროცესის არათუ ხელშემწყობი, არამედ „დამაბრკოლებელია,“ რადგან, მათი სიტყვებით, ეს უკანასკნელი „ზედაპირულ ღირებულებებზე“ აპელირებს და მხოლოდ ფორმალურად უჭერს მხარს ტრანსფორმაციებს, ამიტომ მისი ჩართვა ამ პროცესში „ყველაზე დიდ სისულელედ“ მიიჩნევა.

ეს ყველაზე დიდი სისულელეა, პირიქით, და-მაბრკოლებელია იმიტომ, რომ, პირიქით, ესენი აპელირებენ ყველაზე ზედაპირულ ღირებულებებზე და არა, ვთქვათ, სოციალურ ტრანსფორმაციაზე, არა ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე და ლაპარაკობენ მხოლოდ ფორმალური უფლებების განხორციელებაზე, რომელიც, მარტივად რომ გითხრათ, სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარეშე ვერ განხორციელდება. [...] ეს გზა, რა გზითაც ისინი ცდილობენ, ზოგადად, ევროკავშირის პოპულარიზაციას, მხოლოდ ფოკუსირებით კონკრეტულ საკითხებზე და უგულებელყოფითდანარჩენი საკითხებისა, პირიქით, შეიძლება იყოს, გარკვეული თავალსა ზრისით, დამაბრნეველი.

ამგვარად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს ქვეყნის ევროპეიზაციის „ლოკომოტივად“ (მათივე სიტყვებით) მხოლოდ ხელისუფლება ესახებათ და სხვა პოლიტიკური თუ სოციალური აქტორების როლს, იქნება ეს საპარლამენტო უმცირესობა თუ არასამთავრობო სექტორი, ნაკლებ მნიშვნელობას მიაწერენ ან, შესაძლოა, დამაბრკოლებლადაც კი მიაჩნდეთ. ამას-

თან, ისინი ცდილობენ, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი არა ევროკავშირის მხრიდან მართულად, არამედ ქვეყნის მო-დერნიზაციის პროექტის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩინონ, რო-მელსაც ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით ახორციელებს და ევროკავშირს მხოლოდ როლურ მოდელად განიხილავს.

საპარლამენტო უმრავლესობის შეედულებების იდენტურია სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ხედვებიც. ისინიც ხაზს უსვამენ, რომ მიმდინარე რეფორმების ინიციატორი საქართველოს ხელისუფლებაა, ვინაიდან ნათლად აქვს გაცნობიერებული ამ რეფორმების როლი ქვეყნის მოდერნიზაციაში. აქ მრავლად გვხვდება ისეთი დისკურსები, როგორიცაა „ჩვენი ყველა რეფორმა არის შეგნებული არჩევანის შედეგი“ და „თავად ევროპული სტანდარტებია იმგვარი, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მათი დამკვიდრება მნიშვნელოვანი პირობაა თავისთავად და არა იმიტომ, რომ ევროკავშირის მოთხოვნაა ასეთი.“ ამგვარად, ერთი მხრივ, ქვეყნის ევროპეიზაციაში სოციალიზაციის მექანიზმის განმსაზღვრელი როლის დეკლარირება ხდება; თუმცა, მეორე მხრივ, როგორც წინა ქვეთავშიც აღინიშნა, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება ფენომენი, რასაც „იძულებითი სოციალიზაცია“ ვუწოდეთ და რაც აჩვენებს, რომ მიუხედავად სოციალიზაციის როლის ხაზგასმისა, ირიბად მაინც იკვეთება პირობითობის, როგორც ბიძგის მიმცემის მნიშვნელობა, თუნდაც იმის გაცნობიერებაში, რომ მიმდინარე რეფორმები „ჩვენი კეთილდღეობისთვის აუცილებელია“: „საქართველო როგორც ახორციელებს, არა იმიტომ, რომ ვიღაც რაღაცას გკარნახობს, შესაძლოა ეს წამახალისებელი ეფექტი იყოს, მაგრამ ახორციელებს, უპირველესად, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი კეთილდღეობისთვის აუცილებელი.“ ამ ციტატის თანახმად, ერთდროულად, უარყოფილიც და აღიარებულიცაა ევროკავშირის მხრიდან „კარნახის“ როლი, რომელიც, საბოლოოდ, „წამახალისებელ ეფექტად“ არის სახელ-დებული. ამავე რიტორიკის ნაწილია სამთავრობო სექტორის სხვა წარმომადგენლის სიტყვები, რომ ევროკავშირის რეგულაციები „ჩაგვსვამს იმ ჩარჩოში, საიდანაც ნელ-ნელა ვისწავლით ერთმანეთის პატივისცემას“ (ერთმანეთის პატივისცემის „იძულებით“ სწავლა) და კიდევ ერთი საჯარო მოხელის განცხადება, რომ „ის ტიპაჟები, რომლებსაც სხვანაირად არ შეუძლიათ ტოლერანტობის სწავლა, სწავლობენ ამას იძულების წესით“ (ტოლერანტობის „იძულებით“

სწავლა). ამ უკანასკნელის სიტყვებით, მსგავსი დასხავლა, თუნდაც „იძულების წესით,“ მნიშვნელოვანია ევროკავშირის, როგორც „მასწავლებლის,“ მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე:

ძალიან ბევრ სფეროში მათ ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვთ და ბუნებრივია, უნდა გავიზიაროთ, რასაც ისინი ამბობენ და გვაძლევენ იმიტომ, რომ იქითვენ მივდივართ. სხვა გზით რომ მივდიოდეთ, მაშინ სხვა მასწავლებელს ავირჩევდით.

მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა დისკურსებში თვალსაჩინოდ ვლინდება ტენდენცია, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მჭიდრო კავშირშია „მასწავლებლისგან“ „ოქროს ჯილდოს“ მიღების მოლოდინთან, ცხადია, რომ მოდერნიზაციისადმი საკუთარი მისწრაფების ხაზგასმისას, სოციალურად არასასურველია „ჯილდოს“ მოლოდინის აღიარება; შესაბამისად, საკმაოდ ხშირად გვხვდება დისკურსი, რომ საქართველო იმიტომ კი არ უნდა ახორციელებდეს რეფორმებს, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს (რაც მასზე არაა დამოკიდებული), არამედ იმიტომ, რომ განვითარდეს (რაც მასზეა დამოკიდებული): „იმიტომ არ უნდა ვემზადოთ, რომ წევრები გავხდეთ; იმიტომ უნდა ვემზადოთ, რომ ჩვენ ვიყოთ განვითარებული.“ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთ პირობებში, როცა „ოქროს ჯილდოს“ – ევროკავშირის წევრობის – მიღების პერსპექტივა ნაკლებ რეალისტურია, პირობითობიდან სოციალიზაციაზე ხდება ფოკუსის გადატანა.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რაც საპარლამენტო უმრავლესობის და სამთავრობო სექტორის დისკურსებისთვის საერთოა, არის აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან საქართველოს შედარება და მისი პირველობის ხაზგასმა. აქაც, როგორც წესი, უკრაინასთან და მოლდოვასთან ხდება პარალელის გავლება და იმის ხაზგასმა, რომ, მიუხედავად უარესი სასტარტო პირობებისა, საქართველო ევროინტეგრაციის მედროშეა და ამას როგორც ევროკავშირი, ისე თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიც აღიარებენ: „ჩვენ უფრო ცუდი საწყისი წერტილი გვქონდა და აი, ამისდა მიუხედავად, მათ არამც თუ არ ჩამოვუვარდებით, ალბათ, მათზე უფრო წინ ვართ, რასაც აღიარებენ თვითონ ევროპელებიც და თვითონ უკრაინა და მოლდოვაც.“ საქართველოს ამგვარი წარმატების მიზეზად დასახელებულია მისი მიღწევები ადამიანის უფლებების

დაცვის, სახელმწიფო სერვისების მიწოდების, სასამართლო სისტემის გამართვის, კორუფციასთან თუ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროებში. აქვე აღნიშნულია, რომ, რაოდენ კრიტიკულადაც არ უნდა იყოს მოსახლეობა განწყობილი არსებული სისტემის მიმართ, თუმე, აღმოსავლეთი პარტნიორობის სხვა ქვეყნებზე იმდენად უპირატეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ „შეიძლება გაოგნდე.“

ჩვენ, რომ შეადარო, რას ვაკეთებთ მათთან შედარებით, რა გვაქვს გაკეთებული მათთან შედარებით, იგივე სახელმწიფო სერვისების მიწოდების ან ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით... როგორც უნდა ვაკრიტიკულდეთ და რაც არ უნდა მინუსები ჰქონდეს ამ სისტემას, შედარებას ვკულისხმობ, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით, კორუფციასთან დაკავშირებით, სასამართლოებთან დაკავშირებით, როგორც არ უნდა სკეპტიკურად ვუყურებდეთ ჩვენსას, იმათ რომ შეადარო, შეიძლება გაოგნდე.

ამ მომცრო ციტატაში, ხუთჯერ გამოიყენება „შედარება“, „როგორც წარსულის („რა გვაქვს გაკეთებული“), ისე აწმყოს („რას ვაკეთებთ“) კონტექსტში. როგორც ჩანს, ამგვარ შედარებას რესპონდენტისთვის საკანონო მნიშვნელობა აქვს: თითქოს, თავადაც აღიარებს სისტემის ხარვეზებს („რაც არ უნდა მინუსები ჰქონდეს ამ სისტემას“), თუმცა, სხვებთან შედარების ფონზე, ეს „მინუსები“ უკანა პლანზე იწვეს და თვალშისაცემი ხდება საქართველოს მილნევები, რომლებიც „გაოგნებას“ იწვევს.

სოციალიზაციის მექანიზმის განხილვისას, საინტერესოა, როგორ აფასებენ სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხელისუფლების წვლილს ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ამბივალენტური ხედვა გამოვლინდა, რადგან, რესპონდენტთა წაწილის თანახმად, საქართველოს მთავრობა ყოველ-მხრივ ცდილობს ევროინტეგრაციის აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობადობის ამაღლებას და ამისთვის კომუნიკაციის სპეციალური სტრატეგიაც კი აქვს შემუშავებული. როგორც ერთ-ერთი სამთავრობო უწყების მაღალჩინოსანი აღნიშნავს, მთავრობა დიდ ძალისხმევას დებს არათუ მოსახლეობის, არამედ საეკლესიო

პირების ინფორმირებულობის გაზრდაშიც კი, რათა დაარწმუნოს, რომ ევროპული ლირებულებები არ ემუქრება ქართულ ტრადიციებს. რესპონდენტი ამაყად აღნიშნავს, რომ ხელისუფლება წელიწადში 400-მდე აქტივობას ახორციელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე და ამ მიზნით, პირადად აქვს შემოვლილი საქართველოს ყველა რეგიონი. აქტივობების ჩამონათვალს იმით ასრულებს, რომ, მიუხედავად „შეზღუდული რესურსებისა,“ მთავრობა „მაქსიმუმს ცდილობს.“ მისი თქმით, საინფორმაციო კამპანიის სამიზნე ჯგუფი „ინფორმაციის მულტიპლიკატორები“ არიან, მათ შორის – სამღვდელოებაც, რომელთან მუშაობაც ძალიან „პროდუქტიულია.“ კიდევ ერთი რესპონდენტი ხაზს უსვამს ქვეყნის მასშტაბით „ცნობიერების ამაღლების კამპანიას“ უვიზო მიმოსვლის დარღვევის ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლების „კომპლექსური მიდგომის“ ნიმუშად მიაჩნია:

საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც დაიწყო  
კომპლექსური მიდგომა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.  
ერთი იყო ძალიან ფართო, მთელი საქართველოს მას-  
შტაბით ცნობიერების ამაღლების კამპანია, სადაც  
ვხვდებოდით მოსახლეობას და ვუხსნიდით, რა  
უარყოფითი შედეგები მოჰყვება მათ მიერ უვიზო  
მიმოსვლის წესების დარღვევას.

თუმცა, სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილი უფრო კრიტიკულად უდგება ამ საკითხს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას მეტი ძალისხმევა მართებს, რათა ევროკავშირის შესახებ ცნობადობა გაიზარდოს: „ცხადია, რომ ხელისუფლება სათანადოდ ვერ ავრცელებს ინფორმაციას,“ რადგან, მოსახლეობის ცნობადობის დონეს თავი რომ დავანებოთ, „ალბათ, გამგებლების 99% ვერ გეტყვით, რა არის ევრონიტეგრაცია ან რა წერია ასოცირების ხელშეკრულებაში.“ გაუღერდა მოსაზრებაც, რომ ისევ ევროკავშირი უნდა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაში; ანუ ევროკავშირმა, როგორც სოციალიზაციის აგენტმა, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის სოციალიზაციაში.

ევროკავშირის შესახებ ცნობადობის გაზრდის კუთხით, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებ როლს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიანერენ, რადგან,

რესპონდენტების სიტყვებით, „მასას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ.“ ამის ძირითად მიზეზად მათ არასამთავრობო სექტორის შეუსაბამო „მეთოდები“ მიაჩინათ, აღნიშნავენ რა, რომ ამ უკანასკნელმა ისე უნდა მიაწოდოს საკუთარი გზავნილები ფართო საზოგადოებას, რომ „ნაკლებ გამაღიზიანებლად“ უღერდეს. ამიტომ მოსახლეობასთან „კომუნიკაციის საშუალებები... ფრთხილად უნდა შეარჩიოს,“ რასაც არ ან ვერ აკეთებს.

ის, რომ შენ გამოდიხარ და ძალიან ხშირად, ისევ ის თემა, რაც წელან ვახსენე, დღის წესრიგში არის ჩასმული უმცირესობები, სექსუალური და რელიგიური, ეს ორივე თემა ისე სენსიტიურია, ძალიან მოფრთხილება სჭირდება. ყველა სიტყვა უნდა დააწყო, როდესაც ამაზე ლაპარაკობ, თუ გინდა, რომ ეს შენ მიიტანო ფართო მასებამდე. თუ შენ ეს გინდა, უბრალოდ, რომ ანგარიშმი ჩაწერო, აი, მე გამოვედი ამაზე, გააჩინა შენ რა გაქვს მიზანი. თუ შენ ფართო მასებს დაანახე, რომ ეს მნიშვნელოვანია და ეს გინდა გაკეთდეს აუცილებლად და ჩვენ უნდა დავიცვათ აუცილებლად და ეს საფრთხეს არ წარმოადგენს, ამისთვის გარკვეული კომუნიკაციის საშუალებები უნდა შეარჩიო; უნდა შეარჩიო ფრთხილად. ხანდახან ამას არ აკეთებენ ან ვერ აკეთებენ.

სამთავრობო სეტორის ის წარმომადგენლებიც კი, რომლებიც სიფრთხილით უდგებიან არასამთავრობო სექტორის კრიტიკას და არასამთავრობო სექტორის ევროპეიზაციის პროცესში ჩართვის აუცილებლობის სოციალურად სასურველ ნარატივს გვთავაზობენ, უფრო საკუთარი მზაობის ხაზგასმის ცდილობენ, რომ საზოგადოების რაც შეიძლება მეტი ჯგუფი ჩართონ ქვეყნისთვის აქტიუალური საკითხების გადაჭრაში. გვხვდება შემთხვევებიც, როცა აღნიშნულია, რომ სწორედ სამთავრობო სექტორი „ამარაგებს“ არასამთავრობოს საუკეთესო კადრებით, ამიტომ ამ კადრების გამოყენება ევრო-პეიზაციის პროცესში სამთავრობო სექტორისთვისაც სასარგებლოა:

ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტია არასამთავრობო სექტორშიც და მათი ცოდნა, გამოცდილება არ უნდა დაიკარგოს და ისინიც უნდა აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესებში. ხშირად, მთავრობაში

არ არის იმდენად მაღალი ხელფასები ჩვენთან, რომ გაჩერდეს კარგი სპეციალისტი და გარბის და ხშირად, არასამთავრობო სექტორში უფრო კარგი ხელფასია ხოლმე. შესაბამისად, არის შემთხვევები, როცა არასამთავრობო სექტორშიც ძალიან კარგი სპეციალისტები ხვდებიან და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ჩართული იყოს არასამთავრობო სექტორი.

ამგვარი რიტორიკის ფონზე, რომელიც არა მხოლოდ ქართულ რეალობაში გვხვდება (სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მსგავს რიტორიკას რუმინეთში აღნერს Sampson, 2003), სამთავრობო სექტორის წარმომადგენლების საყვედლურით აღნიშნავენ, რომ არა-სამთავრობო სექტორი სათანადოდ ვერ აფასებს ხელისუფლების წვლილს ქვეყნის ევროპეიზაციაში და მხოლოდ მისი კრიტიკით არის დაკავებული. მართალია, აღნიშნავენ, რომ მზად არიან კრიტიკის მისაღებად, მაგრამ იმასაც უსვამენ ხაზს, რომ „არავის უნდა, რომ მარტო აკრიტიკებდე,“ არამედ შექებაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მარტო კრიტიკა ხდება, მარტო ცუდ რაღაცებზე ხდება ყურადღების გამახვილება და არ ხდება იმის დაფასება, რაც არის კარგი. [...] ვიღაცამ მარტო გაკრიტიკოს, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც კარგსაც შეიძლება აკეთებდე, ვერ ერთი, რომ ნიჰილიზმის განცდა შენც გიჩნდება; ვინც გაკრიტიკებს, იმისადმი განეწყობი კრიტიკულად; საბოლოო ჯამში, კი, კი, კარგია, გამაკრიტიკე იმიტომ, რომ მაწყობს, მინდა, რომ დავინახო ეს ყველაფერი, მაგრამ არავის უნდა, რომ მარტო აკრიტიკებდე; იმას უნდა, რომ თან შეაქო.

საპარლამენტო უმრავლესობის და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია საპარლამენტოუმცირესობისდისკურსი. ესუკანასკნელიუფროკრიტიკულად აფასებს საქართველოს ევროპეიზაციაში სოციალიზაციის მექანიზმის როლს და აღიარებს „ოქროს ჯილდოს“ მნიშვნელობას, როგორც რეფორმების განხორციელების მთავარ სტიმულს. უფრო მეტიც, მიაჩნია, რომ საქართველოს წევრობის პერსპექტივა რომ იყოს გარკვეული, რეფორმებიც გაცილებით სწრაფად განხორციელდებოდა. თუმცა, რადგან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი საპარ-

ლამენტო უმცირესობის დისკურსებში მუდმივად ხდება ხაზგასმა, რომ ევროკავშირთან რეალური ინტეგრაცია სწორედ მათი მმართველობის პროცესში დაიწყო და ასოცირების ხელშექრულების ხელმოწერასაც მათი მმართველობისას ჩაეყა საფუძველი, ამიტომ აღნიშნულია, რომ საქართველომ თავად აირჩია ეს გზა, რადგან ევროპეიზაცია არის „შუქურასავით, რომელიც გზას გვინათებს“ და რომ ევროკავშირის მხრიდან დირექტივებს ადგილი არ ჰქონია: „ევროკავშირი არაფერს გვაიძულებს, არც ითხოვს, უბრალოდ ეს არის ის გზა, რაც ჩვენ ავირჩიეთ და არ არის სადამსჯელო პროცესი. ამ რეფორმების რეალისტურად გაკეთება არის მნიშვნელოვანი და არა ფასადურად.“ აქ, თითქოს, ერთგვარი ირიბი მინიშნებაა, რომ, რადგან ევროკავშირი „არაფერს გვაიძულებს“ და არც სადამსჯელო ორგანოს წარმოადგენს, შესაძლოა, რიგი რეფორმები ფასადურადაც კი ხორციელდებოდეს. ამით, ირიბად, გარკვეული კრიტიკა ვლინდება არსებული ხელისუფლების მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე რეფორმების განხორციელებაზე.

მიმდინარე რეფორმების „რეალისტურად“ და „არა ფასადურად“ განხორციელების აუცილებლობა განსაკუთრებით ხაზგასმულია იმის ფონზე, რომ მათ მთავარ პიძგად მიჩნეულია „საზოგადოების მოთხოვნილება მოდერნიზაციის“ მიმართ. უფრო მეტიც, ისიც კი არის აღნიშნული, რომ ასოცირების ხელშექრულებით გათვალისწინებული პირობებიც კი არ არის საქართველოსთვის თავსმოხვეული, არამედ ცვლილებისადმი ქართველების „შინაგანი მუხტის“ შედეგია.

ჩვენი რეფორმების მთავარი „დრაივი“ არის საზოგადოების მოთხოვნილება მოდენიზაციის და უკეთესი ცხოვრების მხრივ... თუ გარედან მართვას იმას დავარქმევთ, რომ ბევრმა მიიღო განათლება დასაკუთრებული და მერე ჩამოვიდა და ესენი იყვნენ ამ რაღაც „დრაივის“ მონაწილეები, ეგრე შეიძლება. მაგრამ ჩვენი შინაგანი მუხტი ცვლილების იყო აუცილებელი. მათ შორის, ასოცირებაშიც რაც გვინერია, ეს არ არის ის, რომ დაგვიწერეს.

ამგვარი ხედვიდან გამომდინარე, ლოგიკურად ულერს საპარ-ლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა თანხმობა დებულებაზე, რომ ევროატლანტიკიური არჩევანი არა პოლიტიკური ელიტის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია. ამით მხოლოდ მოსახლეობის

მხრიდან „მოდერნიზაციის მოთხოვნილება“ კი არ არის ხაზგასმული, არამედ არსებული ხელისუფლების წვლილის აღიარების საჭიროებაც აღარ დგას. საპარლამენტო უმრავლესობაც ასეთივე ენთუზიაზმით ეთანხმება ზემოხსენებულ დებულებას, რადგან, გარდა მოსახლეობის პროექტობულობის წარმოჩენისა, აღნიშნული დებულება წინამორბედი ხელისუფლების დამსახურებებზე თვალის დახუჭვის შესაძლებლობას აძლევს.

ამ კონტექსტში, ნიშანდობლივია წინა ხელისუფლების წარმომადგენელი საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან იმის ხაზგასმა, რომ „რეალური გარღვევა“ ევროინტეგრაციის მიმართულებით „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში მოხდა, და რომ ამჟამად, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში „ეროზიას“ და „უკაუსვლას“ აქვს ადგილი, რადგან „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ნების დეფიციტს განიცდის. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა ტიპური დისკურსის ნიმუშია ქვემოთ მოცემული ციტატა:

მაინც ისეთი რეალური გარღვევა მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში იმიტომ, რომ 2012 წლისთვის ყველა ეს პროცესი, ასოცირება, თავისუფალი ვაჭრობა და უვიზო მიმოსვლა ისეთ ფაზაში იყო მიყვანილი, რომ, სიმართლე გითხრათ, ასოცირებამდე ძალიან ცოტა რამე იყო დარჩენილი, ხელის მოწერის გარდა და ესეც გაიწელა. უვიზო მიმოსვლას, დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო სწრაფად მივიღებდით ჩვენ, ხელისუფლების ცვლილება რომ არ მომხდარიყო. გარდა ამისა, ეს ევროინტეგრაციის მემკვიდრეობა, ვფიქრობ, რომ არის „ქართული ოცნების“ მოსვლამდე შექმნილი და განწყობაც, რომლის წინააღმდეგ წასვლაც მერე რთულია... თუმცა, სერიოზული შეფერხება გვაქვს ბოლო პერიოდში ევროკავშირთან ინტეგრაციაში იმიტომ, რომ ის ბევრი მძლავრი ინსტიტუცია, რომელიც უნდა შექმნილიყო ქვეყანაში, არ არის შექმნილი.

ამგვარად, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათი მმართველობის პერიოდში, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ისეთ ფაზამდე იყო მიყვანილი, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერალა იყო დარჩენილი და ისიც დროში

გაიჭიმა. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მათი მმართველობის პირობებში, ქვეყანა ვიზალიბერალიზაციასაც უფრო სწრაფად მიიღებდა. გარდა პოლიტიკური პლატფორმის მომზადებისა, საკუთარი მმართველობის კიდევ ერთ დამსახურებად მოსახლეობაში პროევროპული განწყობების გავრცელება მიაჩნიათ, „რომლის წინააღმდეგ წასვლაც მერე რთულია“; არსებულ ხელისუფლებას კი – პოლიტიკური წების წაკლებობასა და ევროინტეგრაციის პროცესის „სერიოზულ შეფერხებაში“ ადანამაულებენ, რის თანმდევადაც „ამბიციურობისა“ და „პროაქტიურობის“ დეფიციტს ასახელებენ: „ამ ყველაფერს ჩვენ უფრო პროაქტიურად უნდა ვაკეთებდეთ, ვაწესებდეთ მეგობრებს, რომ შეანუხონ სკეპტიკოსები და, ამ შემთხვევაში, ხდება ის, რომ ჩვენ რაღაცებს ვერ ვაკეთებთ თუ არ ვაკეთებთ.“ ყველაზე სავალალოდ კი ის მიაჩნიათ, რომ, მათი სიტყვებით, „პოლიტიკური ელიტა საზოგადოების ამ აზრს [პროევროპულ განწყობებს] ვერ მიყვება, ამას ხედავს ევროკავშირიც.“ ამგვარად, საპარლამენტო უმცირესობა მკვეთრად მიჯნავს ორ სტრატეგიას: ერთს საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართულებით საკუთარ პროაქტიურ პოლიტიკას უწოდებს, მეორეს კი – არსებული ხელისუფლების პასიურ თუ არაამბიციურ პოლიტიკას. ამ სამიზნე ჯგუფს, ცალსახად, საკუთარ დამსახურებად მიაჩნია, რომ „ევროინტეგრაციის მემკვიდრეობა“ იმდენად ძლიერია და საზოგადოებრივი განწყობები იმდენად პროევროპულია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოების ამ აზრს ვერ მიყვება,“ არსებული ხელისუფლებისთვის ძალიან რთულია მის წინააღმდეგ წასვლა.

იმ პირობებში, როცა არსებული ხელისუფლება კრიტიკის სამიზნე ხდება, როგორ აფასებს საპარლამენტო უმცირესობა არასამთავრობო სექტორის, როგორც ხელისუფლების მეთვალყურის, როლს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში? საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ცდილობენ, არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვან ძალად წარმოაჩინონ მიმდინარე ტრანსფორმაციების პროცესში და ხაზი გაუსვან, რომ ის ხელისუფლების როგორც ბიძგის მიმცემის, ისე მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებს. ისინი აღნიშნავენ, რომ „ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა, ყველა კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი [არასამთავრობო ორგანიზაციების] უშუალო მონაწილეობით მოხდეს.“ თუმცა, მიუხედავად ამგვარი ხედვისა, აქაც სახეზეა კრიტიკა (უფრო რბილი თუ მოკრძალებული, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობის

შემთხვევაში), რომ არასამთავრობო სექტორი „მოძველებული მიდგომებით“ გამოირჩევა, „ძველი პარადიგმებით“ აზროვნებს და ამიტომ საზოგადოების ნდობით ნაკლებ სარგებლობს. აღნიშნულია, რომ არც სტრატეგიები აქვს შემუშავებული, რათა საზოგადოების მხრიდან მეტი ნდობა და მხარდაჭერა მოიპოვოს, და არც იმის „სილრმისეულ გააზრებას“ ახდენს, თუ რამდენად ქმედითი იქნება მისი ინიციატივები:

აი, სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლოს თვალსაზრისით, რა ინიციატივითაც გამოდიან, ხშირად მაქვს მათთანაც კითხვა, რა შეიცვლება? აი, მაგალითად, იუსტიციის საბჭოში თქვენ ითხოვთ, რომ ახლად დაგაკომპლექტოთ, სხვანაირად, აი, რა შეიცვლება? რა გაძლევთ იმის თქმის უფლებას, რომ შედეგზე გავალთ? სამწუხაროდ, ეს სილრმისეული გააზრება არ ხდება.

ამგვარად, ყოფილი ხელისუფლების ნარმომადგენელი საპარ-ლამენტო უმცირესობის წევრები, ევროინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ შედეგებს საკუთარ დამსახურებად მიიჩნევენ და არსებულ ხელისუფლებას პროეკტოპული სენტრიმენტების ნაკლებობაში ადა-ნაშაულებენ. მიუხედავად მოლოდინისა, რომ ისინი დადებითად შეაფასებდნენ ქვეყნის ევროპეიზაციაში არასამთავრობო სექტორის როლს, საპარლამენტო უმცირესობის ნარმომადგენლები საკმაოდ კრიტიკული აღმოჩნდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმარ-თაც და ისინი არაქმედითი სტრატეგიების გამოყენებასა და პრო-ცესების „სილრმისეული გააზრების“ დეფიციტში დაადანაშაულეს. საქართველოს ევროპეიზაციის ძირითად მექანიზმად კი მათ არა სოციალიზაცია, არამედ ევროკავშირის მხრიდან პირობითობა დაასახლეს, რომელიც, ამ ეტაპზე (წევრობის პერსპექტივის არარსებობის პირობებში), არასაკმარისად ქმედითად მიაჩნიათ, რათა რეფორმების სრულყოფილად განხორციელებას უბიძგოს.

როგორ აფასებენ როგორც სოციალიზაციის მექანიზმის როლს, ისე სხვადასხვა აქტორის ჩართულობას ევროინტეგრაციის პროცესში ინტელექტუალური ელიტის ნარმომადგენლები? ისინი პირდაპირ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოს ევროპეიზაციის მამოძრავებელი ევროკავშირის მხრიდან პირობითობაა. მათი სიტყვებით, კარგი იქნებოდა, რომ საქართველო ევროკავშირის რეფორმების განხორციელების ინიციატორი იყოს და ამას

თვითგანვითარების მიზნით აკეთებდეს; თუმცა, რეალურად, ასე არ არის და საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ საქართველოს მოტივაცია წევრობის პერსპექტივის მიღებაა. სწორედ ამიტომაა, რომ, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლების შეფასებით, ხელისუფლება საკმაოდ ნელა მიიჩევს წინ და რეფორმებს საკმაოდ „დუნედ“ ახორციელებს, რადგან ევროკავშირის მხრიდან მკაფიო „ჯილდო“ არ ჩანს. აქვე აღნიშნულია, რომ, მართალია, ხელისუფლებას ესმის, რომ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმები საქართველოს მოქალაქების უკეთეს ცხოვრებას უზრუნველყოფს, მაგრამ ხელშესახები სარგებლის წარმომადგენლების პირობებში, ის ამ ცვლილებების განხორციელებას „დროში წელავს.“

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში, სოციალიზაციის მექანიზმი საქართველოს ევროპეიზაციაში დომინანტურ როლს არ თამაშობს, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ სამომავლოდ მისი როლის ზრდას. უფრო მეტიც, ისინი ხახს უსვამენ ამ უკანასკნელის მნიშვნელობას რეფორმების უფრო ეფექტიანად განხორციელებისა და მიღწეული შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად. ამ საკითხზე მსჯელობისას აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა სწორედ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება უნდა ასწავლოს საქართველოს, რათა ქართველებმა გააცნობიერონ, რომ თავად უნდა მოუარონ საკუთარ ქვეყნას და არა სხვისი „პატრონობის“ იმედად იყვნენ:

რა უნდა გვასწავლოს ევროკავშირმა და, პირველ რიგში, მან უნდა გვასწავლოს ევროპული ლირებულებები და ის, რომ ჩვენ ვართ ჩვენი თავის ძატონ-პატრონები, ჩვენ უნდა მოვუაროთ ჩვენს ქვეყნას, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები, უნდა ვიყოთ დამოუკიდებლები (აკადემიური სფერო).

აღნიშნულის სწავლების საჭიროება განსაკუთრებით ხაზგასმულია იმის ფონზე, რომ, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობაც და პოლიტიკური ელიტებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირი თავის თავზე აიღებს ქართველების პრობლემების გამოსწორებას და, მისი თქმით, სწორედ ამაში ვლინდება ქართველების „თვითკოლონიზების“ მცდელობა. მსგავსი ხედვა კიდევ ერთი რესპონდენტის სიტყვებში ვლინდება, რომლის თანახმად,

ამ ეტაპზე საზოგადოების რაღაც ნაწილი, რომელიც მიჩვეული არის ამ რაღაც კოლონიად ყოფნას, ასე აღიქვამს, რომათ, ვთქვათ, ადრე მოსკოვისგან ვიღებდით რაღაც ინსტრუქციებს, ეხლა ევროპისგან მივიღებთ და გვეშველება... შენ თვითონ უნდა მართო შენი თავი და თუ ასე აღიქვამ, რომ, ვთქვათ, ბრიუსელისგან ნამოვა რაღაც ინსტრუქციები და ამას შეასრულებ და ავტომატურად კარგად იქნები, ეს, პირიქით, უარესობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება იმ აზრით, რომ საკუთარ პრობლემებზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ (არასამთავრობო სექტორი).

ამ რიტორიკით, რადგან ქართველებისთვის უცხო არ არის „რაღაც კოლონიად ყოფნა,“ თითქოს, ერთგვარი მოლოდინიც კი არსებობს საზოგადოებაში, რომ ახლა უკვე ევროკავშირმა, როგორც რუსეთის ჩამნაცვლებელმა, უნდა „უბატრონოს“ ქართველებს. ცხადია, რომ ამგვარი ხედვა ევროკავშირზე საქართველოს ასი-მეტრიულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებით კი, ეს დამოკიდებულებაც უნდა შეიცვალოს და მისი თანმდევი რიტორიკაც, კერძოდ, „მთავრობიდან უნდა წამოვიდეს, რომ ჩვენ გვინდა ეს შეცვალოთ – [ქართულმა] საზოგადოებამ და არა ის, რომ ბრიუსელს უნდა“ (არასამთავრობო სექტორი).

ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქართველო „მტკივნეული“ რეფორმების განხორციელებასაც კი ენთუზიაზმით უნდა მოეკიდოს, რადგან ამის გარეშე ქვეყნის პროგრესი წარმოუდგენელია. აქვე ხაზგასმულია, რომ, რადგან „მტკივნეული“ რეფორმების განხორციელება მთავრობის რეიტინგს დარტყმას აყენებს, მთავრობამ არ უნდა სცადოს არაპოპულარული რეფორმების ევროკავშირისთვის გადაბრალება, არამედ მოსახლეობას უნდა აუხსნას ქვეყნის მოდერნიზაციისთვის მათი საჭიროება. რაც მთავარია, ეს რეფორმები უნდა განხორციელდეს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების მოლოდინი.

ცალსახაა და ძალიან კარგია, რომ ევროინტეგრაციის პროცესი ამ მტკივნეული რეფორმების გატარებას დღის წესრიგში აყენებს, რამდენადაც ვფიქრობ, რომ ამის გარეშე პროგრესი და განვითარება ძალიან

რთულად წარმოსადგენია. იგივე, გარემოს დაცვა იქნება ეს თუ ტექდათვალიერების საკითხი და ის, რაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ეს ის არის, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, მიუხედავად იმისა, თავს მოვიაზრებთ თუ არა ევროკავშირის წევ-რად. კარგია, რომ ევროკავშირი ამაში გვეხმარება (აკადემიური სფერო).

„მტკივნეული“ რეფორმების სიაში, პირველ რიგში, ანტიდის-კრიმინაციული კანონი ხვდება, შემდეგ - ტექდათვალიერება, საკვების უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და სხვ. მაშინაც კი, როცა ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები საკმაოდ პესიმისტურად უყურებენ მოსახლეობის მზადყოფნას ზემოხსენებული რეფორმების მისაღებად, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ამ მიმართულებით თანმიმდევრული მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა საზო-გადოებამ მოახერხოს ყველაფრის „გადახარშვა“ და მოელიან, რომ ეტაპობრივი მენტალური ცვლილებების კვალდაკვალ, ქართველები მეტად გაიშინაგნებენ მათ საჭიროებას, იქნება ეს ტოლერანტობასთან თუ სხვა სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებით. ტოლერანტობის თემაზე საუბრისას, რესპონდენტებს ნიმუშად მოყავთ როგორც აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნები, მაგალითად, რუმინეთი, რომელიც მართლმადიდებელი ქვეყანაა, საკმაოდ დისკრიმინაციული იყო სხვადასხვა უმცირესობის მიმართ და თანდათანობით სწავლობს ტოლერანტობას, ისე ევროკავშირის ქველი წევრებიც, მაგალითად, ესპანეთი, რომელიც ევროკავშირის დამსახურებით, საკმაოდ კონ-სერვატული ქვეყნიდან „გადაიქცა ყველაზე ლიბერალურ ქვეყანად ევროპაში.“ გარემოს დაცვაზე საუბრისას, ხაზგასმულია ევროკავშირის ქვეყნების განსაკუთრებული ზრუნვა გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად, რასაც კონკრეტული ქვეყნის პერსპექტივიდან კი არ უდგებიან, არამედ გლობალურად. ამის საპირისპიროდ, განხილულია ქართველი მძღოლების მაგალითი, რომლებიც რიგ ხრიკებს მიმართავენ, რომ ტექდათვალიერება გაიარონ და არათუ, ზოგადად, გარემოს დაცვის საკითხი, არამედ საკუთარი ქალაქის დაბინძურებაც კი არ აღლელვებთ.

საქართველო უნდა მოემზადოს იმ დონეზე, რომ რეალურად შეძლოს ამ რეგულაციების დანერგვა

და არა ქალალდზე, მაგალითად, გამონაბოლქვის მი-  
მართულებით, როდესაც, ფაქტობრივად, ქალაქის  
ტრანსპორტის მძღოლები ერთმანეთს უცვლიან სხვა-  
დასხვა ნაწილებს, გადიან შემოწმებას და მერე ისევ  
ბოლავენ ქალაქს. ხომ მოგეხსენებათ, როგორც არის...  
(არასამთავრობო სექტორი).

აღნიშნული ნიმუშების განხილვის შედეგად, გამოთქმულია  
ვარაუდი, რომ ქართულ საზოგადოებას შესაბამისი დრო სჭირდება,  
რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდეს სასურველ ცვლილებებამდე. პროცესი  
რომ ნარმატებული იყოს, ხელისუფლებამ სათანადოდ უნდა იმუშავოს  
მოსახლეობასთან, რათა ევროკავშირის სიკეთეებში დაარწმუნოს და  
თან მის თვალში ევროკავშირის ხიბლი გაზარდოს:

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აუხსნას მო-  
სახლეობას, რომ ევროკავშირი, რეალურად, ყვე-  
ლაზე განვითარებული ქვეყნების კავშირია, რომ  
განვითარებაში რას ვგულისხმობ, არა მხოლოდ ეკო-  
ნომიკური, არამედ ყველაზე დემოკრატიული ქვეყ-  
ნების კავშირია... საკმაოდ პრესტიული კავშირია  
(არასამთავრობო სექტორი).

სწორედ ამ კონტექსტში, თავს იჩენს ხელისუფლების ნარ-  
მომადგენლების მოსახლეობასთან არასათანადო კომუნიკაციის  
დისკურსი. ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან აფილი-  
რებული ინტელექტუალური ელიტის ნარმომადგენელი, „მტკივ-  
ნეულ“ რეფორმებზე საუბრისას, ხაზს უსვამს ხელისუფლების  
„მოსახლეობასთან ლაპარაკის უუნარობას.“ ერთ-ერთი არასამ-  
თავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კი აღნიშნავს, რომ პო-  
ლიტიკოსები „თავს არ იწერებენ მოსახლეობასთან კომუნიკაციით“  
და ეს „როლი უნდა შეიცვალოს“: „მტკივნეული პროცესია და ამიტომ  
ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსები გულწრფელად  
უხსნიდნენ საზოგადოებას, რა პრობლემები იქნება და რა შედეგები.  
ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკოსების როლი უნდა შეიცვალოს.“  
რესპონდენტი აკადემიური სფეროდან ცდილობს, ხელისუფლების  
საინფორმაციო კამპანიები გაიხსენოს, რომელთა მიზანიც ევრო-  
კავშირის შესახებ ცნობადობის გაზრდა იქნებოდა, თუმცა,  
საბოლოოდ, ეჭვს გამოთქვამს, ხელისუფლებას მსგავსი სტრატეგია  
ჰქონდეს. მას ის ერთადერთი საინფორმაციო კამპანია ახსენდება,

რომელზეც სამთავრობო სექტორის წარმომადგენელი სიამაყით საუბრობდა და ხელისუფლების „კომპლექსური მიდგომის“ ნიმუშად განიხილავდა.

არა მგონია, რომ რაიმე ასეთი პოლიტიკა არ-სებობდეს. ერთადერთი, რაც მახსენდება, ეს არის, რატომ არ უნდა დარჩეო ევროკავშირში და არ დაარღვიო კიზაში მოცემული შენი უფლება-მოვალეობები. ეს იყო ერთადერთი კამპანია, რომელიც ორი თვე გრძელდებოდა და შემდეგ ამას არაფერი მოჰყოლია (აკადემიური სფერო).

არსებობს უფრო კრიტიკული შეფასებებიც, მაგალითად, რომ ხელისუფლება „არაფერსაც არ ცდილობს“ და „არათუ მოსახლეობის, არამედ თავად პოლიტიკოსების ცნობადობაც ევროკავშირის შესახებ საკმაოდ დაბალია“ (არასამთავრობო სექტორი). ამგვარი ხედვის ფონზე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევთ იმ საინფორმაციო პასუხისმგებლობის ზიდვა, რაც, პრინციპში, მთავრობის პასუ-სისმგებლობა უნდა ყოფილიყო, და ამის ახსნა-განმარტება მო-სახლეობის ყველა ფენისთვის გასაგებ ენაზე.“ უფრო მეტიც, მათი თქმით, არასამთავრობო სექტორი ერთადერთია საქართველოში, ვინც მხოლოდ „ზედაპირული, ტრაფარეტული“ განაცხადებებით არ შემოიფარგლება და სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს როგორც ხელისუფლებასთან (მაგალითად, ევროკავშირის საგ-ზაო რუკაზე მუშაობა), ისე მოსახლეობასთან (ცნობიერების ამაღ-ლებაზე მუშაობა). თუმცა, რესპონდენტები გულდაწყვეტით აღნიშნავენ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, არასამთავრობო სექ-ტორს არც მთავრობა უსმენს (რომელიც ეჭვითაც კი უყურებს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას) და არც მოსახლეობა (რომლის ძირითადი საზრუნვავი საკუთარი სოციოეკონომიკური პრობლემების მოგვარებაა). ამდენად, მათ მნიშვნელოვნად მიაჩ-ნიათ არასამთავრობო სექტორის როლის გაზრდა, ერთი შერივ, ხელისუფლებაზე მეტი ზენოლის მოსახდენად, რომ ამ უკანასკნელმა სამოქალაქო საზოგადოება მეტად ჩართოს რეფორმების დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში და, მეორე მხრივ, ევროინტეგრაციის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მნიშვნელოვნად

## 2.2 მოსახლეობის დისკურსები

მართალია, მოსახლეობის დისკურსებშიც ხაზგასმულია პირობითობის, როგორც ევროპეიზაციის წამყვანი მექანიზმის, როლი საქართველოში, მაგრამ, იმავდროულად, თვალსაჩინოდ ვლინდება ევროკავშირის, როგორც არა დირექტივების მიმცემის, არამედ „მასწავლებლის“ და საქართველოს, როგორც მისი „მოსწავლის“ წარმოჩენის მცდელობა. თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეთა შორის გაულირდა მოსაზრება, რომ ევროპეიზაცია ქართული

საზოგადოებისთვის (რომელსაც „აკლია ის ცნობიერება,“ რაც ევროკავშირს აქვს) „მენტალური მოდერნიზაციის“ პროცესია; ამიტომ ეს უკანასკნელი უნდა დაქმაროს საქართველოს ახალი ხედვის განვითარებაში და თუნდაც იმის გააზრებაში, რომ „ყველა ადამიანი არის ინდივიდუალური და მისი მოსაზრება უნდა იქნეს დაფასებული“ (ბათუმი, მდედრ., 18-25). რესპონდენტს სხვადასხვა ეთნიკური და სექსუალური ჯგუფის მაგალითი მოჰყავს და მიიჩნევს, რომ მათ მიმართ დამოკიდებულების შესაცვლელად არასაკმარისია მხოლოდ ევროკავშირის დირექტივები, არამედ „ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხა უნდა მოხდეს.“

სხვა მონაწილეებიც მსგავს მოსაზრებას გვთავაზობენ: იმისთვის, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები არ დაირღვეს, თავად „ცნობიერება უნდა შეიცვალოს.“ ცნობიერების შესაცვლელად კი მხოლოდ გარეგანი რეგულაციები არ არის საკმარისი, არამედ ევროკავშირის ქვეყნებიდან მაგალითის აღებაა საჭიროო (გორი, მდედრ., 18-25). ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი ამ მაგალითის აღებაშიც ეხმარება საქართველოს: „ევროკავშირი მაგიტოა ძვირფასი, რომ შენ რაც ყველაზე მეტად შეგიძლია, იმაში შეგინყობს ხელს და იმით გამოგაჩენს (ზუგდიდი, მდედრ., 26-40). ამგვარად, მოსახლეობის ხედვაში თვალსაჩინოდ ვლინდება განვითარების იდეალისტური მოდელი, განსაკუთრებით, როცა საქმე ქართველების ცნობიერების ამაღლებას და შესაბამისი ნორმებისა და ღირებულებების განმტკიცებას ეხება.

მართალა, ქვეყნის მოდერნიზაციის მიმართულებით ფუნდა-მენტური ცვლილებების განხორციელება მონაწილეებს მომავლის პერსპექტივად მიაჩინათ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის დახმარებით, პროცესი უკვე დაწყებულია და სახეზეა მნიშვნელოვანი ცვლილებები, განსაკუთრებით „თვითშეგნების ამაღლების“ მიმართულებით. ამგვარი ტრანსფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად, როგორც წესი, სამართლისა და ადამიანის უფლებების ხედვასთან დაკავშირებული ცვლილებები განიხილება. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მოსახლეობას, როგორც წესი, მაგალითად მოყავს შშმ პირების თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უფლებების უკეთ დაცვა (თუმცა, ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად ესახება ისეთ მარგინალურობულ ჯგუფთა უფლებების დაცვა, როგორიცაა სექსუალური უმცირესობები): „ბუნებრივია, ამ პროცესებმა ძალიან შეცვალა აღქმა სამართლის მიმართ... ჩვენი შშმ პირების უფლებები უკეთ არის დაცული, ვიდრე იყო ადრე. ეს ევროპასთან დაახლოების

შედეგია“ (ბათუმი, მამრ., 26-40); „სასიკეთო ძვრებია უკვე. ადამიანებს არ ეშიანიათ იმ ტაბუდადებულ თემებზე ღიად ლაპარაკი. თუნდაც ის, რომ მანამდე ოჯახური ძალადობა ტაბუდადებული თემა იყო. სახლიდან არგატანა და არგავრცელება“ (ბათუმი, მდედრ., 26-40).

ფოკუსჯგუფებიდან ვლინდება, რომ მოსახლეობის სეგმენტი, რომელიც ყველაზე მეტად მიესალმება მსგავს ცვლილებებს, ახალგაზრდა თაობაა. 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით ხაზგასმულია ახალგაზრდების როლი ქვეყნის მენტალურ მოდერნიზაციაში: „ყველაზე დიდი ძალა, რომელიც გამოსაწორებს, იქნება ახალგაზრდა ძალა, რომელიც იქნება უფრო კრიტიკულად, საღად მოაზროვნე. გადაიღებს-გადმოიღებს ევროპიდან ტრადიციებს, იმ ჯანსაღ მხარეებს, რომლებიც ევროპაში აქვთ“ (ბათუმი, მამრ., 18-25). ამგვარად, ახალგაზრდები ხაზს უსვამენ მათივე ასაკობრივი ჯგუფის წამყვან როლს ევროპული ტრადიციების დამკვიდრებაში და ეს პროცესი ადგილობრივი სიტუაციის „გამოსაწორების“ ძირითად სტრატეგიად მიჩნიათ. მათი თქმით, ახალგაზრდების მთავარი მოტივაცია ხარისხიანი განათლების მიღებაა, რასაც ევროპა სთავაზობს; ამიტომ ისინი თავადვე მიისწრაფვიან „მენტალური მოდერნიზაციისკენ,“ განსხვავებით უფროსი ასაკის ადამიანებისგან, რომლებიც, კვლევის ახალგაზრდა მონაწილეების სიტყვებით,

იმდენად ჩაკეტილ სისტემაში ცხოვრობდნენ, რომ არც იცოდნენ, რა ხდებოდა იმის იქით და მაგათვის ეგ იყო კომფორტი. 37 მანეთად წასკვლა იყო მაგათვის კომფორტი და თავისუფლება და მათი გადმოწყობა... ზოგი მართლა გადმოეწყო და მიხვდა, რომ ეს არ იყო სხორი... (ზუგდიდი, მდედრ., 18-25).

თუმცა, იქვე ხაზგასმულია, რომ ამგვარი ხედვის (რასაც ციტატის ავტორი „იდეოლოგიას“ უწოდებს) შეცვლა ძალიან რთულია. მსგავს მოსაზრებას იზიარებენ კვლევის 26-40 წლის მონაწილენიც, რომელთა თქმით, „საქართველო [შემდგომი ევროინტეგრაციის] მზადყოფნას აცხადებს იმიტომ, რომ თვითონ ახალგაზრდები არიან მზად. ახალ თაობას უნდა ევროპისკენ წასვლა და არ უნდა უკან-უკან სვლა“ (გორი, მდედრ., 26-40). ამგვარად, ევროინტეგრაციის პროცესი, რომლის მიმართ მზაობას, თურმე, ყველაზე მეტად ახალგაზრდები ავლენენ, წინსვლის და პროგრესის სინონიმად განიხილება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპეიზაცია განვითარების

იდეალისტურ მოდელთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ 26-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები თავად აღნიშნავენ, რომ 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფთან ბევრი საერთო აქვთ, ისინი უმცროს თაობას მაინც საკუთარ თავზე მეტად პროგრესულად მიიჩნევენ, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის აღქმის თვალსაზრისით. ერთ-ერთი მონანილე იმასაც კი ამბობს, რომ თანამედროვე თაობა „შინაგანად ტოლერანტული იბადება“ (გორი, მდედრ., 26-40). ამასთან, თუ „ცოტა ასაკოვანი ხალხი რუსეთს მისტირის, ახალგაზრდების მენტალობა მიდის ისე, რომ კარგსა და ცუდს შორის აკეთებს არჩევანს“ (თელავი, მამრ., 26-40). ამ ციტატიდან ცალსახაა, ერთი მხრივ, პარალელი რუსეთსა და ევროპას შორის, რაც ცუდი-კარგის დიქოტომიის ჭრილში განიხილება და, მეორე მხრივ, ასაკოვან და ახალგაზრდა თაობებს შორის, რომელთაგან პირველი ვერ აკეთებს კარგსა და ცუდს შორის არჩევანს, მეორე კი – აკეთებს. მართალია, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (41-65) მონანილენი ეთანხმებიან შეხედულებას, რომ ქვეყანაში „მენტალური პრობლემა დგას“ და განათლების თუ განვითარების კუთხით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებს (ქუთაისი, მდედრ., 41-65), ამიტომ „ყველაზე მნიშვნელოვანია, მენტალურად ჩვენ დავუახლოვდეთ ევროპას“ (თელავი, მამრ. 41-65), მაგრამ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს რომელიმე კონკრეტული თაობის პრობლემა კი არ არის, არამედ მთლიანად ქვეყნის; ამიტომაც, ამ თვალსაზრისით, ახალგაზრდა და უფროს თაობებს ერთმანეთისგან არ მიჯნავენ.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც, მოსახლეობის ხედვით, ქვეყნის „მენტალური მოდერნიზაციის“ ყველაზე აქტიური მხარდამჭერია, არასამთავრობო სექტორია. კვლევის 41 წლამდე მონანილეები მას წამყვან როლს მიაწერენ როგორც ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებაში, ისე ევროინტეგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაში. რაც შეხება უფროსი ასაკის (41-65) მონანილეებს, როგორც ჩანს, ისინი არასამთავრობო სექტორს მნიშვნელოვან აქტორად არ განიხილავენ ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში, რადგან მის როლზე საერთოდ არ საუბრობენ.

კვლევის 18-25 წლის მონანილეების თანახმად, ევროინტეგრაციის პროცესში „ძალიან დიდი როლი აქვთ არასამთავრობოებს.“ პირველ რიგში, ისინი „განვითარებისთვის არიან საჭირო, რადგან განსხვავებულ აზრს უშიშრად გამოხატავენ, არ ეშინიათ და

საზოგადოების აზრს გამოხატავენ“ (ქუთაისი, მდედრ., 18-25). ამ ციტატის თანახმად, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები აუღერებენ „განსხვავებულ აზრს“ და გამოხატავენ საზოგადოების ხედვას. ცხადია, რომ აյ ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრი იგულისხმება, რომლის გამოხატვაც საზოგადოების განვითარების აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. ამასთან, აღნიშნულია, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციები, თითქოს, შეუძახებენ ხოლმე მთავრობას,“ რაც ამ უკანასკნელზე „კარგად აისახება,“ რის ნიმუშადაც მონაწილეს ადამიანთა უფლებების დაცვის სფერო მოჰყავს და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით „მტკიცნეული“ საკითხების განხილვისას, არასამთავრობო სექტორი „მთავრობას აიძულებს, რომ გარკვეული საკითხები არ გაატაროს და სწორი რეაგირება მოახდინოს, შედეგებიც სამართლიანი დაიდოს; ამიტომ საჭიროა ეს ორგანიზაციები იმისთვის, რომ ფორმაში იყოს მთავრობა“ (ზუგდიდი, მდედრ., 18-25). გარდა იმისა, რომ, ახალგაზრდების თქმით, არასამთავრობო სექტორის როლი მნიშნელოვანია, რათა „მთავრობა ფორმაში ამყოფოს“ და ამ უკანასკნელმა „ევროპეიზაციის კურსს არ გადაუხვიოს,“ მას არსებითი როლი მიენერება ევროინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაშიც. უფრო მეტიც, კვლევის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეების თქმით, „ეს [ევროინტეგრაციის საკითხებზე] ცნობადობა არასამთავროებიდან უფრო მოდის, ვიდრე პოლიტიკოსებისგან“ (გორი, მდედრ., 18-25). განსაკუთრებით ხაზგასმულია მათი როლი რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდაში: „რეგიონებში არ აქვს ბევრს ინფორმაცია, თუ როგორ არის და აი, ცოდნისთვის და ამის გაგებისათვის საჭირო ჩატარდეს არასამთავრობოების მიერ ტრეინინგები და ხალხს გააცნონ დღევანდელი მდგომარეობა“ (თელავი, მდედრ., 18-25).

26-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებები საკმაოდ ახლოსაა 18-25 წლის ახალგაზრდების შეხედულებებთან. ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს განმსაზღვრელ როლს მიაწერენ არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ელემენტარული ასპექტების შესახებ ცნობადობის გაზრდაშიც, რაც სამოქალაქო ცნობიერების განვითარების საწინდარია:

ძალიან ბევრი გრანტი, რაც შემოედინება, ის პა-  
ტარა ორგანიზაციები, ადამიანის ცნობადობის ასა-

მაღლებლად მართლა ბევრს აკეთებდნენ. აქ, აი, ადგილობრივი „ათინათია“, რომელიც ზეპრას ხა-ზავს და ხალხს ზეპრაზე გადასვლა ასწავლა. სულ ელემენტარულს ვამსობ, რადგან მწვანეზე და წითელზე დღესაც პრობლემაა, ხალხი ეგრევე გადადის; ზეპრაზეც არ ჩერდება (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

აქაც, მსგავსად წინა ასაკობრივი ჯგუფისა, აღნიშნულია, რომ „ნება, რომ ეს კეთილი საქმეები გაკეთდეს, მოდის არა ხელისუფლებიდან, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან“ (ქუთაისი, მამრ., 26-40). თუ 18-25 და 26-40 წლის მონანილების შეხედულებები ევროპეიზაციის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა, უფროსი ასაკობრივი ჯგუფი (41-65) საერთოდ არ საუბრობს არასამთავრობო სექტორის როლზე ქვეყნის ევროპეიზაციაში. ევროინტეგრაციის პროცესში სხვადასხვა აქტორზე საუბრისას, ეს სამიზნე ჯგუფი, უმეტესად, მთავრობის, აგრეთვე მოსახლეობის როლზე ამახვილებს ყურადღებას.

მნიშვნელოვანი აქტორი, რომლის როლზეც ევროპეიზაციის პროცესში ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა აქტიურად მსჯელობს, არსებული ხელისუფლებაა. ეს ერთადერთი აქტორია, რომელზე მსჯელობისას სამივე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში აზრთა ერთიანობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონანილე ყველა რეგიონის მოსახლეობა საკმაოდ კრიტიკულად აფასებს ხელისუფლების საქმიანობას ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით. პირველი საკითხი, რის გამოც ხელისუფლება 18-25 წლის ახალგაზრდების კრიტიკის სამიზნე ხდება, ევროპეიზაციის პროცესში სოციალიზაციის როლის დე-ფიციტია. მათი თქმით, ევროკავშირის მოთხოვნების გარეშე, საკუთარი ნებით ხელისუფლება ლირებულ რეფორმებს არ განახორციელებდა, რადგან ეს მის „პირად ინტერესებში“ არ შედის. შესაძლოა, პერიოდულად რაღაც პრაგმატული ინტერესი ჩაერთოს, როგორც ეს ვიზალიბერალიზაციის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ ეს ინტერესი დროებითია და შემდეგ რეფორმების განხორციელების ტემპი კვლავ იკლებს: „თვითონ პოლიტიკური პარტიები იქნება ეს თუ პოლიტიკოსები იქნებიან, დროებითია ხოლმე ინტერესი. პირად ინტერესებზე აგებენ ყველაფერს და შესაბამისად იქცევიან“ (გორი, მდედრ., 18-25). პოლიტიკოსების პირად ინტერესებზე საუბრისას, გამოვლინდა ხედვაც, რომ რეფორმები, უმეტესად, ქალალდზე რჩება

და რეალურ შედეგზე ორიენტირებული არ არის, რის მიზეზადაც ერთ ახალგაზრდას საკმაოდ უჩვეულო არგუმენტი მოაქვს: მისი თქმით, მთავრობას არ აწყობს ქვეყნის განვითარება, რადგან განვითარებული ქვეყანა ვერ მიიღებს ევროკავშირისგან ფინანსურ მხარდაჭერას, რაც მთავრობის მთავარი ინტერესია.

ეს რეფორმები, თავის მხრივ, შედეგზე ორიენტირებული ვერ არის. [...] მგონია, რომ ეს რეფორმები რომ გახდეს შედეგის მომტანი, აღარ დაგვეხმარება არც დასავლეთი და არც გრანტები გვექნება, რომლებიც ორგანიზაციებს გვაქვს. შესაბამისად, დახმარებაზე არ ვიქნებით და ეს რეფორმები შედეგს რომ მოიტანს, განვვითარდებით, რაც არ აწყობს მთავრობას. მათ ურჩევნიათ, რომ ვიყოთ ასე და შედეგზე არ იყოს ორიენტირებული (თბილისი, მამრ., 18-25).

გარდა მთავრობის მხრიდან სათანადო მცდელობის ნაკლებობისა, ახალგაზრდების კრიტიკის საგანი ხელისუფლების სტრატეგიული ხედვის დეფიციტიც ხდება. მაგალითად, ახალგაზრდები ეჭვით უცურებენ ევროპულ ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რადგან მიაჩნიათ, რომ „შესაბამისი ტექნოლოგია უნდა გქონდეს, გადამზადება უნდა მოხდეს. ამის არანაირი გეგმა არ ჩანს სახელმწიფოსგან და რის საფუძველზე უნდა მოხდეს?“ (ბათუმი, მამრ., 18-25).

კრიტიკის კიდევ ერთი სამიზნე ხდება ხელისუფლების მცდელობის ნაკლებობა, რომ ევროინტეგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზარდოს. ერთადერთი საინფორმაციო კამპანია, რაც კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს ახსენდებათ, საეთერო დროის მცირე მონაკვეთის იმ თემისთვის დათმობაა, თუ რა საბუთები უნდა ჰქონდეს თან ევროკავშირის ქვეყნებში მიმავალ მოსახლეობას, უვიზო რეზუმის ამოქმედების შემდეგ.

უფროსი ასაკის სამიზნე ჯგუფების მიერ ხელისუფლების საქმიანობის შეფასება ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით კიდევ უფრო კრიტიკულია, ვიდრე კვლევის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებისა; თუმცა, კრიტიკის თემა იდენტურია. ამასთან, ეს ჯგუფები წინა და არსებული ხელისუფლების მცდელობებსაც ადარებენ ერთმანეთს, რასაც ახალგაზრდებთან არ აქვს ადგილი. პირველი და ყველაზე ხშირად გაულერებული არგუმენტია, რომ

ხელისუფლება საკუთარი ნებით რეფორმებს არ ახორციელებს და სასიკეთო ცვლილებებზე არ ზრუნავს, ამიტომ, „რომ არა ევროკავშირი, [არსებული] პლიუსებიც არ გვექნებოდა.“

მორგებულია და აგებული საბჭოთა კავშირის რაღაც გადმონაშთ პრინციპებზე და ისევ საკუთარ კეთლდღეობაზე, რომ, სანამ ვარ ხელისუფლებაში, მაქსიმალურად ბევრი შევჭამო და მერე წავიდე. ამის-თვის ყოველთვის ყველაფერს გააკეთებენ. რომ არა ევროკავშირი, ის პლიუსებიც არ გვექნებოდა, რაზეც ვთანხმდებით (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

მართალია, ეს არგუმენტი დავას არ იწვევს, რესპონდენტებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მოსაზრება, ხელისუფლება არ თუ ვერ ახერხებს რეფორმების დამოუკიდებლად განხორციელებას. კვლევაში მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობა პოლიტიკური ნების დეფიციტს განიცდის: „მთავრობის ნებაზე დამოუკიდებული. ისეთი ხალხია ეხლა მთავრობაში, არაფერს არ გააკეთებენ“ (გორი, მამრ., 41-65). ნაწილის აზრით კი, მთავრობა რეფორმებს დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით ვერ ახორციელებს, რადგან ქვეყანაში სათანადო პირობები არ არის შექმნილი: „ძირითადი ის არის, რომ არა გვაქვს ის პირობები, რომ დამოუკიდებლად რაღაცა გავაკეთოთ. ვერ ვაკეთებთ თუ არ ვაკეთებთ. ეს არ ვიცი, რამდენად მთავრობა არ აკეთებს, მაგრამ არ გამოსდით დამოუკიდებლად“ (ზუგდიდი, მდედრ., 41-65).

მეორე არგუმენტი, რომელიც, აგრეთვე, ახალგაზრდების ხედვის იდენტურია, რეფორმების ფორმალური ხასიათია, რომელიც ქმედების დონეზე ნაკლებ აისახება. კვლევის მონაწილეები რეალური ცვლილებების ნაკლებობას იმით ხსნიან, რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი სტრატეგია, რომ რეფორმებიც თანმიმდევრულად განახორციელოს და საზოგადოებაც სათანადოდ მოამზადოს. შესაბამისად, რეფორმა მხოლოდ ქალალდზე რჩება, რადგან „მთავრობას შეიძლება ჰქონდეს კანონებში, მაგრამ აქტივში არ ახორციელებს“ (თბილისი, მდედრ., 26-40).

ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ მოგვამზადონ ამ რეფორმებისათვის და მერე შემოიღონ ეს რეფორმები. საუბარია, თითქოს ცდილობენ, რომ ყველანაირი ხერხით ამოიღონ შემოსავალი და ეს შედეგი ასე ჩანს. კი, ეს დაზ-

დვევა, საპენსიო რეფორმა, ესე ჩანს. რეფორმა რეფორმისთვის გამოდის, ასე ჩანს (ზუგდიდი, მამრ., 41-65).

ის, რომ ხელისუფლება საზოგადოების სათანადო მომზადებაზე არ ზრუნავს, კვლევის მონაწილეების თქმით, იმითაც გამოიხატება, რომ ის მოსახლეობას არ აწვდის ევროკავშირის შესახებ საჭირო ინფორმაციას (საგულისხმოა უახლესი რეპრეზენტატული მონაცემები, რომლის საფუძველზეც, მოსახლეობის 79,2% ამ მოსაზრებას იზიარებს (CRRC, 2019)) და თურმე, რაც მიაწოდა, ისიც იმდენად „იდეოლოგიზებულად“ თუ „აგრესიულად“, რომ საზოგადოების პოლარიზება გამოიწვია. რესპონდენტების თქმით, ამგვარი შედეგი მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რადგან არათუ ფართო საზოგადოებაში, არამედ პოლიტიკურ წრეშიც კი არ აქვს ადგილი საკითხის კრიტიკულ განხილვას და შესაბამის რეფლექსიას. ამდენად, საზოგადოებაში არსებული პოლარიზაცია (დასავლეთის და რუსეთის მომხრეების დაპირისპირება) ხელისუფლების მიერ ევროკავშირის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნვის ნაკლებობას მიეწერება.

ჩვენთან ეს ევროკავშირის საკითხი არის ძალიან პოლიტიზებული. ეს არის ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობა იმ მხრივ, რომ თავის დროზე ძალიან იდეოლოგიზებულად მოხდა ამის მიწოდება საზოგადოებისთვის და ჩვენთვის ეს არის ყოველ-თვის დაკავშირებული გეოპოლიტიკასთან და არ ვუკვირდებით თვითონ რეალურ ინფორმაციას ევროკავშირის შესახებ. არ არის ეს ბოლომდე გააზრებული. ამ საკითხის და, იგივე, ნატოს საკითხის მიწოდება, თავის დროზე, მოხდა ძალიან აგრესიულად. ან ხარ რუსეთის მომხრე, ან ხარ დასავლეთის მომხრე; ან ხარ ისტორიულად მონა, ან არა. ამიტომაც, ეს არის გადაფარული და როგორც პოლიტიკურ წრეში ვერ ხდება ამის განხილვა, ისეა საზოგადოებაშიც და ვართ პოლარიზებული (თბილისი, მამრ., 26-40).

ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის დეფიციტზე საუბრისას, გაულერდა მოსაზრებაც, რომ მოსახლეობა ადრე უკეთ იყო ინფორმირებული, ვიდრე ახლა. კვლევის მონაწილეების ხედვით, ეს ფაქტი მხოლოდ საზოგადოების პოლარიზებას კი არ უნდა იწვევდეს, რაც ადრე ნაკლებ შეინიშნებოდა, არამედ, გარკვეულიად,

ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების ზრდასაც, რადგან მოსახლეობას ევროინტეგრაციის მიმართულებით სასიკეთო ძვრების დანახვა უჭირს:

მოსახლეობასთან ვერ მიდიან სწორად და ინფორმაციას იმდენს არ ვიღებთ ჩვენ, რაც უნდა მივიღოთ. ადრე უფრო ინფორმირებული იყო მოსახლეობა პოლიტიკური სვლებით, რა იყო კარგი, რატომ გვინდოდა ევროპა, ახლა – ნაკლებად. თითქოს, ჩვენ უნდა დავინახოთ, მაგრამ ვერ ვხედავთ, რა ხდება სასიკეთო (თბილისი, მდედრ., 41-65).

ამ კონტექსტში, კვლევის მონაწილენი არსებული და წინა ხელისუფლების შედარებას ახდენენ და აღნიშნავენ, რომ წინა მთავრობა არსებულზე მეტად პროევროპული იყო. არსებული ხელისუფლების მიმართ ძირითადი საყვედური ის არის, რომ რუსეთთან „ურთიერთობის გაფუჭების“ ეშინია და მისი ამბივალენტური სტრატეგიით, სწორედ მოსახლეობის ზემოხსენებულ პოლარიზებას უბიძგებს. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ „ესენი [არსებული ხელისუფლება] ფიქრობენ, რუსეთთან ურთიერთობა არ გავაფუჭოთ. რუსეთთან ურთიერთობამ სადაც მიგვიყვანა, ჩანს“ (თელავი, მამრ., 26-40) და რომ წინამორბედებისგან განსხვავებით, „ეხლა ძალიან ბევრი რუსული ნარატივი ისმის“ (თბილისი, მდედრ., 41-65). თუმცა, გაულერდა მოსაზრებაც, რომ ორივე მთავრობა „თამაშობდა/თამაშობს“ პროევროპულს და რომ ამგვარი პერფორმანსის მიზანია პოლიტიკური კარიერის გახანგრძლივება და ელექტორატით მანიპულირება, რადგან იციან, რომ მოსახლეობის 70%-ზე მეტი ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდამჭერია (CRRC, 2019). აქვე აღნიშნულია, რომ საკუთარი პროევროპულობის ხაზგასმა მხოლოდ რიტორიკის დონეზე ხდება და საქმით არ დასტურდება, რის მაგალითადაც ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებია მოყვანილი და აღნიშნულია, რომ ამჟამად ისევე ირღვევა ადამიანის უფლებები, როგორც ადრე ირღვეოდა. ამიტომ საკუთარი პოლიტიკური გუნდის პროევროპული ორიენტაციის დეკლარირება ხშირად „თამაშად“ რჩება.

მე თუ ვხედავ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო აგრესიულად პროევროპული და ძალიან ბევრი ადამიანის უფლებების დარღვევა იყო მათ პერიოდში,

მე თუ ვხედავ, რომ „ქართული ოცნება“ არის, ასევე, პროევროპული, მაგრამ აგრესიულად ხდება ადამიანის უფლებების, იმ დონეზე არა, მაგრამ, ფაქტობრივად, დარღვევა, მაგალითად, მშენებლობაზე, შახტებში ადამიანების დაღუპვით, ეს გაგება ჩემში დისონანსს იწვევს. თუ ესენი არიან პროევროპულები და ცდილობენ, გაატარონ ის ლირებულებები, რომლებზეც ლაპარაკობენ, მაშინ რაში გამოიხატება მათი პროევროპულობა? ამათი „თამაში“ ჩემთვის ძალიან ცუდი მომენტია (თბილისი, მდედრ., 26-40).

აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორ ესახებათ კვლევის მონაწილეებს საქართველოს ევროპეიზაციის სამომავლო პრესპექტივები? სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის დისკურსებიდან თვალსაჩინოა, რომ მოსახლეობის შეფასებით, მართალია, ამ ეტაპზე, საქართველო ჯერ „მენტალურად“ არ არის მზად ინტეგრაციის შემდგომი საფეხურისთვის და ევროკავშირის წევრობისთვის, მაგრამ შესაბამისი სოციალიზაციის გავლის შედეგად, ის სათანადო მოემზადება და წევრობის პრესპექტივაც მეტად რეალისტური გახდება (როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე კონკურენტუნარიანი საპაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით ქვეყნის მზაობის ნაკლებობაზე მოსახლეობამ CRRC-ის 2019 წლის რეპრეზენტატულ კვლევაშიც მიუთითა). კვლევის მონაწილეების რწმენით, საქართველოს მომზადებაში განმსაზღვრელი როლი განათლების სისტემაში უნდა შეასრულოს, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური რეფორმა. საქართველოს მომზადების პროცესი განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილშია დანახული და ხაზგასმულია ევროკავშირისგან შესაბამისი მაგალითის აღების მნიშვნელობა, დაწყებული ისეთი ელემენტარული საკითხებით, როგორიცაა ნაგვის ურნაში გადაყრა და შუქნიშანზე გადასვლა, და დასრულებული ფუნდამენტური ლირებულებებით, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა.

ყველაფერი არის [დამოკიდებული] მაგალითზე. ჩემი მეგობარი რომ კარგია და ვხედავ, რომ ის კარგია, მე უბრალოდ შემრცხვება, რომ ცუდი ვიყო... როდესაც ჩადიხარ იქ, მე, მაგალითად, ჩემ მაგალითზე შემიძლია

ვთქვა, რომ მე მრცხვენოდა შუქნიშანთან, მიუხედავად იმისა, რომ წითელი იყო ქვეითებისთვის ანთებული, გადავსულიყავი, როცა მანქანა არ მოდის. გრცხვენია იმიტომ, რომ ყველა დგას. რომ ჩამოდიხარ აქ, სულ ზეპრაზე დავდივარ. გიჯდება რა, როგორც ბავშვებშია, რომ ზრდი, ზრდი და რა დამოკიდებულებითაც ზრდი, ქვეცნობიერად მაინც იმას აკეთებს ბავშვი (გორი, მდედრ., 18-25).

წარმოდგენილ ციტატაში, საქართველო, ერთგვარად, შედა-რებულია ბავშვთან, რომელიც განვითარების პროცესშია და „რა დამოკიდებულებითაც ზრდი,“ შესაბამისად იქცევა; თან ეს ქცევა თანდათანობით ჩვევაში გადასდის. ევროკავშირი კი იმ „მეგობართან“ არის შედარებული, რომელიც როლურ მოდელად მიიჩნევა და რომლის ფონზეც, საქართველოს „უბრალოდ შერცხვება, რომ ცუდი იყოს.“ თუმცა, მონანილების თქმით, მაგალითის უბრალოდ აღება კი არ არის მთავარი, არამედ მისი სათანადოდ გააზრება, რათა სასურველი ქცევის ინტერნალიზება მოხდეს და გარკვეული ქმედების განხორციელებისას, ქართველის მოტივაცია სასჯელის თავიდან არიდება კი არ იყოს, არამედ „შინაგანად გრძნობდეს, რა არ არის კარგი.“

ჩვენ თუ გვინდა, ვიყოთ ის ევროპელები, ჯერ ნაგვის ურნაში ჩაგდება უნდა ვისწავლოთ [...] მთავრობა კი დაგვაჯარიმებს ამ ნაგავზე, მაგრამ როდესაც ჯარიმა არ იქნება, შინაგანად იგრძნობ, რომ არ არის კარგი. შეიძლება მიეჩიო, მაგრამ, იდეაში, ვერც იაზრებ, რატომარ შეიძლება; ამიტომ მთავარია, რომ გავიაზროთ (გორი, მდედრ., 18-25).

უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, გარდა იმისა, რომ ხაზს უსვამენ ყოველდღიური ცხოვრების დაწერილი თუ დაუწერელი კანონების დაცვის აუცილებლობას, იმასაც აღნიშნავენ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში საბჭოთა ეპოქის გადმონაშთების დაძლევა, პირველ რიგში კი, ქურდული მენტალიტეტისა, რაც ევროპელებისთვის იმდენად წარმოუდგენელია, რომ ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანს „შეშლილადაც“ კი აღიქვამებ: „ქვეყანაში სანამ ქურდული მენტალიტეტია, მზად არ ვართ. ევროპაში ქურდული რაღაცა რომ დაიწყო, იმიტომ

კი არ დაგიჭერენ, რომ კრიმინალი ხარ, შეიძალაო, იტყვიან“ (ზუგდიდი, მამრ., 26-40). კვლევის მონაწილეთა ხედვით, საბჭოთა გადმონაშთებისგან განთავისუფლებას ღირებულებითი სისტემის ძირებული ტრანსფორმაცია უნდა მოყვეს, რასაც შესაბამისი დრო და ძალისხმევა სჭირდება და რისთვისაც საქართველო ჯერ მზად არ არის. უფრო მეტიც, რესპონდენტები მოელიან, რომ, სანამ ქართველები ამ ღირებულებების მნიშვნელობას გააცნობიერებენ, მათ გავრცელებას ქვეყანაში გარკვეული წინაღობაც კი შეხვდება: „წევრობა რომ გულისხმობს ყველა იმ ღირებულების დაცვას, რაც ჩვენ ჯერ არც კი გაგვიგია და დიდი დებატები უნდა გადავიტანოთ, რომ ეს ასე არის, მერე უნდა დავიცვათ. არაფრით ვართ მზად“ (ზუგდიდი, მდედრ., 26-40). ეს წინაღობა, მოცემულ ეტაპზე, თურმე, ყველაზე მეტად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს ეხება, რადგან ყველა ასაკობრივი ჯვეუფის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები სათანადოდ არ არის დაცული და „ევროკავშირი მოგვცემს კარგ მაგალითს, თუ როგორ უნდა იყოს დაცული“ (ქუთაისი, მდედრ., 41-65).

ზემოხსნებულ პრობლემებთან გასამკლავებლად, ყველა ასაკობრივი ჯვეუფის წარმომადგენლი განმსაზღვრელ როლს განათლების სისტემას მიაწერს და აღნიშნავს, რომ მხოლოდ განათლების შესაბამისი დონის მიღწევის შედეგად შეძლებს საქართველო, ევროკავშირის ქვეყნების თანასწორად მოიაზროს თავი და ევროკავშირში განეცვრიანების იმედი ჰქონდეს: „მე მაინც ვფიქრობ, რომ განათლება არის უმნიშვნელოვანესი მაგისტრის, რომ მივაღწიოთ ევროკავშირის დონემდე“ (გორი, მდედრ., 26-40). სანამ ამ დონემდე მიაღწევს, „ქართველი ხალხი [...] უნდა განვითარდეს“ და ევროპის და რუსეთის გარჩევა ისწავლოს, რაც, კვლავაც, კარგის და ცუდის დიქტომიის ჭრილში განიხილება. აღნიშნული განვითარების პროცესი კი, თურმე, სკოლის მერჩიდან უნდა დაიწყოს.

ქართველი ხალხი არ არის, თუნდაც, მენტალიტეტით მზად, უნდა ისწავლოს, უნდა განვითარდეს და გაიგოს, რატომაა ევროპა კარგი, რატომ გვინდა, რატომაა, ვთქვათ, რუსეთი ცუდი. ეს სკოლიდანვე უნდა დაიწყოს, მოემზადოს ის ბავშვი, თუ რატომ უნდა გაუნათლებელი ერი ევროკავშირს კი არა, თითონ საქართველოსაც არ უნდა სჭირდებოდეს (თელავი, მამრ., 26-40).

მხოლოდ განათლების სათანადო დონის მიღწევის შედეგად მოელიან კვლევის მონაცილენი ქვეყანაში სხვა პოზიტიურ ცვლილებებსაც, იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ტრანსფორმაციები. და მხოლოდ ამის შედეგად მოელიან საქართველოს მიმართ ევროკავშირის გაზრდილ ინტერესს და ახალ რეკომენდაციებს ქვეყნის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

ქაოტური ქვეყანა და სახელმწიფო არავის სჭირდება.  
ამიტომ ევროპამ იცის და ჩვენც მძვენივრად ვიცით,  
რომ არ ვართ მზად... ქვეყანა არის მოსაწყობი. როდესაც  
ქვეყანა განვითარდება და მივა იმ კონდიციამდე, რომ  
ტოლი იქნება ევროპისა, მაშინ ევროპის ინტერესიც სულ  
სხვა კუთხით შეიცვლება და შემდგომ რეკომენდაციას  
მოგვცემენ, ჩვენ რა კუთხით უნდა განვვითარდეთ, რომ  
შემდგომში ევროკავშირში მოვხვდეთ (ბათუმი, მამრ.,  
41-65).

ამ ციტატიდან ყველაზე საინტერესო ის არის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ქვეყანა განვითარდება“ და „ტოლი იქნება ევროპისა,“ კვლევის მონაცილენი მოელიან, რომ საქართველო მაინც ევროკავშირზე ასიმეტრიულად დამოკიდებული იქნება და კვლავაც ევროკავშირის რეკომენდაციები დასჭირდება, თუ შემდგომ „რა კუთხით უნდა განვითარდეს,“ რათა, საბოლოოდ, ევროკავშირის წევრი გახდეს. როგორც ჩანს, განვითარების იდეალისტურ მოდელი მყარადაა გამჯდარი საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში, თან ის უწყვეტ პროცესად უფრო აღიქმება, ვიდრე მიღწევად შედეგად. ამასთან, საგულისხმოა, რომ ევროკავშირთან სოციალიზაციის საბოლოო მიზნად არა თავისთავად ქვეყნის განვითარება მიიჩნევა, არამედ „ოქროს ჯილდოს“ მიღება.

## **ელიტები და მოსახლეობა ევროკავშირთან დაკავშირებული პრაგმატული ფაქტორების შესახებ**

### **1. ევროკავშირი, როგორც საქართველოს უსაფრთხოების გარანტი**

როგორც თეორიული მიმოხილვიდან ჩანს, ევროკავშირთან და ევროპეიზაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების ფორმირებაში ორი ფაქტორი თამაშობს განმსაზღვრელ როლს: პრაგმატული და იდენტობის. პრაგმატული ხედვა ევროკავშირის პირობითობასთან არის შეჭიდული და ქვეყნისთვის ევროპეიზაციის პროცესიდან მომდინარე სარგებლისა და დანაკარგის მოლოდინს უკავშირდება. იდენტობის ფაქტორი კი სოციალიზაციის მექანიზმთან არის შეჭიდული და ეროვნულ იდენტობაზე ევროპეიზაციის გავლენის, აგრეთვე ეროვნულ და ევროპულ იდენტობებს შორის თავსებადობის ხედვას ეფუძნება.

წინამდებარე ქვეთავში სწორედ ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრაგმატული ფაქტორების შესახებ პოლიტიკოსების და მოსახლეობის დისკურსებს შევეხებით. როგორც მოცემულმა, ისე წინა კვლევამ (Tsuradze et al., 2016) აჩვენა, რომ ევროპეიზაციის პროცესიდან მომდინარე სარგებელ-დანაკარგის ხედვა ქართველებთან, უმეტესად, ქვეყნის უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების საკითხებს უკავშირდება (აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს, რასაც მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ). ამ მონაცემებს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული რეპრეზენტატული კვლევებიც ადასტურებს: CRRC-ის 2019 წლის კვლევის თანახმად, ევროკავშირთან ინტეგრაციის მთავარ მოტივად მოსახლეობის უმრავლესობა ორ ძირითად ფაქტორს ასახელებს – საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხისგან. კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი პრაგმატული ხედვა ტიპურია აღმოსავლეთ გაფართოების

ქვეყნების შემთხვევაშიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრება რუსეთს (Kuus, 2007; Risse, 2010).

რადგან საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შედეგად, როგორც პოლიტიკოსები, ისე მოსახლეობა, პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას მოელიან (Tsuladze et al., 2016), რასაც უახლესი რაოდენობრივი კვლევაც ადასტურებს (CRRC-ის 2019 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ასოცირება ხელს შეუწყობს საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებას), ამიტომ ჩვენი ანალიზი სწორედ ქვეყნის უსაფრთხოებაზე მსჯელობით დაიწყება.

## 1.1 პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის დისკურსები

მიუხედავად გავრცელებული შეხედულებისა, რომ ევროკავშირს შეზღუდული როლი აქვს კონფლიქტების მართვაში, რაც ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში ბრიუსელის ნაკლებ ჩართულობას გულისხმობს (Sasse, 2009), ჩვენი კვლევის მონაწილენი ევროკავშირს რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავების მთავარ გარანტად მოიაზრებენ. Q ანალიზის თანახმად, კვლევის მონაწილე პოლიტიკოსები და ექსპერტები ძლიერ თანხმობას გამოხატავენ დეპულებაზე, რომ ქვეყანა რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება, შესაბამისად, მისთვის მნიშვნელოვანია „ევროპულ ოჯახთან“ დაახლოება. აქვე აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ქვეყნის პროვროპული კურსისა, რუსეთთან „მეგობრობის“ იდეა კვლევაში მონაწილე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისთვის ცალსახად მიუღებელი არ არის. თუმცა, აქ საგულისხმოა, რომ მოცემულ ნარატივებში რუსეთთან „მეგობრობა“, უმეტესად, დიპლომატიურ ურთიერთობას გულისხმობს და საფუძვლად სწორედ პრაგმატული ხედვა, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობების შედეგად მიღებული სარგებელი უდევს.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ევროკავშირი განხილულია, როგორც რუსეთის საფრთხეებთან გამკლავების საუკეთესო გზა და საქართველოს „საუკეთესო დამცველი.“ ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტის თანახმად, საქართველო „პატარა ქვეყნაა“, რომელსაც აუცილებლად სჭირდება პარტნიორები „ფართო სცენაზე.“ ამ უკანასკნელად სწორედ ევროკავშირია მოაზრებული, რომელიც

განხილულია, როგორც საქართველოს ინტერესების „მთავარი დამცველიც და გამზიარებელიც.“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაცია განხილულია ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების აუცილებელ პირობად და, ამავდროულად, სტრატეგიად, რომელიც ქვეყანას დაეხმარება, მარტო არ აღმოჩნდეს „დიდი ძალის [რუსეთის] პირისპირ.“ შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მოაზრებულია რუსეთის საფრთხეებთან გამტკლავების მთავარ ინსტრუმენტად, თან იმგვარად, რომ „ევროპულ ოჯახთან“ ასოცირებამ უნდა უბიძგოს რუსეთს, უარი თქვას საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე.

რადგან პოლიტიკური მდომარეობა არის ძალიან რთულიდაჩვენგვჭირდებაასოცირებადადადაკავშირება... საკუთარი თავის ძალიან მჭიდროდ დაკავშირება ერების უფრო ძლიერ „ოჯახთან“, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანა არ იყოს მარტო დიდი ძალის პირისპირ (საპარლამენტო უმრავლესობა).

ის, რომ ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა აქვს, კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმრავლესობისთვის ვიზა-ლიბერალიზაციით დასტურდება და ევროპოტიმისტური განწყობების საფუძველს ქმნის. რესპონდენტთა შეფასებით, უკიზო მიმოსვლის ამოქმედებით დასტურდება, რომ ევროკავშირმა საქართველოსთვის „კარი გააღო“ და მეტიც, აღიარა საქართველო ევროპულ ქვეყნად, რომელიც ნდობას იმსახურებს.

ვიზალიბერალიზაცია, ფაქტობრივად, აღიარებაა იმისი, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ევროპას შეუძლია თავისუფლად შეუშვას, კარი გა-უღოს... უკვე აღიარებაა, რომ შენ ხარ ისეთივე ქვეყანა – სანდო, შენი მოქალაქე და შენი ქვეყანა, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნები (საპარლამენტო უმრავ-ლესობა).

მიუხედავად ევროკავშირის, როგორც რუსეთის საფრთხეებისგან საუკეთესო დამცველის აღიარებისა, საპარლამენტო უმრავლე-სობასთან საგულისხმოა ნარატივიც, რომლის თანახმად, რუსეთიც და ევროკავშირიც „ჰეგემონებად“ მიიჩნევიან: უბრალოდ, ერთი

„ძალით მოდის“, მეორე კი – „შეთავაზებებით.“ საგულისხმოა ციტატის გაგრძელება, რომ ამათგან „კარგი ტიპი“ მაინც არავინაა, თუმცა, ორიდან უკეთესი ვარიანტი უნდა შეირჩეს. ამ პრინციპით არჩევანის შეჩერება ევროკავშირზე ხდება, რადგან, რუსეთისგან განსხვავებით, რომელიც ფალსახად არადემოკრატიულ ქვეყნადაა მიჩნეული, ევროკავშირი დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებად მიიჩნევა, რომელიც არა მხოლოდ საჟუთარ, არამედ სამეზობლოს განვითარებასაც უწყობს ხელს. ვინაიდან საქართველოს სურს, დემოკრატიული და განვითარებული სამყაროს ნაწილი იყოს, მის მიერ სწორედ ევროპულ „შემოთავაზებებზე“ უნდა გაკეთდეს არჩევანი.

ის ქვეყანა(რუსეთი) მოდის ძალით დაგანადგურებით,  
და ეს მეორე (ევროკავშირი) მოდის შეთავაზებებით,  
ხო? გინდა მიიღებ, გინდა არ მიიღებ, ჯერ ერთი,  
და მერე უნდა ნახო, თვითონ თავის ქვეყანაში რა  
სიტუაციაა. ვის გვინდა ვგავდეთ? რუსეთში რა ხდება,  
როგორ ეპყრობა რუსეთი თავის მოქალაქეს და როგორ  
ეპყრობა ევროპელი თავის მოქალაქეს... (საპარლამენტო  
უმრავლესობა).

აქვე საგულისხმოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა, მეგობრობის ნაცვლად პარტნიორულ ურთიერთობებზე აქცენტირებით, რუსეთთან ურთიერთობის შესახებ საკმაოდ ფრთხილ ნარატივს გვთავაზობს. მეტიც, მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირება საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ აუცილებლობად არის მიჩნეული. ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, რუსეთის გალიზიანება „არ ლირს“, რადგან ის აგრესიული მეზობელია; შესაბამისად, მასთან ურთიერთობისას უნდა „ვიყოთ წყნარად“, რათა თბილისმა მოსკოვს არ მისცეს საბაბი, „ადვილად გაუსწორდეს“ და გამოიყენოს აგრესია მის წინააღმდეგ. მეტიც, ნარატივის ავტორის თანახმად, მთავარი მიზნის მისაღწევად, ანუ ევროინტეგრაციის და, საბოლოოდ, ევროკავშირის წევრობისთვის, საქართველომ „წყნარი სვლის“ სტრატეგიას უნდა მიანიჭოს უპირატესობა. ალნიშნულში ქვეყნის მიერ გარკვეულ დათმობებზე წასვლა, „რაღაცეცების გატარებაც“ იგულისხმება. ეს კი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ, რუსეთთან „ნორმალური ურთიერთობის“ პარალელურად, არ შეფერხდეს მთავარი მიზნისკენ სვლა და, რაც მთავარია, რუსეთის მიერ აგრესის განხორციელების შემთხვევაში, „ნათლად გამოჩნდეს, რომ ჩვენ მართლა არაფერშუაში ვართ.“

მეორე არგუმენტის თანახმად, თავად ევროკავშირი სთხოვს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას, რადგან რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარება მის ინტერესებში შედის. შესაბამისად, რადგანაც საქართველო მთავარ პარტნიორად ევროკავშირს ირჩევს, ნაცვლად კონფრონტაციული პოლიტიკისა, მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებით კონფლიქტების დარეგულირებაზე უნდა შეაჩეროს არჩევანი.

თვით ევროპელები გვთხოვენ, რომ მოვაწესრიგოთ ჩვენი ურთიერთობები – ევროპელები ისევე, როგორც ნატოდა როგორც ამერიკელები. არავის ანყობს და არავის უნდა ახალი კონფლიქტი, ან რეგიონში კიდევ უფრო გამწვავება სიტუაციის... ეს არავითარ კავშირშია მეგობრობა თუ არამეგობრობასთან (საპარლამენტო უმრავლესობა).

მსგავსად საპარლამენტო უმრავლესობისა, საპარლამენტო უმცირესობა ევროკავშირთან ინტეგრაციას აუცილებლობად განიხილავს სამხედრო/ტერიტორიული უსაფრთხოების თვალსაზრისით. აქაც „პატარა ქვეყნისთვის“ (საქართველოსთვის) რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებითან გამოლავების საუკეთესო გზად „ძლიერ ოჯახთან“ (ევროკავშირთან) ასოცირება მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ უმცირესობის ზოგიერთი ნევრო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შესაძლებლობას არ უარყოფს, უფრო მეტიც, „კარგი ურთიერთობის“ საჭიროებაზეც საუბრობს. თუმცა, იმთავითვე აღნიშნულია, რომ ქვეყანას მოსკოვთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეს „არა ეროვნული ინტერესების ხარჯზე“. აღნიშნულში რესპონდენტები სწორედ ქვეყნის ევროპინტეგრაციას მოიაზრებენ. ერთ-ერთი დისკურსის თანახმად, რუსეთთან „მეგობრული“ ურთიერთობა „ევროკავშირის ნევრობაზე“ გადის. ავტორის მოსაზრებით, „ევროპული ოჯახის“ ნევრობა რუსეთთან ძალაუფლებრივი ასიმეტრიის შემცირებას გულისხმობს. საქართველოს, როგორც „ძალიან ძლიერი ოჯახის“ ნევრს, უჩნდება ძლიერი მფარველი ევროკავშირის სახით და საქართველოს მიმართ სამხედრო აგრესის განხორციელება ან მისი საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევა მარტივი აღარ არის.

რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის პოტენციურად მიღწევის გზა არის ზუსტადაც ევროკავშირის ნევრობა და სიძლიერე, რომელსაც ის გმატებს (საპარლამენტო უმცირესობა).

ეს ნარატივი სხვა ნარატივსაც ეხმიანება, რომლის თანახმად, „ევროპულ ოჯახში“ გაწევრიანება საქართველოს ევროპული „პოლიტიკური ვალდებულებების ნაწილად“ ქცევას გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი განხილულია, როგორც რუსეთის მიერ ხისტი პოლიტიკის წარმოების შემაკავებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ევროპელების პოლიტიკური ვალდებულებების ნაწილი როცა ხდები, ფაქტია, რომ ეს რუსეთისთვის ძალიან დიდი შემაკავებელი იქნება... ეს რუსეთისთვის იქნება „მესიჯი“, რომ ჩვენ ვართ არა უბრალოდ პატარა ქვეყანა, არამედ ძალიან ძლიერი „ოჯახის“ წევრი (საპარლამენტო უმცირესობა).

ამგვარი ხედვების პარალელურად, კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმცირესობის ზოგიერთი წევრი სრულიად გამორიცხავს რუსეთთან რაიმე ტიპის ურთიერთობას, რადგან ის ქვეყნის ყველაზე „დიდ მტრად“ მიაჩინა. უფრო მეტიც, აღნიშნავს, რომ რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობებზე საუბარი „თავის მოტყუებაა“: „თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს, რადგან რუსეთზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყავს.“

„ევროპული პოლიტიკური ვალდებულებების ნაწილად“ ქცევა ევროკავშირის მიერ ქვეყნის „აღიარების“ დასტურად არის მიჩნეული, რაც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლების ევროპატიმისტურ განწყობას უბიძებს. თუ საპარლამენტო უმრავლესობა ევროკავშირის მიერ საქართველოს „აღიარების“ აღსაწერად ევროპის მიერ საქართველოსთვის საკუთარი „პარის გაღების“ მეტაფორას იყენებს, საპარლამენტო უმცირესობასთან ევროპასა და საქართველოს შორის „ბარიერის ჩამონგრევის“ მეტაფორაა გამოყენებული. ეს უკანასკნელი ევროპის მიერ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის დემონსტრირებად მიიჩნევა.

ბარიერი ჩამონგრა ევროპასა და საქართველოს შორის და ვფიქრობ, რომ არის ძალიან დიდი კეთილგანწყობის და პოლიტიკური მხარდაჭერის „მესიჯი“ (საპარლამენტო უმცირესობა).

მიუხედავად აღნიშნული კეთილგანწყობისა და მეტიც, ევროკავშირი გაწევრიანებასთან დაკავშირებული ოპტიმისტური ხედვისა

(„ის, რომ ევროკავშირის წევრი გავხდებით, ეს ცალსახაა...“), კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა ერთ-ერთ დისკურსში ხაზგასმულია, რომ „ეს ცალსახა“ წევრობა თავად საქართველოზეა დამოკიდებული და იმის მიხედვით, რამდენად სწორად გადაიდგმება ნაბიჯები განევრიანებისკენ მიმავალ გზაზე, შეიძლება დაყოვნდეს ან, პირიქით, დაჩქარდეს პროცესი („მაგრამ როდის, როგორ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული“).

რუსეთზე, როგორც სერიოზულ საფრთხეზე, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ამახვილებენ ყურადღებას. მათი ხედვითაც, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს საქართველო დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. სწორედ ამიტომ ევროინტეგრაცია მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება უსაფრთხოების კონტექსტში და მიჩნეულია, რომ „მხოლოდ ძლიერ პარტნიორთან (ევროკავშირთან) ურთიერთობა შეასუსტებს ჩვენი მეზობლის აგრესია.“ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მსგავსად, კვლევის მონაწილე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვისაც ევროკავშირთან დაახლოება რუსეთთან ძალაუფლებრივი ასიმეტრიის შემცირებას გულისხმობს. ამ კონტექსტში, საინტერესოა ერთ-ერთი რესპონდენტის არგუმენტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ხშირად რიტორიკული დონით შემოიფარგლება და საკუთარ დამოკიდებულებას რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ მხოლოდ „აღშფოთება/შეშფოთება“ გამოხატავს, ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან ის მაიც რჩება რუსეთის აგრესისგან საქართველოს დაცვის მთავარ გარანტად.

რუსეთის საფრთხეს დამოუკიდებლად ვერ გა-  
კუმელავდებით, ამიტომ, იმის გათვალისწინებით,  
თუ რა აღტერნატივების წინაშე ვდგავართ, ისეთ  
ფრაზებზე, როგორიცაა ევროკავშირი „აღშფოთდა“  
და „შეშფოთდა“, ყურადღება არ უნდა გავამახვილოთ  
(სამთავრობო სექტორი).

სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით, ფრთხილ და სოციალურად სასურველ ნარატივებს გვთავაზობდენ. მათი მოსაზრებით, რუსეთთან ურთიერთობა აუცილებელია; ამ უკანასკნელის აღსანიშნავად კი, ტერმინ „მეგობრულის“ ნაცვლად, „პრაგმატულს“ უნდა მიენიჭოს უპირატესობა. სწორედ პრაგმატული ხედვიდან გამომდინარე

და არა საერთო რელიგიის და ბოლო ორი საუკუნის მანძილზე გაზიარებული ისტორიის შედეგად ჩამოყალიბებული სიახლოვის გამო, სამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები უნდა შეინარჩუნოს რუსეთთან. ამის აუცილებლობა კი, ისევ და ისევ, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს უკავშირდება.

[რუსეთი] მეზობელია, საფრთხეს წარმოადგენს შენთვის და დიპლომატიურად უნდა შეინარჩუნო ეს ურთიერთობა... მას შეუძლია გაცილებით უფრო დიდი პრობლემები შეგიქმნას და ამიტომ პრაგმატულად უნდა მოიგერიო ის, დაელოდო დროს, როდესაც შეგეძლება, რომ რაღაც გამოასწორო შენთვის. ასე რომ, „მეგობრულს“ იმდენად არ ვიტყოდი, ისეთი რა, პრაგმატული (სამთავრობო სექტორი).

რუსეთის საფრთხეებთან გამკლავებასთან ერთად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირისგან დადებითი „სიგნალების“ მიღება. ამ კონტექსტში საგულისხმოა კვლევის მონაწილე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გაულერქებული მოსაზრება, რომ „ერთ დღეს ის [საქართველო] აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი“, რაც რესპონდენტთა ევროპტიმისტურ ხედვაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრობის მთავარ პირობად რესპონდენტებს ქვეყნის სათანადო მომზადება მიაჩინათ, რაც რეფორმების განხორციელებას უკავშირდება. მეტიც, როგორც ერთ-ერთ ნარატივშია აღნიშნული, რაც უფრო „მეტად მზად“ იქნება საქართველო, მით „მეტად პოზიტიური განწყობა“ ექნებათ მის მიმართ ევროკავშირის ქვეყნებს. თუმცა, მიუხედავად ერთგვარი ევრორომანტიზმის გამოვლენისა, კვლევის მონაწილე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მაინც შედარებით ფრთხილ განცხადებებს აკეთებენ. ერთი მხრივ, მათთან ხაზგასმულია, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით ბრიუსელიდან „სიგნალები“ ნაკლებად მოდის. მეორე მხრივ კი, ასევე ნათქვამია, რომ სწორ მუშაობასთან ერთად, ბრიუსელის „კარებზე პერმანენტული კაკუნის“ პირობებში, საქართველოს ევროკავშირის წევრობა გარანტირებული აქვს.

სიგნალები [ევროკავშირიდან] ამ ეტაპზე ნაკლებად არის, მაგრამ, როგორც წინა გამოცდილებებიდან

ვნახეთ... სულ იმეორებენ იგივე ბალტიისპირეთის და სხვა ქვეყნების [მაგალითს], აյ სახარების პრინციპი მოქმედებს რა: დააკაკუნე და გაიღება (სამთავრობო სექტორი).

მართალია, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომლის ევროპად მიჩნევა ტერიტორიულად სადავოც კი შეიძლება იყოს, თან მას ბევრი პრობლემა დაუგროვდა საბჭოთა წარსულის გამო, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ევროპასთან ლირებულებითი სიახლოვე და სურვილი, გახდეს „ევროპული ოჯახის“ სრულფასოვანი წევრი, საქართველოს განსაკუთრებულ მონდომებას უბიძებს. სწორედ ამის შედეგია, რომ ქვეყანამ მოახერხა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა (განსაკუთრებული წარმატების ხაზგასასმელად, რესპონდენტები სიტყვა „გადაფრენასაც“ კი იყენებენ) ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართულებით და ვიზალიბერალიზაციაც მიიღო.

სულ მინდა ხოლმეგავიაზროთ, ტერიტორიულად სად ვართ. კი ვართ ევროპელები, მაგრამ ტერიტორიულად? გეოგრაფია, რუკა ავიღოთ, რუკაზე მოვძებნოთ ჩვენი თავი, მერე ის ქვეყნები, რომლებსაც ჯერ ვიზალიბერიალიზაცია მიღებული არა აქვთ და რუკაზე ისინი სად არიან ევროპასთან, შევადაროთ და მერე მივხვდებით, რამხელა ნაბიჯი გვაქვს გადაფრენილი (სამთავრობო სექტორი).

თუმცა, მონაწილეების თქმით, საქართველოს ამგვარი მონდომება მეტად „უნდა დაფასდეს“ ბრიუსელის მიერ ევროკავშირის წევრობის რეალური პერსპექტივის შეთავაზებით და საქართველოს უსაფრთხოებაზე რეალურად ზრუნვით, კერძოდ, რუსეთის აგრესისგან ქვეყნის დასაცავად მეტად ქმედითი ნაბიჯების გადადგმით.

რაც შეეხება კვლევის მონაწილე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს, მათი მოსაზრებითაც, ევროკავშირი არის საქართველოს უსაფრთხოების გარანტი. სწორედ ამიტომ, თბილისმა ბრიუსელის წესებით უნდა ითამაშოს და რეფორმები განახორციელოს. როგორც ყველა სხვა ჯგუფში, აქაც ხაზგასმულია, რომ საქართველო „პატარა ქვეყანაა“, რომელიც მარტო ვერ გაუმკლავდება რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს. თუ სხვა ჯგუფებში, უმეტესად, რუსეთზე, როგორც არასტაბილურ და არაპროგნოზირებად აქტორზეა

საუბარი, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები უფრო მკაცრები არიან შეფასებაში და მას „არაადეკვატურ“ პარტნიორად მოიხსენიებენ, რომლის „დასაბალანსებლად“ აუცილებლად გვჭირდება ევროკავშირი, როგორც უალტერნატივო პარტნიორი.

საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, მარტო ვერ გაუმკლავდება რუსეთის საფრთხეს და ამ მხრივ სხვა აღტერნატივაც არ აქვს, გარდა ევროკავშირისა (აკადემიური სფერო).

ამ კონტექსტში, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ძირითად პრობლემად რუსეთთან ასიმეტრიულ ძალაუფლებას მიიჩნევენ, რადგან ის არის პოლიტიკური მოთამაშე, რომელიც საქართველოს თანასწორუფლებიან პარტნიორად არ განიხილავს და „ან მას უნდა ეკუთვნოდე, ან მასთან არ ხარ.“ შესაბამისად, საქართველოს უწევს არჩევანის გაკეთება რუსეთის საომარ ძალასა და ევროკავშირის ნორმატულ ძალას შორის. აյ კი, ინტელექტუალური ელიტისთვის, არჩევანი ნათელია და ცალსახად ევროკავშირს უკავშირდება.

მართალია, რუსეთთან მეგობრობის შეუძლებლობაზე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები უფრო ღიად და თამამად საუბრობენ, ვიდრე კვლევის მონაწილე პოლიტიკური ელიტის წევრები, თუმცა, მათთანაც ხაზგასმულია რუსეთთან გარკვეული ტიპის ურთიერთობის აუცილებლობა. როგორც ნარატივებიდან ჩანს, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით და აგრესიის თავიდან არიდების მიზნით, რუსეთთან ურთიერთობა ღია კონფრონტაციის ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მეტიც, ქვეყანამ უნდა სცადოს ურთიერთობის დარეგულირება „დიდ მეზობელთან“ იმგვარად, რომ ეს არ მოხდეს ეროვნული ინტერესების, ანუ „ევროპული ოჯახის“ წევრობაზე უარის თქმის ხარჯზე (როგორც ეს საპარლამენტო უმცირესობის დისკურსშიც იყო აღნიშნული).

დიდი მეზობელია და მასთან ურთიერთობების და-ლაგება უნდა იყოს ჩვენთვის სასურველი იმიტომ, რომ ვნახეთ უკვე ჩვენ ომი მასთან და ასეთი კონფრონტაციული, ღია კონფრონტაციული პოზიციის დაკავება მასთან არ იქნება ჩვენთვის სწორი იმიტომ, რომ შეიძლება გადაგვყლაპოს (არასამთავრობო სექტორი).

თუ კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების ხედვით, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ევროკავშირის ინტერესებშიცაა, რადგან მას არ სჭირდება კონფლიქტი რეგიონში, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან მსგავსი მოსაზრება განსხვავებული აქცენტითაა წარმოდგენილი. კერძოდ, მათთან გაულერებული მოსაზრების თანახმად, რუსეთთან ურთიერთობის დასტაბილურება აუცილებელია, როგორც ევროკავშირის წევრობის წინაპირობა. ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან ხაზგასმულია საკუთარი ინტერესების დაცვისა და ევროინტეგრაციის პროცესისთვის საფრთხეების თავიდან არიდების მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ მიუხედავად პოლიტიკურ აქტორებზე უფრო მკაცრი შეფასებებისა, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს შორისაც გაულერდა მოსაზრება, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა იყოს არა მეგობრული, არამედ პრაგმატული, სტაბილურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, რიტორიკა კი, რომელსაც რუსეთთან მიმართებაში საქართველო იყენებს, მშვიდობიან ხასიათს უნდა ატარებდეს..

რუსეთთან სტაბილური ურთიერთობა მნიშვნელოვანია საქართველოს ევროინტეგრაციისთვის: წევრობის წინაპირობაა სტაბილური ურთიერთობები მეზობლებთან. თუმცა, ესარგულისხმობს „მეგობრობას“ ან სუვერენიტეტთან დაკავშირებულ რაიმე დათმობაზე ნასვლას რუსეთთან (არასამთავრობო სექტორი).

როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ყოველთვის უარი უნდა ვთქვათ რუსეთზე, მაგრამ ამის მიუხედავად, რაც შეიძლება ისეთი რიტორიკა უნდა გვქონდეს, მშვიდობიანი რიტორიკა (აკადემიური სფერო).

კვლევის მონაწილე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან ევროპუმისტური განწყობები თვალსაჩინოა, მაგრამ არა მკვეთრად გამოხატული. ერთი მხრივ, რესპონდენტებთან აღნიშნულია, რომ ევროპისკენ სწრაფვასაქართველომ ისე დაიწყო, რომ უშუალოდ ევროკავშირის ინტერესი ამაში არ ყოფილა, თუმცა, რადგან ევროკავშირმა თანამშრომლობა დაიწყო, ახლა „გერ მიგგატოვებს.“ მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ მხოლოდ საქართველოს კი არა, ევროკავშირსაც სჭირდება თანამშრომლობა და აյ მთავარი ფაქტორი

რუსეთი და მისგან თავისუფალი ენერგოდერეფნის შეთავაზების შესაძლებლობაა, რომელიც საქართველოს აქვს. ამასთან, ისიც ითქვა, რომ ევროკავშირის წევრობა, რეალობაზე მეტად, რწმენას უკავშირდება. ამ კონტექსტში საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი დისკურსის თანახმად, საქართველო შესაძლოა გახდეს კიდეც ევროკავშირის წევრი, მაგრამ ეს ფაქტი არა უშუალოდ საქართველოს მიერ „საშინაო დავალებების“ სათანადო შესრულების დამსახურება იქნება, რაზეც სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაა-მახვილეს ყურადღება, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე ცვლილებებისა. ამგვარი ხედვით, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო თუ გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი და არა მანცდამაინც იმის გამო, რომ რეფორმები განახორციელა. თუ აღნიშნულ დისკურსს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლთა მოსაზრებებს შევადარებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკური ელიტის მოსაზრებები პერფორმატიულ ნიშნებს მეტად შეიცავს, ვიდრე ინტელექტუალური ელიტის შეხედულებები. თუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ საქართველოს შესაბამისი მუშაობის შედეგად ევროკავშირის წევრობა გარანტირებულია, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები“ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას, „საშინაო დავალებების“ სათანადოდ შესრულებაზე მეტად, ხელსაყრელ პოლიტიკურ კონტექსტს უკავშირებენ.

## 1.2 მოსახლეობის დისკურსები

პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის მსგავსად, მოსახლეობის ხედვითაც, ევროკავშირი საქართველოს რუსეთის საფრთხისგან დაცვის გარანტია. ეს არგუმენტი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში წამყვანია, თუმცა, აქვე აღსანიშნავია საკმაოდ ამბივალენტური ხედვის არსებობაც, კერძოდ, დებულებების რანჟირებასა და წარმოდგენილ ნარატივებს შორის განსვლა: მართალია, Q ანალიზის თანახმად, ევროპუნიტეგრაცია რუსეთის საფრთხეებთან გამკლავების მექანიზმად არის მიჩნეული, თუმცა, დისკუსიებიდან თვალსაჩინოა, რომ ეს მექანიზმი ცალსახად ეფექტურია არ არის შეფასებული. ამასთან, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობის მიმართ მოსახლეობის

დამოკიდებულება, ეს ანალიზის მონაცემებით, ნეიტრალურია; თუმცა, ნარატივებში გამოჩნდა, რომ მოსკოვთან „მეგობრობა“ მოსახლეობის არცერთი ასაკობრივი ჯგუფისთვის არ არის მისაღები. მიუხედავად ამისა, თუ „მეგობრობაში“ პრაგმატულ ურთიერთობას მოვიაზრებთ, რაშიც რესპონდენტები მოსკოვთან მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებასა და სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირებას გულისხმობენ, მსგავსი „მეგობრობა“ აუცილებლადაც კი მიიჩნევა. პრაგმატული ურთიერთობის აღსანიშნავად, ფოკუსჯგუფების მონაწილე სხვადასხვა ასაკის მოსახლეობა ისეთ ტერმინებს იყენებს, როგორიცაა „ჭკვიანური“ ან „დიპლომატიური“ ურთიერთობა რუსეთთან. ამ უკანასკნელის აუცილებლობა კი, ძირითადად, რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებითა და ტერიტორიების მორიგი დაკარგვისგან ქვეყნის დაცვითაა განპირობებული. ახალგაზრდა მონაწილეების აზრით, სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით უნდა „გაუწიოს ანგარიში“ საქართველომ რუსეთს. მათი შეფასებით, რუსეთი „დიდი ქვეყანაა“, რომელსაც „ევროპაზეც აქვს გავლენა“, შესაბამისად, არა მეგობრობა, არამედ „ჭკვიანური“ ურთიერთობა მოსკოვთან აუცილებელია.

რაც გვაქვს, ის უნდა შევინარჩუნოთ და მეტი არ დავკარგოთ, არ გავაღიზიანოთ [რუსეთი] (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

შეიძლება მეც არ მომწონდეს, მაგრამ ეგრე [დიპლომატიური ურთიერთობა] აჯობებს, ჩემი აზრით... ცუდი ურთიერთობა არ გვაწყობს. ვერაფერს მოვიგებთ ცუდი ურთიერთობით. რაც დავკარგეთ, უნდა დავიბრუნოთ, მეტი აღარ უნდა დავკარგოთ (თბილისი, მამრ., 18-25).

სწორედ ეს დისკურსია დომინანტური 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ხაზგასასმელია, რომ რუსეთის მორიგი აგრესისგან თავის არიდების მიზნით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ქონაში რესპონდენტები, პირველ რიგში, მტრული რიტორიკისგან თავის შეკავებას გულისხმობენ („გულში რა გვაქვს, ეგ არ უნდა ვანახოთ“). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოეს მცხოვრებ ახალგაზრდებში (გორში და ზუგდიდში). კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მონაწილეებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს რუსეთთან „ჭკვიანური“ ურთიერთობა,

მისი ტერიტორიული სიახლოვეა. სწორედ ამ „უზარმაზარი“ ქვეყნის მეზობლად ყოფნა, რომელსაც შეუძლია „გვაზარალოს“, ახალგაზრდების აზრით, დღის წესრიგში აყენებს „არამტრული“ განწყობის დემონსტრირებას თავად მოსკოვისთვის, რათა თავიდან ავირიდოთ რუსეთის მორიგი აგრესია („თუ არ დაგვიბრუნეს, 20% იქით რომ არ გადმოვიდნენ, მაგიტომ მაინც ლირს“).

დიპლომატიურად თუ მივუდგებით, მეზობელთან უნდა გქონდეს სულ კარგი დამოკიდებულება. გულში რა გვაქვს, ეგ არ უნდა ვანახოთ, თორემ ყოველთვის იქნება რუსეთი ნეგატიური განწყობით ჩვენთან და სულ ეცდება, რომ ჩამოგვართვას ტერიტორიები (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

ამავე კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მონაწილეები ევროკავშირს რუსეთის საფრთხის თავიდან არიდების გარანტად ნაკლებ განიხილავენ. ამის მაგალითად რესპონდენტებს მცოცავი ოკუპაცია და მის საპასუხოდ ევროპის ნაკლებ ეფექტიანი ნაბიჯები მოჰყავთ. შესაბამისად, რამდენადაც ევროპა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოების დაცვას, რუსეთის მიერ ტერიტორიების მიტაცების საფრთხე კი რეალურია, პრაგმატული იქნება „კარგი ურთიერთობას“ ქონა მოსკოვთან, რათა თავიდან იქნას არიდებული აღნიშნული საფრთხეები.

ისე ნელ-ნელა მოიწევს (რუსეთი) და ისე ჩუმადაა ევროკავშირიც და ყველაფერიც... დამკვირვებლები, დამკვირვებლები... 2008 წლის მერე, დამკვირვებლები მიდიან, მოდიან. ახლა რუსეთი ხაშურისკენ წევს საზღვარს, ამიტომ ისევ ჯობია, კარგი ურთიერთობა გვქონდეს, ვიდრე ნელ-ნელა მოვიდეს, ჩაგყლაპოს და ისევ თავზე დააჯდეს ქვეყანას (გორი, მდედრ., 18-25).

გარდა უახლესი წარსულისა და არსებული სტატუს კვოსი, რაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოკუპირებას გულისხმობს, ახალგაზრდა რესპონდენტთა მიერ ხაზგასმული იყო, რომ რუსეთი ისტორიულადაც მხოლოდ ნეგატიურ როლს ასრულებდა საქართველოსთვის. მათი თქმით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ოკუპაციის შემდეგ „არ გვხოცავდნენ“, რუსეთის მიმართ პოზიტიური განწყობის გაჩენის საფუძველი ვერ იქნება. თუმცა, საგულისხმოა, რომ გავ-

რცელებული არგუმენტის პარალელურად, რომლის თანახმადაც, რუსეთი საქართველოს ისტორიაში ნეგატიურ როლს ასრულებდა და ასრულებს, ერთ-ერთ რესპონდენტთან რუსეთის უსაფრთხოების გარანტად წარმოჩენასაც ვხვდებით. მისი შეფასებით, რუსეთი არათუ ნეგატიურ როლს ასრულებდა ქვეყნის ისტორიაში, არამედ, პირიქით, მან პოზიტიური როლი შეასრულა, დაიცვა რა საქართველო მუსულმანი მეზობლებისგან („რუსეთი რომ არა, საქართველო საერთოდ აღარ იქნებოდა...“ (თელავი, მამრ., 18-25).

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ურთიერთობის დასტაბილურებას ახალგაზრდები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ არა მხოლოდ მისი სამხედრო ძალის და იმპერიალისტური ზრახვების გათვალისწინებით, არამედ ქვეყნის ევროინტეგრაციის მიზნითაც. კერძოდ, როგორც ახალგაზრდებთან ფოკუსჯაგუფებში გაუღერებული ნარატივებიდან გამოჩენდა, რუსეთთან დაურეგულირებელი საკითხები და მუდმივი დაძაბულობა საქართველოს როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაციას აფერხებს. შესაბამისად, ახალგაზრდა რესპონდენტების ხედვით, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ნორმალიზება დასავლურ სტრუქტურებში საქართველოს განწევრიანების აუცილებელი პირობაა.

ამხელა მეზობელია ჩვენი. თუ მეგობრული ურთიერთობა არ გვექნება, არც ევროკავშირში მიგვიღებენ, არც ნატოში. სისულელეა ეგ (გორი, მამრ., 18-25).

ნუ, თუ ევროპა გვინდა, ევროპას ისიც უნდა, რომჩვენ დალაგებული გვინდეს ურთიერთობა [რუსეთთან] (თელავი, მამრ., 18-25).

რაც შეეხება თავად საქართველოს არჩევანს ევროპის სასარგებლივ თუ საწინააღმდეგოდ, აქ ახალგაზრდა რესპონდენტების მოსაზრებები ცალსახაა. მათი შეფასებით, დემოკრატიულ ევროპასა თუ არადემოკრატიულ რუსეთს შორის არჩევანის პირობებში, ეს უკანასკნელი სწორედ დემოკრატიული ევროპის მხარეს უნდა იყოს. თავის მხრივ, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, მისი უსაფრთხოების გაძლიერებასაც გულისხმობს. განვითარების იდეალისტური მოდელის თანახმად, თუ ქვეყანა განვითარების გზად ევროკავშირს იჩჩევს, ბუნებრივია, რომ მან უარი უნდა თქვას იმ აქტორებთან „მეგობრულ“ ურთიერთობაზე, რომლებიც განვითარებას და, ზოგადად, მოდერნულობის დასავლურ სტანდარტებს ეწინაა-

ღმდეგებიან. ვინაიდან რუსეთი სწორედ ამგვარ აქტორადაა მიჩნეული საერთაშორისო პოლიტიკურ ველში, საქართველოსთვის კი ევროპულ „ოჯახში“ ინტეგრირების იდეა აქტუალურია, ახალგაზრდების ხედვით, ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი მოძრაობის ტრაექტორიაც რუსეთს, როგორც მეგობარს, ფალსახად სცილდება.

ვერანაირად ვერ გვექნება რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, 2008 წლის ომი რომ გავიხსენოთ, ის 11 წლის ნინანდელი ამბავი, ისევ ომი გვქონდა და ვერანაირად ვერ... იდეოლოგიურადაც რომ შექხდოთ. რუსეთი არის იმპერიალისტი (ბათუმი, მამრ., 18-25).

იყო „ევროპული ოჯახის“ წევრი და თან რუსეთის მეგობარი, მგონია, რომერთად შეუძლებელია (თბილისი, მამრ., 18-25 წელი).

კვლევის მონაწილე 18-25 წლის ახალგაზრდებთან გამოიკვეთა, რომ როგორც რუსეთის, ასევე ევროკავშირის შემთხვევაში, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა მისით დაინტერესების ძირითადი მიზეზია. ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა მსგავსად, ახალგაზრდა რესპონდენტები ქვეყნის ენერგოდერეფნად გამოყენების პოტენციალზეც ამახვილებენ ყურადღებას.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო ვჭირდებით, ჩემი აზრით. ისეთ გასაყარზე ვართ, რომ ტრანს-პორტირებისთვის ვჭირდებით და როგორც გაზგამტარი (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

რაც შეეხება რესპონდენტთა 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს, აქ რუსეთი, როგორც განსაკუთრებული სამხედრო სიძლიერის სახელმწიფო, სერიოზულ საფრთხედაა აღქმული არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის („რუსეთი არის მსოფლიო კაცობრიობის მტერი, არა მარტო საქართველოს“ (ქუთაისი, მამრ., 26-40)). სწორედ მისი სამხედრო სიძლიერისა და არაპროგნოზირებადი ქმედებების გამო, მოსახლეობის ეს ჯგუფი შეუძლებელად მიიჩნევს საქართველოს მიერ რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამდენად, ახალგაზრდა რესპონდენტების მსგავსად, აქაც ხაზგასმულია მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის და არა „მეგობრობის“ აუცილებლობა. ეს უკანასკნელი კვლევის მონაწილეთა მიერ „მონობასთანა“ ასოცირებული.

რუსეთთან საომარი სიტუაცია ჩვენ კიარა, ისეთ ძლიერ სახელმწიფოებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის წევრები არ იყვნენ, გაუჭირდებათ და ძალით ვერაფერს გახდები- ან. შესაბამისად, ხერხი უნდა ვიღონოთ და პოლიტიკურად უნდა მოვაგვაროთ (თელავი, მამრ., 26-40).

„მოხერხებისა“ და საქართველოს მიერ „ნაცარქექიას“ სტრატე- გის გამოყენების აუცილებლობის ხაზსგასმა, ახალგაზრდა რესპონდენტების მსგავსად, მნიშვნელოვან დისკურსად გამოვლინდა 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც. ამ მიდგომის თანახმად, ქვეყანა უნდა შეეცადოს, დიპლომატიური ხერხებით დაარეგულიროს რუსეთთან ურთიერთობა, რადგან მასთან მეგობრობა შეუძლებელია. რესპონდენტთა ამ ჯგუფშიც, მთავარ არგუმენტად რუსეთის ტერიტორიების მიტაცებაზე ორიენტირებული პოლიტიკაა მოყვა- ნილი. რუსეთი არაპროგნოზირებადი მოთამაშეა, რომლის ნაბიჯების წინასწარ გათვლა რთულია და ის ერთგვარი თავსატეხია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მეტიც, მოსკოვის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწე- სებაც კი შესაძლებელია არაფრისმომცემი იყოს, რადგან ის, სან- ქციების მოქმედების პირობებშიც კი, საკუთარი იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელებას აგრძელებს. ვინაიდან რუსეთის სამხედრო სიძლიერისა და არაპროგნოზირებადი ხასიათისთვის მთელ მსოფლიოს უნევს ანგარიშის გაწევა, საქართველო მით უფრო უნდა ეცადოს მასთან დიპლომატიური ბერეგეტების გამოყენებას, რასაც, პირობითად, „მეგობრობა“ შეიძლება ეწოდოს: „სწორი დაპლომატია გვჭირდება, თორემ არც ის ვარგა, რუსეთს რომ უჩხივინო“ (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

ჩვენ ხომ გვტკივა გული ჩვენი ქვეყნისათვის?!  
რუსეთთან „მეგობრობა“ მინიმუმს გააკეთებს ჩვენი მიტაცებული ტერიტორიებისთვის. ძალიან მაგარი ზღაპარი გვაქვს ხომ „ნაცარქექია“ (პათუმი, მამრ., 26-40).

რესპონდენტთა შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ ევრო- კავშირი საკუთარ პოზიციას მწვავე ვითარებაში ხშირად მხოლოდ „შეშფოთებით“ გამოხატავს, „მეგობრული“ ანუ დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან მეტ აქტუალობას იძენს. ამასთანავე, 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში ისიც ხაზგასმული იყო, რომ ევროკავშირის აქტივობის ხშირად მხოლოდ „შეშფოთებით“ გამოხატვის მიუხე-

დავად, ის მაინც იმ აქტორად რჩება, რომელიც მის გარშემო „ცხელი წერტილების“ ჩაქრობას ცდილობს. მართალია, ამ ნარატივის თანახმად, ევროკავშირი ისევ საკუთარი სარგებლისთვის ცდილობს საქართველოს ევროპეიზაციას, მაგრამ ეს ის სარგებელია, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მონაწილეების აზრით, ქართველებმა ამ მოცემულობით უნდა ისარგებლონ.

მე მგონი, ევროკავშირიც ამაზე ზრუნავს, რომ ეს კონფლიქტი [რუსეთთან] რამენაირად დაარეგულიროს და მისი მიზანი, რომ ეს „ცხელი წერტილები“ რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ეს არის. ამიტომ ცდილობს ჩვენი ევროპის გზაზე დაყენებას და მე მგონი, მოსახლეობასაც აწყობს. ევროპა ჯობია, ვიდრე რუსეთს პირდაპირ შევუერთდეთ (გორი, მდედრ., 26-40).

რესპონდენტთა ამ ასაკობრივ ჯგუფშიც ევროპტიმისტური განწყობები სწორედ იმის რწმენას უკავშირდება, რომ არა მხოლოდ საქართველოს სჭირდება ევროპა, არამედ ევროპასაც სჭირდება საქართველო. შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებთან ევრორომანტიზმის აგრესიულ ფორმასაც კი ვხვდებით, რისი მაგალითიცაა ნარატივებში გაუღერებული ფრაზები, რომ „მცდარია მოსაზრება, თითქოს ევროკავშირი ჩვენს გარეშეც“ კარგად იქნება და რომ „ვჭირდებით კარგადაც და იმიტომ მიგვიღეს“, რაშიც ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაა მოაზრებული. ევროკავშირის დაინტერესება საქართველოთი, პირველ რიგში, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობას უკავშირდება. ამ ასაკობრივ ჯგუფში გაუღერებული ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის თანახმად, ტერორიზმის გაზრდილი საფრთხის პირობებში, საქართველო ერთგვარი „შემაკავებლის“ ფუნქციას ასრულებს. გარდა ამისა, ინტელექტუალურ ელიტასთან და ახალგაზრდებთან გაუღერებული მოსაზრება საქართველოს, როგორც ალტერნატიული ენერგოდერეფნის მნიშვნელობის შესახებ, ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებშიც თვალსჩინოდ ვლინდება.

გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, არა მგონია, ევროკავშირს აინტერესებდეს ჩვენი ჩურჩხელა და ა.შ. მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში, ახლა წამოვიდა ტერორიზმის საშიშროება... იგივე ტრანზიტის ფაქტორიც. გაზის მიწოდებაზე რომ ვსაუბრობთ, შეიძლება

საქართველო იყოს ალტერნატიული გზა (ბათუმი, მდედრ., 26-40).

ტერორიზმის საფრთხეა და ყველაზე მეტად საქართველო იჭერს ამას, რადგან, დამიჯერეთ, ისლა-მური სახელმწიფოებისგან დიდი საფრთხე მოდის და ეს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ადგილია. თუნდაც, ის ანაკლიის პორტი იმიტომ დააფინანსა, რომ ზუგდიდს ანაკლია ჰქონდა? არა, იმიტომ, რომ თვითონ სჭირდება უსაფრთხოებისთვის (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

როგორც ნარატივებიდან ჩანს, ერთი მხრივ, საქართველოს, როგორც ტერორიზმის საფრთხეებთან გამკლავებაში მნიშვნელოვანი ლოკაციის, მეორე მხრივ კი, როგორც სატრანზიტო ზონის განხილვა, ევროკავშირის თვალში საქართველოს მნიშვნელოვან აქტორად წარმოაჩენს და საკმარისი საფუძველია ევროპულისტური გან-წყობებისთვის. მსგავსი ხედვა ყველა, მათ შორის, უფროსი ასაკის (41-65 წლის) მონაწილეებს შორის ვლინდება. ამ ჯგუფისთვისაც ევროკავშირის საქართველოთი დაინტერესება, პირველ რიგში, მის სტრატეგიულ/გეოპოლიტიკურ მდებარეობას უკავშირდება. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ევროკავშირის დაინტერესებას იწვევს მისი სურვილი, ჰყავდეს ძლიერი სამეზობლო, განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნებით. მართალია, უფროსი ასაკის რესპონდენტთა შეფასებით, საქართველო ჯერაც განვითარების ეტაპზეა, მაგრამ ის არის „ამომავალი წერტილი კავკასიაში“, რომელსაც აქვს პოტენციალი, განვითარდეს და გახდეს „პატარა, მაგრამ ძლიერი ქვეყანა და მართლა საყრდენი ევროკავშირისთვის“.

რაც უფრო მეტი დემოკრატიული ქვეყანა იქნება, რა თქმა უნდა, უფრო მომგებაანი იქნება ევროკავშირისათვის და ხელს უწყობს, ევროპის კონტინენტზე მაინც, ევრაზიის კონტინენტზე მაინც, მშენების დამყარებას, დემოკრატიული პროცესების დამყარებას და ეს ხელსაყრელია მისთვის. ჩვენ ვჭირდებით და ჩვენც გვჭირდება (ზუგდიდი, მამრ., 41-65).

სხვა ასაკობრივი ჯგუფების მსგავსად, უფროსი რესპონდენტების მიერაც რუსეთთან მეგობრობა დიპლომატიური ურთიერთობების კონტექსტშია განხილული. მთავარი დისკურსის თანახმად, აქაც,

ტერიტორიების შემდგომი დაკარგვის თავიდან არიდების მიზნით, მნიშვნელოვანია „არ გავაღიზიანო“ რუსეთი და მასთან „ჭკვიანური“ მეზობლური ურთიერთობა გვქონდეს. აღსანიშნავია, რომ სამივე ასაკობრივ ჯგუფში, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა „არაგამაღიზიანებლი“ რიტორიკის ქონას მოიაზრებს, რითიც ქვეყანამ „რუსული ჩექმის“ ქვეშ მოხვედრის საფრთხეები თავიდან უნდა აირიდოს. გარდა სწორად შერჩეული რიტორიკისა, რუსეთის საფრთხის თავიდან არიდებაში თავად ევროკავშირის როლიც არის ხაზგასმული. ამის მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომი და ევროპის ჩარევით ცეცხლის შეწყვეტა მოყვანილი: „2008 წლის ომში კინალამ გაგვანადგურა მთლად, რომ არ გაეჩერებინა ევროპას და სანქციები არ დაეწესებინა“ (ბათუმი, მდედრ., 41-65).

საგულისხმოა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ევროპის როლთან დაკავშირებით ფოკუსივალური განსხვავებული მოსაზრებაც გაუღერდა. კერძოდ, 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფში ხაზგასმული იყო, რომ აგვისტოს ომის დროს საქართველოს „მშველელად“ არავინ მოევლანა და მომავალშიც შესაძლოა იგივე განმეორდეს.

ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა... ვინ დაგვიცვას? როცა რუსეთი არის ოკუპანტი, როცა ტერიტორიები ჩამოგვართვა, რომელმა ერთმა გვიშველა? (თბილისი, მამრ., 26-40).

მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა, რომ 2008 წლის ომი, რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებთან ერთად, საქართველოს არარაციონალური პოლიტიკის შედეგიც იყო. ფოკუსურ დისკუსიებზე გაუღერებული მოსაზრებების თანახმად, პოლიტიკურ აქტორთა არასწორმა რიტორიკამ, რაც რუსეთის მთავარი პოლიტიკური მოთამაშის არაეთიკურად მოხსენიებაშიც გამოიხატა („ლილიპუტინი რომ ეძახ“), ქვეყანა მოამდე მიიყვანა. ამასთან, პოლიტიკურ აქტორთა მიერ იმის გათვალისწინება არ მოხდა, რომ რუსეთი დიდი, ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოა; ევროკავშირის, როგორც კოფნლიქტების დამრეგულირებლის როლი კი – შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფის შეფასებით, რუსეთთან პრობლემების დიპლომატიურად გადაჭრის სტრატეგიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რუსეთი არის დიდი მონსტრი, რომელსაც ყველა ეფერება. ახლა შენ იარაღს აიღებ, რისი იარაღის

მსროლელი ხარ? რაც მივიღეთ იმ არაგონივრული ქცევებიდან, კარგად ვიცით (ქუთაისი, მდედრ., 41-65 ნელი).

მოსახლეობასთან გამოკვეთილი დისკურსის თანახმად, გარდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ წარმოებული არაპრაგმატული პოლიტიკისა, რამაც 2008 წლის კონფლიქტში ჰქოვა ასახვა, უსაფრთხოების კონტექსტში კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავად რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების გათვალისწინებაც. ამასთან, ყველა ასაკობრივი ჯგუფის შეფასებით, გასათვალისწინებელია რუსეთის არაპროგნოზირებადობა, რასაც ევროკავშირიც უწევს ანგარიშს. შესაბამისად, საქართველოს მიერ „ჭკვანური“ ნაბიჯების გადადგმა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილება საკმარის მტკიცებულებებს იძლევა დასკვნისთვის, რომ მასთან სიმეტრიული ურთიერთობა შეუძლებელია. ერთი, იმის გამო, რომ მოსკოვთან მეგობრობა“ ნიშნავს „მონობას“ და მეორე, იმის გამო, რომ განვითარების ევროპული გზა მოდერნულობის დასავლური სტანდარტების მიღებას გულისხმობს. ესუკანასკნელი კირუსეთისთვის სრულიად მიულებელია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რუსეთთან „მეგობრობა“ მოსახლეობისთვის მხოლოდ ფრთხილ დიპლომატიურ ურთიერთობას გულისხმობს, რაც რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების არიდებისთვისაა აუცილებელი; თავად ევროკავშირი კი, ამ საფრთხეების არიდების გარანტადაა მოაზრებული.

## 2. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვასთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც კვლევის მონაცილები ევროკავშირთან დაახლოებიდან მოელიან, მასთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელია. უფრო მეტიც, უახლესი რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, თუ ევროინტეგრაციის მხარდაჭერას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი, მონინააღმდეგეთა არგუმენტიც ეკონომიკურ ფაქტორს ეფუძნება, კერძოდ, მათი

უმრავლესობა, ვინც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას არ ემხრობა, თავის მოსაზრებას იმით ხსნის, რომ ინტეგრაციის შედეგად, საქართველოში ცხოვრების დონე გაუარესდება, რადგან ევროკავშირს თავად აქვს ეკონომიკური პრობლემები (CRRC, 2019). ამასთან, საგულისხმოა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება, ხშირად, ურთიერთდაკავშირებულად განიხილება; თუმცა, შესაძლოა, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის მათ განსხვავებული დატვირთვა ჰქონდეს. ჩვენი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ, თუ საპარლამენტო უმრავლესობის და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, ასევე მოსახლეობის ყველა ჯგუფი, უსაფრთხოებაზე საუბრისას, უმეტესად, სწორედ სამხედრო/პოლიტიკურ უსაფრთხოებას გულისხმობენ, საპარლამენტო უმცირესობა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ევრო-ინტეგრაციას ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან როლს მიაწერენ. ამ კონტექსტში, რუსეთი არაპროგნოზირებად აქტორადაა მიჩნეული არა მხოლოდ პოლიტიკური ველისთვის, არამედ ეკონომიკური ველისთვისაც. აღნიშვნულის გათვალისწინებით, სავაჭრო ურთიერთობებისთვის სტაბილური ბაზრის არსებობა ევროკავშირის ბაზრის სახით, რესპონდენტთა ამ ჯგუფის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია. რაც შეეხება კვლევაში მონაწილე სხვა ჯგუფებს, მართალია, ისინი ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობებს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მაგრამ უშუალოდ უსაფრთხოების გარანტად არ მოიაზრებენ.

Q ანალიზი მოწმობს, რომ როგორც მოსახლეობას, ასევე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს არ აქვთ გამოკვეთილი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რამდენად მარტივი იქნება ქართული პროდუქციისთვის ევროპულ ბაზარზე გასვლა და რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება ის. მართალია, მათი დისკურსების თანახმად, ამჟამად ქართული პროდუქციისთვის ევროპულ ბაზარზე გასვლა მარტივი არ არის, მაგრამ თავად პროცესი მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის.

ევროკავშირთან დაახლოება, განსაკუთრებით, ევროკავშირში განევრიანება მას [საქართველოს], გარკვეულწილად, აძლევს ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს რუსეთთან მიმართებაში (საპარლამენტო უმცირესობა).

მეტიც, არა უბრალოდ ახალ (ევროკავშირის) ბაზარზე გასვლა, არამედ იქ ოპერირების წესების სწავლა და ადგილის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული სერიოზულ გამოწვევადაა მიჩნეული პროდუქციის შექმნის იმ სტანდარტების გათვალისწინებით, რისი გამოცდილებაც საქართველოს აქვს; ამიტომაც, რესპონძენტთა შეფასებით, ქვეყანამ ეს გამოწვევა აუცილებლად უნდა დაძლიოს.

ცხადია, ჯერ გადაწყობა მოგვინევს ძალიან. ჩვენ რასაც ვიყავით შეჩვეული, რომ ვაკეთებთ, იქ შეიძლება შენი ადგილი ვერ იპოვნო, ეს ყველა ქვეყნის გამოწვევაა. იქ ბაზარი შენ კი არ გელოდება, შენ უნდა მოერგო მას... ოპერირება უნდა ისწავლონ იმ [ევროკავშირის] ბაზარზე (საპარლამენტო უმცირესობა).

საპარლამენტო უმრავლესობა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობაზე ყურადღებას ნაკლებ ამახვილებს. მასთან არც ის არის ხაზგასმული, რომ ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის არა რუსეთთან, არამედ ევროკავშირთან ურთიერთობა უნდა იყოს პრიორიტეტი, როგორც ამას საპარლამენტო უმცირესობასთან ვჰვდებით. თუმცა, უმრავლესობის წარმომადგენლებთან გვხვდება დისკურსი ქართველი მნარმოებლებისთვის ევროკავშირის ბაზრის გახსნის მნიშვნელობაზე. აღნიშნული უსაფრთხოებას ნაკლებ უკავშირდება და, ზოგადად, პროცესისგან მიღებულ ხელშესახებ ეკონომიკურ სარგებელს უსვამს ხაზს.

ის, რომეონომიკავითარდება, ის, რომევროკავშირის ბაზარი იხსნება ჩვენი მნარმოებლებისთვის, უკვე არის სერიოზული ხელშესახები „ბენეფიტი“ ჩვენთვის (საპარლამენტო უმრავლესობა).

რაც შეეხება სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია „მაქსიმალურად ჩამოვეკიდოთ ევროკავშირს,“ რადგან ის არის სტაბილური პარტნიორი. როგორც სამთავრობო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ იყო აღნიშნული, რუსეთი სერიოზული საფრთხეა არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ვინაიდან მოსკოვი სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრ ობიექტს ფლობს ქვეყანაში, ამასთან, ქართული პროდუქციის მიმართ ეკონომიკური

სანქციების გამოყენება მისთვის ჩვეული პრაქტიკაა, ეკონომიკურად სტაბილური პარტნიორის ყოლა ევროკავშირის სახით, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

რუსეთი ძალიან დიდი საფრთხეა და ახლა თუ შევხედავთ, რა ხდება სხვადასხვა სექტორებში და რას ფლობენ, და იგივე სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები როგორ არის გადანაწილებული, იგივე ენგურჰესის თემა, იგივე ენერგეტიკა, საფრთხე არის უზარმაზარი და ევროკავშირი ნამდგილად არის ერთ-ერთი შემაკავებელი ძალა (სამთავრობო სექტორი).

ჩვენთვის, როგორც ქვეყნისთვის, სტაბილური პარტნიორი, ძლიერი, სტაბილური პარტნიორი ერთ-მნიშვნელოვნად პროპრიეტულია იმ რაღაც რუსეთთან საფრთხეებისა (სამთავრობო სექტორი).

რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების შემცირების აუცილებლობაზე გამახვილდა ყურადღება კვლევის მონაცილე ინტელექტუალური ელიტის მიერ. მათ ხაზი გაუსვეს ქართული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას („ქართული პროდუქცია მარტივად ვერ გავა ევროპაში... ქართული პროდუქცია ჯერ არ არის კონკურენტუნარიანი“), რის დასაძლევადაც მნიშვნელოვნად მიიჩნიეს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და ამ პროცესში სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლზე გაამახვილეს ყურადღება.

[ხელისუფლებამ] მხარი უნდა დაუჭიროს მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ მეტ ადამიანს შეეძლოს, ევროკავშირის ბაზარზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეს და ეს ავტომატურად შეამცირებს რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებას (არასამთავრობო სექტორი).

თუ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ხედვები ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების როლზე საკმაოდ ჰომოგენურია, კვლევის მონაცილე მოსახლეობა ამბივალენტური დისკურსებით გამოირჩევა: ერთი მხრივ, რუსეთი აღქმულია „დიდ“ და „ძლიერ“ სახელმწიფოდ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიების მიტაცებაზეა ორიენტირებული და აյ მისი როლი ცალსახად ნეგატიურია; მეორე მხრივ, რუსეთი, ასევე, აღქმულია, როგორც დიდი ბაზარი ქართული პროდუქციის რეალიზაციისთვის და მისი ეს

როლი პოზიტიურადაც კი ფასდება. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ რუსული ბაზრის მნიშვნელობა ხაზგასმული იყო ოუპირებული ტერიტორიების სიახლოეს მცხოვრები ახალგაზრდების ჯგუფში. როგორც გორსა და ზუგდიდში აღინიშნა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების არსებობა მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: ერთი მხრივ, ის დიდი ბაზარია, რომელიც ტერიტორიულად ახლოსაა საქართველოსთან; მეორე მხრივ კი, თავად ევროკავშირის ბაზარზე გასვლით, „ნაკლები მოგების“ მიღების შანსია, ვიდრე რუსულ ბაზარზე გასვლით.

ის არავის უნდა, რომ რუსეთი ისევ თავზე დაგვაჯდეს და იბატონოს ჩვენზე, მაგრამ ის, რაც ბაზარს შეეხებოდა, საიდანაც გლეხი შოულობდა ფულს, ეგუნდათ უფრო... იმ გლეხს ის ევროპა არ აინტერესებს, სადაც ოც თეთრად გაიტანს თავის ვაშლს. ის რუსეთი უფრო ადარდებს, საიდანაც უფრო ფული შემოუვა, იარსებებს (გორი, მდედრ., 18-25).

რუსეთი არის უდიდესი გასაღების ბაზარი საქართველოსთვის და ტერიტორიულად ახლოა. შეიძლება, ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირისგან უფრო ნაკლები მოგება მივიღოთ, ვიდრე რუსეთისგან (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

ახალგაზრდების შეფასებით, ევროპულ ბაზარზე გასვლით ქართველი მეწარმეები ნაკლებ სარგებელს (მოგებას) მიიღებენ, რამდენადაც ევროკავშირის ბაზარზე „მნირი რაოდენობის“ ქართული პროდუქცია გადის. ამის მთავარ მიზეზად კი რესპონდენტები ევროპულ სტანდარტებთან ქართული პროდუქციის შეუსაბამობას ასახელებენ. იმის გამო, რომ პროდუქციის ხარისხი რუსული ბაზრისთვის ნაკლებ პრიორიტეტულია, ვიდრე ევროპულისთვის, ფოკუსჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ამჟამად ქართულ პროდუქციას სწორედ რუსულ ბაზარზე გასვლის მეტი შანსი აქვს. როგორც ციტატებიდან ჩანს, რუსულ ბაზარს საქართველოს მოსახლეობისთვის მომხიბვლელს ხდის როგორც ნაკლებხარისხიანი პროდუქციის გატანის შესაძლებლობა, ასევე ტერიტორიული სიახლოეს.

ევროპაში იმიტომ ვერ ახერხებს კონკურენციას, რომ საქართველო ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს.

შესაბამისად არის ღვინოც. ფრანგულ ღვინოსაც ვერ უტოლდება. სტატისტიკურ მონაცემებს რომ შევხედოთ, საქართველოს ღვინო გადის რუსეთის ბაზარზე იმიტომ, რომ არ აქვთ იმათ ისეთი სტანდარტი, როგორიც ევროპაშია (ბათუმი, მდედრ., 18-25).

რუსული ბაზარი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. ყველას ვერ მიგვაქვს ევროპაში, ვერ დავფრინავთ... იქ შემიძლია დავჯდე მანქანაში, გადავიდე, გადავიტანო რაღაცა და ამით ჩვენ იმათ გამოვიყენებთ და უფრო გავძლიერდებით (თელავი, მდედრ., 41-65).

ეკონომიკური ურთიერთობის კონტექსტში, ვაჭრობის გარდა, რუსეთიდან მიღებულ მნიშვნელოვან სარგებლად რესპონდენტებს იქ მცხოვრებ ემიგრანტთა დიდი ჯგუფის მიერ საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილები მიაჩნიათ.

70%, როგორც სტატისტიკაში ვნახე, გადმორიცხვები არის რუსეთიდან. ჩვენი ხალხი საზრდოობს რუსეთში ნაშოვნი ფულით (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

რუსეთი, გარდა იმისა, რომ ქართული პროდუქტის სარეალიზაციოდ ხელსაყრელ ბაზრად მოიაზრება, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების მიერ ქართული სამუშაო ძალის დასაქმებისთვის მნიშვნელოვან სივრცედაც არის დანახული („ახლაც არიან წასულები, მუშაობენ“). რუსეთზე, როგორც შრომის მნიშვნელოვან ბაზარზე, კვლევის მონაწილე ინტელექტუალური ელიტის მიერაც გამახვილდა ყურადღება. თუ მოსახლეობასთან ხაზგასმულია რუსეთში დასაქმებულთა მიერ საქართველოში მცხოვრები ახლობლების ფინანსური დახმარება და ამის გამო რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობა, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ იმ მექანიზმების შემუშავების აუცილებლობაზე, რომლითაც რუსული შრომის ბაზარი თანდათან ევროპის ბაზარმა უნდა ჩაანაცვლოს. ამგვარ მექანიზმად მათ ევროპული შრომის ბაზრის ოფიციალური გახსნა ესახებათ. როგორც ერთ-ერთ ნარატივში აღინიშნა, მიუხედავად შრომის ბაზრის გახსნის სირთულისა, თუნდაც მცირე კვოტებით ბაზრის გახსნა რეალობას მნიშვნელოვნად შეცვლის („შრომითი ბაზარი თუ გახსენი, თუნდაც პატარა კვოტები მისცე, მაგალითად, გერმანიამ ცოტა კვოტა მოგვცეს,

სხვამ ცოტა... აი ეს უკვე ცვლის სიტუაციას“ (არასამთავრობო სექტორი)). ამ მექანიზმის ამოქმედების მთავარ მიღწევად, კვლევის მონაწილე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს, საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსულ შრომის ბაზარზე უარის თქმა მიაჩნიათ, ევროპული შრომის ბაზრის სასარგებლოდ.

*[ევროკავშირის] შრომის ბაზარი რომ გაიხსნას ოფიციალურად, იმიტომ, რომ არაოფიციალურად მოდიან და თუ გახსნი შრომის ბაზარს, მერე რუსეთისკენ არავინ წავა (არასამთავრობო სექტორი).*

ევროპულ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებულ ევროპტიმისტურ განწყობებს როგორც ინტელექტუალური, ისე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან ვხვდებით. როგორც აღინიშნა, რესპონდენტებს არ აქვთ ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპულ ბაზარზე გასვლა მარტივი იქნება, თუმცა ახალ ბაზარზე გასვლის გარკვეულ პოტენციალს კვლევის მონაწილე ყველა ჯგუფი ხედავს. მეტიც, სამთავრობო სექტორის ერთ-ერთ წარმომადგენლელთან გაუღერებული მოსაზრების თანახმად, საქართველოში პროდუქციის წარმოების გარკვეული „ტრადიცია“ არსებობს, ხარისხი კი ეტაპობრივად უმჯობესდება; შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე გასვლის „საკმარისი პოტენციალიც“ გვაქვს. ოპტიმისტური განწყობის საფუძველს კვლევის მონაწილეებს, განსაკუთრებით, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, თავად ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული პროგრამები აძლევს, რომლებიც პროდუქციის ევროპული სტანდარტებით წარმოებაში მხარდაჭერას გულისხმობს. ამ კონტექსტში, ძირითად გამოწვევად საქართველოს მიერ სწორი არჩევანის გაკეთება მიიჩნევა. არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენლის შეფასებით, მნიშვნელოვანია „პრიორიტეტები სწორად“ განისაზღვროს და რამდენადაც ევროკავშირის ბაზარი არის „მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე, უფრო სანდო“ ბაზარი, არჩევანიც, რუსული ბაზრის ნაცვლად, სწორედ ევროკავშირის ბაზარზე უნდა გაკეთდეს.

*აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ პრიორიტეტები სწორედ განვსაზღვროთ და ამ პრიორიტეტებს მხარდაჭერაგამოვუცხადოთ. ამის შესასაძლებლობას იძლევა, გარკვეულნილად, ის პროგრამები, რასაც ევროკავშირი გვთავაზობს (არასამთავრობო სექტორი).*

ოპტიმისტური განწყობების პარალელურად, კვლევის მონაწილეთა ყველა ჯგუფში ხდება იმის ხაზგასმა, რომ ამ ეტაპზე ქართული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი და ევროკავშირის ბაზარზე გასვლა მისთვის ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ამით რესპონდენტები, თითქოს, იმპლიციტურად იმაზე მიუთითებენ, რომ შემდგომი განვითარებისთვის სწორედ შესაბამისი სტანდარტების შეცვლა განმსაზღვრელი. ამ ცვლილებების განხორციელებაში გადამწყვეტი როლი დროის ფაქტორს მიეწერება და, როგორც კვლევის მონაწილე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლის ნარატივში ვხვდებით, „რაღაც მომენტში აქაც დაიწყება“ უკეთესი პროდუქციის წარმოება. ამ თვალსაზრისით, გარკვეულ პროგრესზე მიუთითებენ რესპონდენტები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორებიდან. გარდა იმისა, რომ მათთან აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ბაზრის გახსნით ქართველმა ბიზნესაქტორებმა უკვე „ისწავლეს რაღაცების კეთება“, ასევე ხაზგასმულია ისიც, რომ ქართული პროდუქტის მიმართ „იზრდება მოლოდინები ხარისხთან დაკავშირებით“ (სამთავრობო სექტორი).

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ევროპის ბაზარზე გასასვლელად ეკონომიკური ველის მოთამაშეები იძულებული არიან გარდაიქმნან, უარი თქვან ძველი წესებით თამაშები, რაც უხარისხო პროდუქციის წარმოებას გულისხმობს („უსარგებლო ნაგავი მიჰქონდა რუსეთს“), გაიარონ ცვლილებების მტკიცნეული პროცესი და გარდა კონკურეტული, მონეტარული სარგებლისა, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიებიც მიიღონ, განსაკუთრებით, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. აღნიშნული გარანტიები ევროკავშირთან, როგორც მსხვილ და სანდო სავაჭრო პარტნიორთან, გრძელვადიანი, სტაბილური ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს. რეფორმების რთული გზის გავლა, ევროპული სტანდარტების დამკვიდრება და „ევროპული წესებით“ ოპერირება, ქართული პროდუქციის მიერ ევროპულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისთვის აუცილებელ პირობადა მიჩნეული. ამ გზის გავლაში მთავარ მხარდამჭერად სწორედ ევროკავშირია მოაზრებული, რომელიც, ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, სწორედ „იმიტომაა ძვირფასი, რომ შენ რაც ყველაზე მეტად შეგიძლია, იმაში შეგინწყობს ხელს და იმით გამოგაჩენს“ (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

როგორც აღინიშნა, ეკონომიკური თვალსაზრისით ევროპტი- მისტურ განწყობებთან ერთად, ოპტიმისტურია კვლევის მონაწილე-

თა ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოლოდინებიც. ამგვარ განწყობებს საფუძვლად უდევს რესპონდენტთა რწმენა, რომ საქართველო ევროკავშირისთვის საჭირო ქვეყანაა. ძირითადი არგუმენტის თანახმად, საქართველო განსაკუთრებით მიმზიდველია მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რაც ენერგოდერეფნად ქვეყნის პოტენციალის გამოყენებასა და საერთაშორისო ტერიტორიზმთან ბრძოლაში მისი გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობას უკავშირდება. ევროპტიმისტურ განწყობებს თავად ევროკავშირის სწრაფვაც უბიძგებს, რომ საკუთარი პოლიტიკური გავლენის არეალი გააფართოვოს. შესაბამისად, კვლევის მონაცილეთა შეფასებით, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები, ადრე თუ გვიან, მაინც „დაფასდება“ ევროკავშირის მიერ, რომლისთვისაც „სიტყვა სიტყვაა.“ ამდენად, ევროკავშირისგან მიღებულ მთავარ პრაგმატულ სარგებლად, საბოლოო ჯამში, მაინც ევროკავშირის წევრობა მიიჩნევა. მსგავს არგუმენტს, პირველ რიგში, საპარლამენტო უმრავლესობისა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან უხვდებით. რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს, ისინი რეფორმების განხორციელების მიმართულებით არსებულ ხარვეზებზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირის წევრობა საქართველოსთვის შორეულ პერსპექტივად განიხილება, განვითარების ამ ტრაექტორიით სვლა, კვლევის მონაცილე ყველა ჯგუფის მიერ საკვანძო მნიშვნელობის პროცესად ფასდება. თუ ვაჭრობის კონტექსტში, ეს პროცესი, პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირდება, ტერიტორიული უსაფრთხოების კონტექსტში, ევროკავშირთან დაახლოება საქართველოს მიერ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების თავიდან არიდების მთავარ ბერკეტად განიხილება. თავად ევროკავშირისთვის კი, კვლევის მონაცილეთა ხედვით, საქართველოს ევროპეიზაცია იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ველის გავლენიანი აქტორი, განვითარებული სამეზობლოს არსებობითაა დაინტერესებული და კავკასიაში დასაყრდენად სწორედ საქართველოს მოიაზრებს. შესაბამისად, რესპონდენტთა შეფასებით, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება, შესაძლოა განსხვავებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მაგრამ ორივე აქტორისთვის – როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირისთვის – მნიშვნელოვანი პროცესია.

## ელიტები და მოსახლეობა ქართველების ეპოკული იდენტობის შესახებ

წინა ქვეთავში განხილული პრაგმატული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირთან და ევროპეიზაციასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების ფორმირებაში. ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია იდენტობის ფაქტორის როლიც, კერძოდ, ეროვნულ ტრადიციებსა და იდენტობაზე ევროპეიზაციის გავლენისა, და ეროვნულ და ევროპულ იდენტობებს შორის თავსებადობის ხედვა. რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევებიც ადასტურებს, რომ იდენტობის ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროინტეგრაციისადმი მხარდაჭერაზე (CRRC, 2009-2019). უფრო მეტიც, რეგრესიული ანალიზის თანახმად, რესპონდენტების ასაკთან და ევროკავშირის მიმართ ნდობის ხარისხთან ერთად, ევროინტეგრაციისადმი მხარდაჭერის ფორმირებისას განმისაზღვრელია სწორედ ეროვნული ტრადიციების მიმართ საფრთხის ხედვა (CRRC, 2019).

პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტებს დისკურსებში ქართველების ევროპული იდენტობა საკმაოდ ამბივალენტურად განიხილება – ქართველები, ერთდროულად, ევროპელებადაც წარმოგვიდგებიან და (ჯერ კიდევ) არასაკმარისად ევროპელებადაც. თუ, პირველ შემთხვევაში, „ევროპელობა“ უკვე მოცემულობაა და მას, უმეტესად, ისეთი კულტურული მახასიათებელი განსაზღვრავს, როგორიც ქვეყნის ქრისტიანული ტრადიცია და მასთან დაკავშირებული ღირებულებების სისტემაა, მეორე შემთხვევაში, საქმე გვაქვს პროცესთან, რომელმაც ქართველები „ნამდვილ ევროპელებად“ უნდა აქციოს. აქ უკვე „ევროპელობა“ მიზნად წარმოჩინდება, რომელსაც მიღწევა სჭირდება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, „ნამდვილი ევროპელობა“, უმეტესად, ისეთი ღირებულებების ინტერნალიზაციას გულისხმობს, როგორიც, მაგალითად, ევროკავშირის კოპენჰაგენის კრიტერიუმებში გვხვდება და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიზაციას უკავშირდება (Manners, 2002). გზა

ქართველების „ნამდვილ ევროპელობამდე“ ელიტებისთვის, მათივე სიტყვებით, მოსახლეობის „მენტალურ მოდერნიზაციაზე“ გადის, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის წინაპირობად მიიჩნევა (Tsuladze et al., 2016).

„ნამდვილ“, განვითარებულ ევროპად გახდომის დისკურსი განვითარების იდეალისტური მოდელის (Thornton et al., 2015) ჭრილში უნდა განვიხილოთ, რომელიც, როგორც ლიტერატურის მიმოხილვისას ვაჩვენეთ, განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებული იდეალისტური რწმენებისა და ლირებულებების სისტემას წარმოადგენს: ის განსაზღვრავს, რა შინაარსს ვდებთ მოდერნულობასა და „კარგ ცხოვრებაში“, რა მანძილი გვაშორებს მას და როგორ უნდა შევიცვალოთ იმისათვის, რომ ამ ყველაფერს მივაღწიოთ. რადგანაც მოდელს საგრძნობლად ევროცენტრული ხასიათი აქვს და განვითარების სტანდარტად ჩრდილო-დასავლეთ ევროპის საზოგადოებებს მოიაზრებს, ნაკლებ განვითარებული საზოგადოებები ცდილობენ, განვითარების იერარქიულ კიბეზე სწორედ ამ ქვეყნების საფეხურს მიაღწიონ. შესაბამისად, განვითარების შინაარსიცა და ტრაექტორიაც სწორებაზოგნად და უნივერსალურადაა წარმოდგენილი. მსგავსი ხედვის საილუსტრაციოდ ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებიც გამოდგება, რომლის მიხედვით, „მომავალში ყველა ქვეყანას მოუწევს, რომ დაიხვეწოს და მივიდეს ამ [დასავლური ქვეყნების] ეტაპამდე“ (სამთავრობო სექტორი). სხვადასხვა ქვეყნის განვითარების ნაკლებობა იმით აიხსნება, რომ მათ შესაბამისი ტრანსფორმაცია ვერ განიცადეს ან არასწორი ტრაექტორიით განვითარდნენ. „მცდარი“ განვითარების მაგალითად, ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნები აღიქმება. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მსგავსი თვითაღება ჩვენი მონაწილეების ნარატივებშიც იყვეთება. განვითარების იდეალისტური მოდელის ფარგლებში, ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი ცვლილებები სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მათ შორის, განათლებას, ადამიანის უფლებებს, რელიგიას, ყოველდღიურ სოციალურ ნორმებსა და ლირებულებებს და ა.შ., რაც ელიტების „მენტალური მოდერნიზაციის“ დისკურსში თვალსაჩინოდ ჩანს. მსგავსი ტიპის მოდერნიზაციაში რესპონდენტები საკუთარი ლირებულებების იმგვარ ცვლილებას მოიაზრებენ, რომ, საბოლოოდ, ლიბერალური დემოკრატიის იდეალური მოდელის მოთხოვნებს პასუხობდნენ. განვითარების იდეალისტური მოდელის ხედვებს, თავის მხრივ, ისიც ამძაფრებს,

რომ დასავლეთის მოსახლეობის შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლად, როგორც წესი, „უკეთესი“ ლირტბულებითი სისტემა მიიჩნევა, რომელიც მოიცავს განათლებას, ადამიანის უფლებების პატივისცემას, დემოკრატიას და ა.შ. აქედან გამომდინარე, თუკი ქრისტიანული კულტურა საქართველოს ევროპის ნაწილად დაუყოვნებლივ განხილვის საშუალებას იძლევა, ამავდროულად, ეკროპელობა „მოსაპოვებელიცაა“ და განვითარების, მოდერნიზაციისა და ცივილიზაციის ნარატივს უკავშირდება. ამ კონტექსტში, საქართველო, მართალია, ევროპული ცივილიზაციის ნაწილად აღიქმება, მაგრამ „ცივილიზებული“ ევროპის – (ჯერ) არა.

განვითარების იდეალისტური მოდელი არა მხოლოდ ელიტების, არამედ მოსახლეობის დისკურსებშიც თვალსაჩინოა, რომლებიც თითქმის სრულად ემთხვევა ელიტების ევროენთუზიასტურ დისკურსებს. ევროკავშირი და ევროპა აქაც ანალოგიურად უკავშირდება კულტურას, განათლებასა და ცივილიზაციას, ხოლო ქართველების „მენტალური მოდერნიზაცია“ განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივებს ბევრი რამ აქვთ სასწავლი ევროპული ქვეყნებისგან. თუმცა, ელიტებისგან განსხვავებით, მოსახლეობასთან სრულიად საპირისპირო დისკურსებიც ვლინდება – აქ უკვე ევროკავშირზე ასიმეტრიული დამოკიდებულების მიმართ აშკარად გამოხატული წინააღმდეგობა გვხვდება, რაც, ზოგადად, ელიტებისა და მოსახლეობის ევროკავშირისადმი განწყობებს შორის ძირითად განმასხვავებელ ნიშანად იყო განხილული ნაშრომის შესავალ ნაწილში. მსგავსი წინააღმდეგობა ხშირად საკუთარი კულტურული იდენტობის გაზიადებით ან ევროკავშირის დაკინებით გამოიხატება.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ როგორც „კულტურული წინააღმდეგობის“, ასევე „კულტურული ევროპელობის“ (საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი) და „ნამდვილი ევროპელობის“ (საქართველო, როგორც ცივილიზებული ევროპის ნაწილი) დისკურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ „კულტურული ევროპელობის“ დისკურსი შედარებით უფრო აქტუალურია ელიტებთან, განვითარების იდეალისტური მოდელი თავს ორივე შემთხვევაში თვალსაჩინოდ იჩენს. მოსაზრებების თანხვედრის გამო მოსახლეობისა და ელიტების ნარატივები ერთად იქნება წარმოდგენილი. ამასთან, აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი, რომ იდენტობის ასპექტებს ამგვარად მხოლოდ პრობლემის ილუსტრაციის

მიზნით ვაცალკევებთ და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სინამდვილეში „კულტურული ევროპელობისა“ და „ნამდვილი ევროპელობის“ დისკურსები ურთიერთგადაჯაჭვულია.

## 1. საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი

კვლევის საფუძველზე ვლინდება, რომ ქართველების ისტორიულ და კულტურულ ევროპელობაზე აქცენტი ელიტებთან უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე მოსახლეობასთან. შესაბამისად, ამ ნაწილში დომინანტური სწორედ ელიტების დისკურსებია (სავარაუდოდ იმიტომ, რომ ელიტები, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები, მეტად ცდილობენ, კულტურაზე აპელირებით, შიდა აუდიტორიის თვალში ევროპეიზაციის ლეგიტიმაცია მოახდინონ), მოსახლეობის მოსაზრებები კი მხოლოდ პერიოდულად გვხვდება. კულტურული ევროპელობის დისკურსი, თავის მხრივ, რამდენიმე თემას მოიცავს: საქართველოს ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობა ევროპეიზაციის კონტექსტში; ევროპული ღრმებულებები, როგორც ქართველებისთვის ავთენტურად დამახასიათებელი (ამ ჭრილში განსაკუთრებით აქტუალურია სექსუალური უმცირესობის ისტორიული მიმღებლობა-ამჟამინდელი მიუღებლობის დისკურსი, რომელიც დამოუკიდებელ ქვეთავად არის წარმოდგენილი) და საბჭოთა წარსულის გავლენა ქართველების ევროპული ღირებულებათა სისტემის „დამახინჯებაზე.“ უკანასკნელი დისკურსი, თავის მხრივ, სწორედ იმ ამბივალენტობის გადაჭრაზეა მიმართული, რომლის მიხედვით, საქართველო, ერთდღოულად, ევროპულიცაა და ჯერ კიდევ არასაკმარისად ევროპულიც; ქართველებს ევროპული ღირებულებები ისტორიულად ახასიათებთ, თუმცა, ამასთანავე, ხელახლა უნდა ისწავლონ. შესაბამისად, ამით ელიტების მიერ, ირიბად, იმის ხაზგასმაც ხდება, რომ ევროპეიზაციის ფარგლებში მიმდინარე განვითარების პროცესი არა თავსმოხვეული, არამედ ქართველებისთვის ორგანულია. ამას გარდა, მოცემულ თავში ისეთი საკითხებიცაა განხილული, რომლებშიც მონაწილეები ქართულ და ევროპულ კულტურებს შორის განსვლას ხედავენ: მაგალითად, ელიტებისა და მოსახლეობის ნაწილის აზრით, იმის მიუხედავად, რომ, ზოგადად, საქართველოს ქრისტიანული კულტურა ევროპეიზაციის

ხელშემწყობად გვევლინება, მაინც ბარიერს წარმოადგენს მართლ-მადიდებლური მსოფლმხედველობა, რომელიც თანამედროვე ევრო-პულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება; მოსახლეობის დისკურსებში კი, უმეტესად, სექსუალური თავისუფლებისა და სექსუალური უმცი-რესობების ხილვადობის საკითხი გამოიყოფა ქართულ კულტურასთან შეუსაბამოდ.

## 1.1 მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ევროპეიზაციის პროცესში

ევროპული იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ასპექტად ევროპელი ელიტები ქრისტიანობას მოიაზრებენ (Risse, 2010). ამავე მოსახრებას იზიარებენ ჩვენი კვლევის მონაწილე პოლიტიკური ელიტებიც: მათი აზრით, საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, იმთავითვე „ევროპული ოჯახის“ წევრია. ამ შემთხვევაში, „ავთენტური“ ქართული ღირებულებები და ტრადიციები, რომელიც ქრისტიანული კულტურის საფუძველზეა ჩამოყალიბებული, არაფრით განხვავდება ევროპული ღირებულებებისგან (როგორც შემდგომ ვნახავთ, „ავთენტურ“ ღირებულებებში, უმეტესად, საბჭოთა პერი-ოდამდე არსებული ღირებულებები მოიაზრება).

ევროპული ღირებულებები არის ქრისტიანული ღირებულებები. მოდი, აქედან დავიწყოთ, ხომ? რა ტრადიციები გვაქვს ჩვენ ისეთი, რომელიც არ შეიძლება ჩაჯდეს ამ ტიპის ღირებულებებში? არა, არანაირი ისეთი არ გვაქვს რამე, რაც რეალური ტრადიციაა (საპარლამენტო უმრავლესობა).

ის ღირებულებები, რომელსაც, რეალურად, ქრისტიანობა ქადაგებს, ეგ არის ყველაზე ახლოს ევროპულ ღირებულებასთან. ეს არის კაცთმოყვარეობა, ეს არის სოლიდარობა, ეს არის ჰუმანიზმი (საპარლამენტო უმრავლესობა).

შესაბამისად, ელიტების ნაწილის აზრით, ქრისტიანობაზე დამყარებული ქართული კულტურისთვის ევროპეიზაციის პროცესი ორგანულია, რადგან „ევროკავშირი და ევროპული კულტურა სწორედ ქრისტიანობაზე დაფუძნდა“ (საპარლამენტო უმცირესობა). რაც შეეხება მოსახლეობას, აქ ქრისტიანობასა და საერთო კულტურაზე აქცენტი ნაკლებად ვლინდება. მხოლოდ ერთგან აღინიშნა, რომ

„ევროკავშირი, ძირითადად, ქრისტიანული ქვეყნების გაერთიანებაა და, შესაბამისად, მას ქრისტიანულ საქართველოსთანაც აქვს საერთო“ (ბათუმი, მამრ., 26-40). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელიტებსა და მოსახლეობას შორის ამგვარი განსვლა იმით აიხსნება, რომ შესაძლოა ელიტები სწორედ საერთო ქრისტიანულ კულტურაზე აპელირებით ცდილობდნენ, ევროპებისაცის პროცესს მეტი ლეგიტიმაცია შესძინონ მოსახლეობის თვალში; ხოლო თავად მოსახლეობის დისკურსები შიდა აუდიტორიის დარწმუნებაზე ნაკლებადაა მიმართული და კულტურულ ასკეტებზე ხაზგასმაც ნაკლებ გვხვდება.

ერთიანი ქრისტიანული კულტურის არგუმენტის მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი (Zarycki, 2014) შიდაევროპულ იერარქიაზეც საუბრობს და მიიჩნევს, რომ ევროპულ კულტურაში ყველა ტიპის ქრისტიანობა ერთნაირად აღარებული არ არის. ამ მოსაზრებით, ევროპული კულტურის განსაზღვრისას უპირატესობა პროტესტანტულ სეკულარიზმს ენიჭება, ვინაიდან კაპიტალიზმი და მასთან დაკავშირებული ლირებულებები (რაც ევროპული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასკეტია) სწორედ სეკულარიზებულ პროტესტანტულ ეთიკას ეფუძნება. ამასთან, ავტორის აზრით, ევროპელობის ისეთნარმოსახვაში, რომელიც რაციონალიზმს საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს, ნაკლებად ჯდება მართლმადიდებელი და კათოლიკური ქვეყნები, განსაკუთრებით ისინი, სადაც მოსახლეობა არცთუ ისე სეკულარულია. მსგავსი მოდელი დასავლეთ ევროპის სეკულარიზებულ ქვეყნებს იერარქიის მაღალ საფეხურზე აყენებს, ხოლო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის კათოლიკე და მართლმადიდებელ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობისთვის რელიგია მეტად მნიშვნელობს – ირაციონალურის იარლიყი მეტად ეწებება და იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე განიხილება (იქვე).

ჩვენი კვლევის მონანილე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები ერთხმად უარყოფენ ევროკავშირის მიერ აღმოსავლური ქრისტიანობის „ზემოდან ყურების“ ტენდენციას, თუმცა, იმავ-დროულად, მათი ნაწილი მართლმადიდებლობას თავადვე განიხილავს ევროინტეგრაციის შემაფერხებლად, რაც შესაძლოა თვითორიენტალიზაციის მაგალითადაც მივიჩნიოთ. ამ კონტექსტში, მართლმადიდებელი ეკლესიის ღირებულებები ევროპულ ღირებულებებთან შეუთავსებლად განიხილება: აქ განსაკუთრებით ხაზგას-მულია შრომასთან, თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირებულებები.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შრომის მნიშვნელობას აკნინებს, ამის საპირისპიროდ კი, ევროპული ღირებულებები შრომისა და პირადი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას გულისხმობს:

ეკლესიის „მესივჯია“ – „წადი, იმათხოვრე და მოგე-ცემა,“ წადი და იმუშავეო, მაგას არავინ გეუბნება. „წადი, იღლოცე, იმათხოვრე და მოგეცემა“ ვარიანტია. მაშინ, როდესაც ევროპა გეუბნება: „ადექი ტახტიდან, გააგდე მახათი ხელიდან და დაიწყე მუშაობა.“ (...) შენ თუ მიხვდები, რომ უნდა გაიძირე, რომ უკეთესი ცხოვრება გქონდეს, ხდები უკვე ევროპელი (არასამთავრობო სეჭ-ტორი).

ეს ნარატივი, იმპლიციტურად, მართლმადიდებლობას სწორედ პროტესტანტულ ეთიკას უპირისპირებს, რომელზეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კაპიტალისტური მოდელია დაფუძნებული და შრომისა და პირადი პასუხისმგებლობის ღირებულებებს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. მოსაზრება, რომ ამ ღირებულებების ინტერ-ნალიზაცია მოსახლეობას ევროპულად აქცევს, თავის მხრივ, განვითარებისა და მოდერნიზაციის დისკურსებთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ, სადაც „ჩამორჩენილობაზე“ პასუხისმგებლობა კულტურულ ასპექტებს ენიჭება, ხოლო ეკონომიკური მოდერნიზაცია „მენტალური მოდერნიზაციით“ მიიღწევა.

ამას გარდა, ელიტების ნაწილი ქართულ ეკლესიას ლიბერალურ ევროპულ ღირებულებებთან წინააღმდეგობრივად განიხილავს „იმიტომ, რომ ისინი [მღვდლები] ხელს უწყობენ ისეთი ფასეულობების, თავისუფლების შეზღუდვის, ადამიანის უფლებების შეზღუდვის გავრცელებას საზოგადოებაში, (...) რომ ეს ჩვენს ევროპულ ტრანსფორმაციას აფერხებს“ (საპარლამენტო უმცირესობა). მსგავსი მოსაზრება მოსახლეობის ნარატივებშიც ვლინდება და ეკლესია პიროვნული თავისუფლების ღირებულების (რაც, თავის მხრივ, კვლავაც ევროკავშირთან ასოცირდება) მოწინააღმდეგებდ აღიქმება: „არ მოსწონთ ის, რომ მეტი თავისუფლება მიიღეს ახალგაზრდებმა ევროკავშირისგან“ (თელავი, მდედრ., 26-40).

ინტელექტუალური ელიტის ერთ-ერთი ნარმომადგენელი მართლ-მადიდებლობის „ჩამორჩენილობის“ ხაზგასასმელად მას ევროკავშირის სივრცისთვის მეტად დომინანტურ რელიგიას – კათოლიციზმს

უპირისპირებს. მართალია, რესპონდენტი კათოლიციზმსაც პრობლემურად მიიჩნევს, თუმცა, მისი აზრით, ეს უკანასკნელი მაინც „მეტად არის ადაპტირებული დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებთან.“ მართლმადიდებლობა, ამ კუთხით, მასზე გაცილებით „არარეფორმირებულად“ და „არაშემწყნარებლურად“ არის განსილული (არასამთავრობო სექტორი). მსგავსი მოსაზრება მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებშიც გეხვდება, სადაც კიდევ უფრო მეტი აქცენტია დასმული განვითარების იერარქიაზე: ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, კათოლიკურმა ეკლესიამ, მართლმადიდებლურისგან განსხვავებით, „განვითარების ეტაპებს მიაღწია“, ხოლო „მართლმადიდებელი ეკლესია არის ისევ იმ დონეზე, როგორც იესო ქრისტეს დროს იყო“ (თელავი, მამრ., 26-40).

მოსახლეობის ნარატივები ევროკავშირსა და მართლმადიდებელ რელიგიას შორის მკვეთრ ზღვარს ავლებს: ერთმხარეს კონსერვატული, დოგმებისა და ტრადიციების შენარჩუნებაზე ორიენტირებული ეკლესია, რომლის ნარმომადგენლებსაც „ცივილიზაცია არ მოსწონთ“ (თელავი, მდედრ., 41-65), მეორე მხარეს კი – პროგრესზე, ცვლილებებსა და ღიაობაზე ორიენტირებული ევროკავშირი.

ეკლესია – ეს არის ნეიტრალურ, გაყინულ პოზიციაში დგომა. არანაირი ცვლილებები, არანაირი ნინგადადგმული ნაბიჯი. ევროპა – ეს არის განათლება, მეცნიერება, პროგრესი, ცვლილებები. ევროპა ჩემთვის ეს არის (ბათუმი, მამრ., 26-40).

ეკლესიისათვის იმიტომ არის ნაკლებად მისაღები [ევროპეიზაცია], რომ რწმენაზე და ტრადიციებზე ორიენტირებული არიან და ჩემთვის ეს იმიტომ არის მიუღებელი, რომ უნდა მისცე საშუალება ქვეყანას, მოსახლეობას, რომ განვითარდეს, არ იყოს ჩაკეტილი ამ ტრადიციებში (ბათუმი, მდედრ., 18-25).

შესაბამისად, როგორც ვხედავთ, რელიგიის საკითხი ევროპეიზაციის კონტექსტში საკმაოდ ამბივალენტურად წარმოჩინდება. ერთ შემთხვევაში, ქრისტიანული კულტურა და მისგან ნანარმოები ღირებულებები ქართველების კულტურული ევროპელობის საფუძველს ქმნის, რაც განსაკუთრებით ელიტების ნარატივებში იჩინს თავს. ამის საპირისპიროდ კი, მართლმადიდებლობა და მართლმადიდებელი ეკლესია არაევროპულ, არალიბერალურ ფასე-

ულობებთან ასოცირდება და, ამგვარად, ევროპეიზაციის პროცესის შემაფერხებლადაც კი არის წარმოდგენილი.

## 1.2 ქართული ღირებულებები ევროპული ღირებულებებია

რელიგიასთან დაკავშირებული ასპექტების გარდა, მონაწილეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპულად მოაზრებულ მრავალ-ფეროვნებისა და ტოლერანტობის ღირებულებებს. ითვლება, რომ ეს ფასეულობები „ევროპულოჯაბში“ ქართული კულტურის კომფორტულ არსებობას განაპირობებს: ერთი მხრივ, ევროკავშირი თავად აფასებს მრავალფეროვნებას და ამიტომაც ქართველებსაც პატივს სცემს თავისი კულტურული თავისებურებებითა და ტრადიციებით; მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ მრავალფეროვნების დაფასება და ტოლერანტობა ქართველების ისტორიული მახასიათებელია, რაც მათ ევროპელებთან აახლოებს.

პირველ შემთხვევაში, არგუმენტი ევროკავშირის დევიზს „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ეყრდნობა და გულისხმობს, რომ ევროკავშირი თავად განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებს აერთიანებს და ყველას ტრადიციებს პატივს სცემს. ზუსტად ამიტომ, ევროინტეგრაციის კონტექსტში, დაცული და შენარჩუნებული იქნება ქართული კულტურული თავისებურებებიცა და იდენტობაც.

თვითონ ევროპა ძალიან ტრადიციული ღირებულებების მქონე, ევროპული ქვეყნებია ძალიან ტრადიციული და გაერთიანებამ მათ ეს ტრადიციები არ მოუშალა. ასე რომ, არც საქართველოს ტრადიციების საფრთხე არის და, პირიქით, ჩვენი ტრადიციები მრავალფეროვნებაში უფრო საინტერესო გახდება (საპარლამენტო უმრავლესობა).

პირიქით, უფრო შევძლებთ, დავიცვათ ჩვენი იდენტობა. ევროპული ღირებულებები სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მისცეს, ვთქვათ, ყველა ქვეყანას და ერს იმის საშუალება, რომ თვითგამოხატვა და იდენტობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს იმიტომ, რომ ეს არის მათი ღირებულება, გათვლილი იმაზე, რომ სხვა ერებს და სახელმწიფოს პატივი სცენ (არასამთავრობო სექტორი).

ევროინტეგრაციის პროცესში ტრადიციების დაკარგვის შიში არც მოსახლეობის დისკურსებში ვლინდება, რასაც ვ ანალიზიც ადასტურებს. როგორც ელიტები, ასევე მოსახლეობა გამოარჩევს და კატეგორიულად არ ეთანხმება დებულებას, რომლის თანახმად, ევროპული ლირებულებების გავრცელება ქართული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. კვლევის მონაწილეების აზრით, „არ გულისხმობს საერთოდ ევროკავშირში შესვლა რაიმე ტრადიციაზე უარის თქმას. ისევ ისე გვექნება ეს ტრადიციები“ (ბათუმი, მდედრ., 18-25). პირიქით, ხაზგასმულია, რომ თავად „ევროკავშირს სჭირდება [საქართველო] ჩამოყალიბებული ტრადიციებით“ (ქუთაისი, მდედრ., 18-25). მონაწილეების თქმით, ევროინტეგრაციის პროცესში ქართველებს სამუალება მიეცემათ, ევროპელებს საკუთარი კულტურული ტრადიციები გაუზიარონ. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, „ჩვენს ქრისტიანულ კულტურაში არის შექმნილი რაღაც ისეთი ავთენტური, რისი გაზიარებაც შეგვიძლია“ (ბათუმი, მარ., 26-40).

ამ ტიპის ნარატივებში (რომელიც „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ დევიზს ეფუძნება) ხაზგასმულია, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა, მსგავსად სხვა ნებისმიერი ევროპული ქვეყნისა. პოლიტიკური ელიტების წარმომადგენელი ერთ-ერთი მონაწილე აქსიომადაც კი მიიჩნევს, რომ „ჩვენი ცივილიზაცია არის ევროპული ცივილიზაცია, ბუნებრივად ვართ ევროპული ოჯახის წევრები“ (საპარლამენტო უმცირესობა). უფრო მეტიც, „საზოგადოება იმდენად ბუნებრივად არის ევროპული ლირებულებების, რომ რაც არ უნდა ეცადონ, ამ ლირებულებებისგან ის უბრალოდ ვერ გადაუხვევს“ (საპარლამენტო უმცირესობა).

საგულისხმოა, რომ კვლევის მონაწილე ელიტები ცდილობენ, ქართული ლირებულებების იმგვარი ფორმულირება მოახდინონ, რაც ევროკავშირის კოპენაგენის კრიტერიუმებს შესაბამება. მკვლევრების აზრით, ევროკავშირი ამ ლირებულებებს არა მხოლოდ არაევროპულ, არამედ თავად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებსაც კი „ცივილიზაციურ სტანდარტებად“ უდგენს (Manners, 2002; Melegh, 2006; Kliewer & Stivachtis, 2007). შესაბამისად, მონაწილეები ტრადიციების კონტექსტში საუბრობენ ადამიანის უფლებებზე, თანასწორობაზე, ტოლერანტობასა და მრავალფეროვნებაზე; თუმცა, ამასთანავე, ამ ლირებულებებს განსაკუთრებული ყურადღება სწორედ განვითარების იდეალისტური

მოდელის კონტექსტში ეთმობა. მსგავს რიტორიკას რიზე (2010) „პრიმორდიალური“ (მაგალითად, ქრისტიანობაზე დამყარებული) იდენტობის დისკურსისგან მიჯნავს და მას ევროპელი ელიტების „საკრალური“ იდენტობის დისკურსის ნაწილად მიიჩნევს, ვინაიდან, მისი აზრით, ევროკავშირის ნორმებსა და მათზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს შიდა ჯგუფისთვის საკრალური მნიშვნელობა ენიჭება. ამ გადმოსახელიდან, „ევროპული ოჯახის“ წევრობას არა იმდენად ქრისტიანული კულტურა, არამედ ლიბერალური დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ნორმების ათვისება განსაზღვრავს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქართველოს „ნამდვილ ევროპად“ გარდაქმნა მოსახლეობის მიერ სწორედ აღნიშნული ღირებულებების ინტერნალიზებას უკავშირდება. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ რესპონდენტები ამჟამად ქართველებს ნაკლებად მიიჩნევენ ლიბერალური, შესაბამისად, ევროპული ღირებულებების მქონედ. მაგალითად, ამავე კულტურის ფარგლებში მოპოვებული როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ევრონიმურაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სარგებლად თუ მონაპოვრად მონანილები ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებასა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერებას მიიჩნევენ. თუმცა, იმავდროულად, მიუთითებენ, რომ ეს ნორმები (თანასწორობა, მრავალფეროვნება, სხვადასხვა უმცირესობის მიმართ ტოლერანტობა) ქართულ ტრადიციებსა და კულტურაში უკვე არსებობს.

არა მაინცდამაინც ევროკავშირთან დაახლოებას უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვა, არამედ ეს უფრო, ალბათ, ჩვენს ტრადიციებს უკავშირდება. ჩვენი ტრადიციებით, ადამიანის თანასწორობა არის ერთ-ერთი განმსაზღვრული ფაქტორი. ყველა ადამიანი რომ თანასწორია, ზუსტად ის ჩადებულია როგორც ქრისტიანობაში, ასევე ეროვნულ ტრადიციებში და ზუსტად ამაზეა ეს აგებული, ევროპული კულტურაც (სამთავრობო სექტორი).

ტოლერანტობა არის, რეალურად, ერთ-ერთი ქარ-თული რელიგია. კი გვავიწყდება ზოგჯერ და, მართალია, დღევანდელი საზოგადოებრივი არეულობა ამას ხელს არ უწყობს, მაგრამ მაინც არის, კულტურაში დევს (საპარლამენტო უმრავლესობა).

ტოლერანტობა ქართული ღირებულება არის – ჩვენ ვიცით, თბილისი იყო ქალაქი, სადაც ქართველებზე მეტი სხვა ცხოვრობდა და ნაირნაირი სექსუალური ორიენტაციის ხალხი ცხოვრობდა. ამიტომ ეს არის გამოგონილი რაღაც, რომ, არიქა, ევროპული ღირებულებები... (საპარლამენტო უმრავლესობა).

ევროპებიზაციის ჭრილში სექსუალური უმცირესობების საკითხს, რომელიც ბოლო ციტატაშია ხაზგასმული, საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა კვლევის მონაწილე ელიტებისა და მოსახლეობის მიერ. უმცირესობების უფლებების დაცვა ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნაცაა. მაგალითად, ვაჩუდოვა (2005) გვიჩვენებს, რომ უმცირესობების უფლებებს დაცვის საკითხში ევროკავშირი გაცილებით მეტ სიმკაცრესაც კი იჩენს კანდიდატი ქვეყნების, ვიდრე უკვე არსებული წევრების მიმართ. ჩვენს შემთხვევაში, სექსუალური უმცირესობისადმი დამოკიდებულება როგორც კულტურული ევროპელობის, ასევე განვითარებისა და წინააღმდეგობის დისკურსების ნაწილი ხდება, შესაბამისად, ყველა ქვეთავში სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. ამჯერად მას კულტურული ევროპელობის კონტექსტში განვიხილავთ.

### **1.3 სექსუალური უმცირესობის საკითხი კულტურული ევროპელობის ჭრილში**

ელიტების და მოსახლეობის დისკურსებში, სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა, მნიშვნელოვანი და, ევროკავშირთან ასოცირდება და ევროპულ ღირებულებადაა აღქმული (რაც დეტალურად შემდეგ ქვეთავში იქნება განხილული). აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ციტატაში ქართველების მიერ სექსუალური უმცირესობის ტრადიციული მიმღებლობის ხაზგასმა, უმეტესად, იმის არგუმენტად არის მოყვანილი, რომ, სინამდვილეში, ქართველებისთვის ევროპული ღირებულებები ორგანულია და იმთავითვე დამახასიათებელი. თუმცა, ჰომოსექსუალობის ისტორიული მიმღებლობის აღნიშვნის პარალელურად, ელიტის წარმომადგენლობი ქართველების ამჟამინდელ ჰომოფობიურ განწყობებზეც საუბრობენ და აღნიშვნავენ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა არათუ ნაკლებ პრიორიტეტულია,

არამედ ხშირად მიუღებელიცაა. რიგ შემთხვევებში, ამ მოსაზრებას ფოკუსჯგუფებში მონაწილე მოსახლეობაც ადასტურებს.

რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ მოგვწონს ეს პომო-სექსუალები, გულის სილრმეში არ მოგვწონს. ჩვენს ტრადიციებს ვერ ვარგებთ, არც შემწყნარებლები ვართ, საბოლოო ჯამში, უმეტესობა (ზუგდიდი მდედრ., 26-40).

მოსახლეობის ნარატივებში ნათლად ჩანს, რომ, მართალია, ევროინტეგრაცია ეროვნული ტრადიციების დაკარგვასთან ნაკლებ ასოცირდება, მაგრამ ქართულ ტრადიციებთან მაინც შეუსაბამოდ მიიჩნევა სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებული ნორმები და, განსაკუთრებით, სექსუალური უმცირესობების დაცვის საკითხი, რისი გააქტიურებაც ევროპას უკავშირდება. უფრო მეტიც, აღნიშნულია, რომ „ეს ყველაფერი ევროპიდან მოდის“ (თელავი მდედრ., 41-65). ელიტებისგან განსხვავებით, ფოკუსჯგუფების მონაწილე მოსახლეობის ნაწილისთვის ეს კავშირი უარყოფითი ხასიათისაა – ევროპიდან შემოდის ის, რაც ქართველებისთვის მიუღებელია. ამ კუთხით, საქართველო განსხვავებული კულტურის ქვეყნად არის ნარმოჩნილი, რადგან „ჩვენ ჩვენი მენტალიტეტი გვაქს, ცხოვრების წესი“ (ქუთაისი, მდედრ., 41-65). განსაკუთრებით მიუღებლად ევროპაში პომოსექსუალური ქორწინების არსებობა განიხილება, რომელსაც მონაწილეები ხშირად ახსენებენ. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, „როდესაც საუბარია თუნდაც ერთსქესიანთა ქორწინებაზე და ევროპაში ეს ჩვეულებრივი ამბავია, მე, როგორც პიროვნებას, მიმაჩნია, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის“ (ბათუმი, მარ., 41-65). მართალია, მსგავსი ხედვა, უმეტესად, უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, ახალგაზრდებთანაც გვხვდება.

ბაბუაჩემმა რომ გაიგო პომოსექსუალების ქორწინებაზე, ამაზე ატეხა ერთი ამბავი. ადრე რომ ეგ გაეკეთებინათ, დახვრეტა იყო და ახლა არაფერი, როგორ შეიძლება ეგრეო. მეც ახლა, არაფერს მიშლის, მაგრამ აგრესიას ინვევს ჩემშიც, თუნდაც ქალი რომ დავინახო ან კაცი ეგრე“ (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

სხვების მოსაზრებით, მართალია, პომოსექსუალური ურთიერთობების ტრადიცია „საქართველოში ყოველთვის იყო (...), უბრალოდ,

აფიშირება არ ხდებოდა“ (ბათუმი, მამრ., 41-65), თუმცა „ახლა ნამეტანია“ (თელავი, მდედრ., 41-65). ამდენად, მიუღებლად მიიჩნევა ლგბტ ადამიანების საჯარო სიკრცეში გამოჩენა, რაც სწორედ ევროპეიზაციას უკავშირდება. როგორც ერთ-ერთი მონაწილე გულისწყრომით აღნიშნავს, „თუ უნდა გადმოიღო [ევროპისგან], რამე წესიერი გადმოიღე“ (თელავი, მდედრ., 41-65).

ტრანსგენდერების დღე რომ არის რაღაცა და გამოჭენდებიან. ვართ კაცები და დავდივართ, აქციებს ვატარებთ, კაცები ვართ და ქალები გვინდაო? (ზუგ-დიდი, მამრ., 26-40).

ამ საკითხთან დაკავშირებით მონაწილეების ნაწილი ეკლესიის მკაცრ პოზიციასაც გამართლებულად მიიჩნევს. მართალია, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოსახლეობა მართლმადიდებელ ეკლესიას არალიბერალური ღირებულებების გამო აკრიტიკებს, თუმცა გამონაკლისს სწორედ სექსუალური უმცირესობის საკითხი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ეკლესია გარკვეული ფილტრის როლს ასრულებს, რომ ევროინტეგრაციის შედეგად „ბევრი ისეთი რამე“ არ შემოვიდეს.

როცა კაცი კაცთან ჯვარს იწერს, როცა ის ეკლესია მაგას ღებულობს, როგორ შეიძლება ის მიიღოს საქართველოს ეკლესიამ?! (თბილისი, მამრ., 26-40).

ვარ ზომიერად მართლმადიდებელი, (...) ნაკლებად უნდა ერეოდეს [ეკლესია პოლიტიკაში], მაგრამ თვალს ვერ დახუჭავს. ევროინტეგრაცია ის არაა, ბევრი ისეთი რამე შემოდის, თუნდაც ერთსქესიანთა ქორწინება, რასაც ეკლესია საქართველოში ვერასოდეს შეეგუება. კაცებში გამოწყობილი კაცების აღლუმს ვერასდროს დაუშვებს, ჩემი აზრით (თელავი, მდედრ., 26-40).

აღსანიშნავია, რომ, თუკი ელიტების დისკურსებში ჰომოსექსუალური ურთიერთობების ტრადიცია ქართველების ისტორიული ტოლერანტობის (შესაბამისად, ქართველების ევროპული იდენტობის) დადასტურების ფუნქციას ასრულებს, მოსახლეობისთვის სწორედ ამ საკითხში ვლინდება ქართული და ევროპული ღირებულებების შეუთავსებლობა. ამის მიუხედავად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სექსუალური უმცირესობების (რომელთა „აფიშირებაც“ ევროპის

გავლენას მიეწერება) მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ხელს არ უშლის ევროპეიზაციის ქვეყნის განვითარების ერთადერთ პერსპექტივად განხილვას.

#### **1.4. ქართველების საპჭოთა პერიოდამდელი ევროპული ლირებულებები და განვითარების „მცდარი“ ტრაქტორია**

სექსუალური უმცირესობის საკითხის განხილვისას ვნახეთ, რომ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები ხაზს უსვამენ ქართველების ისტორიულ ტოლერანტობას, თუმცა, იმავდროულად, თანამედროვე ქართული საზოგადოების ჰომოფონბიურ დამოკიდებულებებზეც საუბრობენ. მსგავსი ნარატივები მხოლოდ ამ კონკრეტულ თემასთან მიმართებით არ გვხვდება: ზოგადად, ქართული ლირებულებების ევროპულთან შესაბამისობაზე საუბრისას, მონაწილეები ხშირად აღნიშნავენ, რომ ქართველებისთვის ავთენტური სწორედ ლიბერალური ლირებულებებია, რომლის ფესვებიც ქართულ კულტურაში სიღრმისეულად არის გადგმული; საზოგადოების მიერ ევროპულ კულტურასთან შეუთავსებლად მიჩნეული ეროვნული ლირებულებები კი, სინამდვილეში, დამახინჯებული, ფსევდოლირებულებებია. მონაწილეების თქმით, ქართული ლირებულებების ცვლილება „ევროპული ოჯახისგან“ მოწყვეტამ განაპირობა, რის გამოც „დემოკრატიული და ლიბერალური განვითარების პროცესში შევფერხდით“ (საპარლამენტო უმცირესობა).

რა ტრადიციები გვაქვს ჩვენ ისეთი, რომელიც არ შეიძლება ჩაჯდეს ამ ტიპის ლირებულებებში? არა, არანაირი ისეთი არ გვაქვს რამე, რაც რეალური ტრადიციაა. ეხლა, რაც მერე დამახინჯებაა... (საპარლამენტო უმრავლესობა).

ვისაც წაკითხული აქვს მე-19 საუკუნის ლიტერატურა, ვისაც წაკითხული აქვს მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერატურა ა.შ., ყველამ იცის, რომ ევროკავშირი იყო ის ბუნებრივი სივრცე, სადაც ჩვენ მისი ნანილი უნდა ვყოფილიყოთ, ჰო? (საპარლამენტო უმრავლესობა).

ამ დისკურსის მიხედვით, „ევროპული ოჯახისგან“ მოწყვეტა „ჩვენი

საშინელი ისტორიით, წარსულით, საბჭოთა იმპერიის არსებობით“ არის გამოწვეული (საპარლამენტო უმცირესობა), რამაც პირდაპირ „დაასვა დაღი“ ქართველების მენტალობას. მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილე მიიჩნევს, რომ ქართველები არატოლერანტად სწორედ ჩაკეტილმა და ჰომოგენურმა საბჭოთა სისტემამ აქცია, რაც, თავის მხრივ, ევროპასთან დაახლოებამ და მრავალფეროვნების გაცნობამ უნდა გამოასწოროს. ევროპული ღირებულებების ინტერნალიზაციამ უნდა შეცვალოს ის, რომ „მანამდე 200 წელი რუსი ილექტორდა ჩვენს ტვინში და ბოლო 70 წელი კიდევ – საბჭოთა კავშირი“ (აკადემიური სფერო). ამდენად, „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ დისკურსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენტალური მოდერნიზაციის ქრილში.

ელიტების გარდა, მსგავსი მოსაზრება, რომ საქართველოს ისტორიული ევროპული იდენტობა რუსეთის გავლენით „გაიყინა“, მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებშიც გვხვდება.

თვითონ ადამიანში, ქართველში დევს, აი, ის ევროპულობა... დღევანდელ ცივილიზაციაში, ევროკავშირში არ არის ზოგი ქვეყანა და ევროკავშირზე წარმატებული არიან, კარგად არიან იმიტომ, რომ აქვთ, რაც ჩვენ გვედო 1918-იდან 1921 წლამდე და მერე „გაგვყინეს“ [რუსეთმა] (თბილისი, მამრ., 41-65).

როგორც ამ ციტატაშიც ჩანს, იდენტობის დისკურსი განვითარების დისკურსს ერწყმის და „ევროპულობა“, რომელიც მაინცდამიანც ევროკავშირის სინონიმად არ განიხილება, „დღევანდელ ცივილიზაციაში“ ქვეყნის წარმატების აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევა. საბჭოთა გავლენის უარყოფითი როლისა და დასავლეთ ევროპის უპირატესობის ხაზგასასმელად, ერთ-ერთი მონაწილე აღმოსავლეთ გერმანიისა და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის „მენტალურ განსხვავებაზეც“ კი მიუთითებს იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა რეჟიმის ქვეშ იმყოფებოდნენ:

ვინც ყოფილა ბერლინში, აღმოსავლეთ ბერლინში,  
დაჩმორებული ცხოველები იყვნენ, ცხოველებიც კი  
განსხვავდებიან, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ  
და ადამიანებს შორის როგორი სხვაობა იქნება, თქვენ  
წარმოიდგინეთ. აღმოსავლეთ ევროპა ხომ საბჭოთა კავშირი იყო და იმხელა განსხვავება მოხდა

**მენტალური!** ყველაზე მნიშვნელოვანია, მენტალურად  
დავუახლოვდეთ ჩვენ ევროპას (ქუთაისი, მამრ., 41-65).

აღმოჩნდა, რომ ელიტების მსგავსად, მოსახლეობის დისკურსებიც  
არსებულ რეალობას განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილში  
აფასებს, რომლის მიხედვით, საქართველომ განვითარების გარკვეული  
გზა უნდა გაიაროს იმისთვის, რომ „გაყინული“ ევროპელობა გამ-  
ოაღვიძოს და „ლეგიტიმურ“ ევროპულ ქვეყნად იქცეს. ამასთან,  
„მენტალურ სხვაობაზე“ აქცენტი შესაძლოა თვითორიენტაციის  
ნიმუშადაც მივიჩნიოთ, რომლის ფარგლებშიც საქართველოს  
„ჩამორჩენილობა“ სწორედ მისი საბჭოთა წარსულით აიხსნება.

ზოგადად, სოციალისტური წარსულის საფუძველზე ორიენ-  
ტალიზების შესახებ ბალკნეთისა და აღმოსავლეთ და ცენტრალური  
ევროპის ქვეყნების შემთხვევაშიც საუბრობენ (Zarycki, 2014; Melegh,  
2006; Kuus, 2007). წარსულის ნიადაგზე თვითორიენტაციას თავად  
ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ელიტებიც მიმართავენ  
და მკვეთრად მიჯნავენ ევროპისგან „ბნელ“, ბარბაროსულ,  
არაევროპულ საბჭოთა კავშირს (რომელიც ამ ქვეყნებში, ხშირად,  
არა მხოლოდ წარსულთან, არამედ ამჟამინდელ რუსეთთანაც  
ასოცირდება). მსგავსი ტიპის დისკურსებს კი, თავის მხრივ, უდიდესი  
წვლილი შეაქვს „აღმოსავლეთ ევროპის“, როგორც დასავლეთ  
ევროპასთან შედარებით ნაკლებ ევროპულისა და ცივილიზებულის,  
კონსტრუირებაში (Melegh, 2006). ამას გარდა, საგულისხმოა, რომ  
საქართველოს მსგავსად, ევროპეურაციის პროცესში, ელიტები  
ამ ქვეყნებშიც მიმართავდნენ „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“  
დისკურსს, ევროპასთან „დაწევის“ დისკურსი კი ამჟამადაც  
ინარჩუნებს აქტუალობას (Zarycki, 2014; Melegh, 2006; Kuus, 2007).  
ამ კონტექსტში, პოსტკომუნისტური ქვეყნები „ირაციონალურად“  
და „ინფანტილურად“ არის წარმოჩენილი და მიჩნეულია, რომ  
დასავლეთ ევროპამ უნდა „უპატრონოს,“ ასწავლოს და ყველაფერი  
თავიდან ააშენებინოს (Petrovic, 2014). ჩვენს კვლევაშიც იკვეთება,  
რომ რესპონდენტები განვითარების ონტოგენეზისებრ იერარქიულ  
მოდელს წარმოიდგენენ, სადაც ევროპის ქვეყნებს წამყვანი  
პოზიციები უკავიათ და საქართველო მათ უნდა დაეწიოს. ეს  
დისკურსები, რომლებიც განვითარების იდეალისტური მოდელის  
ჭრილში შეგვიძლია განვითარების დეტალურად შემდგომ ქვეთავში  
იქნება თავმოყრილი. რაც შეეხება არასწორი ტრაექტორიით  
განვითარებისა და ისტორიული ევროპული იდენტობის დაკარგვის

დისკურსს, როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი ერთ-ერთი მონაწილე მიიჩნევს:

დემოკრატიული და ლიბერალური განვითარების პროცესში შევფერხდით და ამიტომაც დღეს გვიჩვეს იმის მტკიცება და იმ ღირებულებების ხელახლა აღიარება. (...) ევროპა უკვე მივიდა იქამდე, გაგვასწრო აზროვნებით, შეგნებით (საპარლამენტო უმცირესობა).

ამ შემთხვევაში, ხაზგასმულია, რომ საქართველომ ის „სახე უნდა დაიბრუნოს, რასაც იმსახურებს“, რადგან ის არის „ევროპის ბუნებრივი ნაწილი, ისტორიული ტრადიციებით და ფასეულობებით“ (საპარლამენტო უმცირესობა).

საბჭოთა კავშირის მემკვიდრედ, რომელმაც, რესპონდენტების აზრით, საქართველო ნორმალურ განვითარებას მოწყვიტა, ამჟამინდელი რუსეთი მიიჩნევა. უსაფრთხოების დისკურსის პარალელურად, რუსეთი კულტურულ ჭრილშიც განიხილება და მონაწილეებისთვის „ევროპის სხვას“ (Neumann, 1998) წარმოადგენს: რუსული ავტორიტარიზმი ევროპულ დემოკრატიას უპირისპირდება, არც ისე კარგი რუსული უნივერსიტეტები – უკეთეს ევროპულ განათლებას, რუსული სიზარმაცე (რომელიც, სავარაუდოდ, კომუნიზმთან მიმართებაში უნდა გავიგოთ) კი – ევროპულ შრომის ეთიკას (რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალიზმთან ასოცირდება):

თუ მიხვდები, რომ უნდა გაინძრე, რომ უკეთესი ცხოვრება გქონდეს, ხდები უკვე ევროპელი. შენ თუ ელოდები ცის მანას და დაღეჭილ ლუქმას, ხარ პრორუსული (არასამთავრობო სექტორი).

ევროკავშირთან შედარებით, რუსეთის არამოდერნულობაზე აქცენტი მოსახლეობის წარატივებშიც თვალსაჩინოა: რუსეთთან „მეგობრობა“ – ჩამორჩენილობას უტოლდება: „ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქეთი, ისევ ჩამორჩენილები, ისევ ვერ ვითარდება, ისევ რუსეთის მეგობარია“, ხოლო თავად რუსეთი ავტორიტარული რეჟიმის მქონე „არამდგრად, არშემდგარ ქვეყანად“ მიიჩნევა, „რომელსაც ყველას მიწები აქვს მითვისებული“( ბათუმი, მამრ., 18-25).

ევროკავშირის, როგორც პრიორესული აქტორის, რუსეთთან დაპირისპირება ერთ-ერთი მონაწილის მიერ დასმულ რიტორიკულ კითხვაშიც შეიმჩნევა: „ევროკავშირის გამოცდილება თუ არ გვჭირ-

დება, რა გვჭირდება აბა, რუსეთი ისევ?“ (თბილისი, მამრ., 26-40).

პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ რუსეთიც, თავის მხრივ, სწორედ ქართველების იდენტობას „უმიზნებს“ და ცდილობს, ევროპული ლი-რებულებები აფილობრივი კულტურისთვის საფრთხედ წარმოაჩინოს. ამ საქმეში რუსეთის შორიახლოს ქართულ ეკლესიაც მოიაზრება, რომელიც, გარდა კონსერვატულობისა, სწორედ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფად და ევროინტეგრაციისთვის დაბრკოლებად მიიჩნევა (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელიტის ნაწილი ევროპიზაციის წყალობით ეკლესის „გათანამედროვებასაც“ შესაძლებლად მიიჩნევს). ელიტების მსგავსად, ფოკუსჯავუფების მონაწილე მოსახლეობისთვი-საც მართლმადიდებელი ეკლესის „ანტიევროპული რიტორიკა რუსეთ-თან ასოცირდება, რადგან, მათი აზრით, „ის პრორუსული ნარატივი, რომ დასავლეთი არის გახრნენილი და ზნეობრივ ხრნნას განიცდის, სწორედ ეკლესიდან მოდის“ (მამრ თბილისი, 18-25). შესაბამისად, მონაწილეების მიერ ურთიერთსაპირისპირო პოლუსებზე მდებარე როი მხარე გამოიყოფა: ერთ მხარეს მოდერნული ევროპა, მეორე მხარეს კი – არამოდერნული რუსეთი, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, რომ-ლის ლირებულებების გამზიარებლადაც, არცთუ იშვიათად, ქართული ეკლესიაც მიიჩნევა. თუკი ევროპასთან ასოცირებული ლირებულე-ბების ინტერნალიზაცია განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება, რუსეთთან ლირებულებითი სიახლოვე მონაწილეებს უკუსვლის ტოლფასად მიაჩნიათ.

როგორც ვხედავთ, იმ დისკურსების გაანალიზება, რომელიც საქართველოს ევროპული ცივილიზაციის ნაწილად მიიჩნევს, შეუძლებელია განვითარების დისკურსისგან დამოუკიდებლად. მონაწილეებს საქართველოს განვითარება სწორედ ევროპეიზაციის გზით ესახებათ, რაც, თავის მხრივ, „ნამდვილ ევროპელად“ გადაქცევის დისკურსში ითარგმნება. ამ ქვეთავში განხილული „კულტურული ევროპელობის“ დისკურსი „ნამდვილ ევროპელად“ გადაქცევის ლეგიტიმაციას ახდენს – თუკი საქართველო კულტურულად იმთავითვე ევროპული ცივილიზაციის ნაწილია, ევროკავშირის ლირებულებების გათვალისწინებით განვითარება მისთვის სრულიად ბუნებრივია და საღ აზრს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ევროკავშირის ლირებულებების ქართულ კულტურაში უკვე არსებობა ქართველებს განვითარების კუთხით ხელსაყრელ სასტარტო პირობებში მყოფებად წარმოაჩენს, რადგან მათ ეს ლირებულებები მხოლოდ

„გასახსენებელი“ აქვთ და არა სასწავლი. ამ შემთხვევაში, „საბჭოთა მენტალობა“ და მართლმადიდებელი ეკლესის გავლენა სწორედ იმ კულტურულ მახასიათებლებად მოიაზრება, რომელიც ქართველებს ევროპელებისგან აშორებს და ამგვარ „მენტალურ მოდერნიზაციას“ შედარებით პრობლემურს ხდის.

## 2. საქართველო, როგორც ცივილიზებული ევროპის ნაწილი

წინამდებარე ქვეთავში „ნამდვილ“, განვითარებულ ევროპად გარდაქმნის დისკურსებს განვიხილავთ, რომელიც ორივე სამიზნე ჯგუფში – ელიტებთანაც და მოსახლეობასთანაც – განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ეს დისკურსები სწორედ განვითარების იდეალისტურ მოდელზე დაყრდნობით იქნება გაანალიზებული, რომელიც განვითარებას იერარქიულ პროცესად მოიაზრებს. ამ იერარქიაში ზოგი ქვეყანა (უმეტესად, დასავლური ქვეყნები) სამაგალითოდ მიიჩნევა, ზოგი კი – ჩამორჩენილად; შესაბამისად, ეს უკანასკნელი წარმატებული ქვეყნების საფეხურამდე მიღწევას ცდილობენ.

კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ევროპეიზაცია სწორედ განვითარებისა და მოდერნიზაციის კონტექსტში უნდა გავიგოთ. ამ ლოგიკით, ქართველები ნამდვილი ევროპელები გახდებიან მაშინ, როცა ისეთი ღირებულებები ექნებათ, როგორიც დასავლურ ქვეყნებს მიენერება და, აქედან გამომდინარე, განვითარების იერარქიაშიც შედარებით მაღალ საფეხურს მიაღწევენ. ამ თვალსაზრისით, საკვანძო ღირებულებებად მიიჩნევა ადამიანის უფლებების დაცვა და ტოლერანტობა, თავისუფლება და კრიტიკული აზროვნება, განათლება, კანონის უზენაესობა და კანონმორჩილება, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და აქტიურობა.

### 2.1 ადამიანის უფლებები და ტოლერანტობა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება, რომელსაც კვლევის მონაწილეები ევროპული იდენტობის ქვაკუთხედად მიიჩნევენ, ადამიანის უფლებების დაცვაა. როგორც კვლევის ფარგლებში

ჩატარებული Q ანალიზი გვიჩვენებს, დებულებას, რომლის თანახმად, ევროკავშირთან დაახლოების შედეგად საქართველოში ადამიანის უფლებები გაცილებით უკეთ იქნება დაცული, ელიტებიც განსაკუთრებით ეთანხმებიან და მოსახლეობაც. როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ადამიანის უფლებების მნიშვნელობის გააზრებაც კი „ნარმოუდგენელია ევროკავშირთან ინტეგრაციის გარეშე“ (საპარლამენტო უმცირესობა).

ადამიანის უფლებები, ზოგადად, ეს პრინციპი და სტანდარტი მოდის უფრო დასავლური ცივილიზაციიდან, დასავლური პროცესის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ რაღაც დაცვის სტანდარტები შეგვიძლია იქიდან ავიღოთ, რასაც ვაკეთებთ კიდევაც (საპარლამენტო უმრავლესობა).

ევრო, ევროპა, ევროკავშირი, ევროკავშირის ნევრო ქვეყნები – ეს არის, პირველ რიგში, ასე ვთქვათ, ადამიანის უფლებების, იდენტობის, ნუ არ ვიცი, ღირებულებების, ყველანაირი დაცვა. ანუ, ევროპა ხომ არ არის რაღაც ცალკე განყენებული; ევროპა არის რაღაც ღირებულებითი სისტემა (არასამთავრობო სექტორი).

ადამიანის უფლებების დაცვასთან ურთიერთკავშირში ტოლე-რანტობის ღირებულებაც განიხილება. ერთ-ერთი მონაწილის ფორმულირების მიხედვით, „ორ რაღაცასთანაა კავშირში ევროპული ღირებულებები – ადამიანის უფლებების დაცვა და ტოლერანტობა“ (არასამთავრობო სექტორი). როგორც ვანახეთ, ქართველების ევროპული იდენტობის კონტექსტში, ელიტები იმაზე საუბრობდნენ, რომ ეს ღირებულებები ქართველებისთვის ავთენტურია, თუმცა საბჭოთა წარსულის გავლენით დავიწყებულია. განვითარების ქრილში კი, ამ ღირებულებების გაშინაგნებისთვის ევროკავშირთან სოციალიზაციის და, რიგ შემთხვევაში, „იძულებით სოციალიზაციის“ მნიშვნელობასაც ესმება ხაზი. ამ მოსაზრებით, ქართველებს მხოლოდ ევროკავშირის რეგულაციების გადმოღება თუ უშველის და ჩასვამს „იმ ჩარჩოში, საიდანაც ნელ-ნელა ვისწავლით ერთმანეთის პატივისცემას“ (სამთავრობო სექტორი). მსგავსად ამისა, ხაზგასმულია, რომ „ის ტიპაჟები, რომლებსაც სხვანაირად არ შეუძლიათ ტოლერანტობის სწავლა, სწავლობენ ამას იძულების

წესით“ (სამთავრობო სექტორი).

ადამიანის უფლებების დაცვა მოსახლეობასთანაც იმ ძირითად საკითხად წარმოგვიდგება, რომელიც ევროკავშირთან ასოცირდება და ქართველებმა ევროპელებისაგან „უნდა ისწავლონ.“

მთლიანად ევროპა მიიღო ადამიანის უფლებების დაცვისაკენ და ამიტომ მივიჩნევ, რომ ევროპისგან ვისწავლოთ ადამიანის უფლებების დაცვა. დღეს არ არის ადამიანის უფლებები დაცული და ხდება მათი დარღვევა (ბათუმი, მამრ., 18-25).

თვითონ ცნობიერება უნდა შეიცვალოს და ასეთი ქვეყნებიდან თუ ავიღებთ ამის მაგალითს, რომ ადამიანის უფლებებს პატივი ვცეთ, უნდა დავიცვათ, ეგიქნება სწორი (გორი, მდედრ., 18-25).

მევთვლი, რომ ევროკავშირში ადამიანის უფლებების ბევრი ასპექტი უკეთაა დაცული. რაც ევროკავშირმა უკვე მიიღო, ჩემთვის მისაღებია და, შესაბამისად, ვთვლი, რომ ჩემი სახელმწიფოსთვისაც მისაღები იქნება (თბილისი, მდედრ., 26-40).

ადამიანის უფლებების დაცვისა და ტოლერანტობის საკითხი იმთავითვე უკავშირდება სხვადასხვა უმცირესობის უფლებების დაცვას. წინა ქვეთავის მსგავსად, სადაც კულტურულ ასპექტებზე იყო საუბარი, სექსუალური უმცირესობის საკითხი განვითარების კონტექსტშიც გამორჩეულად აქტუალურია; შესაბამისად, ამ თემას კვლავაც დამოუკიდებლად განვიხილავთ.

## 2.2 სექსუალური უმცირესობის უფლებები განვითარების მოდელის ჭრილში

კვლევის მონაწილეების ნარატივებიდან თვალსაჩინოა, რომ სექსუალური უმცირესობის უფლებების თემა განსაკუთრებით ექცევა განვითარების იდეალისტური დისკურსის ფარგლებში, როგორც „საერთაშორისო ნორმა და სტანდარტი“, რასაც ქართულმა საზოგადოებამ „სწორი მიმართულებით“ განვითარების შედეგად უნდა მიაღწიოს (სამთავრობო სექტორი). ამ საკითხთან მიმართებით, ელიტები და საზოგადოება, გარკვეულწილად, ურთი-

ერთდაპირისპირებულად (ლიბერალური ელიტები-კონსერვატული მოსახლეობა) აღიქმება: ელიტები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობას მიმართულება სწორედ პოლიტიკოსებმა უნდა მისცენ, თუმცა ამ პროცესში მათ ბენვის ხიდზე სიარული უწევთ, რადგან საზოგადოებას დრო სჭირდება, რომ ეს ყველაფერი „გადახარშოს“ და „საფრთხეები არ იგრძნოს ევროპეიზაციაში“ (არასამთავრობო სექტორი). შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა ამ საკითხს პრაგმატული გაეცემოდ უნდა მიუდგეს და „რქებით არ მიაწვეს“ (სამთავრობო სექტორი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების გახლეჩას შეუწყობს ხელს, ან მოსახლეობას ისე დაშორდება, რომ მას შემდგომში აღარ აირჩივენ.

იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის ნაწილი სექსუალური უმცირესობების ხილვადობას ქართულ კულტურასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს, განვითარების კონტექსტში ლგბტ თემს მაინც საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მიიჩნევა, რომ ევროპაში მეტად არის დაცული ცალკეული ინდივიდი, შესაბამისად, სექსუალური უმცირესობებიც, რაც განვითარების კვალდაკვალ საქართველოშიც გახდება შესაძლებელი. ევროკავშირი ამ შემთხვევაშიც „მასწავლებლის“ როლში გვევლინება, რომელმაც საქართველოს (რომელსაც „აკლია ის დონე, გაცნობიერება“) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით კი, სექსუალური უმცირესობების მიმღებლობა უნდა ასწავლოს.

საქართველოს აკლია ის დონე, გაცნობიერება, რომ ყველა ადამიანი არის ინდივიდუალური და მისი მოსაზრება უნდა იქნეს დაფასებული. ევროკავშირს აქვს ის ცნობიერება, რომ საქართველოს ასწავლოს რაღაც მხრივ, მით უმეტეს, სექსუალური უმცირესობასთან დაკავშირებით (ბათუმი, მდედრ., 18-25).

მე არ მსმენია, რომ ევროპაში დაცული არაა ადამიანის უფლებები, ან ვინმეს ავინროვებენ, როგორც სხვა ქვეყნებში, განსხვავებული აზრის, კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის გამო. ამიტომ ვთვლი, რომ უფრო მეტად იქნება დაცული, უფრო მეტი მოთხოვნები იქნება, განვითარებასთან ერთად (ქუთაისი, მამრ., 18-25).

უმცირესობის უფლებების კუთხით, ერთ-ერთი მონაწილე ორინტალიზმის კლასიკურ მაგალითს, ევროპა-აზიის დიქოტომიასაც წარმოგვიდგენს (Said, 1978). ამ გადასახედიდან, „ცივილიზებულ“

დასავლეთს „ბარბაროსული“ აღმოსავლეთი უპირისაპირდება, სადაც „კანის ფერის გამო, სექსუალური ორიენტაციის გამო [ადამიანებს] ჩაგრავენ.“ საქართველო ამ შემთხვევაში უფრო „აზიური მახასიათებლების“ მქონედ ნარმოგვიდგება: „ჩვენი ნაკრების წევრსაც რომ [ლგბტ თემის მხარდამჭერი] სამკლაური ეკეთა, [ქართველუბმა] დააბულინგეს იმის გამო, რომ უბრალოდ მხარი დაუჭირა მათ“ (ქუთაისი, მდედრ., 18-25). დისკუსანტის აზრით, მსგავსი დამოკიდებულებები სწორედ ევროპასთან დაახლოების ნიადაგზე უნდა შეცვალოს – „ევროპისკენ სწრაფვა, ამ მხრივ, უფრო კარგი იქნება და უფლებებიც მეტად იქნება დაცული“ (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

ამავდროულად, მოსახლეობის ჯგუფში ისეთ ამბივალენტურ დამოკიდებულებასაც ვაწყდებით, როდესაც სექსუალური უმცირესობების მიმღებლობა პიროვნულ დონეზე არასასურველად, თუმცა საქართველოს განვითარებისთვის – სავალდებულოდ მიიჩნევა. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, „მე ეს არ მინდა, მაგრამ სხვანაირად გზა არ არის (...) ძველი ქართული ცეკვაც რომ ავიღოთ, ის არ არის, რაც ადრე იყო. ილეთები ჩამატებულია, ანუ ყველაფერი რაღაც განვითარებას განიცდის“ (თელავი, მამრ., 18-25). „განვითარება“, მართალია, პოზიტიურ კონოტაციას ატარებს, მაგრამ, როგორც ჩანს, წინააღმდეგობასაც იწვევს, რადგან მონაწილე შემობს, რომ ევროპიურიაციის შედეგად სექსუალური უმცირესობის უფლებების დაცვა, შესაძლოა, უმრავლესობისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად იქცეს:

ახლა რომ შევიდეთ და გავხდეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა, ჩვენ ესე კი ვერ ვილაპარაკებთ, დაგვიჭერენ და შენ რომ ეხლა ვიღაცას უფლებები... ჯერ ეხლა სად ვართ და მერე მოვა სახლში ბავშვი, ბიჭი, ღმერთმა დაგვიფაროს, და გეტყვის, რომ „აი, ეს ბიჭი მომწონს.“ მიდი და მერე შენს შვილს უთხარირამე. წავა და სკოლაში იტყვის და მერე იქ დამთავრდა (თელავი, მამრ., 18-25).

სხვები თვლიან, რომ ქვეყნის განვითარებისთვის „თუ უნდა გადმოიღო [ევროპის ქვეყნებიდან], რამე წესიერი გადმოიღე“ (თელავი, მდედრ., 41-65). ამ შემთხვევაში, არაპეტეროსექსუალობა ევროპასთან დაკავშირებულ არასასურველ ასპექტად განიხილება. შესაბამისად, ქართველების პასუხისმგებლობად მიიჩნევა, ევრო-

კავშირს განათლების მისაღებად და სამოგზაუროდ გამოიყენებენ თუ იმისთვის, რომ, როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, „საშინელებები ვაკეთო, ორიენტაცია შევიცვალო ან ნარკოტიკზე დამოკიდებული გავხდე“ (გორი, მდედრ., 18-25).

საინტერესოა, რომ დანარჩენი მონაწილეებისგან განსხვავებით, ერთ-ერთი დისკუსანტი, ლგბტ თემის გააქტიურებას არა ევროკავშირს, არამედ საქართველოსადმი მტრულად განწყობილ რუსეთს მიაწერს. ამ ნარატივის მიხედვით, რუსეთი საქართველოში შეგნებულად აძლიერებს ლგბტ თემს იმისთვის, რომ ქართველების აგრესია გამოიწვიოს და ეს „ევროპამ მიიღოს არამზაობად, რომ ჩვენი ქვეყანა არ გახდეს ევროკავშირის წევრი“ (თბილისი, მდედრ., 41-65). თუმცა, აქვე ისიც ჩანს, რომ, მონაწილის შეხედულებით, ევროკავშირი ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმის დასადგენად, საკმარისად განვითარდა თუ არა საქართველო ევროკავშირში შესასვლელად.

სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაში რუსეთის როლს ელიტებიც ხედავენ, თუმცა არა ლგბტ თემის გაძლიერების, არამედ, პირიქით, ისედაც კონსერვატული განწყობების მქონე მოსახლეობაში ამ საკითხის კიდევ უფრო პრობლემატიზების კუთხით. ამ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ რუსეთი, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, „ცდილობს, დაარწმუნოს ქართველი ხალხი, რომ ევროპული ლირებულებები ენინააღმდეგება მათ ტრადიციულ ღირებულებებს“ (საპარლამენტო უმცირესობა).

აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხების წამოწევა პროგრესისა და ევროპეიზაციის დისკურსის ნაწილად აღიქმება (სადაც კონსერვატულ მოსახლეობას ლიბერალური ელიტები აძლიერებენ მიმართულებას), კვლევაში მონაწილე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები განსაკუთრებით ცდილობენ საკუთარი არაპომოფობიური დამოკიდებულებების აქცენტირებას, პომოფობიური განწყობების მქონე მოსახლეობის ფონზე. მსგავს ტენდენციაზე ბალკანეთის კონტექსტშიც საუბრობენ. მიჩნეულია, რომ, რადგან ლგბტ თემის მიმღებლობა ევროკავშირის მოთხოვნად აღიქმება და, თითქოს, ქვეყნის ევროპეიზაციის ხარისხსაც ზომავს, პროევროპული პოლიტიკური ელიტები ცდილობენ, ლგბტ უფლებების მხარდაჭერის ხაზგასმით, საკუთარი პროგრესულობა და ევროპულობა დაამტკიცონ; იმავდროულად, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის ორიენტალიზებას ახდენენ, როგორც არასაკმარისად ევროპულისა და ჩამორჩენილის (Rexhepi, 2016).

ამ კუთხით საკმაოდ საინტერესოა, როგორ რეა გირებენ მონაწილეები ჩვენ მიერ შეთავაზებულ დებულებაზე „ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ხელისუფლებაში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია.“ მაგალითად, ერთ-ერთი მონაწილისთვის დებულება გამალიზიანებულია, რადგან მკვლევრის, თითქოს, იმთავითვე მის არაპომიფობიურ დამოკიდებულებაში შეაქვს ეჭვი: „თქვენ ივარდაუდეთ, რომ შეიძლება მე ამ დებულებას არ ვეთანხმებოდე?“ (საპარლამენტო უმცირესობა). სხვა მონაწილე კი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის პიროვნულად უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული ღირებულება:

ისევ და ისევ, ადამიანი ჩემთვის არის უპირატესი და ჩემს შვილებსაც ამ ღირებულებებით ვზრდი. ეს არ მინდა, რომ ტრაფარეტი იყოს, რომ, დავუშვათ, რაღაც რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობა უნდა იყოს უმცირესობა იმიტომ, რომ ასეთივე უმცირესობაში შეიძლება ვიყო მე, როგორც შავთმიანი, ქერა, როგორც ქერათმიანი და ა.შ. (სამთავრობო სექტორი).

ამასთან, თვალშისაცემია ელიტების მიერ თავის მართლების ტენდენციაც, როდესაც სექსუალური უმცირესობების შესახებ დებულებას იმ დებულებებს შორის არ ათავსებენ, რომელთაც ყველაზე მეტად ეთანხმებიან. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მეთოდოლოგიის ფარგლებში მათ მხოლოდ იმის ახსნა უნდედათ, რატომ მოათავსეს დებულება იქ, სადაც მოათავსეს, რამდენიმე მონაწილე, პირველ რიგში, იმის ახსნას ცდილობს, რატომ არ მოათავსა ეს დებულება მაინცდამაინც უკიდურეს პოზიტიურ (++) პოზიციაზე.

მინდოდა, უფრო ზევითაც დამეყენებინა [აღნიშნული დებულება], უბრალოდ, ვერ დავაყენე. პრიორი-ტეტიზაცია მომინევდა, იმდენად რადიკალური იყო ისინი [დებულებები, რომელიც +3 პოზიციაზე დაალაგა] (სამთავრობო სექტორი).

ის მონაწილეებიც კი, რომლებიც მოცემული საკითხის მიმართ განსაკუთრებულ ენთუზიაზმს არ ამჟავნებენ, ცდილობენ, სოცია-

ლურად სასურველი დისკურსი შემოგვთავაზონ, რომ ყველა ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული (და არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობების).

თუკი ლგბტ უფლებების განვითარების დისკურსთან დაკავშირება, ერთი მხრივ, პროგრესული ელიტები-ჩამორჩენილი მოსახლეობა დიქტომიას აჩენს, მეორე მხრივ, ამავე ჭრილში სხვა დიქტომიაც ჩნდება – პროგრესული საქართველო-ჩამორჩენილი სამხრეთ კავკასია, სადაც საქართველო რეგიონის სხვა ქვეყნებზე გაცილებით წინმდგომად წარმოგვიდგება:

ხომ ვწუნებთ, რომ ჩვენთან ძალიან სიბრძელეა  
და რაღაც... აი, ვერ შეადარებ, იქ [სომხეთსა და  
აზერბაიჯანში] ტიპები [სექსუალური უმცირესობა]  
საერთოდ ვერ გამოდიან, ამ თემაზე საერთოდ ვერ  
იტყვი, აი, ჩურჩულითაც ვერ იტყვი (არასამთავრობო  
სექტორი).

ამ კუთხით, საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარება შესაძლოა, იმ დისკურსის ნაწილადაც ჩავთვალოთ, რომელიც ამჯერად კავკასიის ქვეყნების ორიენტალიზმას ახდენს და, მეზობლებთან მიმართებით, საქართველოს გაცილებით „ევროპულ“ და „ცივილიზებულ“ ქვეყნად წარმოაჩენს (Tsuladze et al., 2016). ზოგადად, მსგავსი მიღვომა, რომ კავკასიაში „მარტო ჩვენ ვართ ცოტა ისეთი, რაღაც ნათელი წერტილი“ (თბილისი, მამრ., 41-65), მოსახლეობის სამიზნე ჯგუფშიც გვხვდება. შესაბამისად, მონაწილეების მიხედვით, განვითარების იერარქიაში საქართველო ევროპას ჩამორჩება, თუმცა კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით წინმსწრებად წარმოგვიდგება.

## 2.3 კრიტიკული აზროვნება, როგორც ევროპული ღირებულება

ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის ღირებულებების გარდა, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნებაც ისეთ ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც ევროპასთან ასოცირდება. ამ კუთხით, ელიტების ჯგუფში საკმაოდ საინტერესო შემთხვევას ვაწყდებით, სადაც არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს ადანაშაულებენ ევროკავშირის იდე-

ალიზებასა და მასზე ბრმად დამოკიდებულებაში, რაც, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით, „პირდაპირ ხელს უშლის ევროპელობის იდეას იმიტომ, რომ ევროპელობის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ შენი თავი შენ უნდა გეკუთვნოდეს, შენ თვითონ უნდა მართო შენი თავი“ (არასამთავრობო სექტორი). ამ დისკურსის მიხედვით, თავად ევროკავშირის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას „ევროპულობის“ მნიშვნელობა ენიჭება და „ევროპული იდეის“ საფუძვლად წარმოგვიდება. ამ კონტექსტში, არასამთავრობო სექტორთან ასოცირებული რესპონდენტები ევროკავშირის „გაკერპებაში“ (ე.ი. არაევროპულ ქცევაში) პოლიტიკურ ელიტებს ადანაშაულებენ, ხოლო პოლიტიკური ელიტები – არასამთავრობო სექტორს. არასამთავრობო სექტორიდან მონაწილეები მიიჩნევენ, რომ „საბჭოთა მენტალიტეტისა“ და „თვითკოლონიური ცნობიერების მქონე“ მთავრობა ევროკავშირს „თვალებში შესციცინებს,“ მისგან დირექტივებს მოელის და ზედმეტ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რა მოხდება დასავლეთში და როგორი გავლენა ექნება ამას საქართველოზე:

მაგალითად, დასავლეთში თუ დააცემინებენ, აქ ყველა იმაზე მარჩიელობს, იქ რატომ დააცემინეს და ხომ არ ნიშნავს ეს ცუდს საქართველოსთვის (არასამთავრობო სექტორი).

მეორე მხრივ, ხელისუფლებასთან ასოცირებულ რესპონდენტებსაც მსგავსი არგუმენტი აქვთ არასამთავრობო სექტორის მიმართ: მათი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები ევროკავშირს იდეალიზებულად აღიქვამენ და მის მიმართ საქართვისად კრიტიკულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ, რაც „ევროპულ ქცევას“ ეწინააღმდეგება:

ცოტათი გაკერპებულია ეს თემა (...) რეალურად, ევროკავშირი არის კრიტიკული მიდგომა ყველაფრის მიმართ, თუნდაც ევროკავშირის მიმართ. არსებობს ევროსკეპტიკური კრიტიკა და ევროპეტიმისტური კრიტიკა – აკრიტიკებ იმიტომ, რომ ინტეგრირებული და უფრო უკეთესი ევროპა გინდა. სამოქალაქო სექტორის უმეტესობა ცალსახად მიდრეკილია.... განსაკუთრებით, ევროპული სამოქალაქო პლატფორმა, აღმოსავლეთ პარტნიორობა. ესენი, ვინც ამ თემასთან არის კავშირში, ისინი არ აკრიტიკებენ (საპარლამენტო უმრავლესობა).

შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ მაშინაც კი, როდესაც რეს-პონდენტები ევროკავშირის კრიტიკული გააზრების აუცილებლობაზე საუბრობენ, კვლავაც ევროპულად მიჩნეულ ღირებულებებზე დაყრდნობით ხდება არგუმენტირება: ევროკავშირის მიმართ კრი-ტიკული დამოკიდებულება თავისთავად კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იმიტომ, რომ ის ევროპული ღირებულებაა, რომელიც ქართველებმა უნდა შეითვისონ.

## 2.4 შრომა, პასუხისმგებლობა და კანონმორჩილება

კვლევის მონაწილეების ხედვით, ევროპელების საპირისპიროდ, ქართველები შრომის კულტურის ნაკლებობით და სიზარმაცით გამოირჩევიან. მაგალითად, არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენელი სწორედ ქართველების სიზარმაცით ხსნის იმას, რომ, მისი სიტყვებით, ევრონინტეგრაცია, უმეტესად, ევროკავშირის „ბიძგით“ ხორციელდება, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები კი მხოლოდ დინებას მიყვებიან და რეფორმების განხორციელებისას განსაკუთრებულ მონდომებას არ იჩენენ.

ელიტების მსგავსად, ევროპული ღირებულებები მოსახლეობისთვისაც შრომასთან, ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და მერიტოკრატიასთან ასოცირდება, რომლის თანამად, „რასაც მუშაობ, ის ხარ.“ ამ მხრივ, საქართველო რთულ გარდამავალ ეჭაპზე მყოფ ქვეყნად წარმოგვიდგება, რომელიც კაპიტალისტურ წყობაზე წარმატებით გადასასვლელად ევროკავშირს „ეჭიდება“:

რთული ვითარებაა, მაგრამ თუ კაპიტალიზმზე გადასვლა გვინდა, მაშინ ამ რუსეთს, სოციალიზმს და კომუნიზმს უნდა დავემშვიდობოთ. ძალიან რთულ რაღაცაში ვართ გაჩერილები, არც ის ვიცით კარგად, არც ეს ვიცით. რა გავაკეთოთ, არ ვიცით და ვეჭიდებით რაღაცას, ევროკავშირს ამ შემთხვევაში, და მგონი, სწორად ვეჭიდებით (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ვიზალიბერალიზაციის მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ მოსახლეობას ევროპაში უშრომელად „აწყობილი ცხოვრების“ შესახებ ილუზიები გაუქრეს:

ძირითადად, რა პლიუსსაც ვხედავ ვიზალიბერა-

ლიზაციისთვის, ეს არის ის, რომ სტერეოტიპები და ის ილუზია, რომელშიც ცხოვრობს ქართველი ხალხი, რომ იცი, რა არის? – ევროპაში ცხოვრება კარგი არის, არ გჭირდება შრომა და უცებ აიწყობ ცხოვრებას – ასეთი რაღაცები, მსგავსი არასერიოზული მიდგომა გაქრება (ბათუმი, მამრ., 18-25).

შრომის ღირებულებაზე აქცენტის გარდა, ქართველებისა და ევროპელების ღირებულებითი კონტრასტი კანონმორჩილებასა და პასუხისმგებლობის აღებასაც უკავშირდება. კანონმორჩილება იმდენად მიიჩნევა ევროპული იდენტობის ნაწილად, რომ სამთავრობო სექტორიდან ერთ-ერთი მონაწილის თქმით, თუკი საქართველო პირობითობის კონტექსტში დაკისრებულ რეგულაციებს არ შეასრულებს, ევროკავშირში არ მიიღებენ სწორედ იმ მოტივით, რომ იქ არაკანონმორჩილი ადამიანების ადგილი არ არის. ქართველების არაკანონმორჩილებისა და უპასუხისმგებლობის ნიშუშის სახით კვლევის მონაწილეები, განსაკუთრებით, მძღოლებსა და მგზავრებს გამოყოფენ, რომლებიც საგზაო დარღვევებზე პასუხისმგებლობის აღებას გაურბიან.

რა გვჩვევია ქართველებს? მაგალითად, შემოიღეს ქულების სისტემა მართვის მონიტორინგი და ვაიმე, რას გვიშვრება ეს მთავრობა! რა არის, ამდენი ჯარიმები რატომ უნდა გადავიხადოო?! რა არის ევროპელების მიდგომა: არ დავარღვევ და მორჩა, ჯარიმაც არ მექნება. კარგია იმიტომ, რომ მონექსრიგებული იქნება ეს სისტემა. არ დავარღვევ და მორჩა – ეს არის ზუსტად განსხვავება (სამთავრობო სექტორი).

მსგავსი მოსაზრება მოსახლეობის ჯგუფშიც ვლინდება:

არ ვართ კანონმორჩილი ხალხი. სანამ ღვედზე არ დააწესეს ჯარიმები, მანამდე ღვედს არავინ იურავდა; ელემენტარულად, სანამ სასჯელის ნორმამდე არ მიდის... (ბათუმი, მდედრ., 41-65).

მოსახლეობა, ელიტებისგან განსხვავებით, იდენტობის ჭრილში განიხილავს ევროკავშირში ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულებების საკითხსაც. თუკი ელიტები ამ ტიპის კრიმინალს, ძირითადად, მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემებს ან ინდივიდუალურ

უპასუხისმგებლობას მიაწერენ, მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში გაცილებით მეტად ჩანს ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული თვითსტიგმატიზაცია. ამ შემთხვევაში, კრიმინალი ქართველების მახასიათებლად გამოიყოფა და აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა, როგორც მნიშვნელოვანმა გარე აქტორმა, „გაგვიცნო ისეთები, როგორებიც ვარი“ (ზუგდიდი, მამრ., 18-25). როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, ქართველები ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობას კი არ იყენებენ (აქ ჩანს, რომ ევროპას ქართველებისთვის განმანათლებლის ფუნქცია მიეწერება), არამედ ქურდობით იქცევენ ყურადღებას (ბათუმი, მდედრ., 18-25). ამ მხრივ, ქართველებისა და ევროპელების მახასიათებლებს შორის იმდენად დიდი სხვაობა ვლინდება, რომ ქართველების „კრიმინალური ხერხები“, მონაწილეების აზრით, ევროპელებისთვის წარმოსადგენადაც კი რთულია:

იმათთვის ეს არის ისეთი წარმოუდგენელი რამ, რომ ვერც წარმოიდგენენ, შეიძლება ადამიანმა სამი, ოთხი შარვალი ჩაიცვას ზემოდან და ისე გამოვიდეს [მაღაზიიდან] (თელავი, მამრ., 41-65).

დისკუსანტების თქმით, „ევროპაში ჩადენილი დანაშაულის ნახევარი ქართველის მიერაა გაკეთებული“ (ზუგდიდი, მამრ., 18-25). მსგავსი თვითსტიგმატიზაცია იმაშიც ვლინდება, რომ ქურდული მენტალიტეტი ქართულ მახასიათებლად მიიჩნევა და ისიც კი ხაზგასმულია, რომ საქართველოს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე მეტი ქურდი ჰყავს: „პოსტსაბჭოთა ქვეყნებს იმდენი ქურდი არ ჰყავს, რაც საქართველოს ჰყავდა. ეს ქართული ისაა... ვერ ამოძირკვავ მაგას“ (თელავი, მამრ., 26-40).

ვინაიდან ევროკავშირში ჩადენილ დანაშაულში ქართველების წელილიც ხაზგასმულია, მონაწილეებია აღნიშნავენ, რომ აუცილებელია, ქართველებმა დაუმტკიცონ ევროკავშირს, რომ შეუძლიათ წესების დაცვა და ნამდვილად იმსახურებენ ვიზალიბერალიზაციას. ამ შემთხვევაში, ქართველებისთვის მიწერილი თვისებების გაზიადების ტენდენციაც გვხვდება, რომლის თანახმად, „ქართველები ვართ ორი უკიდურესობა – ან ძალიან კარგები, ან ძალიან ცუდები. საშუალო არ არსებოს ჩვენთან. ან არიან ძალიან ცნობილები და კარგები, ან კრიმინალური“ (თბილისი, მდედრ. 41-65). ამდენად, „ცუდი“ ქართველები „კარგმა“ ქართველებმა უნდა გააწონასწორონ.

ამის საპირისპიროდ, ზოგი მონაწილე მიიჩნევს, რომ კრიმინალი ქართველების მახასიათებლად არ უნდა ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, „ეს გაჭირვების ბრალია და არა იმის, რომ ქართველები ცუდი ხალხი ვართ“ (თელავი, მდედრ., 18-25). მიუხედავად არსებული თვითკრიტიკისა, მოსახლეობა თავად ევროკავშირის მიმართაც გამოხატავს გულისწყრობას იმის გამო, რომ ქართველებს ევროპაში კრიმინალების „იარლიყი მიეკერებათ“ და მათი სტიგმატიზება ხდება:

ეგ არ არის მარტო ქართველის პრობლემა. შეიძლება პრობლემა ის, რომ საქართველოს ჰყავს სოციალური ფენა, რომელიც ჩადის იქ და კრიმინალია, მაგრამ ეს არის ორმხრივი პრობლემა. მე არ დაველოდები ირანელების აქ ჩამოსვლას და მხოლოდ ნეგატიურ მხარეს არ მოვიტებ იმიტომ, რომ მჯერა, ამხელა სახელმწიფოებში არსებობს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მაგალითები (თბილისი, მდედრ., 26-40).

კრიმინალის სტიგმასთან გამკლავების ერთ-ერთ სტრატეგიად შეიძლება ჩაითვალოს ამ სტიგმის ევროკავშირში მცხოვრებ სხვა იმიგრანტებზე პროექცია, რითიც მონაწილეები ცდილობენ, სხვებს ისეთი დანაშაულებები მიაწერონ, რასაც „ქართველი საერთოდ არ გააკეთებს“ და ამით ქართველები სხვა მიგრანტებზე ღირსეულად წარმოაჩინონ:

რავიცი, ქართველებზე მეტი არიან იქ მაროკოელები, ალბანელები, აფუჭებენ, იპარავენ კი არა... პატარა ბავშვებს პედოფილები და რა ვიცი, ანამებენ (თელავი, მამრ., 18-25).

საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში სტიგმის გადატანა, უმეტესად, აღმოსავლეთით მდებარე ერებზე ხდება: ქართველები მათ ორიენტალიზაციას ახდენენ, საკუთარ თავს კი მათ დასავლეთად, შესაბამისად, შედარებით ცივილიზებულად წარმოაჩინენ (Todorova, 2009). როგორც ზემოთ ვნახეთ, მსგავსი დამოკიდებულებები განვითარების ქრილში სამხრეთ კავკასიურ ქვეყნებთან მიმართებითაც შეინიშნება.

## **2.5 ქართველების „მენტალური მოდერნიზაცია“ ევროკავშირთან სოციალიზაციის პროცესში**

ევროკავშირთან სოციალიზაცია იმ ძირითად მექანიზმად წარმოგვიღება, რომელიც, მონაწილეების აზრით, ქართველების „მენტალურ მოდერნიზაციას“ განაპირობებს. ამ კონტექსტში, ევროკავშირის საპირისპიროდ, „სადაც ცოდნაა, განათლებაა, სადაც კანონი კანონობს“ (ზუგდიდი, მამრ., 41-65), ქართველების თვითორიენტაციიზება ხდება, როგორც „შეზღუდული მენტალობის“, ნაკლებ განათლებული და „ცოტა ველური ინსტინქტების მქონე“ საზოგადოების, რომელსაც „აკლია ის დონე, ის გაცნობიერება.“ ამ ნარატივებში ევროპულ რაციონალიზმსა და განმანათლებლობას ქართული ირაციონალიზმი და გაუნათლებლობა უპირისპირდება.

მენტალური პრობლემა დგას ჩვენში. ჩვენ ვართ შეზღუდულები, ისინი დგანან ჩვენზე მაღლა, რაღაც რაღაც საკითხებში, ჩვენზე მეტი იციან. მეტი განათლება აქვთ, ამას ნამდვილად ვეჯახებით (ქუთაისი, მდედრ., 41-65).

მართლა, ხანდახან, ცოტა არ იყოს, ჩვენი თავი ჩვენვე უნდა ვამხილოთ, ჩემი აზრით. ცოტა ველური ინსტინქტები გვაქვს საზოგადოებაში. არც გვინდა განვითარება, რაღაცით ვამაყობთ, მაგრამ რითი ვამყობთ, რა გვაქვს საამაყო, მაგასაც ვერ მივხვდი (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

ამ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ ქართველებმა უნდა აითვისონ და გაითავისონ ევროპული ლირებულებები – ის სისტემა, რომელიც უკეთეს მომავალს განაპირობებს და მათ „ნამდვილ“ ევროპელებად (ლირებულებების დონეზე) აქცევს. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, „ევროპელობა არ ნიშნავს გენეტიკურ შთამომავლობას. ევროპელი ვხდები ჩემი ფასეულობებიდან გამომდინარე“ (თბილისი, მდედრ., 41-65). ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად კი ქართველებს „რაღაცები შეგვეცვლება ტვინში და დაგვეტყობა ყველაფერი“ (ზუგდიდი, მდედრ., 18-25). შესაბამისად, საზგასმულია, რომ „ევროპასთან დაახლოება თვითშეგნების ამაღლებასაც ნიშნავს და არა კანონების და სანქციების დონეზე დაცვას“ (ბათუმი, მამრ., 26-40).

აქედან გამომდინარე, ვიზალიბერალიზაცია მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა „თითოეული ადამიანის განვითარებისათვის“ (ბათუმი, მდედრ. 18-25). უვიზო მიმოსვლის პირობებში, ევროპელებთან უშუალო კონტაქტსა და მათ ყოველდღიურობაზე დაკვირვებას ელიტებიც ყველაზე მნიშვნელოვან მონაბივრად მიიჩნევენ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საბჭითა წარსულის მქონე ქართველების „ცნობიერებაში გარდატეხას“ (საპარლამენტო უმცირესობა) და მათ „უკეთესად მოაზროვნე ხალხად“ გარდაქმნას (სამთავრობო სექტორი).

მე მიმაჩნია, ნებისმიერ ევროპულ გრანტზე მეტად, საქართველოს მოქალაქეს რომ მისცე შესაძლებლობა, წავიდეს ევროკავშირის ქვეყანაში, საკუთარი თვალით ნახოს, ქუჩაში როგორ გადადის ხალხი, ტრანსპორტში როგორ დადის, რიგში როგორ დგას, ანუ მე მიმაჩნია, რომეს უფრო მეტად შეუწყობს ჩევენს ევროინტეგრაციას ხელს (არასამთავრობო სექტორი).

მიდიხარ ამ ევროპაში სამოგზაუროდ, დასასვენებლად, მიდიხარ იქ სასწავლებლად, შემოდის ინფორმაცია ევროპული ღირებულებების შესახებ. კი, ეჭიდები, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ილექტა, ეს არ მიდის უკალოდ. ცხადია, მეტი დრო უნდა, მანამდე 200 წელი რუსი ილექტოდა ჩვენს ტვინში და ბოლო 70 წელი კიდევ – საბჭითა კავშირი (აკადემიური სფერო).

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, ვიზალიბერალიზაციის შედეგად, უკვე რიგით ადამიანს შეუძლია წავიდეს და „ეზიაროს ამ ევროპას.“ საგულისხმოა, რომ მსგავსი ფორმულირება სწორედ ევროკავშირის აღმატებულ პოზიციაზე მიუთითებს, რომელსაც ადგილობრივები უნდა გაეცნონ და გაითავისონ. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი კი აღნიშნავს, რომ „მოყოლილს ნანახი ჯობია“-ს პრინციპით, ევროპაში წასული მოსახლეობა თავად დაინახავს, როგორ არის დაცული ადამიანის უფლებები და მიხვდება, რაზე საუბრობს პოლიტიკური ელიტა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც, მოსახლეობა და ელიტები კვლავ კონტრასტულად არის წარმოჩენილი: ელიტები მოსახლეობისგან მკვეთრად გამოირჩევიან და ამ უკანასკნელს პროგრესისა და ევროპეიზაციისკენ მიუძღვიან. ზედა ციტატის

მსგავსად, აქაც ევროპული განათლების მნიშვნელობა იკვეთება: რეფორმების განხორციელების პროცესში, ძირითად აქტორებად სწორედ ის ადამიანები მიიჩნევიან, ვინც დასავლეთში მიიღო განათლება: „ბევრმა მიიღო განათლება დასავლეთში და მერე ჩამოვიდა და ესენი იყვნენ ამ რაღაც ‚დრაივის‘ მონაწილეები“ (საპარლამენტო უმცირესობა).

დასავლური განათლების მიღება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებლად მიიჩნევა ევროპულ ღირებულებებთან სოციალიზაციის თვალსაზრისით. როგორც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, საჭირო ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ეს პრაქტიკა ყველა ქართველისთვის სავალდებულოც კი უნდა იყოს.

მე თუ მეითხავ, ფული რომ იყოს, გავხდიდი სავალ-დებულოს, რომ ნავიდნენ და ერთი წელი იცხოვრონ, ისნავლონ, პროფესიული განათლება იქ მიიღონ, უმაღლესი განათლება (...) იმოგზაურონ, ნახონ, ხალხი როგორ ცხოვრობს (სამთავრობო სექტორი).

დასავლური განათლების მნიშვნელობა მოსახლეობის სამიზნე ჯგუფშიც ხაზგასმულია. დომინანტური დისკურსის თანახმად, რადგანაც ევროპელებმა „ჩვენზე მეტი იციან, მეტი განათლება აქვთ“ (ქუთაისი, მდედრ, 41-65), ამიტომ ევროპისგან „გვინდა განათლების მიღება, გვინდა ახალი კულტურული ელემენტები...“ (ბათუმი, მამრ., 26-40). მონაწილეების თქმით, თავის მხრივ, ევროკავშირიც ხელს უწყობს „ჩვენნაირ“ ქვეყნებს და მოსახლეობას განათლების მიღებასა და დასავლური ღირებულებების გათავისებაში.

თუნდაც, დავიწყოთ ერასმუს+ პროგრამით, რომელიც წლებია მუშაობს ჩვენნაირ ქვეყნებთან და ემსახურება იმას, რომ განათლება მიიღონ ქვეყანაში. ეს არის მათი ყველაზე დიდი ინვესტიცია, რაც შეუძლიათ ჩადონ აქ. ასე ვთქვათ, ავრცელებენ დასავლურ ღირებულებებს (ბათუმი მდედრ., 26-40).

ამდენად, ქართველების მიერ ევროპაში განათლების მიღება ან, თუნდაც, ევროპულ ქვეყნებში მოგზაურობა და ევროპული ცხოვრების წესის გაცნობა, დასავლური ღირებულებების ათვისების მთავარ სტრატეგიადაა მიჩნეული. თუმცა, ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის ყველა ქვეყანა ერთნაირად მიმზიდველად არ განიხილება. ევროკავშირში

მოგზაურობის მნიშვნელობაზე საუბრისას, პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი წარმომადგენელი ერთმანეთისგან გამოარჩევს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას: თუკი შედარებით შეძლებული ქართველების „ევროპად“ დასავლეთ ევროპა მიიჩნევა, მათთვის, ვისაც ამ ქვეყნებში გამგზავრების საშუალება არ აქვს, შესაფერ „ევროპად“ აღმოსავლეთ ევროპა მოიაზრება. სანტერესოა, რომ ამ არგუმენტს ავთენტური და ყალბი ჯინსების შედარება უძლვის წინ, რომლის მიხედვით, ვინც „ძვირიან და ნამდვილ“ ჯინსს ვერ განვდება, ურჩევნია ყალბი, მაგრამ მიმსგავსებული შარვალი შეიძინოს. ეს კი, კონტექსტის გათვალისწინებით, შემდგომ სწორედ დასავლეთ (როგორც ნამდვილ) და აღმოსავლეთ (როგორც მიმსგავსებულ) ევროპასთან ქმნის ასოციაციებს, რომელიც ქართველისთვის მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა.

(...) ლევისის ფირმამ როდესაც გამოუშვა თავისი ჯინსები, მაშინ იყო საუბარი, რომ გააყალბებენ და ყალბი პროდუქცია წავიდოდა და მათი პასუხი იყო, თუ ვიღაცა გაყალბებულ ლევისს იყიდის, ეს ჩვენთვის ისედაც კარგია, და ვისაც ნამდვილი ლევისი ესმის, მან იცის, რომ ეს ყალბი იქნება. ეს მაგალითი რატომ მოვიყვანე: ანუ ადამიანს უნდა ლევისი. ლევისი რომ უნდა, შეიძლება იმას ვერ წვდება, ძვირიანს და ნამდვილს, მაგრამ მაინც მისი მსგავსი ურჩევნია განსხვავებულს. ამიტომ შესაძლოა, ვიღაცას უნდა წავიდეს პარიზში, მაგრამ პარიზში რომ ვერ მიდის, აღმოსავლეთ ევროპაში წავა და ასე შემდეგ. იქ გაიკეთებს თავის ევროპას და ეს არის პროგრესი უკვე (საპარლამენტო უმცირესობა).

აქ კიდევ ერთხელ ვლინდება განვითარების იდეალისტური მოდელის შესაბამისი ხედვა, სადაც ცივილიზაციის აღმავალ კიბეზე საზოგადოებები იერარქიულად არიან განლაგებულნი. აღმოსავლეთ ევროპა ამ შემთხვევაში ჯერ თავად აღმავალი მოძრაობის პროცესშია და დასავლეთს ჩამორჩება, თუმცა საქართველოს მაინც წინ უსწრებს. საზოგადოებების ამგვარი განლაგების მსგავსად განლაგდება ქვეყნის შიგნით არსებული მოსახლეობის ჯგუფებიც: მაღალშემოსავლიან ადამიანებს უშუალოდ განვითარებულ ევროპასთან სოციალიზაციის საშუალება ეძლევათ, დაბალშემოსავლიანები კი – განვითარებულთან მიმსგავსებულს უნდა დასჯერდნენ.

## **2.6 მოსახლეობის კლასიფიცირება ევროპეიზაციისა და განვითარების ქრილში**

ვინაიდან ევროპეიზაცია განვითარებისა და პროგრესის ტერმინებში განიხილება, ამავე ტერმინებში აღინიერება მოსახლეობის ის ნაწილიც, ვინც ევროკავშირისა და ევროპეიზაციის მხარდამჭერად აღიქმება:

ქართველი ხალხიც, ასე თუ ისე, ქრელია. ვერ ვიტყვი, რომ ცალსახადეს [ევროინტეგრაცია] ქართველი ხალხის არჩევანია. მე ვიტყოდი, პოლიტიკური არჩევანია, შედარებით უფრო პროგრესული ნაწილის, ხალხის პროგრესული ნაწილის არჩევანი (არასამთავრობო სექტორი).

ერთ შემთხვევაში, „პოლიტიკური არჩევანი“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობის პროგრესულ ნაწილში ელიტები იგულისხმება. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ელიტები აშკარად გამოარჩევენ თავს კონსერვატული განწყობების მქონე მოსახლეობისგან. თუმცა, მონაწილეების ნარატივებში მოსახლეობის პროგრესულ და პროევროპულ ნაწილზეც არის საუბარი, რომლის ქვეშაც, უმეტესად, ახალგაზრდები მოიაზრებიან.

ახალგაზრდა თაობა უფრო პროგრესულია და შეიძლება გავაიგივოთ ევროპულთან და უფრო პროდასავლურ ორიენტაციასთან, ადამიანის უფლებების კუთხით და სხვა კუთხით (არასამთავრობო სექტორი).

ამ შემთხვევაში, ერთ მხარეს დგანან ახალგაზრდები, მეორე მხარეს კი – უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სოციალიზდნენ და პრორუსული განწყობები მიენიებათ. მოსახლეობის ეს ნაწილი მეტად ასოცირდება როგორც უკვე გაუფასურებულ ღირებულებათა სისტემასთან, ასევე საბჭოთა ნოსტალგიასთან (საბჭოთა წარსული კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს განვითარების მცდარ ტრაექტორიად მიიჩნევა, რომელიც ევროპეიზაციის გზით უნდა გამოსწორდეს). როგორც სამთავრობო სექტორიდან ერთ-ერთი უფროსი ასაკის რესპონდენტი მიიჩნევს, მართალია, მისი თაობა ძალიან ცდილობს შეიღების „სხვანაირი ღირებულებებით“ გაზრდას, მაგრამ თავად მაინც საბჭოთა კავშირში გაზრდილ თაობად რჩება. სხვა მონაწილე არასამთავრობო სექტორიდან კი თვლის, რომ ამ

თაობების „გადმობირებაზე ენერგიის დახარჯვა არ ღირს და ისევ ახალგაზრდებზე უნდა ვფოკუსირდეთ.“

მართალია, სხვები გაურბიან პროევროპული ორიენტაციის ექსკლუზიურად ახალგაზრდებისთვის მიწერას, მაგრამ ევროინტეგრაციის მომხრების ბირთვად მაინც ახალგაზრდების ჯგუფს მიიჩნევენ, რომლებთან ერთადაც უფროსი თაობის წარმომადგენლების ნაწილიც მოიაზრება. ამ კონტექსტში, კვლავაც აქტიურად გამოიყენება „პროგრესულობის“ დისკურსი: ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, ევროინტეგრაციას არა მხოლოდ ახალგაზრდები, არამედ „ტვინგახსნილი ძველგაზრდებიც“ (საპარლამენტო უმრავლესობა) ემხრობიან. შესაბამისად, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ „პროგრესულისა“ და „ჩამორჩენილის“ დიქტორობიაზე დაფუძნებული დისკურსები, გარკვეულნილად, საბჭოთა კავშირში სოციალიზებული (ერთ-ერთი რეპარნდენტის სიტყვებით, „საბჭოთა კავშირში ნაგულავები“) თაობის სტიგმატიზებას ახდენს, ხოლო ამის საპირისპიროდ, ახალგაზრდებს ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებაზე ორიენტირებულ აქტორებად წარმოგვიდგენს.

პროგრესული პროევროპული ახალი თაობისა და არაპროგრესული ძველი თაობის კონტრასტი მოსახლეობის ნარატივებშიც გხხვდება. თუკი ახალგაზრდა თაობა კრიტიკულ და საღ აზროვნებასთან ასოცირდება, უფროსი თაობის წარმომადგენლების თვალსასწირი მეტად მწირედ მიიჩნევა, რადგან აღნიშნულია, რომ „მიდიოდნენ იმ 14 ქვეყანაში და მაგით შემოიფარგლებოდა მათი აზროვნება“ (ზუგდიდი, მამრ., 18-25); ამასთან, თუკი ახალგაზრდებს ევროპეიზაციის პროცესში აქტიური როლი მიენერება, უფროსი თაობების „სწორი მიმართულებით“ (ცვლილება უფრო პრობლემურად მიიჩნევა:

ზოგი მართლა გადმოეწყო და მიხვდა, რომ ეს არ იყო სწორი, ცუდი იყო, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აქ დაიბადნენ მაგ იდეოლოგით და იდეოლოგია არის ისეთი რაღაც, რომ, როცა შევა ის ადამიანში, ძალიან ძნელია მისი გამოდევნა. ამის გამო, ალბათ, წლები დაგვჭირდება იმისთვის, რომ რაღაც შეიცვალოს (ზუგდიდი, მდედრ., 18-25).

უფროსი თაობის საპირისპიროდ, ახალგაზრდები ევროპეიზაციის კუთხით წამყვან ძალად წარმოგვიდგება, რადგანაც, მონაწილეების აზრით, მათ აქვთ პოტენციალი, იყვნენ „უფრო კრიტიკულები“, „უფრო საღად მოაზროვნები“ და ევროპის „ჯანსაღი მხარეები“ შეითვისონ:

ყველაზე დიდი ძალა, რომელიც გამოასწორებს [ქართველების კრიმინალებად აღქმას], იქნება ახალ-გაზრდა ძალა, რომელიც იქნება უფრო კრიტიკულად, საღად მოაზროვნე. გადაიღებს, გადმოიღებს ევროპიდან ტრადიციებს, იმ ჯანსაღ მხარეებს, რომლებიც ევროპაში აქვთ (ბათუმი, მამრ., 18-25).

ამ კონტექსტში, ევროკავშირში ქართველების კრიმინალებად აღქმა მოსახლეობის ნარატივებში ერთ-ერთ მტკივნეულ ასპექტად გვევლინება და მოსახლეობის პროგრესულის და არაპროგრესულის კატეგორიების მიხედვით (თვით) კლასიფიცირებაზეც ახდენს გავლენას. ამრიგად, ერთ მხარეს მოდერნული ახალგაზრდები დგანან, რომლებიც ევროპაში განათლების მისაღებად მიდან და საქართველოზე ევროპელების უარყოფით ნარმოდგენას ცვლიან, მეორე მხარეს კი – „90-იანების გადმონაშთები“, რომელთა გამოც ევროპაში ქართველების შესახებ ზემოხსენებული ნეგატიური სტერეოტიპები მკვიდრდება.

ახალგაზრდები ვინც არიან, დარწმუნებული ვარ, რომ კარგ კვალს ტოვებენ და 90-იანების გადმონაშთებს ევროპა მოსაპარი ადგილი ჰგონია. ცოტა მეტი სტუდენტი რომ წავა, გაცვლითი პროგრამა იქნება, თავისთავად ეს რაღაცები წაიშლება (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

დისკუსანტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის თვალში ქართველებისთვის კრიმინალისა და „პაპუასის“ სტიგმის ჩამორეცხვა სწორედ მათ შეუძლათ, ვინც უვიზო მიმოსვლის წყალობით, ევროკავშირში სამოგზაუროდ ან სასწავლებლად მიდის, ინგლისურად საუბრობს და საერთო, გლობალურ კულტურაში მეტად ჩართულია, შესაბამისად, მეტი საერთო აქცის ევროპელებთან.

ეს სირცევილი, ვინც სამოგზაუროდ ან სასწავლებლად მიდის, ჩამოგვრეცხოს და გაიგოს ევროპამ, რომ არ ვართ მარტო კრიმინალები, ყაჩაღები და სხვა პოტენციალიც არის ჩვენს ერშიც (ქუთაისი, მდედრ., 41-65).

მგონია, რომ პაპუასები ვგონივართ. უკვირთ, ინგლისურად რომ ლაპარაკობ, ვიღაც ცნობილ მომლერალს უსმენ და ეგეთი რაღაცები. ამიტომ, რაც მეტი კარგის გამკეთებელი გავა, უკეთესია (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

ამგვარად, ევროპაში „გამოსაჩენ“ ქართველებს, გარკვეულწილად, კულტურული „ელჩების“ როლიც ენიჭებათ, რომ ევროპელებს ქართველები პოზიტიური კუთხით გააცნონ და დაანახონ, რომ „უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ჰგონიათ; უფრო ახლობლები ვართ კულტურულად, ვიდრე მაგათ ჰგონიათ. უფრო ეგ მიგრძვნია ხოლმე, ქართველები როგორები ყოფილსართ და არა ის, რა კრიმინალები ყოფილხართ“ (თბილისი, მდედრ., 18-25).

ამ ციტატებშიც იგრძნობა, რომ ელიტების მსგავსად, უფრო ევროპულად და პროგრესულად თავის ნარმოჩენის სტრატეგიას ფოკუსიზაციულების მონაწილე ახალგაზრდებიც მიმართავენ. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს „იმდენი აზროვნება“, რომ ქვეყანა არ შეარცხვინოს, „საღად მოაზროვნე“ ახალგაზრდები უპირისპირდებიან, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ ევროპელების ნეგატიური განწყობების შეცვლას ქართველების მიმართ.

საღად მოაზროვნე ახალგაზრდებმა უნდა შევცვალოთ ევროპელების ნარმოდგენა ჩვენზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს იქნება ძალიან რთული, დაგროვილი ნეგატიური აზრის გათვალისწინებით, მაინც უნდა გვქონდეს შანსი, რომ ჩვენ ჩვენი რეალური სახე დავანახოთ. იმ ქართველებმა, რომლებსაც ეს სახე შენარჩუნებული გვაქვს, უხეშად რომ ვთქვათ. შესაბამისად, ამისათვის ვიზალიბერალიზაცია მნიშვნელოვანია. უბრალოდ, ხალხს უნდა მიეცეს იმდენი აზროვნება, რომ გამოიყენოს ეს ვიზალიბერალიზაცია სწორად და არ შეარცხვინოს ქვეყნის და ხალხის სახელი (ბათუმი, მდედრ., 18-25).

ის მოსაზრება, რომ ახალგაზრდების აზრით, მოსახლეობას ჯერ საკმარისად არ აქვს „ამაღლებული ცნობიერება“ ევროპელებთან (როგორც იერარქიულად მაღლა მდგომ, განვითარებულ აუდიტორიასთან) პირისპირ შესახვედრად, სხვა ციტატაშიც ვლინდება:

მე ვფიქრობ, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, ცოტა ნაჩეარევი იყო. ხალხის ცნობიერების ამაღლება, განვითარება – ეს უნდა გათვალისწინებულიყო. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ როგორ აისახება, ამაზეც უნდა ვიზრუნოთ (ბათუმი, მამრ., 18-25).

ამგვარად, როგორც წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, ელიტებისა და მოსახლეობის დისკურსები სწორედ განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილში უნდა განვიხილოთ. განვითარების ტრაქტორია იერარქიულადარის წარმოდგენილი, სადაც ქართველებმა უპირატესი ევროპული ლირებულებები უნდა გაიშინა გნონ იმისთვის, რომ საქართველო უფრო განვითარებული, „ცივილიზებული“ და, შესაბამისად, მეტად ევროპული ქვეყანა გახდეს. განვითარების დისკურსი, თავის მხრივ, საზოგადოებაში „პროგრესულებისა“ (ვინც გაითავისა ეს ლირებულებები) და „არაპროგრესულებისა“ (ვინც [ჯერ] არ იზიარებს ამ ლირებულებებს) დაყოფას წარმოშობს. როგორც ელიტების, ასევე მოსახლეობის დისკურსებიდან ჩანს, რომ მსგავსი ტიპის დაყოფა განსაკუთრებით ასაკობრივი კუთხით ხდება. ახალი თაობა გაცილებით პროგრესულად, პროევროპულად მოიაზრება, საბჭოთა კავშირში სოციალიზებული თაობა კი, ამის საპირისპიროდ, სტიგმატიზებულია, როგორც არაპროგრესული, არამოდერნული ლირებულებების მქონე. მეორე მხრივ, განვითარების დისკურსი როგორც ელიტებს, ასევე მოსახლეობას უბიძგებს, თავი „პროგრესულ“ მხარეს მყოფად წარმოაჩინონ, რაც ხშირად დანარჩენი მოსახლეობის ან მოსახლეობის წანილის ორიენტალიზების ხარჯზე ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო როლს ასრულებს როგორც ლგბტ უფლებების, ასევე ქართველების მიერ ევროკავშირში ჩადენილი კრიმინალის თემა. ელიტებისთვის განვითარების კუთხით ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი, ლგბტ უფლებების თემაა. ისინი მუდმივად ცდილობენ, ხაზი გაუსვან საკუთარ გეი-მეგობრულ დამოკიდებულებებს, რაც მათ მეტად პროგრესულად და ევროპულად წარმოაჩენს და კონსერვატული მოსახლეობისგან გამოარჩევს. მეორე მხრივ, მოსახლეობის სამიზნე ჯგუფში საკუთარი თავის უფრო ევროპულად და „ცივილიზებულად“ წარმოჩენა იმ ადამიანებთან კონტრასტის ხაზგასმით ხდება, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში კრიმინალს სჩადიან. ამ კუთხით, კვლევის მონაწილეები (განსაკუთრებით კი, ახალგაზრდა მონაწილეები) თავს „ჯანსაღად მოაზროვნე“ ქართველებად მიიჩნევენ, რომლებიც ევროკავშირში მოგზაურობისა და განათლების მიღების შესაძლებლობის გამოყენებით, მთელ ერს პოზიტიურად წარმოაჩენენ.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ელიტების, ასევე მოსახლეობის დისკურსები განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილში განიხილება (სადაც ცივილიზაციის კიბეზე ქართველები მოდერნულ ევროპას

უნდა დაეწიონ), ელიტებისგან განსხვავებით, მოსახლეობის დისკურსებში საქართველოს დაქვემდებარებულ პოზიციაში ყოფნის მიმართ პროტესტიც შეინიშნება, რაც შემდეგ ქვეთავეში იქნება განხილული.

### 3. ევროკავშირთან ასიმეტრიის მიმართ წინააღმდეგობის სტრატეგიები

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში გამოვლინდა, რომ, თუკი ევროკავშირს ქართველებისთვის, გარკვეულილად, მასწავლებლის როლი მიეწერება, რომელიც „მოსწავლეებს“ „მენტალურ მოდერნიზაციაში“ უნდა დაეხმაროს, ამავდროულად, ამ ტიპის ასიმეტრიის მიმართ მოსახლეობაში პროტესტის გრძნობაც ჩნდება. მოსწავლის პოზიცია, პირველ რიგში, ღირსების შელახვის განცდას აჩენს, რაც განსაკუთრებით საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ვლინდება. ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, „ჩვენ უფრო მეტი თავმოყვარეობა უნდა გამოვიჩინოთ“ (ბათუმი, მამრ., 26-40). თავმოყვარეობის შელახვის განცდა იგრძნობა სხვა ციტატაშიც, სადაც ფოკუსჯგუფის მონაწილე იმ თანამოსაუბრებს მიმართავს, რომელიც მიიჩნევს, რომ ქართველები ჯერ არ არიან მზად ევროკავშირის წევრობისთვის: „რას ქვია, არ ვართ მზად! რატომ იმცირებთ თავს? რატომ არ ხარ მზად, აბა?“ (თელავი, მამრ., 41-65).

ასეთივე გაღიზიანება იგრძნობა იმ ნარატივებშიც, რომლის თანახმად, საქართველო არ უნდა იყოს გარე ძალებზე დამოკიდებული და არ უნდა დაეკითხოს ევროკავშირს, რა რეფორმები გაატაროს, რადგან „თავად უკეთ იცის, რა სჭირდება.“

ისტორიით ვიყავით დამოკიდებული რუსეთზე, ან ახლა ევროკავშირზე. ჩვენ არ გვჭირდება არც რუსეთი, არც ევროკავშირი... ვიღლაცაზე დამოკიდებული არ უნდა ვიყოთ (თბილისი, მამრ., 26-40).

იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ განახორციელოს რამე რეფორმა, მიმაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, ყოველ წუთს ევროკავშირს დავეკითხოთ აზრი, რადგან [ჩვენმა] ქვეყანამ უფრო უკეთ იცის, რა გვჭირდება ჩვენ, ვიდრე, ვთქვათ, უამრავმა ჩვენს გარშემო მყოფმა ქვეყანამ (თელავი, მდედრ. 26-40).

რატომლაც არა მგონია, ევროკავშირთან შევა-  
თანხმოთ ჩვენი კანონპროექტები, რადგან ევროპელმა  
არ იცის, ჩვენ რა გვჭირდება, ევროპელმა იცის, თვითონ  
რა სჭირდება, რამაც გამოიარა საუკუნე. პირდაპირ რომ  
რაღაც გამოტოვო და გადახტე, ძნელია, მაგრამ არის  
რაღაცები, რაც შეიძლება ჩვენსას მოვარგოთ. პირდაპირ  
გადმოტანა არ იქნება ჯანსაღი და ქმედითუნარიანი  
(ზუგდიდი, მამრ., 26-40).

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში რესპონდენტი, გარ-  
კვეულწილად, წინააღმდეგობას გამოხატავს ევროკავშირის მითი-  
თებების გათვალისწინების მიმართ („ევროპელმა არ იცის, ჩვენ  
რა გვჭირდება“), იმავდროულად, განვითარების სწორხაზოვან,  
იერარქიულ მოდელს მოიაზრებს, სადაც საქართველომ ევროპული  
ქვეყნების მიერ განვლილი გზა თანმიმდევრულად უნდა გაიაროს.  
ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ციტატებში საქართველოსთან  
მიმართებით მუდმივად ფიგურირებს სიტყვა „საჭიროება“ და  
ხაზგასმულია, რომ ქართველებს არ სჭირდებათ სხვისი მხრიდან  
მითითება, რადგან სხვებმა არ იციან, რა სჭირდებათ ქართველებს  
(მაგალითად, რა გადმოიტანონ ევროპული გამოცდილებიდან და რა  
ტემპებით). მსგავსი ნარატივები, თავის მხრივ, იმ დისკურსისთვის  
წინააღმდეგობის გაწევის სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ, რომლის  
თანახმად, საქართველოს განვითარებისთვის აუცილებელია  
ევროკავშირის მითითებები, რაც მოსახლეობაში ევროკავშირთან  
ასიმეტრიის განცდას იწვევს. შესაბამისად, სიმეტრიულობა იმით  
მიიღწევა, რომ ხაზგასმულია, რომ ან საქართველოს საერთოდ  
„არ სჭირდება“ ევროკავშირი და „მოვიდნენ და შეგვეკითხონ  
აქეთ“ (თბილისი, მამრ., 26-40) [თუმცა ეს მოსაზრება შედარებით  
მარგინალური], ან ევროკავშირსაც ისევე „სჭირდება“ საქართველო,  
როგორც საქართველოს – ევროკავშირი: „უბრალოდ, მცდარია  
ის მოსაზრება, რომ ევროკავშირი ჩვენს გარეშეც... საერთოდ,  
ერთმანეთს ვჭირდებით“ (ბათუმი, მამრ., 26-40).

მსგავსი ასიმეტრიის მიმართ წინააღმდეგობის ერთ-ერთ სტრა-  
ტეგიად ეროვნული იდენტობის გაზვიადება და მასთან დაკავშირებული  
„ჰიპერბოლური სიამაყე“ (Kiossev, 2002), აგრეთვე თანმდევი ნაციონალ-  
ისტური დისკურსი შეიძლება ჩაითვალოს. ეს დისკურსი საქართველოს  
თუ ქართველებს ევროკავშირზე უპირატესად წარმოაჩენს და ხაზგას-  
მით აღნიშნავს, რომ საქართველოსნაირი (უპირატესი) ქვეყანა ევროკა-

ვშირთან დაქვემდებარებულ პოზიციაში არ უნდა იმყოფებოდეს: „მე ასე მიმაჩნია, რომ ჩვენნაირი ქვეყანა, რომელილაც კავშირის [ევროკავშირი აგდებულად არის მოხსენიებული] გამო არ უნდა ასრულებდეს რაღაც ვალდებულებებს“ (თელავი, მდედრ., 41-65).

მეორე მხრივ, ნაკლებ ევროსკეპტიკური ნაციონალისტური ნარატივებიც გვხდება, რომელიც ქართველი ხალხის განსაკუთრებულობას (განსაკუთრებულ ნიჭიერებას, განსაკუთრებულ გონიერებას) უსვამს ხაზს. ამ შემთხვევაში, ევროკავშირისთვის მნიშველოვანია ქართველები, „რომლებიც არიან უნიჭიერესები და აյ ვერ ახერხებენ რეალიზებას“ და „არ არის ისეთი დიდი ორგანიზაცია [ევროპაში], სადაც ქართველი არ არის“ (თელავი, მდედრ., 26-40). ხოლო ის, რომ „სხვებზე მეტად ნიჭიერ, გონიერასხსნილ“ ქართველებს დღეს „სხვისი სასწავლებელი სტირთ“, საბჭოთა გამოცდილებას ბრალდება:

ვიდრე ამ [ორგანიზებულობის] კულტურას არ ავითვისებთ ჩვენ, მანამდე არაფერი გვეშველება... თორემ, მართლა რა გვჭირს სხვისი სასწავლებელი? სხვებზე მეტად ნიჭიერებიც ვართ, გონიერასხსნილებიც, მაგრამ არ ვართ ორგანიზებულები. არ გვაქვს ეს განათლება. უნდა ვაღიაროთ ეს... ჩვენ ჯერ კიდევ მიჩვეული ვართ, არა ვართ საბჭოთა აზროვნებიდან გამოსული (ქუთაისი, მდედრ., 41-65).

ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენ ვართ, ტრაბახით კი არ ვიტყვი, ამხელა აკადემიები გვქონდა, ნარმატებები. იაკობ გოგებაძვილმა „რუსკოე სლოვო“ რომ დანერა, მთელი ევროპა იმ ნიგნით სწავლობდა 15 წლის განმავლობაში რუსულს. აღარაფერს ვამბობ ჩვენს „დედაენაზე.“ ამიტომ დრო მოვიდა, განათლების მესვეურებმა, სხვების გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივი პირობების თუ გენეტიკური კოდის გათვალისწინებით, დროა, საკუთარი და სანიმუშო განათლების სისტემა შევქმნათ და არ ვიყოთ კიდევ სხვების იმედზე (ქუთაისი, მამრ., 41-65).

ნაციონალისტური დისკურსის და „ჰიპერბოლური სიამაყის“ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ის მოსაზრებაც, რომ ევროკავშირმა თავადაც უნდა ისწავლოს ქართველებისგან და უნდა ამაყობდეს კიდეც, რომ ქართველები მისკენ მიისწრაფვიან.

ჩვენიმძველიტრადიციებისსაინტერესორალაცებიც გვაქვს და ჩვენიდანაც შეუძლიათ მაგალითები აიღონ. არავინ თქვას, რომ ქალის უფლებები... ქალის უფლებები რომ გვეკონდა ჩვენ... თუ ისინი დაინტერესდებიან, ამაყები იქნებიან, რომ ჩვენ მივისწრაფით მაგათვენ რა (თბილისი, მამრ., 41-65).

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველების უპირატესობის მაგალითად (საქართველოს ისტორიულ მახასიათებლად მიჩნეული) ქალთა უფლებებზე განსაკუთრებული აქცენტი სახელდება. ამასთანავე ხაზგასმულია, რომ ეს უფლებები საქართველოში უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ევროპაში; შესაბამისად, ქართველებისთვის ის კიდევ უფრო ავთენტური ლირებულებაა, ვიდრე ევროპელებისთვის. მსგავსი რიტორიკა სწორედ იმ დომინანტური დისკურსისადმი წინააღმდეგობის სტრატეგიად უნდა განვიხილოთ, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებები ქართველებს ევროპელებისგან აქვთ სასწავლი. ადამიანის უფლებების დაცვა როგორც ელიტებთან, ასევე მოსახლეობასთან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ევროპულ ლირებულებად მიიჩნევა. შესაბამისად, ძალაუფლებრივი ასიმეტრიისადმი განსაკუთრებული პროტესტიც ამ თემასთან მიმართებით გამოიხატება და საქართველო ევროკავშირზე უპირატესადაც წარმოჩნდება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს აღმატებულობის დისკურსი წინა კვლევაშიც გამოვლინდა (Tsuladze et al., 2016), რაც, თავის მხრივ, ნათლად ასახავს, როგორ ითარგმნება პოლიტიკურად დაქვემდებარებულ პოზიციაზე ყოფნა გაზვიადებულ ეროვნულ სიამაყედ (Hetzfeld, 2002).

ისტორიას თუ გადავხედავთ, საქართველოში ბევრად უკეთესი მაგალითებია ადამიანის უფლებების დაცვის, რაც არ იყო ევროკავშირში (თბილისი, მამრ., 26-40).

რაღაცებში შეიძლება ჩვენ ვუსწრებთ და გაცილებით უკეთ ვიყოთ განვითარებული. ჩვენ გვაქვს ეს [ევროკავშირის სტანდარტები] მიღებული ისე, თითქოს არის რაღაც ეტალონი და ეს არის არასწორი მიდგომა (თბილისი, მამრ., 26-40).

თუკი წარმოდგენილ ციტატაში, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში ქართული მხარის უპირატესობა ჩანს და მიიჩნევა, რომ

ქართველებმა აქეთ უნდა ასწავლონ ევროპელებს, სხვა მოსაზრებით, მართალია, საქართველოში ადამიანის უფლებები არ არის დაცული, მაგრამ მათი დაცვა მხოლოდ ქართველებზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაშიც, პროტესტს „მითითების“ განცდა იწვევს: „არც მითითება გვჭირდება და ვერც ვინმე გვასწავლის ადამიანის უფლებების დაცვას, რაც მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული“ (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

სწავლებისადმი წინააღმდეგობის ალტერნატიულ სტრატეგიას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ევროკავშირის კრიტიკა წარმოადგენს. ამ ტიპის დისკურსის მიხედვით, მართალია, საქართველო ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ არც ევროკავშირშია იდეალური მდგომარეობა. ეს მოსაზრება კვლავაც განვითარების იდეალისტური მოდელის ჭრილში უნდა განვიხილოთ, რომლის თანახმად, ვინაიდან განვითარების კონკრეტული კრიტერიუმები უნივერსალურად და ლეგიტიმურად მიიჩნევა, არა მხოლოდ განვითარების იერარქიაში ზემდგომი ქვეყნები (რომელთა კულტურულ ელემენტებსაც ეს კრიტერიუმები ეყრდნობა) აკრიტიკებენ ქვემდგომებს, არამედ საპირისპირო ტენდენციაც ვლინდება (Thornton et al., 2015).

თვითონ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დამცველები ამობობენ, რომ თავად ევროკავშირში არ არის ადამიანის უფლებები დაცული, ძალიან ბევრი ადამიანის (ქუთაისი, მამრ., 41-65).

ევროკავშირის ქვეყნებში ადამიანის უფლებები არაა იდეალურად დაცული და ეს იდეალური დაცვა გარკვეული ორგანიზაციის წევრობით არ მიიღწევა (თბილისი, მამრ.. 18-25).

ევროკავშირთან დაახლოება აპრიორი არ ნიშნავს უფლებებისუკეთესადდაცვას. უზარმაზარპრობლემებს ანყდება თავად ევროპა, როგორც რელიგიური კუთხით, ასევე სექსუალური უმცირესობების თვალსაზრისით (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

ძალაუფლებრივი ასიმეტრიის მიმართ წინააღმდეგობის კონტექსტში, ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ წარმოდგენილი ნარატივებიც საინტერესოა. ამ შემთხვევაში აქცენტი, ერთი მხრივ,

ევროკავშირის მხრიდან იძულებაზე კეთდება, მეორე მხრივ კი, ელიტების მიერ მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლობაზე. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება რამდენიმე დისკუსანტის მიერ დემოკრატიის დეფიციტად ფასდება, რაც მოსახლეობასა და პოლიტიკურ ელიტებს შორის განსვლის განცდაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი, უმეტესად, განვითარებისა და პროგრესის ჭრილშია დანახული, იმავდროულად, ნაკლებ ლეგიტიმურადაც აღიქმება, რადგან „დასავლეთის დაკვეთით“ თუ „ძალადობით“ მიღებულ კანონადაა მიჩნეული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პროტესტი როგორც ევროკავშირს, ისე პოლიტიკურ ელიტებსაც მიემართება, დემოკრატიის უგულებელყოფისა და მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლობის გამო. ამგვარ განწყობას პოლიტიკური ელიტების დისკურსებიც ეხმანება, რომელიც ასევე მიუთითებენ პროევროპული პოლიტიკური ელიტებისა და ჰომოფონბიურად განწყობილი მოსახლეობის ღირებულებით აცდენაზე. ამგვარად, მონაწილეების უკავყოფილება შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც ევროკავშირის მხრიდან „სწავლებასთან“ დაკავშირებულ ძალაუფლებრივ ასიმეტრიას, ასევე ადგილობრივი პოლიტიკური პროცესებიდან მოსახლეობის დისტანცირებას, რომელიც, მონაწილეების აზრით, „თავისით უნდა მისულიყო“ ამ კანონამდე.

ჯობდა, ჩვენ მივსულიყავით იმ [ანტიდისკრიმინაციულ] კანონამდე, ვიდრე ის მოსულიყო ჩვენამდე ძალადობით. ხომ ფაქტია, რომ ძალადობით მიღებული კანონი არ ხორციელდება! (ქუთაისი, მამრ., 41-65).

ერთ-ერთი მონაწილის ხედვით, დემოკრატიის დეფიციტი იმაშიც გამოიხატება, რომ პოლიტიკური ელიტების მიერ კანონი ერთხმად იქნა მიღებული, ისე, როგორც ავტორიტარულ ქვეყნებში ხდება:

ჩვენმა პარლამენტარებმა ერთი ხელის მოსმით [მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი], არცერთი არ იყო წინააღმდეგი, ხომ? ეს იყო კონკრეტული ნაბიჯი. მგონი, ასეთი რამ ჩრდილოეთ კორეაშიც არ ხდება. ეს იყო, ჩემი აზრით, უკან გადადგმული ნაბიჯი. იმას კი ვეთანხმები, რაღაც ნაწილში, რომ უნდა ყოფილიყო მიღებული ეს კანონი, მაგრამ ის ფაქტი, რომ არცერთი არ წავიდა წინააღმდეგ... (ბათუმი, მამრ., 18-25).

სხვა შემთხვევაში ბრაზს ის იწვევს, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი „ასე სასწრაფოდ და გაურკვევლად“ მიიღეს ისეთ ქვეყანაში (საქართველოში), რომელიც ისედაც „ტოლერანტობით ცნობილია“ (ქუთაისი, მარ., 41-65). მსგავსი ნარატივი შესაძლოა კულტურული იდენტობის გაზიადებისა და ეროვნული სიამაყის დემონსტრირების კიდევ ერთ მაგალითად გამოდგეს (Kiossev, 2002; Hetzfeld, 2002), რომლის თანახმად, საქართველოსნაირ ქვეყანას ევროკავშირისგან ტოლერანტობის სწავლება არ სჭირდება.

ამის მიუხედავად, მთლიანობაში, კულტურული წინააღმდეგობის დისკურსები განვითარების იდეალისტურ მოდელთან შესაბამისობაში უნდა განვიხილოთ. ფოკუსჯგუფები გვიჩვენებს, რომ ევროპეიზაციის საშუალებით განვითარება ქვეყნის მოდერნიზაციის აუცილებელ პირობად განიხილება. თუმცა, მიუხედავად რწმენისა, რომ ქართველებს „მენტალური მოდერნიზაცია“ და ევროკავშირისგან „სწორი ლირებულებების“ სწავლა სჭირდებათ, იმავდროულად, „მოსწავლის“ როლი ლირსების შელახვის განცდას იწვევს. ეს განცდა, თავის მხრივ, ევროკავშირის მიმართ წინააღმდეგობის დისკურსებს აჩენს, რაც, უმეტესად, საქართველოს უპირატეს ქვეყნად წარმოჩენის ან ევროკავშირის დაკნინების სტრატეგიებში გამოიხატება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უპირატესად წარმოჩენაცა და ევროკავშირის დაკნინებაც იმ საკითხების გარშემო ტრიალებს, რომლებიც დომინანტური დისკურსის მიხედვით, ქართველებმა ევროპელებისგან უნდა ისწავლონ (მაგალითად, ტოლერანტობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ა.შ.). ამასთან, მსგავსი წინააღმდეგობა ყველაზე ნაკლებ უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება. ამის მიზეზად, შესაძლოა, ის ფაქტი მივიჩნიოთ, რომ უფროსი თაობისგან განსხვავებით, განვითარების დისკურსში ახალგაზრდა თაობა ნაკლებ სტიგმატიზებულია და წინა თაობაზე პროგრესულად მიიჩნევა. სავარაუდოდ, ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ეროვნულ ლირსებასა და თავმოყვარეობასთან დაკავშირებული დისკურსები, უმეტესად, უფროსი ასაკის მოსახლეობასთან იჩენს თავს.

## საქართველოს მართლებიდებები ეკლესიის როლი ქვეყნის ეპიდემიზაციაში

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საგარეო კურსად საქართველოს ხელისუფლებას, ოფიციალურად, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია აქვს გაცხადებული, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ქვეყნის ევროინტეგრაციას მხარს უჭერს, თუ სამეცნიერო ლიტერატურას დავეყრდნობით, პოლიტიკურ აქტორთა მიერ ევროპეიზაციის იდეის მუდმივი ლეგიტიმაცია აუცილებელია როგორც შიდა, ასევე გარე აუდიტორიისთვის (Toshkov et al., 2014; Borzel, 2015; Dimitrov et al., 2015). მოსახლეობისთვის, ანუ შიდა აუდიტორიისთვის, ევროპეიზაციის ლეგიტიმაცია აუცილებელია, რათა ევროინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა მაღალი იყოს. გარე ანუ საერთაშორისო აუდიტორიისთვის კი, პროცესის ლეგიტიმაცია მნიშვნელოვანია, რათა საერთაშორისო პარტნიორები მეტნაკლებად მაინც იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს საფრთხე არ ემუქრება. მართალია, საქართველოში ევროინტეგრაციის მხარდაჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ამ პროცესის მონინაალმდეგეთა რაოდენობას (CRRC-NDI-ის 2019 წლის ნოემბერ-დეკემბრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 82% მხარს უჭერს ხელისუფლების გაცხადებულ კურსს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით), მაგრამ ევროპეიზაციის იდეის მეტ ლეგიტიმაციაზე ზრუნვის აუცილებელობა საქართველოში ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან 2014-16 წლებში ჩატარებულ კვლევაშიც გამოვლინდა (Tsaladze et al., 2016).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, ევროპეიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტიკური უნიფიკაცია როგორც პოლიტიკური ელიტის, ასევე მოსახლეობის დონეზე, რაც გულისხმობს, რომ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ქვეყანა ევროპის გარდა სხვა ალტერნატივას არ განიხილავს (Moumoutzis, 2011). შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში პოლიტიკური ველის წარმომადგენელთა როლთან ერთად, რომლებიც საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელნი არიან, არანაკლებ

მნიშვნელოვანია ისეთი აქტორის როლიც, როგორიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის საქმიანობასაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი დადგინდად აფასებს და, შესაბამისად, მაღალ ნდობას უცხადებს (CRRC, 2019).

Q ანალიზის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვან აქტორადაა მოაზრებული ევროპეუზაციის იდეის ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, რაც შესაძლოა ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე ახდენდეს გავლენას. კვლევის მონაწილე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შეფასებას ევროინტეგრაციის პროცესში. კვლევის მონაწილეთა მიერ ცალსახად არც იმის დეკლარირება ხდება, რომ ეკლესია პროცესის წახალისებაზე არინებული და არც იმის, რომ ის დამაბრკოლებელ ფუნქციას ასრულებს ევროინტეგრაციის პროცესში. როგორც კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან გამოიკვეთა, ეკლესიაზე საუბრისას მთავარი აქცენტი ევროპულ ღირებულებებთან მართლმადიდებლური ღირებულებების მსგავსებაზე კეთდება, ამ უკანასკნელში კი კვლევის მონაწილენი, პირველ რიგში, ჰუმანურობას და ტოლერანტობას მოიაზრებენ. სხორცედ ამ მსგავსების გამო მიჩნეულია, რომ ევროინტეგრაცია ქართულ მართლმადიდებლურ ღირებულებებს ვერ დაემუქრება. მეტიც, ხაზგასმულია, რომ ღირებულებები, რომ-ლებსაც „ქადაგებს ქრისტინობა, ეს არის ყველაზე ახლოს ევროპულ ღირებულებებთან.“ თუმცა, ევროპულ ღირებულებებთან სიახლოვე მათ იდენტურობას არ ნიშნავს. მეტიც, აქ მოთამაშედ შემოდის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც ამ ღირებულებების „განკარგვაზეა“ პასუხისმგებელი და როგორც საპარლამენტო უმრავლესობასთანაა აღნიშნული, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხედვით, ევროპულთან „ახლოს მყოფი“, მაგრამ მაინც ქართული ღირებულებებით, ქართული საზოგადოება „უკეთ იცხოვრებს.“

მიუხედავად სოციალურად სასურველი ნარატივების შემოთავაზებისა, საპარლამენტო უმრავლესობასთან ევროინტეგრაციის გზაზე ეკლესიის დამაბრკოლებელი როლი მაინც იკითხება. მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტის შეფასება საქმაოდ მკაცრია და სოციალურად სასურველი დისკურსის წარმოდგენის მცდელობასაც მოკლებული. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, ეკლესიის დისკურსი და ქმედება საფრთხეს უქმნის ევროინტეგრაციის პროცესს.

აქ საფრთხედაა მოაზრებული ეკლესიის მიერ წახალისებული ნაციონალისტური იდეები და იმ ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებიც, გარდა იმისა, რომ თავად იზიარებენ ნაციონალისტურ იდეებს, აქტიურად ცდილობენ მსგავსი იდეების ფართო საზოგადოებაში გავრცელებას.

დღევანდელი მდგომარეობა ქართული ეკლესიის...  
მე ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი იმის მიმართ,  
რაც ხდება იმიტომ, რომ არ მომწონს. ეს მეტისმეტად  
ნაციონალურ-შოვინისტური „ტრენდი“, რომელიც იზ-  
რდება, არ მომწონს და ცალსახად საფრთხე არის ევ-  
როინტეგრაციის პროცესისთვის (საპარლამენტო უმ-  
რავლესობა).

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ისიცაა აღნიშნული, რომ პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ნაკლებ ჩართულობაში „დამნაშავე“ სწორედ ეკლესიაა. ნარატივის ავტორის მოსაზრებით, ეს უკანასკნელი „ჩაკეტილია თავის თავში“ და, განსხვავებით კათოლიკური ეკლესიისგან, თითქმის არ უწყობს ხელს საზოგადოების სოციალურ გააქტიურებას. აქტიური მოქალაქის არარსებობა კი, რესპონდენტის მიერ აღქმულია, როგორც ერთგვარი დაბრკოლება ევროინტეგრაციის გზაზე, რომლის გააქტიურების ერთ-ერთ მექანიზმად სწორედ ეკლესის შესაბამისი მუშაობაა მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, ხაზგასმულია, პირველ რიგში, ეკლესიის მიერ „ჩაკეტილი“ წრის გარღვევის აუცილებლობა („გეუბნება [მართლმადიდებელი ეკლესია], თავზე რატომ არ გახურავს და შარვალი რატომ გაცვია, არსად არ არის ეგ“) და მეტად „სოციალური“ როლის მორგება („აქტიურად არ ერთვება [მართლმადიდებელი ეკლესია], რომ შევადაროთ კათოლიკურ ეკლესიას, თუ რა დონეზე არის ჩართული სოციალურ საქმიანობაში თავისი ძალებით, თავისი რესურსებით“).

[დამნაშავე] ეკლესია, რომელსაც აქვს ნული  
სოციალური ფონი, არ ერთვება, ჩაკეტილი არის  
თავის ეკლესიაში... ჩვენი ყველაზე რთული პრობლემა  
ევროპისკენ მიმავალ გზაზე არის საზოგადოების  
არარსებობა, როგორც ჩვენი ცხოვრების აქტიური  
მონაწილისა და ამას გარედან ევროპა ვერ გაგვიკეთებს,  
ჩვენი გასაკეთებელია (საპარლამენტო უმრავლესობა).

მიუხედავად ზემოაღნიშნული კრიტიკისა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, უმეტესად, სოციალურად სასურველ დისკურსს გვთავაზობენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე ევროინტეგრაციის პროცესში. მსგავსი დისკურსით გამოიჩინან სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. მათი რიტორიკით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ევროინტეგრაციის პროცესში ჩართვას ცდილობს და ამის ინდიკატორად დასავლეთში მდვდლების ვიზიტებია მოყვანილი. ამ ვიზიტებს რესპონდენტები წარმატებულს უწოდებენ, აღნიშნავენ რა, რომ ისინი გავლენას ახდენს „საპატრიარქოს წარმომადგენელთა ხედვებზე.“ შეიძლება ითქვას, რომ ფრთხილი პოზიციისა და საზოგადოების დიდი წარმომადგენელი მიერ მხარდაჭერილი ინსტიტუტის ღია კრიტიკის არიდების მიუხედავად, სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, „საპატრიარქოს წარმომადგენელთა ხედვებზე“ გავლენის მოხდენაზე საუბრით, იმპლიციტურად მიანიშნებენ პრობლემებზე, რომლებიც ეკლესიის დამკაიდებულებებს უკავშირდება. ამ არგუმენტს სამთავრობო სექტორის წარმომადგენელი კიდევ ერთი რესპონდენტის სიტყვები ამყარებს, რომ მთავრობა სათანადო ძალისხმევას დებს იმაში, რომ მოსახლეობას და ეკლესიის წარმომადგენლებსაც კი აუმაღლოს ცნობიერება, რომ ევროპული ღირებულებები ქართულ ტრადიციებს საფრთხეს არ უქმნის. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტები ერიდებიან პირდაპირ იმის თქმას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ან თუნდაც მისი რომელიმე ჯგუფი ევროინტეგრაციას ქართული ტრადიციებისთვის საზიანოდ მიიჩნევს.

ეკლესიის მიმართ გამოვლენილი ფრთხილი პოზიციის კიდევ ერთი დასტურია ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ იმაზე მითითება, რომ ეკლესიის როლი და საზოგადოებაზე გავლენა „გაზვიადებულია.“ თუმცა, მიუხედავად ეკლესიის გავლენის „გაზვიადებულად“ სახელდებისა, აქვე ვლინდება, რომ კვლევის მონაწილე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხედავენ დაბრკოლებებს, რომელთაც ეკლესია ევროინტეგრაციის პროცესს უქმნის. ამის დასტურია ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრება, რომ მიუხედავად ეკლესიის წიაღში არსებული შიშებისა ევროინტეგრაციისათან დაკავშირებით, ის „ნეიტრალური ძალა უფრო შეიძლება იყოს ან დადებითიც კი, ვიდრე დაბრკოლება.“ კიდევ ერთი სოციალურად სასურველი დისკურსის თანახმად, ეკლესია არ არის მონოლითური ინსტიტუტი

და „ლიბერალურად“ მოაზროვნე ადამიანების პოვნა მის წიაღშიც შესაძლებელია. ამდენად, ეკლესის გამართლების ერთგვარი მცდელობასავით უღერს განცხადება, რომ მასში არა მხოლოდ არა-პროგრესულად მოაზროვნე, არამედ პროგრესული ჯგუფებიც გვხვდება.

ეკლესია გამოჰყავთ რადიკალ „მონსტრად.“ ჯერ ერთი, ეკლესია არ არის ერთგვაროვანი. იმ ინსტიტუციაში არის ძალიან სერიოზული გრადაცია და ბევრჯერ მომისმენია აბსოლუტურად ლიბერალური აზროვნება ეკლესის წიაღიდან (სამთავრობო სექტორი).

აქ საგულისხმოა სიტყვა „მონსტრის“ გამოყენება. ქვემოთ გამოჩნდება, რომ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ეკლესიას „მონსტრად“ მოიხსენიებს. როგორც ჩანს, სამთავრობო სექტორის წარმომადგენელი კარგად იცნობს ამ დისკურსს და მისგან დისტანცირებას ცდილობს. ამ მიზნით, საკმაოდ ძლიერი შეფასებითი სიტყვები გამოიყენება, რომლებიც „რადიკალი მონსტრისა“ და „აბსოლუტურად ლიბერალური აზროვნების“ დიქოტომიას გვთავაზობს.

განსხვავებით საპარლამენტო უმრავლესობისა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, კვლევის მონაწილე საპარლამენტო უმცირესობისთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მაღალი ავტორიტეტის მქონე და ძლიერი ინსტიტუცია, რომელიც პირდაპირ და სრულიად „გააზრებული საჯარო მოქმედებებით“ ხელს უშლის ევროინტეგრაციის პროცესს. ამის ერთ-ერთ მაგალითად კვლევის მონაწილეებს ადამიანის უფლებების განხორციელების გზაზე ეკლესის დამაბრკოლებელი როლი მოჰყავთ. მეორე მაგალითად კი, დასავლეთის, როგორც ეროვნული იდენტობისთვის საფრთხის მატარებლის, ხატის შექმნაა მოყვანილი. აღნიშნულის დასტურად დასავლეთის ქვეყნებში განათლების მიღების წინააღმდეგ ეკლესის განცხადებებია მოყვანილი, რაც იმ უსაფუძლო ბრალდებას ემყარებოდა, რომ „დასავლეთში მხოლოდ უბედურებაა.“

[ეკლესია დაბრკოლებაა] როგორც ფასეულობების დონეზე, ასევე როგორც პოლიტიკური ინსტიტუციი. ფასეულობების დონეზე იმიტომ, რომ ისინი ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების შეზღუდვის გავრცე-

ლებას საზოგადოებაში... როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, პოლიტიკური არასწორი იქნება, როგორც ძლიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, პირდაპირ ხელს უშლიან მათი გააზრებული საჯარო მოქმედებებით, რაღაც განცხადებებით, რომ დასავლეთში სასწავლებლად არ უნდა წავიდეთ, დასავლეთში მხოლოდ უბე-დურებაა და ა.შ. (საპარლამენტო უმცირესობა).

გარდა ევროინტეგრაციის პროცესში ეკლესიის დამაბრკოლებელი როლის წარმოჩენისა, ამ ნარატივში საგულისხმოა რესპონდენტის წამოცდენა, კერძოდ, ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის სახელდება. ამით ციტატის ავტორი იმპლიციტურად იმაზე მიუთითებს, რომ ეკლესია არათუ გავლენას ახდენს პოლიტიკურ ველზე, არამედ თავადაა ამ ველის აქტორი. აღნიშნულს კიდევ ერთხელ ადასტურებს ავტორის მიერ ამ წამოცდენაში ცვლილების შეტანა („პოლიტიკური არასწორი იქნება“), რაც შეიძლება იმის დასტურად მივიჩნიოთ, რომ პოლიტიკურ აქტორს არ სურს აღიაროს, რომ მის ველში აქტიური მოთამაშის როლში სხვა ველის აქტორი (ეკლესია) გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ ქრისტიანობა ევროპული იდენტობის ქვაკუთხედად, ასევე, ქართული და ევროპული კულტურის საერთო საფუძვლადაა მიჩნეული, თავად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, როლი ევროინტეგრაციის პროცესში წევატიურადაა შეფასებული. ეკლესიის, როგორც ევროინტეგრაციის დამაბრკოლებლის, წარმოჩენა იმით ხდება, რომ საზღამულია, რომ, ერთი მხრივ, ის „იმართება ძველი თაობის“ წარმომადგენელთა მიერ; მეორე მხრივ კი, რომ ის რუსული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ მყოფი ინსტიტუტია.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა არ ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას, რადგან, ზოგადად, ევროკავშირი და ევროპული კულტურა სწორედ ქრისტიანობაზე დაფუძნდა. აქ მეორე მომენტია, რაც არის პრობლემა. დღევანდელი მართლმადიდებელი ეკლესია, ის აპარატი, რაც მართავს, ძალიან ბევრიძველი თაობის წარმომადგენელია. მეორე, ჩვენი ეკლესია რუსული სპეცსამსახურების მხრიდან... (საპარლამენტო უმცირესობა).

ამ ციტატაში საგულისხმოა ეკლესიასთან მიმართებაში ტერმინ „აპარატის“ გამოყენება, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს ეკლესიის პოლიტიკურ ინსტიტუტად მოხსენიების (წამოცდენის) არგუმენტს. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ ციტატის ავტორი ეკლესიასთან ერთად რუსულ სპეციალისაბურებს ახსენებს, თუმცა, არ იყენებს ტერმინებს/ფრაზებს „მართვა“ ან „გავლენის ქვეშ ყოფნა“, რისი ამოკითხვაც ციტატაში შესაძლებელია. მსგავს დასკვნას ის გარემოებაც განამტკიცებს, რომ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ევროინტეგრაციის დამაბრკოლებელ ფაქტორებზე საუბრისას, ეკლესიასთან ერთად, რუსეთს და რუსულ სპეციალისაბურებს ხშირად მოიხსენიებენ. მეტიც, ევროინტეგრაციის მთავარ ბარიერებად საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ წარმომადგენელს სწორედ რუსული სპეციალისაბურები და საქართველოს საპატრიარქო ესახება. ეს უკანასკნელი „მონსტრად“ არის მოხსენიებული, რომელიც ახალგაზრდების „ტვინის გამორეცხვითაა“ დაკავებული და ხელს უშლის ქვეყნის მოდერნიზაციას.

როდესაც შენ ხარ ევროპისკენ მიმავალი საზო-გადოება, მართლა გინდა, რომ იყო „ევროპული ოჯახის“ წევრი, შეცვალო განათლების სისტემა, გყავდეს თანამედროვე სამყაროსთვის ადეკვატური ახალი თაობა და ამ დროს ეს „მონსტრი“, რომელიც ტვინს ურეცხავს ახალგაზრდებს, 24 საათი ეუბნება, რომ არ აიღოთ პირადობის მოწმობა, დაჩიპულია და სამი ექვსიანი... (საპარლამენტო უმცირესობა).

მიუხედავად ამგვარი მეცნიერებისა, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები სოციალურად სასურველი სურათის შექმნას მაინც ცდილობენ, რაც რიტორიკის შერჩილებითაა გამოხატული. ამ კუთხით ნიშანდობლივია, რომ მსგავსად სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა, რესპონდენტები ცდილობენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა ერთიან მონოლითურ ინსტიტუტად წარმოაჩინონ, სადაც ყველა რუსული სპეციალისაბურების გავლენის ქვეშა და ამიტომ ცალსახად დაბრკოლებას ქმნის ევროინტეგრაციის გზაზე, არამედ მიუთითებენ, რომ ამ ფუნქციას პროგრესის მოწინააღმდეგე კონკრეტული ჯგუფი ასრულებს და არა მთლიანი ინსტიტუტი, სადაც „შედარებით ჯანსაღი ჯგუფებიც“ არსებობს, რომლებიც ცდილობენ ევროინტეგრაციის „თემას რაღაც სხვა სახე მისცენ.“

... იმასაც ვხედავ, თვითონ ეკლესიაში ცდილობენ  
შედარებით ჯანსაღი ჯგუფები, რაღაც ვიზიტები  
იქნება თუ შეხვედრები, თუ ზოგადად ამ საკითხებზე  
მსჯელობით, რომ ამ თემას რაღაც სხვა სახე მისცენ...  
(საპარლამენტო უმცირესობა).

მიუხედავად იმისა, საპარლამენტო უმცირესობის წარმომად-  
გნლები მთლიანად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას  
აღიარებენ დაბრკოლებად ევროინტეგრაციის გზაზე თუ მის წიაღში  
არსებულ კონკრეტულ ჯგუფებს, სრული თანხმობაა იმასთან  
დაკავშირებით, რომ ეკლესიას, როგორც ძლიერ ინსტიტუტს,  
ევროინტეგრაციის პროცესშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება  
შეუძლია მოქალაქეთა განწყობების ფორმირებისა თუ არსებული  
განწყობების ცვლილების თვალსაზრისით. მთავარი ამ კონტექსტში  
ის არის, თუ რა აქცენტებს სვამს მთლიანად ეკლესია თუ მისი  
რომელიმე ჯგუფი საზოგადოებრივი განწყობების ფორმირებისა  
თუ ტრანსფორმაციის პროცესში, და როდესაც ეს აქცენტები  
ევროინტეგრაციის პროცესის საწინააღმდეგოა, ახერხებს თუ არა  
პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტა ეკლესიის გზავნილების  
„განეიტრალებას.“ ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, ამ  
ამოცანის შესრულება საკმაოდ რთულია, რადგან პოლიტიკოსებისა  
და ინტელექტუალური ელიტის „ენა რთულია, სამღვდელოების ენა  
ბევრად მარტივია.“ აგრეთვე, დიდია საფრთხე იმისა, რომ ეკლესიის  
გზავნილების განეიტრალება მის წინააღმდეგ ბრძოლად იქნება  
აღქმული. შესაბამისად, შედეგიც ნაკლებ ეფექტიანი იქნება და  
მთავარი ამოცანა – ამ გზავნილების განეიტრალება – არ იქნება  
მიღწეული.

... ზოგჯერ მცდელობა, რომ ეკლესიის „მესიჯები“  
გაანეიტრალო, პირიქით, უკუპროდუქტიულია იმიტომ,  
რომ გეტყვიან, ჩვენ ეკლესიას ეპრძვით და კონსოლი-  
დირება ხდება ამ ძალების. ამიტომ, აქ არის ძალიან  
სწორი ენა მოსანახი, რომ ეს დაბრკოლება გადავლახოთ  
(საპარლამენტო უმცირესობა).

როგორც მოსალოდნელი იყო, ევროინტეგრაციის პროცესში  
ეკლესიის როლის მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილი  
ინტელექტუალური ელიტები, განსაკუთრებით, არასამთავრობო სექ-  
ტორის წარმომადგენლები არიან. მათი მოსაზრებით, საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესია ცალსახად დაბრკოლებას წარმოადგენს ევროპეიზაციის გზაზე. ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ეკლესია „არარეფორმირებული“ და „არაშემწყნარებლური“ ეკლესიაა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წარმომადგენლები და პატრიარქიც აცხადებენ, რომ საქართველო ევროპული ქვეყნაა და მისი „ადგილი ევროკავშირშია,“ ხშირად მათი ნარატივი „არ ჯდება დემოკრატიულ სტანდარტებში,“ ენინაალმდეგება რა ევროპულ ღირებულებებს, კერძოდ, „ადამიანის უფლებებს, მედიის თავისუფლებას.“ შესაბამისად, მიჩნეულია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ნაკლებადაა „ადაპტირებული“ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებთან, ევროინტეგრაციის გზაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

[ეკლესია] წარმოადგენს დაბრკოლებას იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მართლმადიდებელი ეკლესია არის არარეფორმირებული ეკლესია... კათოლიკური ეკლესია მეტად არის ადაპტირებული, ვთქვათ, დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებთან... (არასამთავრობო სექტორი).

როგორც კვლევის მონაწილე პოლიტიკური ელიტის, ასევე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებმაც ყურადღება გაამახვილეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში გავლენიანი ჯგუფის არსებობაზე, რომელიც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის. კვლევის მონაწილეთა მიერ აღნიშნული შეფასებულია, როგორც სერიოზული საფრთხე, რადგან ეკლესიას აქვს „საკმაო გავლენა არა მხოლოდ კულტურულ და რელიგიურ ჭრილში, არამედ პოლიტიკურ პროცესებზეც.“ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის ხაზგასმით, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ეკლესიაზე, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტზე მიუთითებენ. მათთან, ისევე როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან, ეკლესია იმ მნიშვნელოვან ინსტიტუტადაა მოაზრებული, რომელსაც შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს ევროინტეგრაციის პროცესში, მაგრამ, რეალურად, „უკიდურესად უარყოფით როლს“ ასრულებს.

სამწუხაროდ, არისისეთი კვლესიაში, საკმაოდ გავლენიანი, რომელიც არა მხოლოდ ევროინტეგრაციის პროცესს აფერხებს და ხელს უშლის, არამედ, ზოგადად, განვითარებას უშლის ხელს (აკადემიური სფერო).

ეკლესია ამ ნუთას საქართველოში ასრულებს უკიდურესად უარყოფით როლს. მას შეუძლია ძალიან დადგებითი როლი შეასრულოს, მაგრამ ასრულებს უკიდურესად უარყოფით როლს. ეს ძალიან სამწუხაროა (არასამთავრობო სექტორი).

ამ ნარატივებში კვლავაც საგულისხმოა ინტელექტუალური ელიტის მიერ ეკლესიაზე, არა როგორც მონილითურ ინსტიტუტზე მითითება, არამედ მასში სხვადასხვა ჯგუფის არსებობაზე საუბარი, როგორც ამას პოლიტიკური ელიტის ნარმომადგენლებთან ვხვდებით. პოლიტიკური აქტიორები ამომრჩეველთა მხარდაჭერაზე ფიქრობენ და მათი ნარატივები ისეთი აქცენტების დასმას მოიაზრებს, რომლებიც არსებული თუ პოტენციური ამომრჩევლების დიდი ჯგუფისთვის იქნება მისაღები. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ პოლიტიკური აქტიორები ევროინტეგრაციის პროცესში ეკლესის ნებატიურ როლზე საუბრისას გარეკეულ სიფრთხილეს იჩენენ და ამიტომ სოციალურად სასურველ დისკურსებს გვთავაზობენ. როგორც ვნახეთ, შედარებით კრიტიკულია ინტელექტუალური ელიტის შეფასებები, თუმცა აქაც გვხვდება ერთგვარი ამბივალენტობა: ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ევროინტეგრაციის პროცესში „უკიდურესად უარყოფითი როლის“ შემსრულებელი; მეორე მხრივ კი, არა მთლიანად ეკლესია, არამედ მასში არსებული „ისეთი ჯგუფი“, რომელიც „ევროინტეგრაციის პროცესს აფერხებს.“

მსგავსი ამბივალენტობა მოსახლეობის დისკურსებშიც ვლინდება. ვანალიზის თანახმად, მოსახლეობის მიერ ევროინტეგრაციის პროცესში ეკლესიის როლის შეფასება ნეიტრალურია, თუმცა ნარატივები ადასტურებს, რომ მოსახლეობის შეფასებები ნაკლებ ნეიტრალური და ხშირად საკმაოდ კრიტიკულიცაა. კვლევის მონანილე 18-25 წლის ახალგაზრდები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ევროპეიზაციის პროცესში ნეგატიურად აფასებენ. საგულისხმოა, რომ ამ ჯგუფის ნარმომადგენლები ეკლესიის აზრის გათვალისწინების მიზანშეწონილობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. მათი მოსაზრებით, ეკლესია ევროპეიზაციის პროცესს ნაკლებად უჭერს მხარს, ამიტომ მისი ხედვა არ უნდა იყოს გაზიარებული საზოგადოების მიერ. მთავარ მიზეზად, თურატომენინაალმდეგებასაქართველოსმართლმადიდებელი ეკლესია ევროპეიზაციის პროცესს, ახალგაზრდები ეკლესიის მიერ ევროპის ქართული ტრადიციებისთვის საფრთხედ აღქმას მიიჩნევენ, თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების და ლგბტ თემის მიმართ

ლიბერალური დამოკიდებულების გამო. სწორედ ამის შედეგად მიაჩნიათ ის, რომ ადგილობრივი ეკლესიის მიერ ევროპა ხშირად გარყვნილების კერადაა სახელდებული. მართალია, ახალგაზრდა რესპონდენტებს შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ მსგავსი რიტორიკა ყველა სასულიერო პირისთვისა და, განსაკუთრებით, პატრიარქისთვისა არ არის დამასასიათებელი, მაგრამ ევროინტეგრაციის პროცესის ქართული ტრადიციებისთვის საფრთხედ აღქმა მაინც საეკლესიო დისკურსის შემადგენელ ნაწილად განიხილება. რამდენადაც, ახალგაზრდა რესპონდენტთა შეფასებით, ქვეყნისა და მოსახლეობის პრიორიტეტი განვითარებაა, ეკლესიის პრიორიტეტი კი – ტრადიციების ზედმინევნით დაცვა, რაც, თავის მხრივ, განვითარების შემაფერხებელია, ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის ამ ინსტიტუტის ხედვების გაზიარება ნაკლებ მისაღებია.

ეკლესიისთვის იმიტომ არის ნაკლებად მისაღები [ევროინტეგრაცია], რომ რწმენაზე ორიენტირებული არიან და ტრადიციებზე ორიენტირებული, და ჩემთვის ეს იმიტომარის მიუღებელი, რომ უნდა მისცე საშუალება ქვეყანას, მოსახლეობას, რომ განვითარდეს, არ იყოს ჩაკეტილი ამ ტრადიციებში და უფრო განვითარდეს სხვა კულტურაში, თუნდაც (ბათუმი, მდედრ., 18-25).

ახალგაზრდა რესპონდენტები აღიარებენ, რომ ევროპეიზაციის პროცესი ისეთ ცვლილებებს გულისხმობს, რაც ქართული ეკლესიისთვის მიუღებელი შეიძლება იყოს. ამ უკანასკნელში, უმეტესად, სხვადასხვა იდენტობის, განსაკუთრებით კი, არაპეტეროლექსუალი ადამიანებისადმი დამოკიდებულების ცვლილება და მათ მიმართ მიმღებლობის გაზრდა, ასევე, თავისუფალი სექსუალური ურთიერთობები მოიაზრება. ახალგაზრდა რესპონდენტების მიერ ხაზგასმულია, რომ იმისათვის, რათა საქართველო „ევროპული ოჯახის“ წევრი გახდეს, ერთი მხრივ, ყურადღება ნაკლებად უნდა მიექცეს ეკლესიის აზრს და, მეორე მხრივ, თავად ეკლესია უნდა ნავიდეს გარკვეულ დათმობებზე, „ფეხი აუწყოს“ მიმდინარე ცვლილებებს და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების მსგავსად, ევროპასთან „შეთავსება“ მოახერხოს. ამაზე მითითებით, ახალგაზრდა რესპონდენტები, თითქოს, იმაზეც მიანიშნებენ, რომ, რადგან სხვა მართლმადიდებელმა ქვეყნებმა მოახერხეს, საქართველოს შემთხვევაშიც შესაძლებელია მსგავსი თანხმობის მიღწევა.

[ეკლესია ევროინტეგრაციას] ენინააღმდეგება, რადგან არის ისეთი რაღაცები, რაც ევროპას მოჰყვება, რომელსაც არ იზიარებს ჩვენი ეკლესია. ზოგადად, არ მიყვარს ამ კუთხით ეკლესიაზე საუბარი, მაგრამ არ მომწონს, რომ ბევრ რაღაცაზე უარი განაცხადეს, თუნდაც ჩვენს ევროპელობაზე. ისე უნდა მოხდეს, რომ შევუთავსდეთ ამ ევროპას. არიან ხომ მართლმადიდებლები ევროკავშირში და ჩვეულებრივ მიღებულია ეგ სარწმუნოება ევროპაშიც, და ჩვენც ფეხი უნდა ავუნწყოთ. თუ გვინდა ევროპაში და ვყვირივართ, ეკლესიამაც რაღაცები უნდა დათმოს (ზუგდიდი, მამრ., 18-25).

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების დისკურსებში ეკლესის დამოუკიდებელი პოლიტიკაა ხაზგასმული, რაც ხელისუფლების პოლიტიკისგან მის ერთგვარ განყენებულ პოზიციაზე და შესაბამის ძალაუფლებაზე მიანიშნებას, რომ საკუთარი პოლიტიკით იხელმძღვანელოს. მიუხედავად ამ ძალაუფლებისა, ახალგაზრდების თქმით, თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია გვსურს, ეკლესის აზრს „გადამწყვეტი მნიშვნელობა“ არ უნდა მივანიჭოთ.

ალბათ, ცალკე პოლიტიკა აქვს ეკლესიას და სამ-ლუდელოებას. კი, ბატონო, ყველას აზრს და უფლებებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ, თუ გვინდა ევროკავშირი და რაღაც, მაგას [ეკლესის აზრს] გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს (თელავი, მდედრ., 18-25).

გარდა იმისა, რომ ახალგაზრდების მიერ საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია აღქმულია, როგორც განვითარებაზე ნაკლებ ორიენტირებული ინსტიტუტი, ზოგიერთთან ის რუსული პროპაგანდის სამიზნედაცაა სახელდებული. ამ პოზიციის მქონე რესპონდენტთა შეფასებით, ეკლესია არა მხოლოდ ანტიდასავლური პროპაგანდის სამიზნეა, არამედ მისი ინსტრუმენტიც. ისევე როგორ კვლევის მონაწილე პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდებთანაც ვხვდებით დისკურსს, რომლის თანახმად, ეკლესიაში ორი სხვადასხვა ჯგუფია, რომელთაგან ერთ-ერთი ანტიდასავლური პროპაგანდის განსაკუთრებული გავლენის ქვეშ ექცევა. რადგან ეკლესია, ქართული საზოგადოების მსგავსად, რუსული პროპაგანდის სამიზნეა, ინსტიტუტი ორად „იხლიჩება.“ ამდენად, წარმოდგენილი დისკურსით, ანტიდასავლური

ხედვების გამავრცელებელი არა მთლიანად ეკლესია, არამედ მასში არსებული გარკვეული ჯგუფები არიან.

როგორც საზოგადოებაზე მუშაობს რუსული პრო-პაგანდა, ისე მუშაობს ეკლესიაზეც და იქაც იხლიჩება აზრი ორად, რადგან ეს პროპაგანდა კარგად მუშაობს (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

ანტიდასავლური თუ პრორუსული ნარატივი, რაც ხშირად სინონიმებად მოიაზრება, ახალგაზრდების თქმით, განსაკუთრებით მიმართულია დასავლეთის „ზნეობრივი გახრწნილების“ ხაზგასმასა და რუსეთის, როგორც ერთმორწმუნის და „ზნეობრივი მოძმის“ ხატის შექმნაზე. ამით, თითქოს, ერთგვარი სეგრეგაცია ხდება „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფებად, სადაც პირველი ზნეობის დამცველად გვევლინება, მეორე კი – გახრწნილების გამავრცელებლად. ახალ-გაზრდების თქმით, მსგავსი ნარატივი სწორედ ეკლესიიდან მოდის, რაც „გვარწმუნებს, რომ [ქულესის წარმომადგენლებს] ქვეყნის ევროინტეგრაცია არ აწყობთ.“

ის პრორუსული ნარატივი, რომ დასავლეთი არის გახრწნილი და ზნეობრივ ხრწნას განიცდის, სწორედ ეკლესიიდან მოდის და სწორედ ეს არგუმენტი გვარწმუნებს, რომ ქვეყნის ევროინტეგრაცია არ აწყობთ (თბილისი, მამრ., 18-25).

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა რესპონდენტები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სწორედ მისი ანტიდასავლური თუ პრორუსული რიტორიკის გამო აკრიტიკებენ, თუმცა ეკლესიის ლიდერის (კათალიკოს-პატრიარქის) მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ ლოიალურია. მეტიც, რამდენიმე რესპონდენტის თქმით, პატრიარქი არასდროს გამოსულა ევროპის წინააღმდეგ და თუ დასავლეთის სანიანაღმდეგო რიტორიკა ისმის, მხოლოდ იმის გამო, რომ თავად ეკლესიის შიგნით განხეთქილებაა.

ერთიან ინსტიტუციას ხომ დაუჭირა პატრიარქმა მხარი, ხელი რომ მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას?! მაგრამ იქაც არის ხალხი, რომელთათვისაც არაა მისაღები [ევროკავშირი], ისევ რუსული პროპაგანდის გამო, რომ გარყვნიან და რაღაცები... (ქუთაისი, მამრ., 18-25).

არასდროს გამოსულა პატრიარქი და არ უთქვამს, რომ ჩვენ ევროპა არ გვინდა. არასდროს გამოსულა, ანუ ჩვენი სარწმუნოება ევროკავშირს არ გმობს. უბრალოდ, ოდითგანვე იყო განხეთქილება. ერთიანობა მათთანაც დაკარგულია (გორი, მდედრ., 18-25).

როგორც ზემოთ აღნიშნა, ელიტების მსგავსად, ახალგაზრდების მიერაც ეკლესია ძლიერ ინსტიტუტადაა აღქმული, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე. შესაბამისად, რადგან ეკლესიას უფრო ენდობა საზოგადოება, ვიდრე სხვა ინსტიტუტებს, ნათევამია, რომ სწორედ მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, „სწორად მიმართოს მრევლი.“

ქართველ ადამიანში ზის ის, რომ შეიძლება პოლი-ტიკოსს არ დაუკეროს ისე, როგორც ეკლესიას. მთლიანად ეს საპატრიარქო და კათალიკოსიც დგას ძალიან მაღლა და ისინიც კარგად იყენებენ ამას, რადგან საზოგადოებას თავიანთი ეს აზრი მოახვიონ (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

ეკლესიასაც დიდი როლი აქვს, რადგან, როცა საქმე რელიგიას ეხება, ადამიანები უფრო ფაქიზები ხდებიან და მიმნდობები არიან, ამიტომ ეკლესიამაც სწორად უნდა მიმართოს მრევლი, დემაგოგიური რაღაცები არ უნდა გაავრცელოს (ზუგდიდი, მდედრ., 18-25).

ახალგაზრდა რესპონდენტთა მოსაზრებით, მართალია, ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე დიდია, მაგრამ ეს გავლენა ყველაზე როდი ვრცელდება. ერთი მოსაზრების თანახმად, ეკლესიის გან-საკუთრებული გავლენის ქვეშ მხოლოდ მრევლი ექცევა. მეორე მოსაზრების თანახმად კი, ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია უფროსი თაობის წარმომადგენლებზე. პირველ შემთხვევაში, ეკლესიის გავლენის სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირებისთვის ასაკი კრიტერიუმი არ არის, მეორე შემთხვევაში კი – ეკლესიურობა არ წარმოადგენს კრიტერიუმს.

[გავლენას ეკლესია] უფრო ახდენს იმაზე, ვინც სსრკ-ში დაიბადა, თორემ ახალგაზრდებზე ვერა (ქუთაისი, მამრ., 18-25).

... ვისაც თვეში ერთხელ გაახსენდება ეკლესიის კარები, თვლის, რომ არაფერი საფრთხეც არაა ევროპაგშირი. ვინც მყარად დგას [ეკლესიურია], მისთვის ეკლესიას შეურაცხყოფს ის ფაქტი, რაც შეიძლება ევროპას მოჰყვეს (ქუთაისი, მდედრ., 18-25).

მოსახლეობის 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც განვითარების იდეალისტური მოდელისთვის დამახასიათებელ ხედვებს ვხვდებით, რამდენადაც მათთანაც ევროპა განვითარებასთან ასოცირდება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კი წარმოდგენილია, როგორც განათლებისა და პროგრესის შემაფერხებელი, შესაბამისად, ევროინეტეგრაციის დამაბრკოლებელი. გავრცელებული დისკურსების თანახმად, ეკლესიას „ეშინია განათლებული ადამიანების“, რადგან განათლებული ნიშანეს ძლიერ ადამიანს, რომლის „კონტროლი ყველაზე რთულია.“ სწორედ იმის გამო, რომ „ევროპა არის განათლება, მეცნიერება, პროგრესი და ცვლილებები“, ბუნებრივია, რომ ეკლესიას ევროპის „ეშინია.“ მეტიც, აღნიშნულია, რომ ეკლესიისთვის მიუღებელია არა მხოლოდ ევროპა, არამედ ქვეყანაში პროგრესის შემომტანი ნებისმიერი აქტორი.

მე ვფიქრობ, რომ ეკლესიისათვის მიუღებელია პროგრესი, ზოგადად, და არ აქვს მნიშვნელობა, ამ პროგრესს ვინ შემოიტანს ირგვლივ – ევროპა იქნება, ამერიკა, თუ თურქეთი. ვისთანაც არ უნდა დავახლოვდეთ, ეკლესიისთვის იქნება მიუღებელი (ბათუმი, მდედრ., 26-40).

გავრცელებული დისკურსის თანახმად, ეკლესია არის ინსტიტუტი, რომელიც განვითარებას საკუთარ წიაღშიც კი ეწინააღმდეგება. ამ კონტექსტში, სხვა ჯგუფების მსგავსად, 26-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მართლმადიდებელ ეკლესიას კათოლიკურს ადარებენ და მიიჩნევენ, რომ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ ვითარდება. საგულისხმოა, რომ განვითარება რესპონდენტებისთვის არა მხოლოდ სიახლეებისადმი მიმღებლობის გაზრდას გულისხმობს, არამედ ჰუმანურობის საზომიცაა. ამ მხრივ ხაზგასმულია, რომ კათოლიკური ეკლესია განვითარდა და ამიტომაც არის უფრო ჰუმანური, ვიდრე მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც „ისევ იმ დონეზე“ მყოფად განიხილება, „როგორც იქსო ქრისტეს დროს იყო.“

რეფორმა უნდა [ეკლესიას], განათლების დონე ახლა იქ არის დაბალი. ახლა ის, რომ ID-ში ეშმაკები სხედან და რაღაც, ეს გაუნათლებლობის ბრალია (ბათუმი, მამრ., 26-40).

კათოლიკური ეკლესია დღეს იმიტომ არის უფრო პუ-მანური, რომ განვითარების ეტაპებს მიაღწია. მართლმა-დიდებელი ეკლესია არის ისევ იმ დონეზე, როგორც ისეს ქრისტეს დროს იყო და თუნდაც მანამდე. ახალი ლმობი-ერება და რაღაც არ მომხდარა... (თელავი, მამრ., 26-40).

დომინანტური დისკურსის პარალელურად, რომლის თანახ-მად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განვითარების და პროგრესის წინააღმდეგია, რესპონდენტთა ამ ასაკობრივ ჯგუფ-შიც გაუღერდა მოსაზრება, რომ ეკლესის წიაღში არის რამდენიმე დაპირისპირებული მხარე. ამ არგუმენტის მომხრეთა შეფასებით, ან-ტიდასავლურ პროპაგანდას მხარს უჭერს და თავადაც ავრცელებს არა მთლიანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ მას-ში არსებული კონკრეტული ჯგუფი [„იქაც [ეკლესიაში] აზრთა სხვა-დასხვაობაა. რაც მოჩანს და სოციალურ ქსელებში რაცაა, მანდ არის სხვადასხვა გუნდები და ,შტაბკვარტირები“] (ქუთაისი, მამრ., 26-40). ეს უკანასკნელია მოაზრებული რუსული პროპაგანდის როგორც სამ-იზნედ, ასევე ინსტრუმენტად. ამასთან, ანტიდასავლური პროპაგან-დის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ, ახალგაზრდების მსგავსად, რესამნ-დენტთა ეს ჯგუფიც, უმეტესად, უფროსი თაობის წარმომადგენლებს მიიჩნევს, რომელთათვისაც, თითქოს, ბუნებრივია გარკვეული სენტი-მენტები საბჭოთა წარსულის, შესაბამისად, რუსეთის მიმართაც („არ უნდა დაგვავიწყდეს, სად ვცხოვრობთ, რა თაობაა“). რადგან ეს სენ-ტიმენტები ძლიერია, რესპონდენტთა თქმით, პრორუსული პროპაგან-და სწორედ მათზეა მიმართული და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შესაბამისი რიტორიკის გამავრცელებელ ინსტრუმენტად იყენებს. ამ კონტექსტში, კვლავაც დასავლეთის, როგორც გახრწნი-ლის, ხატის შექმნაზეა საუბარი, განსაკუთრებით, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მიმართ ლიოალური დამოკიდებულების გამო.

ეკლესიის დამოკიდებულება ევროკავშირისადმი არ არის უარყოფითი. ცალკეულ ადამიანებზე არ ვამბობ, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, სად ვცხოვრობთ, რა თაობაა და შეიძლება პრორუსული განწყობები იყოს ეკლესიაში. რუსეთიც ყოველთვის ცდილობს,

ევროკავშირის და ამერიკის შესახებ რაღაცები გაავ-  
რცელოს ყველა სფეროში და ეს შეიძლება მისი  
გავრცელებული იყოს, რომ ევროკავშირი არის მამათ-  
მავლობა... (ზუგდიდი, მდედრ., 26-40).

სწორედ რუსეთია მიჩნეული იმ ძალად, რომელსაც აწყობს ევ-  
როპის, როგორც „ცუდი რაღაცების“ გამავრცელებლის წარმოჩენა  
(„რუსეთს“ აწყობს ის „გრუზინული“ დამოკიდებულება, რომ ევ-  
როპას შემოაქვს ცუდი რაღაცები“ (ბათუმი, მამრ., 26-40)). ამის  
მაგალითად რესპონდენტებს პრორუსული ძალების მიერ საქარ-  
თველოს მართლმადიდებელი ეკლესის წარმომადგენელთა წინა-  
საარჩევნოდ გამოყენების პრაქტიკა მოჰყავთ. ერთ-ერთი არგუმენტის  
თანახმად, რუსული პროპაგანდის გავრცელება მრევლში „ძალიან  
ადვილია“, რამდენადაც იქ ინფორმაციას „ავტორიტეტული პირები“  
ავრცელებენ. შესაბამისად, მაღალია ალბათობა იმისა, რომ მათ მიერ  
გავრცელებული დეზინფორმაციაც რეალობად იქნება აღქმული.  
რამდენადაც საქართველოში სასულიერო პირების მიერ მრევლისთვის  
ინფორმაციის არა უბრალოდ მიწოდების, არამედ მხარდაჭერის  
მოთხოვნისა და შესაბამისი მოწოდებების გავრცელების მაგალითები  
უკვე არსებობს, რამაც „არჩევნების შედეგებზე იქონია გავლენა“,  
ნარატივის ავტორი ასკვნის, რომ, ზოგადად, ეკლესის მიერ მრევლზე  
გავლენის მოხდენა „ძალიან ადვილია.“

ძალიან ბევრჯერ მომისმენია სასულიერო პირების  
განცხადება, იქნებოდა ეს არჩევნები თუ სხვა. ეს გან-  
ცხადებები ძალიან მაგონებდა რუსულ პროპაგანდას.  
თითქმის ციტირებული იყო, იგივე სიტყვებით, იგივე  
დამოკიდებულებით. იგივე ეკლესია, იგივე მრევლი,  
აქ ძალიან ადვილად შეუძლიათ შეღწევა პრორუსულ  
ძალებს, უშუალოდ რუსეთს. ეს პიბრიდული ომის  
კარგი საშუალებაა – დეზინფორმაცია, მოსახლეობას  
არასწორად მიაწოდო ინფორმაცია და მიაწოდო  
საკმაოდ ავტორიტეტული პირისგან. იგივე არჩევნების  
შედეგებზე, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, პირ-  
დაპირ იყო სასულიერო პირებისგან მხარდაჭერაზე  
მოწოდებები (ბათუმი, მდედრ., 26-40).

როგორც ახალგაზრდა, ისე საშუალო ასაკის რესპონდენტთა  
თანახმად, ევროპასთან განსვლის ერთ-ერთი მთავარი საკით-

ხია ჰომოსექსუალური კავშირების მიღება-მიუღებლობა. ჰომოსექსუალური კავშირები მიუღებელია ფართო საზოგადოებისთვის და ეკლესიისთვისაც. მეტიც, ერთ-ერთი ნარატივის მიხედვით, ეკლესია სწორედ იმიტომ „იკავებს თავს,“ აქტიურად დაუჭიროს მხარი ევროინტეგრაციას, რომ იცის საზოგადოების უმრავლესობის ნეგატიური განწყობა ჰომოსექსუალური კავშირების მიმართ.

ქართველებს გვაქვს ორი უკიდურესობა – ან უცებ მიიღებენ რაღაცას, ან არ მიიღებენ. ამ შემთხვევაში, შეუალები არ არსებობს. ამიტომაც, ეკლესია იმიტომ იკავებს თავს და იმის გამოა უარყოფითად განწყობილი ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, რომ თუნდაც ის ოჯახური თემა, რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ მოგვწონს ეს ჰომოსექსუალები, გულის სიღრმეში არ მოგვწონს. ჩვენს ტრადიციებს ვერ ვარგებთ, არც შემნყნარებლები ვართ (ზუგდიდი, მამრ., 26-40).

ჩვენი ეკლესია და მრნამსი ბევრ ისეთ რამეს არ ეთანხმება, რასაც ევროკავშირი გვთხოვს, რომ გავაკეთოთ, თუნდაც ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით და ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოს ეკლესის გავლენა დიდია აյ (ქუთაისი, მდედრ., 26-40).

როგორც ციტატებიდან ჩანს, ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანთა უფლებების დაცვის ნაწილად განიხილება, ევროკავშირთან ინტეგრაციის მისწრაფება კი იმთავითვე გულისხმობს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ მზაობას, თუმცა რესპონდენტები იმასაც აღიარებენ, რომ ამ თვალსაზრისით, არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაა შემწენარებელი და არც ქართული საზოგადოება. მიუხედავად მსგავსი თვითკრიტიკისა, გაუღლერდა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, პირიქით, ეკლესია ევროინტეგრაციის მხარდამჭერია. აქ საზღასმულია, რომ ეკლესიას მოსახლეობისთვის „სიკეთე უნდა“ და სწორედ ამიტომ უჭერს ევროპასთან ინტეგრაციას მხარს. ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, გარდა იმისა, რომ ქადაგებებში სასულიერო პირები არ მოუწოდებენ მრევლს „წავიდეთ და ახლა სხვა ქვეყანას შევუერთდეთ“, ეკლესის წარმომადგენლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობას სურს ევროინტეგრაცია, ბუნებრივად მიიჩნევა, რომ სამღვდელოების ნაწილიც

მხარს უნდა უჭერდეს მას. მიუხედავად აღნიშნული არგუმენტებისა, შთაბეჭდილება იქმნება, რომ რესპონდენტები მონდომებას არ იშურებენ, რათა ევროინტეგრაციის პროცესში ეკლესიის პოზიტიური როლი დაინახონ. შესაბამისი არგუმენტებიც ისეა წარმოდგენილი, რომ სოციალურად სასურველ ნარატივებს უფრო ჰგავს, ვიდრე ეკლესიის პოზიტიურ როლში დარწმუნებული ადამიანების პოზიციას.

ეკლესიას საქართველოსთვის კარგი უნდა, ამიტომ  
ევროინტეგრაციაც უნდა (ქუთაისი, მამრ., 26-40).

ეკლესია ხომ ხალხის წარმომადგენელია, ცალკე ხომ არ არსებობს, ხალხისგან გამოვიდნენ. იქაც ხომ ადამიანები და მოქალაქეები ცხოვრობენ და ხმას აძლევენ, არა? ხმის მიცემის შედეგად ვნახეთ, რომ 2/3-ს უნდა ევროპეიზაცია; გამოდის, რომ იმ მღვდლების რაღაც ნაწილსაც ხმა აქვს მიცემული ანალოგიურად. შესაბამისად, გამორიცხულია, რომ იმათ ეს არ უნდოდეთ (გორი, მდედრ., 26-40).

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილენი მნიშვნელოვნად მიჩნევენ ეკლესიის წარმომადგენლების ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროინტეგრაციის მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების მეტ-ნაკლებად განეიტრალებას. მეტიც, ერთ-ერთი ნარატივის თანახმად, სასულიერო პირების პირად ვიზიტებს ევროპაში და ადგილზე რეალობის გაცნობას უკვე პოზიტიური შედეგი მოყვა, რაც თურმე მსგავსი ვიზიტების შემდეგ, ევროკავშირის შესახებ ნეგატიური შეხედულებების ცვლილებით გამოიხატა. ხაზგასმულია, რომ ერთ შემთხვევაში, შეხედულებების ცვლილებას ის განაპირობებს, რომ სასულიერო პირებიდარწმუნდნენ, რომდასავლეთი „თურმე, არყოფილა ისეთი საშინელი და ბუა, როგორიც ეგონათ.“ მეორე შემთხვევაში კი, დამოკიდებულებების ცვლილებას ეკლესიის წარმომადგენელთა პრაგმატული ინტერესი და ევროკავშირის სახით დაფინანსების ახალი წყაროს აღმოჩენა იწვევს. მართალია, დაფინანსების რა წყაროზეა საუბარი, ან რა მიმართულებით დაფინანსებაზე, რესპონდენტი არ აკონკრეტებს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ეკლესიის წარმომადგენელთა პრაგმატულ ინტერესებზე მითითება და ამ უკანასკნელის, როგორც დამოკიდებულების ცვლილებაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორის, აღქმა.

ნეგატიური დამოკიდებულება არის, მაგრამ გაცნობითი სამუშაოები რომ ჩატარდა, ზოგს შეეცვალა დამოკიდებულება, რადგან არის პრაგმატული ინტერესები, რომ გაიგო, დაფინანსებებია, შემოსავლის ნებაროვა (თბილისი, მამრ., 26-40).

უფროსი თაობის წარმომადგენლებშიც, საშუალო ასაკის რესპონდენტების მსგავსად, გაუდერდა მოსაზრება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს ქვეყნის ევროინტეგრაციას იმიტომ, რომ მოსაზღვეობისთვის სიკეთე სურს. ამ შეხედულების მხარდამჭერთა თანახმად, სიკეთე განვითარებაში მდგომარეობს, ეს უკანასკნელი კი ევროპასთან ასოცირდება. მიუხედავად ამგვარი ხედვისა, ხაზი გაესვა, რომ ეკლესია არ არის მონოლითური ერთობა, სადაც ყველა ერთ აზრს იზიარებს. მეტიც, განსხვავებული მოსაზრებების არსებობა, გარკვეულწილად, ამ ინსტიტუტის განვითარების ინდიკატორადაცაა წარმოჩენილი. შესაბამისად, ისიც აღინიშნა, რომ ეკლესის ყველა წარმომადგენელი ვერ იქნება ევროინტეგრაციის მომხრე.

ერთი მამაო ენინაალმდეგება მეორეს, ესეც ძალიან დიდი პლიუსია, არ აქვთ ერთანაირი აზრი. ადრე არც იყო. ესეც ძალიან დიდი ნაბიჯი მგონია. თუ ეს არ იქნება, ყველანაირ ღირებულებას ეკარგება აზრი.... (თბილისი, მდედრ., 41-65)

ახლა ქვეყნის განვითარება, ასე მგონია, რომ ერსაც უნდა და ბერსაც. ვთვლი, რომ ყველა [მღვდელი] არ იქნება [ევროინტეგრაციის] საწინააღმდეგოდ განწყობილი (გორი, მდედრ., 41-65).

საინტერესოა, კვლავაც სოციალურად სასურველი რიტორიკის შემოთავაზება: მიუხედავად მცდელობისა, რომ ეკლესია განვითარების (მათ შორის, ევროინტეგრაციის) მომზრედ იქნეს წარმოდგენილი, იქვე აღნიშნულია, რომ „ყველა [მღვდელი] არ იქნება [ევროინტეგრაციის] საწინააღმდეგოდ განწყობილი.“ რაც გვაფიქრებინებს, რომ, რესპონდენტის ხედვით, მღვდლების უმრავლესობა სწორედ ევროინტეგრაციას ენინააღმდეგება, თუმცა, „ყველა არ იქნება“ მათ რიგებში. სოციალურად სასურველი დისკურსის გამოხატულებაა არგუმენტიც, რომ ეკლესია „ქართველი ხალხის წინააღმდეგი“

არასდროს ყოფილა. ამ ლოგიკის თანახმად, რადგან ქართული საზოგადოება განვითარებისკენ მიიღოფის, ეს უკანასკნელი კი პირდაპირ უკავშირდება ევროპას და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, ეკლესია არ იქნება ის ძალა, რომელიც ქართული საზოგადოების განვითარების და, შესაბამისად, ევროპინტეგრაციის წინააღმდეგ წავა. ამ არგუმენტებში მნიშვნელოვანია განვითარების იდეალისტური მოდელის შესაბამისი ხედვა და ის, რომ უფროსი თაობის რესპონდენტების თანახმადაც, ევროპული არჩევანი და ამ სივრცეში ინტეგრირება, ცალსახად, განვითარებასთანაა ასოცირებული. ამ თვალსაზრისით, უფროსი თაობის ხედვები არ განსხვავდება კვლევის მონაწილე სხვა ჯგუფების ხედვებისგან, უბრალოდ, ეკლესიის, როგორც განვითარების ამ ვექტორის მხარდამჭერის, წარმოჩნის მცდელობა რესპონდენტთა ამ ჯგუფში მეტად იკვეთება, ვიდრე ახალგაზრდებისა და საშუალო ასაკის რესპონდენტთა ჯგუფებში.

ეკლესია არასდროს ყოფილა ქართველი ხალხის  
წინააღმდეგი, რომ რამე განვითარება შეაფერხოს.  
არასდროს ყოფილა... (გორი, მამრ., 41-65).

საზოგადოება რასაც ესწრაფვის, არა მგონია, ეკ-  
ლესია მის გვერდით არ იყოს (თბილისი, მდედრ., 41-65).

მიუხედავად ხაზგასმისა, რომ ეკლესია არ დაუპირისპირდება საზოგადოების ინტერესებს, ამ შემთხვევაში, ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ევროპინტეგრაციის პროცესს, უფროსი ასაკის რესპონდენტები გარკვეულ საფრთხეებს მაინც ხედავენ. კვლევის მონაწილე სხვა ჯგუფების მსგავსად, რესპონდენტთა ამ ჯგუფშიც საფრთხეები რუსული პროპაგანდის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამიზნედ და ინსტრუმენტად გამოყენებას უკავშირდება („ჩვენი ეკლესია რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ არის“ (ბათუმი, მდედრ., 41-64)). როგორც საშუალო ასაკის წარმომადგენლებთან, აქაც, ანტიდასავლური რიტორიკის კონტექსტში, ყველაზე აქტუალურ საკითხად პომოსექსუალური ურთიერთობებია მიჩნეული, რაც, კვლევის მონაწილეთა თქმით, „ჩვენი მენტალიტეტისთვის“ არ არის დამახასიათებელი და რა-საც ეკლესიაც ეწინააღმდეგება. მართალია, უფროსი ასაკის რესპონდენტები ხაზს უსვამენ ეკლესიისთვის ოგბტ თემთან დაკავშირდული საკითხების აქტუალურობას, მაგრამ აქვე მიუთითებენ, რომ ეს პრობლემა აქტუალურია სწორედ რუსული

პროპაგანდის გამო და არა იმის გამო, რომ ეკლესია აუცილებლად ნეგატიურადაა განწყობილი ევროინტეგრაციის მიმართ. თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ გაუღერებული მოსაზრების მიუხედავად, რომ ეკლესიაში ჰომოგენურობას არ აქვს ადგილი („ერთი მამაო ეწინააღმდეგება მეორეს“) და განსხვავებულ ხედვებს იქაც ვხვდებით, უშუალოდ ლგბტ თემის მიმართ დამოკიდებულებას, თურმე, განსხვავებული ხედვები ნაკლებ ეხება, რადგან „ევროპული ცხოვრების წესი [ციტატაში სწორედ ჰომოსექსუალური კავშირები იგულისხმება] მიუღებელია ჩვენი ეკლესიისთვის.“

ვატყობ საქართველოს ეკლესიას რუსულ ნარატივს  
და ამას ვატყობ, რატომ: დავიწყოთ სულ პირველი  
მოვლენებიდან... ლგბტ თემა რომ წამოვიდა პირველად,  
ეს იყო აბსოლუტურად სპეციალურად დაგეგმილი, ჩემი  
აზრით, რუსეთის ძალებისგან... (თბილისი, მდედრ., 41-65).

ეკლესიაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა და ეკლე-  
სიაშიც იყოფა აზრები, ზოგიერთი ეკლესიის წარ-  
მომადგენელი სხვანაირად მიიჩნევს და ზოგიერთი –  
სხვანაირად, მაგრამ არის, მაგალითად, ეკლესიისთვის  
მიუღებელი საკითხები. თუნდაც ტოლერანტობა და  
შემწყნარებლობა სექსუალურ უმცირესობაში. მე  
მომისმენია ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებისგან  
ძალიან ისეთი... კატეგორიული აზრები, ამ საკითხთან  
დაკავშირებით (გორი, მდედრ., 41-65).

კვლევის მონაბილე სხვა ჯგუფების მსგავსად, მიუხედავად იმის ხაზგასმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რუსული პროპაგანდის სამიზნეცაა და ინსტრუმენტიც, სასულიერო პირების ნაწილი კი პრორუსულადაა განწყობილი, უფროსი ასაკის რესპონდენტებიც აცხადებენ, რომ ეკლესიის წიაღშიც არის „განათლებული ხალხი“, „განსხვავებული“ (ანუ პროევროპული) ხედვებით. ამგვარად, ევროპა განვითარების იდეალისტურ მოდელში იერარქიულად უპირატეს მდგომარეობაში განიხილება, პროევროპული ხედვა კი განათლებასთან ასოცირდება. ცდილობენ რა, ეკლესიის მიმართ ნაკლებად კრიტიკული მოსაზრებები გამოიქვან, უფროსი ასაკის რესპონდენტებიც სოციალურად სასულველ დისკურსებს გვთავაზობენ და სამღვდელოებასაც განათლებულ (რაც იმთავითვე პროევროპულს გულისხმობს) სეგმენტად წარმოაჩენენ.

ძალიან განათლებული ხალხი აღმოჩნდა [მღვდლები] და არა მგონია, რომ რუსეთი უნდათ. მე შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ ეგრე ჩემს ეკლესიას. ისინი არიან პროევრო-პულები, განათლებული ხალხი... (თბილისი, მამრ., 41-65).

თუ ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს მართლმადი-დებელი ეკლესის როლთან დაკავშირებით მოსახლეობის და ელიტების დისკურსებს შევაჯამებთ, თვალსაჩინოა, რომ ეკლესია ნაკლებადა მოაზრებული ევროინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობ ინსტიტუტად. მიუხედავად სოციალურად სასურველი დისკურსების შემოთავაზების მცდელობისა, როგორც ელიტების, ისე მოსახლეობის ხედვები საკმაოდ კრიტიკულია. თუმცა, განსაკუთრებული სიფრთხი-ლით პოლიტიკური ელიტის სამთავრობო ნაწილის წარმომადგენელთა, აგრეთვე უფროსი ასაკის რესპონდენტთა დისკურსები გამოიჩინა. ზოგადად, აღნიშნული ფრთხილი რიტორიკა ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთან ვლინდება, თუმცა ეს ოპტიმისტურ ხედვადაც შეიძლება ჩაითვალოს. მსგავსი ოპტიმიზმის გამოხატულებაა ეკლესიის, არა როგორც მონოლითური ინსტიტუტის ხედვა, რომელიც პრორუსული/ანტიდასავლური პროპაგანდის გამავრცელებელია, არამედ ეკლესიის წიაღში „განათლებული ხალხის“ და „ჯანსაღი ჯგუფების“ არსებობაზე საუბარი. ეს ჯგუფები აღქმულია, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული და, შესაბამისად, ევროინტეგრაციის იდეის გამზიარებელი. კიდევ ერთი საერთო მახასიათებელი კვლევის მონაწილე ყველა ჯგუფს შორის არის ეკლესიის ინსტიტუტის სიძლიერის და საზოგადოებაზე გავლენის თვალსაზრისით მისი განსაკუთრებული როლის ხაზგასმაა, მათ შორის, ევროინტეგრაციის პროცესშიც. რამდენადაც ეს ინსტუტუტი საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობს და, შესაბამისად, მოსახლეობის ხედვაზე გავლენის მოხდენაც შეუძლია, მნიშვნელოვანია, თუ როგორია და როგორი იქნება მის მიერ გავრცელებული დისკურსები. კერძოდ, მოხდება თუ არა ეკლესიის მიერ ევროინტეგრაციის პროცესის, როგორც ქართული იდენტობისთვის საფრთხის მატარებლის, წარმოჩენა თუ ეს პროცესი წარმოდგენილი იქნება, როგორც განვითარების უაღტერნატივო გზა? რადგანაც სასულიერო პირები ავტორიტეტულ სუბიექტებად არიან მიჩნეულნი, მათ მიერ სწორი აქცენტების დასმა კვლევის მონაწილეებს საკვანძოდ მიაჩინათ. სწორი აქცენტები კი, თავის მხრივ, სწორედ ევროინტეგრაციის, როგორც განვითარების საუკეთესო ვექტორის, მოაზრებას გულისხმობს.

## დასკვნა: საქართველოს ეპიდემიზაციის დისპურსული პერფორმანსი

საწყის საკვლევ შეკითხვას რომ დავუბრუნდეთ, თუ როგორია პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების და მოსახლეობის დისკურსები საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ, და რა სასურველ და არასასურველ შედეგებს მოელიან ისინი ევროპეიზაციის პროცესიდან, პირველ რიგში, კვლევის შედეგად გამოვლენილ პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. რესპონდენტების მიერ ხაზგასმული სამი ძირითადი პრაგმატული ფაქტორია საქართველოს ევროპეიზაციის გავლენა ადამიანთა უფლებების დაცვაზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ქვეყნის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე (რუსეთის საფრთხისგან დაცვაზე). იდენტობის ფაქტორის ხედვა კი უკავშირდება ევროინტეგრაციის გავლენას ქართულ იდენტობასა და ლირებულებებზე. კვლევამ გამოავლინა საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულებები როგორც იდენტობის, ისე პრაგმატული ფაქტორების მიმართ მოსახლეობაშიც და პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებშიც.

კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები ცხადყოფს, რომ კვლევის მონაწილეები მოელიან ევროინტეგრაციის პოზიტიურ გავლენას ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე და დემოკრატიზაციის ხარისხზე. მეტიც, Q ანალიზი გვიჩვენებს, რომ დებულებები, რომ ევროინტეგრაციის შედეგად საქართველო უკეთ იქნება დაცული რუსეთის საფრთხისგან და რომ ქვეყანაში ადამიანთა უფლებების დაცვა გაუმჯობესდება, ყველაზე მაღალი პოზიტიური კორელაციით გამოიჩინა როგორც პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებთან, ისე მოსახლეობასთან. ხოლო უკიდურესი ნეგატიური პოლუსი წარმოდგენილია დებულებით, რომ ევროინტეგრაცია ქართულ ტრადიციებს ემუქრება, რაც ნიშნავს, რომ კვლევის მონაწილეები ვერ ხედავენ ქვეყნის ევროპეიზაციიდან მომდინარე იდენტობის საფრთხეებს. მიუხედავად ამისა, დებულებების რანჟირების მილმა, პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების

სიღრმისეული ანალიზი საკმაოდ კომპლექსურ რეალობას ავლენს, კერძოდ, მონანილებს სჯერათ, რომ საქართველო ისტორიულად ტოლერანტულია და ამიტომ სულ არ სჭირდება ტოლერანტობის და ადამიანთა უფლებების დაცვის სწავლება ევროკავშირის მხრიდან; ამასთან, მიუხედავად პოზიტიური ეკონომიკური ცვლილებების მოლოდინისა, მონანილები საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ საქართველოს ევროპულ ბაზარზე დამკვიდრების პერსპექტივას; აქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ევროკავშირი არ ავლენს რუსეთის საფრთხისაგან საქართველოს დაცვის მზადყოფნას, რადგან რუსეთთან საკუთარი ურთიერთობების გართულებას ერიდება და ამიტომ „თავს არ აიტკიებს“ პატარა და სუსტი საქართველოს გამო. და ბოლოს, მიუხედავად რწმენისა, რომ ქართველები ევროპულ ღირებულებებს დიდი ხნით ადრე იზიარებდნენ, სანამ ევროკავშირთან ინტეგრაციას გადაწყვეტდნენ (ამდენად, ისინი ბუნებრივად მიეკუთვნებოდნენ „ევროპულ ოჯახს“), მონანილები მაინც დარდობენ, რომ „ევრო-პული ლიბერალური ღირებულებები“ ქართული ოჯახური ტრადიციებისთვის საზიანოა.

ამდენად, წარმოდგენილი პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები საკმაოდ ამბივალენტურად უდერს და ერთგვარი დისკურსული მანიპულაციის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც მათ პერფორმატიულ ბუნებაზე (Goffman, 1959) მიუთითებს. ეს უკანასკენილი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება კვლევის მონანილების მიერ ევროპეიზაციის მექანიზმებზე საუბრისას. როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში ევროპეიზაციის ორი ძირითადი მექანიზმი განიხილება: პირობითობა, რომელიც ევროკავშირის მხრიდან, ჯილდოს და სასჯელის გამოყენების საფუძველზე, ევროპეიზაციის პროცესის ნახალისებას გულისხმობს და სოციალიზაცია, რომელიც ადგილობრივ დონეზე ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას გულისხმობს სოციალური დასწავლის გზით – არა ევროკავშირის მხრიდან ჯილდოს მიღების მოლოდინში, არამედ ადგილობრივი პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. არსებობს ერთგვარი გარდამავალი მექანიზმიც, რომელსაც „ნორმატული მიბაძვა“ თუ თვითპირობითობა შეგვიძლია ვუწოდოთ და რომელიც ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნის მიერ იმაზე მეტი ვალდებულებების აღებას გულისხმობს, ვიდრე ევროკავშირი ითხოვს, რათა ევროკავშირი დაარწმუნოს, რომ მასთან შემდგომი დაახლოებისთვის(დაწევრობისთვისაცკი)მზადაა. მართალია, კვლევები

აჩვენებს, რომ პირობითობა ევროპეიზაციის წამყვანი მექანიზმი იყო აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებში, ხოლო თვითპირობითობა – აღმოსავლეთ პარტიიორიბის ქვეყნებში, რომელთაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, ამასთან, პირობითობა და სოციალიზაცია ურთიერთსაპირისპირო მექანიზმებია, რადგან ევროპეიზაციის პროცესი ვერ წარიმართება, ერთდროულად, გარე მოთხოვნებით (პირობითობა) და საკუთარი ნებით (სოციალიზაცია), მაგრამ მოცემული კვლევის მონაწილეების თანახმად, გარეგანი დირექტივები და შინაგანი მოტივაცია ჰარმონიულად თანაარსებობს საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში. მეტიც, სწორედ მათმა ერთგვარმა კომბინირებამ, რასაც ზემოთ „იძულებითი სოციალიზაცია“ ვუწოდეთ, საქართველოს წარმატებული ევროპეიზაცია უნდა უზრუნველყოს. როგორც პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები და მოსახლეობა აღნიშნავენ, საქართველოს „აკლია გარკვეული ტრადიციები“, რაც ფუნდამენტურია ევროპისთვის (პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვა); ამდენად, ქვეყანამ „მექანიკურად უნდა გადმოიღოს“ შესაბამისი რეგულაციები, რაც, მათი თქმით, თანდათანობით ადგილობრივ ტრადიციად გადაიქცევა. ეს „მექანიკური გადმოიღება“ ის იძულებითი მექანიზმია, რამაც სოციალურ დასწავლას უნდა უბიძგოს და მიღებული რეგულაციები ქართველების ყოველდღიურ პრაქტიკად უნდა გარდაქმნას. ამდენად, „იძულებითი სოციალიზაცია“ ქართველების ევროპელობის „ტრადიციის გამოგონების“ (Hobsbawm & Ranger, 1983) მნიშვნელოვან მექანიზმად შეგვიძლია მივიწიოთ.

მიუხედავად „იძულებითი სოციალიზაციის“ საჭიროების აღიარებისა, იმავდროულად, კვლევის მონაწილენი სელექციური ევროპეიზაციის მნიშვნელობასაც უსვამენ ხაზს, ანუ ევროკავშირის სტანდარტების და რეგულაციების ფრთხილი შერჩევისა და მათგან მხოლოდ იმ ნაწილის დანერგვისა, რაც საქართველოს პრაგმატული თვალსაზრისით გამოადგება. სწორედ ამგვარი ამბივალენტობის გამოა, რომ შესაბამისი დისკურსები საკმაოდ პერფორმატიულად ჟღერს და სწორედ ეს დისკურსული პერფორმანსი გვეხმარება, განვითარების იდეალისტური მოდელის და იძულებითი სოციალიზაციის ურთიერთმიმართების დილემა ავხსნათ, ანუ ის, თუ რა გზით თანაარსებობს მოდერნიზაციისადმი შინაგანი მისწრაფებისა და გარედან დირექტივების მიღების აუცილებლობის თვითაღება. ცხადია, რომ განვითარების იდეალისტური მოდელისკენ სწრაფვა

ქვეყნის ასიმეტრიული პოზიციის ინდიკატორია, რაც თვალსაჩინოდ ვლინდება ევროკავშირის პირობითობის მექანიზმიდან და, ამდენად, მისი უარყოფა რთულია. თუმცა, ევროკავშირთან ამ ასიმეტრიული მიმართების შემცირება შესაძლებელია რიტორიკულ დონეზე, საკუთარი ქვეყნის რეფორმატორად წარმოჩენით, რომელიც აქტიურადაა ჩართული სოციალური დასწავლის პროცესში და ამიტომ სულაც არ საჭიროებს გარედან კარნახს. შედეგად, პირობითობასა და სოციალურ დასწავლას შორის ჰარმონიული კავშირი დისკურსული მანიპულაციით მიღწევა, და სწორედ ეს მანიპულაცია თუ პერფორმანსი ხდის შესაძლებელს იძულებითი სოციალიზაციის და სელექციური ევროპეიზაციის ამგვარ თანაარსებობას მოსახლეობის და ელიტების დისკურსებში. ეს ყოველივე კი ადასტურებს, რომ რიტორიკული პერფორმანსი ევროპეიზაციის შესახებ პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების განუყოფელი ნაწილია საქართველოში.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Azrout, R., Van Spanje, J. and de Vreese, C. (2012). When News Matters: Media Effects on Public Support for European Union Enlargement in 21 Countries. *JCMS: Journal of Common Market Studies*, 50(5): 691-708.
- Azrout, R., van Spanje, J. and de Vreese, C. (2013). A Threat Called Turkey: Perceived Religious Threat and Support for EU Entry of Croatia, Switzerland and Turkey. *Acta Politica*, 48 (1): 2-21.
- Best, H. (2012). Elite Foundations of European Integration: A Causal Analysis. In Best, H., Lengyel, G. and Verzichelli, L. (Eds.). *The Europe of Elites: A Study into the Europeanness of Europe's Political and Economic Elites* (208-233). Oxford: Oxford University Press.
- Best, H. (2012). Elites of Europe and the Europe of Elites: A Conclusion. In Best, H., Lengyel, G. and Verzichelli, L. (Eds.). *The Europe of Elites: A Study into the Europeanness of Europe's Political and Economic Elites* (234-241). Oxford: Oxford University Press.
- Boomgaarden, H. G., Schuck, A. R. T., Elenbaas, M., and de Vreese, C. H. (2011). Mapping EU Attitudes: Conceptual and Empirical Dimensions of Euroscepticism and EU Support. *European Union Politics*, DOI: <https://doi.org/10.1177/1465116510395411>
- Börzel, T. A. and Lebanidze, B. (2015). *European Neighbourhood Policy at the Crossroads*. MAXCAP Working Paper Series, 12. Retrieved from: [http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap\\_wp\\_12\\_0.pdf](http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_12_0.pdf)
- Börzel, T. A. (2015). *Building Sand Castles? How the EU Seeks to Support the Political Integration of its New Members, Accession Candidates and Eastern Neighbours*. MAXCAP Working Paper Series, 9. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-09-4.pdf>
- Caucasus Research Resource Centers (CRRC-Georgia). Knowledge and Attitudes toward the EU in Georgia, 2009, 2011, 2013, 2015, 2017, 2019. Retrieved from: [www.crrc.ge](http://www.crrc.ge)
- Chakrabarty, D. (Ed.), (2000). *Provincializing Europe, Postcolonial Thought and Historical Difference*. Princeton, NJ: Princeton University Press.

- Delanty, G. (1995). *Inventing Europe: Idea, Identity, Reality*. London: Palgrave Macmillan.
- de Vreese, C. H. and Boomgaarden, H. G. (2005). Projecting EU Referendums: Fear of Immigration and Support for European Integration. *European Union Politics*, 6 (1): 59-82. DOI: <https://doi.org/10.1177/1465116505049608>
- della Porta, D. and Caiani, M. (2009). *Social Movements and Europeanization*. Oxford: Oxford University Press.
- Dimitrov, G., Harlampiev, K. and Stoychev, S. P. (2015). *Contextual Policy Reading of Public Opinion Data and Recent Trends in Attitudes towards European Integration*. MAXCAP Working Paper Series, 6. Retrieved from: [http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap\\_wp\\_06\\_0.pdf](http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_06_0.pdf)
- Doyle, O. and Fidrmuc, J. (2006). Who Favors Enlargement?: Determinants of Support for EU Membership in the Candidate Countries' Referenda. *European Journal of Political Economy* 22: 520-43.
- Goffman, E. (1959). *The Presentation of Self in Everyday Life*. New York: Doubleday.
- Guerra, S. (2013). Does Familiarity Breed Contempt? Determinants of Public Support for European Integration and Opposition to it before and after Accession. *JCMS: Journal of Common Market Studies*, 51(1): 38-50.
- Heinisch, R. and Landsberger, C. (2011). 'Returning to Europe' – East Central Europe's Complex Relationship with European Integration and its Repercussions [book chapter]. Retrieved from: [https://www.uni-salzburg.at/fileadmin/multimedia/Politikwissenschaft%20und%20Soziologie/documents/Heinisch-Landsberger\\_East\\_Central\\_Europe%E2%80%99s\\_Complex\\_Relationship\\_with\\_European\\_Integration.pdf](https://www.uni-salzburg.at/fileadmin/multimedia/Politikwissenschaft%20und%20Soziologie/documents/Heinisch-Landsberger_East_Central_Europe%E2%80%99s_Complex_Relationship_with_European_Integration.pdf)
- Herzfeld (2002). The Absent Presence: Discourses of Crypto-Colonialism. *The South Atlantic Quarterly* 101(4): 899-926.
- Herzfeld, M. (2005). *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State*. New York: Routledge.
- Hobolt, S. B., Van der Brug, W., de Vreese, C. H., Boomgaarden, H. G. and Hinrichsen, M. C. (2011). Religious Intolerance and Euroscepticism. *European Union Politics*, 12(3): 359-379.
- Hobsbawm E., Ranger T. (Eds.), (1983). *The Invention of Tradition*. Cambridge: Cambridge University Press.

- Hooghe, L. and Marks, G. (2005). Calculation, Community and Cues: Public Opinion on European Integration. *European Union Politics*, 6(4): 419-443.
- Hooghe, L. and Marks, G. (2008). A Postfunctionalist Theory of European Integration: From Permissive Consensus to Constraining Dissensus. *British Journal of Political Science* 39 (1): 1-23.
- International Social Survey Program (ISSP). *National Identity 2013, Georgia*. Retrieved from: <http://www.gesis.org/issp/issp-modules-profiles/national-identity/2013/>
- Jacquot, S. & Woll, C. (2003). Usage of European Integration – Europeanisation from a Sociological Perspective. *European Integration Online Papers (EIoP)*, 7 (12). Retrieved from: <http://eiop.or.at/eiop/texte/2003-012a.htm>
- Karp, J. A. and Bowler, S. (2006). Broadening and Deepening or Broadening versus Deepening: The Question of Enlargement and Europe's 'Hesitant Europeans'. *European Journal of Political Research*, 45 (3), 369-390.
- Kiossev, A. (2002). The Dark Intimacy: Maps, Identities, Acts of Identifications. In Bjelic, D. I. and Savic, O. (Eds.). *Balkan as Metaphor: Between Globalization and Fragmentation* (165-190). Cambridge, USA and London, UK: The MIT Press.
- Kliewer B., Stivachtis, Y. A. (2007). Democratizing and Socializing Candidate States: The Case of the EU Conditionality. In Stivachtis, Y. A. (Eds.), *The State of European Integration* (143-160). London: Ashgate Publishing.
- Kuus, M. (2007). Geopolitics Reframed: Security and Identity in Europe's Eastern Enlargement (New Visions in Security). New York: Palgrave Macmillan.
- Manners, I. (2002). Normative Power Europe: A Contradiction in Terms? *Journal of Common Market Studies*, 40 (2), 235-258.
- Matonyte, I. and Morkevicius, V. (2012). The Other Side of European Identity: Elite Perceptions of Threats to a Cohesive Europe. In Best, H., Lengyel, G. and Verzichelli, L. (Eds.). *The Europe of Elites: A Study into the Europeanness of Europe's Political and Economic Elites* (94-121). Oxford: Oxford University Press.
- McKeown, B. and Thomas, D. (2013). *Q Methodology*. London: Sage Publications.
- McLaren, L. M. (2002). Public Support for the European Union: Cost/Benefit Analysis or Perceived Cultural Threat? *Journal of Politics*, 64 (2): 551-566.
- McLaren, L. (2007). Explaining Mass-Level Euroscepticism: Identity, Interests, and Institutional Distrust. *Acta Politica*, 42(2-3): 233-251.

- Melegh, A. (2006). On the East-West Slope: Globalization, Nationalism, Racism and Discourses on Central and Eastern Europe. Budapest: Central European University Press.
- Moumoutzis, K. (2011). Still Fashionable Yet Useless? Addressing Problems with Research on the Europeanization of Foreign Policy. *Journal of Common Market Studies*, 49 (3), 607-629.
- Neumann, I. B. (1996). Russia as Europe's Other. EUI Working Paper, 96 (34). Retrieved from: <http://core.ac.uk/download/pdf/6538476.pdf>
- Petrovic, T. (Ed.), (2014). *Mirroring Europe: Ideas of Europe and Europeanization in Balkan Societies* [Balkan Studies Library, volume 13]. Leiden and Boston: Brill.
- Radaelli, C. M. (2003). The Europeanisation of Public Policy. In Fatherstone, K., Radaelli, C. M. (Eds.), *The Politics of Europeanisation* (27-56). Oxford: Oxford University Press.
- Rexhepi, P. (2016). From Orientalism to Homonationalism: Queer Politics, Islamophobia and Europeanization in Kosovo. *Southeastern Europe* 40, 32-53.
- Risse, T. (2010). *A Community of Europeans? Transnational Identities and Public Spheres*. Ithaca: Cornell University Press.
- Said, E. W. (1978). *Orientalism*. New York: Pantheon Books.
- Sampson, S. (2003). From Kanun to Capacity Building: "The Internationals", Civil Society Development and Security in the Balkans. In Siani-Davies, P. (Ed.). *International Intervention in the Balkans since 1995* (136-157). Routledge.
- Schimmelfennig, F. (2010). Europeanization beyond the Member States. *Zeitschrift für Staats- und Europawissenschaften*, 2010. Retrieved from: [https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/european-politics-dam/documents/People/Publications/Europeanization/Member\\_.pdf](https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/european-politics-dam/documents/People/Publications/Europeanization/Member_.pdf)
- Schimmelfenning, F. (2012). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, 7 (1). Retrieved from: <http://www.livingreviews.org/lreg-2012-1>
- Schimmelfennig, F. (2014). *Enlargement and Integration Capacity: A Framework for Analysis*. MAXCAP Working Paper Series, 1. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/enlargement-and-integration-capacity-a-framework-for-analysis.pdf>
- Schimmelfennig, F. and Sedelmeier, U. (2002). Theorizing EU Enlargement:

- Research Focus, Hypotheses, and the State of Research. *Journal of European Public Policy* 9 (4): 500–528.
- Schmidt, V. A. & Radaelli, C. M. (2004). Policy Change and Discourse in Europe: Conceptual and Methodological Issues. *West European Politics*, 27 (2): 183–210.
- Sedelmeier, U. (2011). Europeanization in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 6 (1). Retrieved from: <http://www.europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2011-1/>
- Steenbergen, M. R., Edwards, E. E. and De Vries, C. E. (2007). Who is Cueing Whom? Mass-Elite Linkages and the Future of European Integration. *European Union Politics*, 8 (1), 13-35.
- Steunenberg, B., Petek, S. and Rüth, C. (2011). Between Reason and Emotion: Popular Discourses on Turkey's Membership of the EU. *South European Society and Politics*, 16(3): 449-468.
- Thornton, A., Dorius, F., and Swindle, J. (2015). Developmental Idealism: The Cultural Foundations of World Development Programs. *Sociology of Development* 1 (2): 277-320.
- Toshkov D., Kortenska E., Dimitrova, A. and Fagan, A. (2014). *The 'Old' and the 'New' Europeans: Analyses of Public Opinion on EU Enlargement in Review*. MAXCAP Working Paper Series, 2. Retrieved from: <http://www.maxcap-project.eu/system/files/maxcap-wp-02.pdf>
- Tsuladze, L. (2017). On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia. *Communist and Post-Communist Studies*, 50 (2), 125-133.
- Tsuladze, L., Esebua, F., Kakhidze, I., Kvintradze, A., Osepashvili, I. and Amashukeli, M. (2016). *Performing Europeanization: Political vis-à-vis Popular Discourses on Europeanization in Georgia*. Tbilisi: Nekeri (in Georgian and English).
- Watts, S. and Stenner, P. (2012). *Doing Q Methodological Research: Theory, Method and Interpretation*. Sage. DOI: <https://dx.doi.org/10.4135/9781446251911>
- Zarycki, T. (2014). *Ideologies of Eastness in Central and Eastern Europe*. Routledge.
- Zhelyazkova, A., Börzel, T. A., Schimmelfennig, F. and Sedelmeier, U. (2015). *Beyond Uniform Integration? Researching the Effects of Enlargement on the EU's Legal System*. MAXCAP Working Paper Series, 8. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-08.pdf>



**ISBN 978-9941-479-80-9**



A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-479-80-9. The barcode is composed of vertical black bars of varying widths on a white background.

9 789941 479809